გაბაფხული მძეინვარებს დედაქალაქში, ყოვლისშემძლე გაბაფხული უმღვრეეს სისხლს (და გონებასაც) მოქალაქეებს და თუნდაც წამიერად. ხანმოკლედ, მაგრამ საყსებით იმორჩილებს მათ ზრახვებსა და ქმეღებას.

როგორ არ გავიხსენოთ გი დე მოქასანის ერთი ახირებული გმირის ქადაგება! „ღიახ, ბაგონო, მე ვამბობ, რომ მთავრობამ ყოველ წელიწადს კეღლებზე უნდა გააკრევენოს უშეეღებელი აფიშები ასეთი წარწერით: „გაბაფხული ბრუნღება. საფრანგეთ- ის მოქალაქენო, უფრთხილდით სიყვარულს!“

გაბაფხულის ბრალია შ. აფრიდონიძის ფეხის მოგეხა. მისივე ბრალია „გაბაფხულის სითბოთი და სპირტიანი სასმეღებით ამ- ღვრეული“ გოგო-ბიჭების ავარია. გაბაფხულის ბრალია ფეხმძ- იმე ქალის გრაგიკომიკური მცღელობაც, მაინცდამაინც იმ ღღეს გაარკეიოს გასარკეყევი...

მარგო ექიმისა და ქალის ამბავი ერთ მოთხრობად ღირს! მა- გრამ აკი ვთქვი, რეზო ჭეიშვილი უმწურეღად იხარჯება-მეთქი. მწერალმა არ ღაინანა და ხიგა ექიმის საგროფიალო პერი პეტიები გრავმაგოლოგიური კლინიკის აურზაურის ფონზე გაღმოსყა.

ასეთ გაწამაწიასა და ორომტრიალში, სრულიად შეუფერებელ ადგილას, შეუფერებელ ვარემოებაში, უდროოდ დროს ცდილობს ახალგაზრდა ქალი თავის სასიყვარულო ურთიერთობათა „გარკვევას“. ძუნწი დიალოგი მხოლოდ მიგვანიშნებს, რომ ქალს სახლში მისაბრუნებელი პირი არა აქვს და იმასაც, რომ ხიგას იმდებე მგერი იქნა...

ამაოდ შერება ქალ-ვაჟი, მათ ერთმანეთისა არაფერი ესმით; ხიგას ვითომცდა მტკიცე და დამარწმუნებელ ნაუბარს საკეთიარ საუთქრალს ჩაღრმავებული ქალი არად აგლებს და „შიშითა და ნეტარებით“ ივსება ახალი სიცოცხლის მოლოდინში: „ციხფერ კელელთან გაჩერებული ქალიშვილი, რომელსაც ძუძუს ბავშვივით თხელი, სუთა და სურნელოვანი სახის კანი ჰქონდა, მოწკურული თვალებით მიჩერებოდა ექიმს. კაცი ...დაბეჯითებით ლაპარაკობდა, ყოველ სიტყვას მნიშვნელობას ანიჭებდა, მაგრამ ჩემოქმედების ძალას ვერ გრძნობდა, როგორც ჩანდა და ერთიად აიგივეს იმეორებდა. ქალი მაღალ ქუსლებზე ირხეოდა, მოულოდნელად და ღროდაღრო, შეუმჩნეველად გყლებოდა მუხლში, დამცინავი ღიმილი გადაურბენდა ამ დროს წამით ბაგებზე და მშერა სხვაგან გადაჰქონდა ცოგა ხნით...

– წადი და ხეალ ვნახავ, ხომ ხედავ, რა ღღეში ვარ!

– სად წავიდე?

– სახლში.

– არ შემიძლია, სახლში ვეღარ მივალ.

– რატომ ვეღარ მიხედავ?

– იცი შენ... – ვაჟური წარბები აწია კელავ, ვაჟურადვე გაასწორა ბეჭები, მკერდი აიშალდა.

– პერანგი არ გაცვია?

ქალმა არ უპასუხა, საწვიმრის ჯიბეები ჩაქაჩა მუშტებით და გუჩები მოკუმა.

– ნუ ეწებები ამ კედელს, გეგყობა მუყელი, ამ ქალებს კი არაფერი გამოეპარებათ!

ქალმა წარბები დაუშვა, შიშველ მუცელს დააჩერდა შიშით და ნეტარებით, ჯიბეებიდან ხელები ამოიღო, ამოჩაჩული თეთრი კოფთა ქვედაწელ კაბაში ჩაიგანა, მუცელზევე გააჩერა თითები და ვაჟს მიაჩერდა“.

ნაბახუსევი სტუმარი გოგო, უაზროდ რომ დაბორიალებს მისაღებში, ქვეშეყნეულად მიიღგვის ფეხმძიმე ქალისაკენ და

სრულიად მოულოდნელად აყვავებული შინდის გოგებიც დაასაჩუქრებს მას. ეს შემთხვევითი, წერაღმანი ამბავი თითქოსდა აიძულებს ქალს მიაგოვოს უსაზღვრო, გაუსაყვებელი „მოლაპარაკება“, განერიდოს დახუთულ მისაღებს და „აყვავებული“ წაეიდეს.

ფეხმძიმე ქალის სახე მოთხრობის დასასრულს სხვაგვარ განმომილებას იძენს და მარადიული განახლების, სილამაზის, სისაქისა და ალორძინების სიმბოლოდ გვესახება. თბილისური გაზაფხულის ამ მშვენიერ დღეს აგვირგვინებს ხიდზე მიშავალი ქალი ხელში ახლადაყვავებული შინდის გოგებითა და მკერდექვეშ მფეთქავე ახალი სიცოცხლით.

რებო ჭეიშვილი, რომელიც ყოვლად მიწიერ, ყოფით წვრილმანებშიც კი ეძიებს პოეტურსა და ამალღებულს, ყოველდღიურობის ჩვენებისასაც კი აღწევს მხატვრული განზოგადების დიდ ძალმოსილებას, ხშირად განსხვავებული, ოღნაე ნაღყლიანი აკორდით ასრულებს მოთხრობას. ასეა „საგაზაფხულო ჩანახაგშიც“, რომლის ფინალი – აპოთეოზი – დაუსაბამო განახლებისა და ყოველივეს წარმავლობის მარადიული მთლიანობის დიდებულ მხატვრულ განსახოვნებად წარმოჩნდება.

„მანც, რანაირი ამინდი იღვა იმ დღეს!

ჩამავალი მზის სიწითლე აშუქებდა აგმის ყვავილებს. პეპელას ფრთებივით მოცახცახე ფურცლებს უფრო მკრთალი ფერი ედო წინა დლით. იწვოდნენ, ბრიალებდნენ და ხეალ ისეე დაკარგავდნენ იმ დღის ელვარებას ის ყვავილები. როცა ქალს შინდის აყვავებული გოგები მიჰქონდა, თეთრი კოფთის ქვეშ მავნოლიის ყვავილისფერი მუცელი უკრთოდა, მაშინ იღვა აგმის სიწითლე ბენიგში. ჩადიოდა მზე, უცნაურად ბინდებოდა, შინდისფერი ედებოდა მიდამოს, ვისთვის პირველი, ვისთვის შერამდენე, ვისთვის ბოლო გაზაფხული მძვინვარებდა“.

იშვიათად წამიკითხავს ასეთი სულით ხორცამდე „თბილისური“ მოთხრობა. რებო ჭეიშვილი, ქუთაისის „პოეტის“ შემქმნელი და დამფუძნებელი თანამედროვე ქართულ პროზაში, ბრწყინვალედ გადმოსცემს დიდი ქალაქის რიგმს, ცხოვრების განსხვავებულ ნირს, დედაქალაქის მოუხელთებელ სულს.

1984 წ.

გოგი რამ ბაიქ ხარანაულის ქვეყანაზე

სამოციანი წლების მეორე ნახევარსა და სამოცდაათიანი წლების დასაწყისში ე.წ. „გამოდარება“ წარსულს ჩაბარდა. ახალ „სამოციანელთა“ ერთბაშიად ამოფრქვეულმა ნიჭიერებამ, მათდაუნებურად რომ გააფერმკრთალა თუ დაჩრდილა მომდევნო ლიტერატურულ თაობათა ძალისხმევა, კელაე იწვინა გამკაცრებული ცენზურის სუსხი.

„სტაგნაციურ“ საქართველოში თითქოს არაფერი ხდება: არც რაიმე ცვლილებებს მოეწივით, — არც კარგს და არც ცუდს; მაგრამ შემოქმედი, რომელიც მარტო ერთი ცრემლით კი არ არის ჩვენზე მეტი, არამედ, თუკი ჭეშმარიტი ხელოვანია და რაკი ჭეშმარიტი პოეტია, დროსაც წინ უსწრებს და ათეული წლების მერე, ლამის ნორმად რომ იქცევა, ისეთ გენდენციებს შეიგრძნობს — სულითა და გონებით, გულითა და განით, ქვეცნობიერად თუ ცნობიერად, — უკვე ორიოდ მომცრო კრებულის ავტორია: ნოვაგორად სახელდებულიც და ქოქოლადაყრილიც, უფროსი თაობის მწერლებისა თუ დახვეწილი გემოვნების ლიტერატორების მიერ წახალისებულიც და დაუნდობლად გაკიცხულიც შაეანთა მიერ.

ეს პოეტი ბესიკ ხარანაულია.

ცოცხა უტრირებულად რომ ვთქვა, იგი უფრო ამრის, გრძნობის, ვნების პოეტია, ვიდრე ფორმისა; მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება მაინც ფორმით მიიქცია იმთავითვე: თავისუფალი ლექსი მაშინ უცხო ხილი გახლდათ, კრიტიკაც სწორედ ფორმის გამო იწვინა; უპირატესად, ფორმამ დაჩრდილა „ფხიზელ“ ცენზორთა თვალში ბესიკ ხარანაულის პოეზიის უაღრესად თავისუფალი შინა არსიც (საბედნიეროდ!).

საერთოდაც უნდა მოგახსენოთ, რომ საბჭოთა ცენზურის დამოკიდებულება მისი პოეზიისადმი აუხსნელი იყო; ამკარა ანტისაბჭოური სულისკვეთების მიუხედავად, მისი ლექსები ხელუხლებლად იბეჭდებოდა. ბესიკ ხარანაული ხომ არც ემოქეს ენას მიმართავდა და არც სხვა „ემმაკობებს“ (ამ მხრივ შესანიშნავი მაგალითია გურამ დოჩანაშვილის მხატვრული მანერა — ირონია-პაროდია-მისტიფიკაციების ფეიერვერკი, რომელში გარკვევას ბიუროკრატიული ცენზურა ვერა და ვერ ახერხებდა; ანდა,

ოთიარ ჩხეიძის სტილი – დაუძლეველი „ენობრივი“ ბარიერი „ჩინოვნიკი“ ცენზორებისათვის და სხვ.)

ბესიკ ხარანაული წერდა ისე, როგორც ეწერებოდა და ამ „მეთოდის“ ერთგულია დღემდე: ვერ ვიტყვი, რომ ნებადართულმა თავისუფლებამ მის თავისუფალ (გადაგანითი და პირდაპირი მნიშვნელობით) ლექსებზე რაიმე არსებითი გავლენა იქონია.

ერთ-ერთ ბოლოდროინდელ ვრცელ ინტერვიუში („მოუსვენრობა ბადებს პოეზიას“, „ჩვენი მწერლობა“, 2001 წ., № 20) სათუნა ალხაზიშვილმა სამართლიანად მიუთითა პოეტს იმ ვითარებაზე, რომ საბჭოურ პერიოდში დაწერილი მისი ლექსების მხატვრული მნიშვნელობაც და აქტუალურობაც კი არ შემცირდა, გაიზარდა კიდევ... პოეტის პასუხი კი ასეთი იყო: „ადამიანი ყოველ წუთში – სხვადასხვაა და ამისი მიზეზი არ ილევია. არც დრო ჩერდება რომელიმე წამზე. მაგრამ ადამიანი ერთარსებაც არის, უცვლელი. დრო-ეპოქაში, ყოფით-მაგერიალური პირობითობები ნაკლებად გემოქმედებენ ღმერთის მიერ შექმნილ ამ კონსტრუქციაზე, ამ სხვადასხვა და ერთარსება ქმნილებაზე, რომელსაც ღმერთმა ერთადერთხელ ჩაბერა სული და დანარჩენი დროისათვის პოეზია დაუდგინა სულის საბერეველად... ჩემი ლექსები ცდილობენ ნაკლები ყურადღება მიაქციონ პირობითობებს, ნაკლებად გამოხატონ სოციალური ყოფა, ეს კი საშუალებას აძლევთ, იარსებონ სხვადასხვა პოლიტიკური და სოციალური ფორმაციებისგან დამოუკიდებლად“.

გარდა დაუკონკრეტებელი, „ასოციალური“ თუ „აპოლიტიკური“ რეალიებისა, საბჭოურ დროს ბესიკ ხარანაულის პოეზია ალბათ თავად ავტორმაც „გადაარჩინა“: მოჩვენებითი კონფორმიზმით, გარეგნულად – ჩრდილში ყოფნით, არაამბიციურობით და სხვა პიროვნული თვისებებით თუ ღირსებებით, რაც სრულიადაც არ აღიზიანებდა არც „ლიტერატურულ გენერლებს“ და არც ბობოლა თუ წვრილფეხა ცენზორებს.

არადა, ბესიკ ხარანაულის პოეზია ყოველგვარი საბჭოური „ნორმიდან“ იყო ამოვარდნილი.

სამყაროს მთლიანობის, პარმონიულობის შეგრძნებამ, ჯერ კიდევ XIX საუკუნიდან რომ გაუნდა ბზარი, XX საუკუნის ბოლო ათწლეულებში სავსებით იცვალა ნირი: „უღმერთოდ“ და აბსურ-

დის საუფლოდ შერაცხული სამყარო თითქოს კვლავ ქაოსს დაუბრუნდა.

XX საუკუნის სხვადასხვა ჯურის კაცაკლიზმებმა და თაყბრუ-დამსჯევემა რიგმა, – ქარბორბალასაყით რომ ჩაგვითრია თაყის წრებრუნეაში, ადამიანური გონების არნახელმა ჩეობამ და ასევე გაუგონარმა უგუნურებამ და უღმობლობამ, გებუნებრივემა აღმავლობამ თუ უსასტიკესმა ქვედანარცებამ, ადამიანური ბუნების გასაოცარმა მარადიულმა შემგუებლობამ და ფაქიზმა მგრძნობელობამ, – რაც არ უნდა ვეწინააღმდეგებოდეთ, ყოყელი ჩვენგანი (განსაკუთრებით, ხელოვანი!) ჩვენს დროს დაგვიამსგავსა, თაყისი დამლით დაგვდალა.

ბესიკ ხარანაულის ერთი „რიგითი“ ლექსი მისი თაობის, დაბადებიდანეე „დეტერმინირებული“ თაობის ტრაგედიას გადმოგვეყმს:

პირველ რიგში შენ უნდა დაიბადო 1937, 38, 39 წლებში.

(მე შეიძლება შემომეღაფონ ისინი, ვინც დაიბადნენ

1917, 18, 24 წლებში,

მე შეიძლება შემომეღაფონ ისინი, ვინც დაიბადნენ ამ

საუკუნის დასაწყისში,

დაბოლოს, მე შემიძლია შემომეღაფონ მიცვალებულებიც,

რისი გახსენებაც სულ არ მსიამოწენებს).

მაგრამ მე ვფიქრობ ჩემნაირებზე.

იმათზე, ვინც ჩაისახნენ 1937, 38, 39 წლებში:

რადგან ეს ხალხი

(მეც სომ ქვეყანას ერთ-ერთ ამ წელს გამოვეყსადე),

შიშით ჩაისახნენ.

არა სხვა რაშით,

როგორც ხდება და ხდებოდა მთელ სამყაროში. –

არამედ შიშით,

როცა კაცი ქალის თეალებს კი არ ჩასექერის,

ფანჯრებს არის მიშტერებული

და ქალიც, კაცის გულისფეთქეას კი არ უსმენს სულგანაბული,

კარზე კაკუნი ეღანდება დაუმცხრალს და გრძნობაუქონელს.

პირველ რიგში ჩვენ ჩავგვსახეს კურდღლებიყით ნაჩქარეაღ.

თვალისეყეებით,

გამოგვამწყვდიეს დედის მუცლის ცხრაკლიგულებში.

ციცოთაბეჭდში.

საიდანაჲ გამოუკაედათ დანომრილები,

კეჩტ-კენჭად და იმჩაირად სულჩაბერილნი.

რომ მთელი სიციხსლე გეძულებოდა ერთიმგორუ...

და ასე, ასე. ამ დღემდე და ამ წუთამდე

ჩვენ ვიციხვრეთი მესგად ისე, როგორც ვიშვით,

და ერთ ღამითაც, სამუდამოდ რომ დავიძინებთ,

შეიძლება სამოთხეში გამოგვეღვიძოს...

ლექსი 1989 წლით თარიღდება; დღევანდელი ვითარების გათვალისწინებით, ის უაღრესად აქტუალურია და თითქოს წინასწარმეტყველურიც; ამასთან, ეს ლექსი გვიადვილებს ბესიკ ხარანაულის თანამდევნი გრაგიშვის, მისი იშვიათი ირონიული ხედვის სათანადოდ აღქმას.

სამყაროული დისპარმონია ადამიანშიც დაბუდებულია. დანაწევრებულია არა მარგო მოელენები, განცდები, შეგრძნებები, – „დანაწევრებულია“ თვით ლირიკული გმირიც. ამის ბრწყინვალე თვალსაჩინოებად შეიძლება გამოვსვათ ლექსთა ციკლის – „წუთები და წამები“ – ერთი ლექსი:

უთხარი, დედა, მინდვრებსა და ამ მთავორებს,

ამ სოფლებსა და ამ ქალაქებს,

ამ ქალებსა და ამ ვაჟაკებს,

რომ დაგებრუნონ შენი შეილი.

გამომგლიჯე ყველას თითო-თითო ნაწილი,

შეაგროვე კვლავ შენს კალთაში,

გაეცალე აქაურობას.

სადმე, ხის ჩრდილში, მწვანე ველზე წყლის პირს

დაჯექი

და ამასხი ისევე თავიდან.

70-იანი წლებით დათარიღებული მთელი ციკლი „წუთებისა და წამებისა“ განმარტებულია ამგვარად: „მასში, როგორც სარკის ნამტვრევეებში, ფრაგმენტებადაა აღბეჭდილი ცხოვრების, ადამიანთა განცდების ცალკეული მომენტები და მხარეები“.

ამგვარი ფრაგმენტულობა, წყვეტილობა, შეუთავსებლის შეთავსება. ცხოვრების ცალკეულ ნაგლეჯთა ჩანახატები, გან-

სჯა-მედიგაციებთან და აუთორისგულ ტაქტიკებთან რომ თანაარსებობენ, ძლიერ მოგვაგონებს „კლი პის“ პოეტიკას, რომელიც საკმაოდ დიდ ზეგავლენას ახდენს დღევანდელ პოსტმოდერნიზმზე (უეჭველია: როცა ეს ლექსები იწერებოდა, სსრკ-ში და, მაშასადამე, საქართველოშიც, „კლი პის“ ჭაჭანება არ იყო).

ბესიკ ხარანაულის პოეზია, ბოლო დრომდე (როცა სრულიად შეგნებულად დაინგერეს და ინგერტექსტუალიზაციით), თითქმის სულ თავისუფალი იყო არამტყუ ლიტერატურული ზეგავლენისაგან, არამედ, მის ლექსებში აღუზიებისა თუ ლიტერატურული რემინისცენციების მიკვლევაც კი იშვიათი გამონაკლისი გახლდათ. მით უმეტეს ყურადსაღებია მისი ერთი „ფაუსტური“ სტროფი, – ირონიისა და რიგორიკული შეკითხვის შემცველი:

ბედნიერების წამო, რა ექნა,
როგორ გიხელთი.
როგორ გაქციო საუკუნედ,
ჩემს სახლში როგორ დაგაბერო...

ან კი, როგორ შეიძლება არ გაგახსენდეს გალაკტიონი („და მებრალეა მე ჩემი მტრები, არ ვიცი მტრობა“), როცა წაიკითხავ:

ბედნიერი ვარ და არასდროს მქონია ბედი,
უბედური ვარ და არ ვიცი უბედურება...

ამგვარი ამბივალენტურობა გვაფიქრებინებს, რომ ბესიკ ხარანაულის ოდენ „ტრაგიკული ცნობიერების“ პოეტად მონათვლა არ არის მართებული. სწორედ ამიგომ ვერასგზით ვერ ვავიზიარებ პოეტის შემოქმედებისადმი მიძღვნილი თავისთავად ბრწყინვალე სტატიის ავტორის სანდრო ბარამიძის რადიკალიზმს: „ყველას, ვისთვისაც სიცოცხლე დღესასწაულია, ვინც სამყაროს მშვენებით ხარობს და ხვალეს იმედით შესცქერის, ვურჩევდი, ბესიკის გომს ნურასოდეს გადაშლის, რადგან ნოსტალგიის, ფრუსტრაციისა და დისპარმონიის გარდა სხვას ვერაფერს ამოიკითხავს. ხოლო, ვისთვისაც სამყაროს, თვით ჩვენი არსებობის ტრაგიკული განცდა ცხოვრების წესია, მისთვის ბესიკის ლექსები ცხოვრების თანამგზავრი გახდება. ამიგომაც ვიგყოფდი, ვინც ხელოვნებაში აპოლონურ საწყისს ეძებთ, დავიწყეთ ბესიკ ხარანაულის შესახებ. მხოლოდ დიონისური ენებების მოტრფი-

აღეთაღვის არის მისი პოეზიის კარი ღია. როგორც დანგეს ჯოჯოხეთის კარებს, ბესიკ ხარანაულის სულის კარებსაც შეიძლება დაეწეროს: „თქვენ, აქ მოსულნო, იმედები დაქარგეთ ყველამ“.

„აგონიურის“ ავტორს თითქოს უნდა მიესადაგოს ზემოთქმული, მაგრამ ბესიკ ხარანაული არ შეიძლება იყოს მხოლოდ და მხოლოდ „ტრაგადიული ცნობიერების“ (ან: ჰეგელისეული „უბედური ცნობიერების“) მაგარებელი, ქაოსის მოძღვრალი, ღიონისური საწყისების გამაღრმავებელი. იგი აპოლონური პოეტიც არის უთუოდ, თუმცა ეს ნაკადი, შესაძლოა, უფრო მოკრძალებულად მოგვეჩვენოს.

ბესიკ ხარანაულიც ხშირად არის „ბედნიერი და უმიზნო“ (პაოლო იაშვილს რომ დავესესხოთ):

მშვიდი ღამე კარსკელავიანი,
მშვიდად სძინავს ქალს.
მშვიდად სძინავს იმ ქალში ნაყოფს.

ან კიდევ:

უარი მითხრეს, როგორც ზარის „ნონ“,
დამაგდეს ქუჩაში ქარიშ მებორკილი,
მაგრამ ამ ცარიელ, შუალამის ქალაქში
რაღაც მაინც მღეროდა – რა კარგია... რა კარგია...

სხვა საკითხია, რომ პოეტს მცირედი ეჭვის ჭია სიხარულის, ალგაცების ეამსაც კი თან სდევს:

რომ ავივსო გაზაფხულის სიმშვენიერით,
ისე ავივსო,
რომ შემდეგ უცებ
ვიფუთქო და დავიფანტო ათიათას წმინდა ნაწილად.
ვასწვდება ყველას სიხარულის ის ნაგებები?

კვლავ „ნაგებებს“ მივაპყროთ ყურადღება, „ნაგებებს“, როგორც „მთელის“ ანგითეზას.

„თავიდან ასასხმელი“ თანამედროვე ადამიანი, სამყაროე-

ლი დისპარმონიით გაოგნებული პოეტი ფორმასაც შესაფერისს ირჩევს და ირგებს: თავისუფალ ლექსს, – გაძალიბიანებლად წყევტილი. წაბორძიკებული ინგონაციით, მხაგერული სამკაულებისგან განძარცულ სიგყვას, სიგყვას, რომლის „ნდობაც“ კი არ შეიძლება (გავიხსენოთ გიუგჩევის „Мысль изречённая есть ложь“. მეგერლინკის სიჩუმის კულგი და სხვადასხვა ეროვნების მწერალთა ბევრი მსგავსი გამოჩინატქვაში):

სიგყეები, ყალბი და მაგყუარები,
თავის ნებაზე რომ დაათრევენ ჩვენს აზრებს და
ჟიქრებს.

სიგყეები, რომლებიც იმათ ჰქვია
რაც ჩვენ უკვე მოვიწყინეთ
და რაც გულმა გადაიყვარა,
სიგყეები – რათა ერთხელ კიდევ ეთქვათ
ის, რაც არასოდეს არ გვიფიქრია.

პოეტი ცდილობს სიგყეათა „სიყალბე“ საკუთარი გულახდილობითა და სიწრფელით გააწონასწოროს და ხშირად ახერხებს კიდევაც ამას, თუმცა შეგნებული აქვს, რომ მედმეტი გულწრფელობა „წამტებიანია“ მისთვის; იგი ხშირად წარმოგვიდგება „დედიშობილა“, რასაც ნანობს და მკითხველსაც, ჩეუელი ირონიით, ამასვე ურჩევს:

გულახდილები რომ ხართ ხოლმე,
არ დაგავიწყდეთ, ერთ ნიჩაბს რომ ამოიღებთ და
გულს დაუჩენთ,
მეორეთი მსწრაჟლ ამოაქსეთ.

„მედმეტი“ სიწრფელე თითქოს პიროვნული თავისუფლების დაკარგვის გოლფასია; ამასთან, ადამიანი მუდამ ცოდვილია. ამიგომაც გაურბის თავის თავს, თავის ჭეშმარიტ შეიბას. სხილბება და სხვის თვალსაც ემაღება. ცხოვრება მწარე ვახილდაა მას გაძლება უნდა; იმავდროულად, ბესიკ ხარანაჯლის ლირიკული გმირის ამოო წყევტება, უამრავი ჩაკლი და ზადი, ათხელკას მას თავშესაფრის ძიებას, ნიღბის ძიებას:

გაბედუ. დედა. ჩვენი დაბადება. გამოგვიჩინე
და თუ ცხოვრებას ვერ შევიძლებო,
ნიღბებს მაისც მოვირგებთ რასმეს...

ბესიკ ხარანაულისათვის ნიღაბი, მაქციაობა, თავის „სხვად“
მოჩვენება თავშესაფარი და „სამალაფიც“ არის და მხატვრული
ხერხიც. პოეტის შემოქმედების ეს ასპექტი იმგვარ ესთეტიკურ
კატეგორიებს უკავშირდება, როგორცაა თამაში და ნიღაბი (მათი
დამორიშორება პოეტის ლექსებში გავვიძნელდება).

ქართულ პოეზიაში ნიღაბის აპოლოგია „ცისფერი ორდენის“
შემოქმედებაში, განსაკუთრებით კი გიციან გაბიძის საპროგრამო
წერილში – „ცისფერი ყანწებით“ – წარმოჩნდა პირველად.
მაგრამ თუ ცისფერყანწელთათვის ნიღაბი უფრო ნოვაციებს,
მკითხველის ეპაჩაქს, „თავის გამოჩენას“ უკავშირდებოდა, – ბესიკ
ხარანაულისათვის ნიღაბი შინაგანი სამყაროს გადარჩენის, თავ-
დაცვის საშუალებაა:

როგორ მოვაჩვენო თავი ამ ხალხს,
რომ თითქოს არ ვარ
და თან კი ვიყო, ვარსებობდე და მერე როგორ...
ჩემი სიმღერა გაღიჭიმოს ათას ვარსკვლავზე
როგორც კარავი უწმინდესი სიყვარულისა,
ხოლო მე თვითონ უსიმღეროდ ვკვდებოდე ბნელში...

თამაში, როგორც შემოქმედების აუცილებელი და უცვლელი
კომპონენტი, დიდი ხანია მოექცა უცხოელი ლიტერატურათმცოდ-
ნეების ყურადღების არეალში; ქართულად, თუ არ ვცდები, სულ
ორიოდე წერილია, ამ საკითხს რომ ეძღვნება. მანანა კვაჭანტი-
რაძის ძალზე საინტერესო სტაგიაში „პოეტური ენა – თამაში“, –
ეკითხულობთ:

„მართლაცადა, რით არ არის მხატვრული სამყარო თამაშის
სამყარო, მისტიფიკაცია, სადაც ყველაფერი – პერსონაჟი, მიო-
ლენა, საგანი არსებობს მხოლოდ ენობრივად; ან სულაც – სცე-
ნა, სადაც სიგყვები იშორებენ თავიანთ ჩვეულ მნიშვნელობებს
და გვეყვინებიან ახალ, უცნაურ სამოსელში.

... ენობრივ თამაშში ჩაბმა სხვა გიჟის თამაშების მსგავსად,
სიამოვნების, სიხარულის, ექსტაზის მომენტებსაც გულისხმობს“...
ჩაუუკვირდეთ, როგორ ეხმიანება ბეკლევარის მოსაზრებას

ამ სტრიქონებამდე, ალბათ, ოცდაათი წლით ადრე დაწერილი ერთი უსათაურო ლექსი:

თამაში რომ გემალება ადამიანი
და რომ იპოვნი...
რა ბედნიერი ხარ!
მიუხედავად იმისა,
რომ ამ წუთში შენს გვერდით იყო,
თითქოს გეპოვნოს უნუგემოდ გადაკარგული...
და შექხარით ორნივე ერთმანეთს.

თითქოსდა ყოფითი ამბის, ბავშვური დამალობიანას თამაშის უწინარეს, ეს ლექსი ადამიანის „დამალვას“ და მის მარადიულ „აღმოჩენას“, ამით გამოწვეულ სიხარულს და ბედნიერებას ეხება; ის სიმბოლურად მიესადაგება შემოქმედებით პროცესსაც: პოეტის მთავარი ინსტრუმენტი – სიტყვა – მუდამ მის გვერდით არის, მაგრამ, იმაედროულად, ძიების პროცესში, თითქოს „უნუგემოდ გადაკარგულია“, მით უფრო ძლიერია მისი პოვნით გამოწვეული სიხარული.

თამაშიც ამბივალენტურია, ხან დღესასწაულის, გვიმის განწყობას ბადებს, ხანაც – უსასოობისა და სასოწარკვეთისა. თამაში დიდ საფრთხესაც შეიცავს, რადგან მოთამაშე მარტოა, „ეული“, არც რეჟისორი ჰყავს, არც მოკარნახე...

ბესიკ ხარანაულის „სიმღერა“ ერთგვარი რეფლექსიაა თამაშსა და ნიღაბზე, „როლის“ უორეულოდ, უგრიმოდ შესრულებასა და მის საეალალო შედეგზე:

რაც კი ვარსებობ,
მე ვთამაშობ მარტოდ, ეულად,
რეჟისორის და მოკარნახის,
გრიმის გარეშე,
რაც კი ვარსებობ,
მე ვთამაშობ უორეულოდ
ამ ქალაქშიაც
და ბავშვობის ივრის ჭალებშიც...

თამაში აქ მარტოსულის გრაგიკული ხვედრია მხოლოდ, რადგან – „ვინც ითამაშა, მოგებული არ დარჩენილა, არ დარჩენილა, თავის გული არ დაეფლითა“.

ნიკოლოზ ბარათაშვილის „აღუვსებული საწყაულის“ თავისებურ ანტიოქიად მესახება ბესიკ ხარანაულის ერთი უცნაური, აშკარად ფილოსოფიური სტროფა:

ცარიელი სასმისიდან სმა
მარტო ბაემეური თამაში როდია..
საქმე ისაა,
რომ აქ მუდამ იმდენი არის,
რამდენიც კყოფნის შენს მწყურვალე სულს...

შეიძლება ვცდებოდე, რადგან გამიძნელდა ჩაეწვდომოდი ავტორისეულ ჩანაფიქრს; მაინც მგონია, რომ ეს ლექსი ნიკოლოზ ბარათაშვილის „ახლებური წაკითხვა“ უნდა იყოს.

ერთ ცნობილ ლექსში ნილაბი „კარნაველურად“ მოიაზრება, ის მძიმე გვირთი კი არა, ადამიანის ყოფის „შემამსუბუქებელია“; ამ განწყობილებას ჯვარედინრითმიანი, 5-9 მარცვლიანი გაუქებიც ამბაფრებს:

ათასგან ვიყავ,
ცხენი ათას ღობეს მივაბი,
დაეტოვე ყველგან
ჩემეული თითო ნილაბი,
მოგვან ვაქაყის, მოგვან ლოთის
და მოგვან ლაჩრის,
ხოლო მე თეითონ
ყველასათვის უცნობი დაერჩი!

ნილაბი, თამაში, „სხუად“ ყოფნა, – გაუსაძლისი გაუცხოების დაძლევის საწინდარიც არის.

მამინ, როცა ეგზისტენციალიზმი მხოლოდ დასაეღურ „ხილად“ – უცხოდ და აკრძალულად, იმედროულად, ქართული სინამდვილისათვის, ქართული მსოფლალქმისათვის სრულიად მიუღებლად მოიაზრებოდა (გავიხსენოთ გურამ ასათიანის ცნობილი „ღია წერილი“ – პოემის „ხეიბარი თოჯინის“ ახალგაზრდა ავტორისადმი), ბესიკ ხარანაული თავის პირველსავე პაგარა კრებულში (1968 წ.) აქვეყნებს გახმაურებულ ლექსს:

უცხო
როგორც
უსურის ენოტი
საბადურის გყეში,
როგორც ჩრდილოეთის თეთრი დათვი
წიფლნარის მწვანე პირიმზითებში. –
უცხო... უცხო...
უცხო კაცი დაიარება
მენს ქუჩებში ჩემო ქალაქო.

ზოგი „უსურის ენოტისა“ და განსაკუთრებით, „ჩრდილოეთის თეთრი დათვის“ უჩვეულო სახეებს – ეზოპეს ენად თუ ანტი-სკვითურ მინიშნებად მიიჩნევა; ზოგიც, საკმაოდ მარგიად, – ქალაქში ვერდამკვიდრებული სოფელის ასოციაციას ემხრობოდა. ამ უკანასკნელი მოსაზრების გამაბათილებელი ლექსის ბოლო გაეპის „ჩემო ქალაქო“ გახლდათ; არც ჩვენი „დიდი ძმის“ ქვეყნის ფაუნა იყო თითქოს ჰაიპარად მოხმობილი: ჩვენ მაშინ ხომ რუსეთის იმპერიის ნაწილი ვიყავით. მე უფრო პაროვნული გაუცხოების ვერსიას ვემხრობოდი, თუმცა, ცენზურის მსახერალ ხელს გადარჩენილი „რუსული“ ფაუნის ჩართვა ლექსში, გულს მეფონებოდა და მახალისებდა კიდეც. როცა ვერ მოვითმინე და აეგორს ეკითხე, ხომ შენს თავს გულისხმობდი-მეთქი, – აბა რაო! – ლაკონურად მიპასუხა; მაგრამ თვით გექსგი, რომელსაც ავგორისაგან დამოუკიდებელი არსებობის უფლება აქვს, დღესაც იძლევა ნაირნაირი ინტერპრეტაციის საშუალებას.

სოფლის სიწმინდისა და უკეთური ქალაქის დაპირისპირება (გაეიხსენოთ ვერპარნის „ქალაქი – რვაფეხა“) ქართულ პოეზიაში XX საუკუნის 10-იანი წლებიდან დაიწყო (სახელდახელო, ერთ-ერთი მაგალითი: პაოლო იაშვილის „წერილი დედას“, იმჟამინდელი ქართველი ფუტურისგების „ბრალდების“ მიუხედავად, სერგეი ესენინის ცნობილ ლექსზე – „Письмо к матери“ – რამდენიმე წლით ადრე რომ დაიწერა), და დღემდე გრძელდება; ეს მოტივი ბესიკ ხარანაულთანაც გვხვდება (კონგრასტი სოფელ-ქალაქს შორის), ოღონდ ყოველგვარი შეფასებისა თუ მორალიზების გარეშე. ისიც აღსანიშნავია, რომ სოფელში გაგარებული სიყმაწვილის მიუხედავად, პოეტის მხატვრული მსოფლალქმა და ხელწერაც უაღრესად ურბანისგულია. ამ აზრს,

თუ არ ვცდები, უკლებლივ ყველა კრიტიკოსი იზიარებს. ჩემის მხრით დავძენ, რომ ლირიკული გიმრი სოფელშიც და მის ბინადრებთანაც ისევე „უცხოა“, როგორც ქალაქში.

სოფელ-ქალაქის ყოფითი დისონანსი თბილი იუმორითაა გადმოცემული ლექსში „სამაგიერო“:

დიდი ქალაქები იზიდავთ სოფლებს,
იქაურ საგარეო განსაყმელში გამოეწყობიან,
მაგრამ აქ მაინც ყველანი ცნობენ...

საყიდლებზე იყო ჩამოსული თუ რისთვის იყო,
ჩენი სოფლიდან ჩამოსულიყო
ჩემი ყოფილი მასწავლებელი
და რუსთაველის მეტროსთან ახლოს
ნაყინსა ჭამდა, მორცხვად, ნატრულად.

ნაყინი ხელში ადნებოდა, ნაყინი გრძნობდა,
რომ ხაში კაცი შეექცეოდა
და გაურბოდა
და ასფალტზე ეცემოდა მისი ნაღვენთი,
რომელსაც ჩემი მასწავლებელი
ფეხითა სრესდა და კვალს აქრობდა,
მოწმეებს არ სჭირდებოდა,
რადგან თავის სულწასულობას კიცხავდა უკვე.

მოწაფეობის დრო გამახსენდა:
სკოლის უკან რომ სიგარეტს ეწვედი
და თავზე რომ წამომადგა მოულოდნელად,
მე დამალვა და მან კი თვალის არიდება
ერთდროულად რომ მოეხსენარი.

მეც ავარიღე თვალი და გავცდი.
როლები შევეცალეთ... სექტემბრის თვეში.

ლექსის სახელწოდება – „სამაგიერო“ ორაზროვანია: სამაგიეროს გადახდა ანუ შუერისგება და, – სამაგიეროს მიზღვა, მადლის დაბრუნება. ამ შემთხვევაში, „თვალის არიდება“ – თანალ-

მობაა. ისევე, როგორც თანასოფლელი კახპის ვითომდაც „ვერცხობა“ მეგროში:

ერთი კახპა და ერთი პოეტი.
ორივენი კი ერთ სოფლიდან წამოსულები,
ვსხელყართ მეგროში,
თითქოს ერთმანეთს ვერც კი ვამჩნევდეთ...

(კახპასა და პოეტს შორის უფრო თანამოაზრობა, „იგივეობა“ იგრძნობა, ვიდრე გათიშულობა).

თანამედროვეობის მწველი და ცხოველი განცდა, მტკივნეული, გამოგანჯული მორალურ-ეთიკური ძიებანი, სწრაფვა მარადიული ფასეულობების სიღრმისეული წედომისკენ, უკიდურესი, თუნდაც „წამგებიანი“ სიწრფელე, – ამასთან იაფფასიანი პათეტიკის, „გალექსილი ყოველდღიურობით“ ცდუნების სრული უგულბებლყოფა, – ქმნის ბესიკ ხარანაულის პოემის დერიტას.

იგი თითქოს „შავ-თეთრი“ პოეტიკა, როგორც გერამ ასათიანი იტყვობდა, – „უფერუმარილო“, მკაფიო, სადა, მოგჯერ განზრახ გამარტივებული პოეტური მეტყველებით, ამაღლებულზე „დამიწებულად“ მოუბარი, ირონიით შენიღბული ტკივილით...

პოეტს აშკარად გამოხატული „პატრიოტული მოტივი“ არ მოეძეებოდა, არც სამშობლოს „ხოტბას“ გადააყვლია (ცხადია, სახოტბო კარგი ლექსების წინააღმდეგ არაფერ ილაშქრებს), თუმცა, როცა ჩააწვეთეს საყვედური, აუღელვებლად განაცხადა: „ნამდვილი პოეტი ყოველთვის აკეთებს ეროვნულ საქმეს, თუნდაც არ წერდეს პატრიოტულ ლექსებს“ (ინტერვიუ – „პოეტი – მარადიული გამომხატველი სულისა“, „ლიტერატურული საქართველო“, 1989 წ., 17 ნომბერი).

„მარტოხარანაული“ აქაც არაგრადიციული იყო (იყო, რადგან XXI საუკუნეში ზედიზედ გამოაქვეყნა საქართველოსადმი უშუალოდ მიძღვნილი საოცარი ლექსები, რომლებიც მის ახალ კრებულში შევა), „სიყვარულსა მალვა უნდაო“ – ეს სამშობლოს სიყვარულზეც ვრცელდებოდა.

ბესიკ ხარანაულთან სამშობლოს სახელს ღამის გაბუ ჰქონ-

და დაღებელი. ის ლიგონი ხოცების საგანი კი არა, მისი ბედის-
წერა და ღიდი სულებიერი შექსირების წყაროც იყო:

ო. სკლო ჩემო, ერო ჩემო და ნიჭო ჩემო.
როდემდის უნდა ვიყოთ ერთუროს მიჯაჭველები...
როდემდის უნდა მდარაჯობდე ქოფაკ ძალღივით
და ყოველ განზე გაწევაზე,
როდემდის უნდა მგლეჯდეს ხორცებს თქვენი ჯაჭვები...

როგორც პოეტი და მოაზროვნე, ბესიკ ხარანაული ტკივილ-
ამდეა შეზრდილი ქართულ ფესვებს, გრადიციებს; ხალხური
პოეზიის უბადლო მცოდნე და თაყვანისმცემელია, ხალხური
პოეზიის ერთ-ერთი საუკეთესო კრებული შეადგინა და გამოსცა
კიდევ; უამრავი ლექსი აქვს ხალხურ მოტივებზე. სწორედ ამგ-
ვარმა „მიჯაჭველობა“ ქართული კულტურისადმი, თიანეთისად-
მი, ღედისადმი, თავის „მცირე“ და „ღიდი“ სამშობლოსადმი და,
ქართული გრადიციული სამყაროს ახალ სინამდვილესთან შეხ-
ლამ, – გამოიწვია ის „მოკლე ჩართვა“, ასეთად რომ აქცია ბე-
სიკ ხარანაული – ყველასგან გამორჩეულ, თვითმყოფ, განუმე-
ორებელ და ორიგინალურ პოეტად.

ბესიკ ხარანაულის პოეზიის ღიდი დამუფასებელი თამამ ბიბი-
ლური წერდა: „ჩვენ თუ ვიწამეთ ერთი პოეტი, მოვითხოვთ, რომ
სხვებმაც მხოლოდ მასავით წერონ“.

ბესიკ ხარანაული სწორედ რომ „სხვაგვარია“, ორმოცი წე-
ლია „სხვაგვარად“ წერს; მისი ჯერჯერობით ბოლო ვრცელი
კრებული 1991 წელს დაისგამბა.

პოეტი ერთხანს დუმდა; ღიდი გაგაცებით რედაქტორობდა
გაზეთ „კვირის ფოსტას“, ამაო აღმოჩნდა მისი გულწრფელი ძალ-
ისხმევა გამომცემლობა „ნაკადულის“ გამოცოცხლება-ალორძინე-
ბისათვის. მხოლოდ იშვიათად თუ აქვეყნებდა ლექსებს. ჩემი
აზრით, პოეტს მწვავე შემოქმედებითი კრიზისი დაუდგა. ამ წლებ-
ში მან პუბლიცისტიკისათვისაც „მოიცალა“ და უმწვავეს, აქტუ-
ალურ თემატსაც ძალზე ღრმად, არსებითად და უკომპრომისოდ
შეეხო. ეს ერთგვარი აღმოჩენაც გახლდათ მისი შემოქმედების
დამუფასებლისათვის. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბოლო წლების
გაუსაძლისმა ძინებელობამ ააღებინა ხელში კალამი საკუთარი
ქვეყნის ბედით, მწერლობის გაუფასურებით, საყოველთაო და

უმწვავესი კულტურული კრიზისისი მეძრულ პოეგს.

საბედნიეროდ. დღესდღეობით „ემუშევარი“ და „ჯიბესქელი“ (ერთადერთი პრემია - სახელმწიფო - 1992 წელს კეპონებით მიენიჭა!) პოეგი კვლავ აღმავლობის გზაზეა; ბოლო ორი წელია, ბევრი ჩინებული ლექსი დასგამბა, გამოსაცემად მზად აქვს ახალი პოეგური კრებულიც და ვრცელი პოემაიც.

1991 წელსვე ცალკე წიგნად გამოცემული „აგონიური“ თითქოს უკანასკნელი ხარკი იყო, ბესიკ ხარანაულმა რომ გაიღო XX საუკუნისადმი.

პოემა „აგონიურიც“ სწორედ გასული საუკუნის მიწურულს უნდა შექმნილიყო, ჩვენს არეულ და გადარეულ დროში. ესაა - XX საუკუნის აგონია; უსულგულო ტექნიციზმის პირისპირ დედნიშობილად მდგარი ადამიანის აგონია; ტანჯული და გვემული სამშობლოს ტკივილით, პირადი შეჭირვებით განაწამები, ნახევარსაუკუნოვან ზღვარს გადაცდენილი, დაღმით ჩამავალი კაცის აგონია; სიცოცხლისა თუ სიკვდილის, ადამიანურობის, ჰუმანისტური ხელოვნების, პოეზიის გაუფასურება თუ აგონია და... მათი მარადიული არსებობა და ფენიქსისებრი განახლებაც.

პოეგი მარადიულს, წარუდინებელს ჩაქიორკიგებს: ცდილობს თვალი გაუსწოროს არსებულ ვითარებას, გაიაზროს ის, „გაუძლოს“ მას, რადგან:

ყოველი საუკუნის მიწურულში,
კაცობრიობა ცელქი და წერას აგანილია,
რადგან მომაკვდავი ჰგონია თავი
და დათივლილ ღლეებს ამნაირად რომ იხანგრძლივებს,
მიაჩნია, რომ სიბერით ეპაგიება--

პოეგი საქართველოს გამოცალკეებულად არ აღიქვამს, რადგან:

მთელ დედამიწაზე
მთელ ხუთივე კონტინენტზე,
გაყუჩდნენ და მიიმალნენ მგოსანი პოეგები...

ახლად რომ აელაპარაკდით გლობალიზაციისა და ნიველირების საფრთხეზე, პოეგი ჩვენზე აღრე გრძნობდა ამ სამიშროებას, რადგან:

თუკოსმისური ქარიყით,
ვარსკვლავებს ქვემოთ,
კავკასიონს გაღმოიელი და გაღმოიხედავ
ჩვენს ძველ ქვეყანაში,
რომელიც ამ საუკუნის მიწურულში
არაუვისგან არ გამოირჩევა
და ადამიანის ფასიც,
როგორც ყოველთვის ასეთი ძერების დროს,
აქაც მეტად უმნიშვნელოა...

„აგონიურის“ ლირიკული გმირის თითქოსდა უსამანო ეგო-
ცენტრიზმი და ამბივალენტური, მგერმოყვრული დამოკიდე-
ბულების გამქლავება მოყვასისადმი, ყოვლისმომცველი გაუცხ-
ობის გრაფიზმი, – ერთის მხრით, გვიბიძგებს მეტი სიწრფე-
ლისაკენ, საკუთარი ცოდვა-ბრალის გაცნობიერებისაკენ, საკუ-
თარი სინდის-ნამუსის აწონ-დაწონვისაკენ. მეორეს მხრით, ეს,
– ტყუილის, სიყალბის, დამტკბარ-დათაფლული შემგუებლობის
წინააღმდეგ ბრძოლაა:

დაიმახსოვრე,
ერთადერთი შენი თავის წინასწარმეტყველი
შენს სამშობლოშიც შენა ხარ და დედამიწაზეც...
... თქვენმა სიძულვილმა შემაყვარა მე ჩემი თავი,
როგორც ძაღლებში ძაღლს ძაღლობამ გადაუაროს...
... ჩემი ხელის მხლებელის დედა ვაგირე...
... ჩემი დღევანდელი მღვთმარეობა
ზუსტად ასახავს
დანარჩენი სამყაროსა და ჩემს ურთიერთობას:
ორივეს ერთმანეთი გვებიძგება და ენებს ვუყოფთ...

რა არის ეს? გამიზნული ეპატაჟი და „სამოგადოების გე-
მოვნებისათვის სილის გაწნა“? (გავიხსენოთ რუსი ფუტურისტ-
ების „Поштына общественному вкусу“) – ანდა, ბანალურ ფრა-
ზას თუ მოვიშველიებთ, – პროტესტი არსებული ვითარების მი-
მართ? მე ამ უკანასკნელ თვალსაზრისს ვემხრობი, რადგან პო-
ეტი, ყველაზე „მკრეხელური“ განცხადებებისასაც კი ახერხებს
ცინიზმის მდინარეზე გადებული ბეწვის ხიდის მშვიდობიანად
გავლას.

საერთოდ კი ბესიკ ხარანაული ძნელად მოსახელთებელი პოეტია, ვინც რადიკალიზმს ხშირად ირონიით, თაბაშიო, მოულოდნელი წიაღსელების საბურველით ნიღბავს:

სულელი არის,
ჩემს შეპყრობას ვინც მოისურვებს,
ვინც იფიქრებს, რომ ხელში ვყაეარ,
გულში ვუზიფარ, გვერდით მიფყვები...
სულელი არის,
ვინც ისურვებს რომ გაიგოს რა მაქვს ჭკუაში,
რა იმალება ჩემს ღაგმანულ გუჩებს იქით,
რა სამოთხეა, რა ჯოჯოხეთი...
ერუ საძრომები ბლომადა მაქვს...

მის პოეზიას, მიუხედავად ზოგი კრიტიკოსის მიერ გამოთქმული კურიოზული მოსაზრებებისა, უთუოდ ბედი სწყალობდა: ძნელია მოიძებნოს სხეადასხვა თაობის ღირსსაცნობი ლიგერაგორი, თუნდაც ერთი სტაგია რომ არ კქონდეს მასზე გამოქვეყნებული. XX საუკუნეშივე „ალიარეს“ ბესიკ ხარანაული XXI საუკუნის პოეტად. უდაუოა 10, 20, 30, 40 წლის წინათ შექმნილი მისი ლექსების განსაკუთრებული მნიშვნელობაც ჩვენი დროებისათვის.

ჩემი მიზანი კი მხოლოდ ის გახლდათ, მიმეთითებინა ბესიკ ხარანაულის პოეზიის იმ ასპექტებზე (სამყაროული და პიროვნული დისპარმონიულობა და „ფრაგმენტულობა“, გაუცხოება და მარგოსულობა, ეგოცენტრიზმი და ნარცისიზმი, თამაში, ნიღაბი, ირონია...), აგრერიგად რომ დაეწაფნენ თანამედროვე ქართველი ახალგაზრდა პოსტაენგარდისტები.

2002 წ.

მერცხლის ხანა – მერცხამეტი საუკუნე

ბესიკ ხარანაულზე უფრო ნონკონფორმისტი პოეტი ძნელი წარმოსადგენია. ორმოც წელზე მეტია, რაც ამ „მეთოდს“ ერთგულებს. პირველი ლექსები სტუდენტობისას გამოაქვეყნა, პირველ კრებულს კი შეაგვიანდა, – პოეტი უკვე ოცდაათ წელს იყო

მიტანილები. არცერთი კრებულისათვის არ წარუძღვარებია ე.წ. ლექსი – „პაროვოზი“ ასე რომელიმე საბჭოური ფეგიმის გალექსილი ხოგბა: ასეთი ლექსი მას არც კქონია.

აღრევე შერაცხეს რეფორმაგორად, ძირითადად, ვერლიბრის-ტობის გამო, რაც მთლად მართებული არ იყო: მისი პოეზია ნო-ვაგორული ვახლდათ შინაარსითაც და მხაგერული გამოსახვის საშუალებებითაც.

მიხეილ კეესელავამ წიგნში „პოეტური ინტეგრალები, ვალაკ-ტიონ გაბიძე და თანამედროვე პოეზია“ (1977 წ.) „მრგვალ მაგი-დასთან“ მიიწვია თანამედროვე პოეტები – მურმან ლეზანიძე, ვახტანგ ჯავახიძე, ოთარ ჭილაძე, შოთა ნიშნიანიძე. ბესიკ ხარანაული, გარიელ ჭანგური და მუსრან მაჭავარიანი, მიმარ-თა მათ ერთადერთი კითხვით – „რა გზით მიდის ქართული პოე-ზია ვალაკტიონის შემდეგ?“

ბესიკ ხარანაულმა, ფაქტობრივად, პასუხად „აეგოპორგრე-გი“ დახაგა და საკუთარი მრწამსიც შეუფარავედ ვამქლავნა: „ჩვენი ფანგაზით შექმნილი ახალგაზრდა პოეტი ეძებს თავის გზას პოეზიაში. ამ ძიებაში იგი ხან თავსეღია და ხან გულუ-ბრყვილო, ერთი უკიდურესობიდან მეორეს აწყდება და ათას სისულელეში, რომელსაც ამბობს, წერს თუ სჩადის, იშვიათად თუ გამოკრთება მისი ნიჭიერება. რა ქნას? ვარეგნულად თუმც ვაბედული ჩანს, გულში საშინელი ეჭვები უგრიალებს. რა გზით წაეიდეს? ღირს, იმას შეაღიოს ძალა, რაც უკვე ვაკეთებულია სხვა პოეტების და უპირველესად ვალაკტიონ გაბიძის მიერ, რად-გან ეს ახალგაზრდა ვალაკტიონ გაბიძის ერთმპყრობელობის დროს დაიბადა, მაგრამ იგი ასე ლოგიკური როღია, მას მხოლოდ რაღაც ფარული ძალა და ინტუიცია კარნახობს, რომ საჭიროა სულ სხვა, ახალი და ვანსხეავებული თვისებების შემცველი პოე-ზია, რომ საჭიროა საკუთარი გზით სიარული, საკუთარი სიმად-ლეებისკენ ლგოლვა, თუნდაც დამარცხდეს, ოღონდ ვაკეცურად დამარცხდეს! გზა, რომელიც გონებამ ერთხელ საბედისწეროდ მოხაგა, ახლა სულმა და ხორცმა უნდა ვაიაროს წვალებით, ეჭვე-ბით, უკმაყოფილებისა და უკმარისობის ვანუწყვეტელი შეგ-რძნებით.

რა სიმართლეა ამ ახლისმადიებელი კაცის მხარეზე, რითი შეიძლება დაამედლოს იგი კეთილისმსურველმა? – შეხედოს ცხ-ოვრებას, ბუნებას; ყველაფერს უყვარს ვანახლება, ყველაფერი

მიილგვის სიახლისაკენ – ისიც კი. რაც განუწყვეტლავ მუორდებოდა. გული დაიმშვიდოს, იგი არც პირველია და არც უკანასკნელი. მის შემდეგაც დაისმება ბუნებრივი კითხვა: – ახლა?! მაგრამ ადვილი სათქმელია „დამშვიდდეს“, ვის გაუვლია ეს გზა, რომ მის ბოლო წერტილში გული ამოეარდნაჩე არ ქქონდეს. მასაც გაუჩნდებიან მიმბაძველები, რომლებიც კიდევ უფრო დააქვე-ბენ თავისი გზის სისწორეში, მასაც თავმოყვარეობისა და სიახაყის გამო მოუწევს ახალი, ჯერ გუჩნდაუკარებელი საძოვრების ძებ-ნა და შემოქმედების იმ გრძელ პერიოდებში, როცა მასზე იტყვი-ან „არაფერს არ წერსო“ – იგი კელავ და კელავ ახლის ძიებაში იქნება. არ ექნება ბოლო მის ძიებას, მის ეჭვებს; ერთი წაში კმაყოფილებისა და ბედნიერების შეგრძნებისა მას დაუკმაყ-ოფილებლობის და თავისი თავისადმი მიზღის წლებად დაუჯდე-ბა და ასე იქნება მანამ, ვიდრე ბედისწერას არ შეებრალება იგი და არ იტყვის გულში – კმარა!“

მაშინ შესაძლოა, ეს ზედმეტ სითამამედ და რადიკალიზმდაც მოგვჩვენებოდა, დღეს კი ზემოთქმული ბესიკ ხარანაულის მრავალწლიანი შემოქმედების „საიდუმლო“ გასაღებია.

1991 წლიდან, როცა გამოიცა მისი ვრცელი პოეტური კრებუ-ლიც და პოემა „აგონიურიც“, პოეტს დროებითი „უნაყოფობა“ შეეყარა. მხოლოდ იშვიათად თუ აქვეყნებდა ლექსებს. 90-იანი წლების დასაწყისი ამკარად კრიზისული პერიოდი იყო ბესიკ ხარანაულისათვის. თუმცა ამ წლებში მან პუბლიცისტიკისთვისაც „მოიცალა“ და უმწვავეს, აქტუალურ თემებსაც ძალზე ღრმად, არსებითად და ჩვეული უკომპრომისობით შეეხო.

ისიც გასათვალისწინებელია, რომ 2002 წელს გამოცემული „ლექსები“ (გამომცემლობა „მერანი“) და ამავე წელს ჟურნალ „არილში“ დასტამბული ვრცელი პოემა „წიგნი ამა ბესარიონ-ისა“ (№ 3, 4, 5), ცხადია, ერთ-ორ წელიწადში ვერ შეიქმნებოდა. ამაზე მეტყველებს წიგნისა და პოემის ავტორისეული პირობითი დათარიღებაც – 1992-2002 წ.წ.

მის მკითხველთა და დამფასებელთა დიდი ნაწილი მუდამ ახ-ალგამზრდობა იყო (ბესიკ ხარანაულის ლექსებმა გამზარდაო, – მითხრა ერთმა ახალგამზრდა ქალბატონმა – ნიჭიერმა ლიტერა-ტორმა), ახლაც ასეა; მაგრამ ისეც ხდება, რომ პოეტი მაინც-ამაინც „ნაფიც ვერლიბრისგად“ აღიქმება, ხოლო მისი რიოიმიანი ლექსები ეუცნაურებათ და ლამის რეტროგრადობად ჩათვალონ.

პოეტი თავისუფალია არჩევანში, მისი ნებაა, ვერლიბრს მიმართავს. თეთრ ლექსს თუ რითმიანს; იქნებ ერთი ლექსისა თუ პოემის ფარგლებში სამივე მათგანი გამოიყენოს... ამით არც მისთვის და არც მკითხველისთვის არაფერი იცელება. ახლახანს, დათო წერედიანის ინტერვიუში ამოვიკითხე: „გულახდილად თუ ვიგყვი, ჩემთვის ბესიკ ხარანაულის ლექსი ვერლიბრებად ან სხვა ამგვარ ეპიგრამად არ იყოფა. თავის საუკეთესო გამოკვლილებაში უმაღლესი რანგის პოეზიაა, მისი პოეტური ხმა სრულიად უნიკალურია, ამ გიჟის პოეტი არც ქართულად და არც სხვა ენაზე მე ჯერ არ წამიკითხავს“ („ჩვენნი მწერლობა“, 2002-2003 წ.წ., 27 დეკემბერი – 9 იანვარი).

მართლაცდა, რამ გაპყო ერთმანეთისაგან ბოლო კრებულში მოთავსებული „მკედრების სიმღერა“ თუ „ნანა, საქართველოს მიწაჲ“; „შენია სული საქართველოსი“ თუ „სად არიან შეილები, შეილები სად არიან“... „მიწა გაგაძობს, მიწა გაგათობს, მიწა დაგიფარავს“ თუ „შენ, შევარდენო, დედაო!“

ღია კარის მგერევა რომ არ გამომივიდეს, ვიგყვი, რომ ავტორს უკვე „წამოაძახეს“, – ეითომც „არილში“ გამოქვეყნებული მისი რითმიანი ლექსები პოეტის „დაღმასვლა“ იქნებოდა, სულზე რომ არ მოესწრო „წიგნს ამაბა ბესარიონისა“; ზოგმა მის ლექსებში ქართული კლასიკური პოეზიის უკვდავი სახეები „აღმოაჩინა“ და ა.შ.

ბესიკ ხარანაული ყოველთვის (თუმცა იშვიათად) წერდა რითმიან ლექსებს. დროდადრო ხალხური ლექსის ინგონაციასაც იყენებდა. ახლა კი ზედიზედ დაახვევა რითმიანი ლექსები, რომლებიც, ცხადია, მარგო გარითიმის გამო არც მოიწონება და არც დაიწუნება. უფრო მართებული იქნება იმის თქმა (ცოცხა უტრირებულად), რომ ის, რითაც ეს ლექსები გამოირჩა, არის გრადიციული პაგრიოტული მოტივი, რაც ბესიკ ხარანაულის აწ უკვე გასული საუკუნის, უფრო მუსკად, – საბჭოური პერიოდის შემოქმედების შეფარული და არაგრადიციული, ზოგჯერ ირონიით შენიღბული პაგრიოტიზმისაგან. ღიახაც რომ მკვეთრად განსხვავდება. შეიძლება ვივარაუდოთ, რომ ბოლო წლების გაუსაძლისმა ძნელბედობამ, „დამოუკიდებელი“ საქართველოს უძღვებ და გაუქმადარ შვილთა უზნეობამ, ძმათამკვლელმა ომებმა და ლამის საყოველთაო თავაშვეებულობამ, სამოგადოს კნინობამ და პირადულის ზეობამ ააღებინა ხელში კალამი ბესიკ ხარანაულს „პაგრიოტული მოტივისათვის“. – როგორც ერთ ეურნალისგს

აუწყა, მან, სრულიად მოულოდნელად, წერა და წერა ლექსები საქართველოზე.

ჩემი აზრით, ბესიკ ხარანაულის ნონკონფორმიზმი ამაშიც კი გამჟღავნდა: ეროვნული ნიჰილიზმის სნება, სამწუხაროდ, ბევრს რომ შეკყრია ღღეს, პაგრიოტულ მოგიეს „ჩამორჩენილობად“ თელის!

პოეგმა „მისაბაძად“, სანიმუშოდ და სამაგალითოდ, – გული-სყური ჩვენი პოეზიის ვერცხლის ხანას – მეცხრამეტე საუკუნეს მიაპყრო. მან ვერც აწმყოში და ვერც ახლო წარსულში ანუ XX საუკუნეში პოვა უკეთესი პრეცედენტი მამულის სიყვარულისა და საზოგადოებრივი პასუხისმგებლობისა და, „სამომავლო“, იმედითა და „მოლოდინით“ („საქართველოს მომავალს ველოდები“...) აღსაფეს სულისკეთება XIX საუკუნის დიდ პოეტებთან გამოსხმარებით წარმოსახა.

ბესიკ ხარანაულმა, რომელსაც პოსტმოდერნიზმის არსენალის ზოგი ხერხი (აფგოკომენტირება, კოლაჟი...) წარსულში უკვე გამოყენებული ჰქონდა, ახლა, გამიზნულად და შეგნებულად მიმართა „ახლებურად“ წაკითხვა-ინტერპრეტაციას, ე.წ. ციკაციას თუ ინტერტექსტუალიზაციას.

ეს, მეტნაკლებად, ამ ციკლის ლექსთა უმრავლესობას ეხება, განსაკუთრებით კი, ლექსს – „ნანა, საქართველოს მიწავ!“

დავიწყებ იმით, რომ იაენანა (ნანა, ნანინა) ერთ-ერთი უძველესი ქართული ხალხური საწესო ლექს-სიმღერაა. პისი წარმომავლობა წარმართულ საკულტო რიტუალს უკავშირდება: ის მზისა და ნაყოფიერების ქალღმერთ ნანას სადიდებელი გალობაა. მოგვიანებით იაენანის ჟანრმა ბავშვის დაძინებისა ან „ბატონებისაგან“ განკურნების ფუნქცია შეიძინა.

იაენანის მოტივები ბევრ ქართველ პოეტს გამოუყენებია – რაფიელ ერისთავს, აკაკის, ილიას, გალაკტიონს, თანამედროვე პოეტებს...

სამშობლოს მიმართ აღვლენილი სევდიანი ნანინა ბესიკ ხარანაულის ერთობ შთამბეჭდავ მიგნებად მიმაჩნია (აქვე შევნიშნავ, რომ ლექსმა მყისიერი პოპულარობა მოიპოვა):

ნანა საქართველოს მიწავ!
საქართველოს მთავ და ველო.
დაიძინე, დაღლილი ხარ,
განჯული ხარ, საყვერულო...

დადლილი, განჯული, გაცლილი, ქართი გახოკილი, გადმოქ-
ნეული მახვილის მოძლოდინე, მბორგავი, – ასეთია პოეგის
აზრით, დღევანდელი საქართიუელი; ამიგომაც უმღერის იგი ნან-
ას სამშობლოს და. უკეთესი მერმისის მოლოდინში, ძილს ურ-
ჩეეს მას:

სიზმარი თუ გკბილი ნახე,
სცადე, რომე გაიგრძელო,
ცხადს ერიდე, ცხადი ჩვენ ვართ,
ცხადი ჩვენ ვართ, სანატრელო,
და განცხრომა გვირჩეენია,
გან თუ ბრძოლა სასახელო...
... ჯერ სეავები არ გამძღარან,
ჯერაც ისეე მგელი მგელობს,
ჯერეთი ძილი გირჩეენია,
დაიძინე საყვარელო!

ლექსი, უწინარეს ყოვლისა, ილიას „ელეგის“ ასოციაციას
იწვეეს, უფრო მუსგად – მის ანგითეზად წარმოჩნდება:

არსაიღამ ხმა, არსით ძახილი!..
მშობელი შობილს არრას მეგყოდა,
მოგჯერ კი განჯვით ამოძახილი
ქართიელის ძილშია კენესა ისმოდა!
ვიდექ მარტოკა... და მთების ჩრდილი
კელაე ჩემ ქვეყნის ძილს ეალერსება.
ოხ, ღმერთო ჩემო! სულ ძილი, ძილი,
როსდა გვეღირსოს ჩვენ გაღვიძება?!

„ელეგიაში“ ძილს მხოლოდ უარყოფითი შეფერილობა აქეს:
ძილი უძრაობასთან (ილიასთვის ეგზომ საქულველ ფენომენტან)
არის გაიგივებული.

იავენანის ქანრისათვის უჩვეულოდ სრულდება აკაკის „იმერ-
ული ნანინა“:

პაწაწინა იადონო და ვარდის კონაო,
დღეს ხომ კარგად გაიგონე ჩემი ნანინაო?

და თუ კარგად გაიგონე, ხომ მოგეწონაო?
მაშ, ნუ გპინავს! გაიღვიძე! იყინ ქვეყანაო!
შენც შეიტყუე ამა სოფლის ცრუ გამოცანაო!

მაგრამ ალევგორიულ „აეადმყოფში“ ძილი უკვე მკურნალი-
ცაა, – „მომავალი ბედისწერის“, აეადმყოფის მორჩენის საწინ-
დარი:

არ მომკვდარა!.. მხოლოდ სძინავს
და ისევე გაიღვიძებს!..
ვინც შენატრის იმის სიკედილს
უმალ მასვე დაამიწებს!
ბეერის ბრძოლით დაღალულსა
ეჭირვება მოსვენება!
შემცდარია, ვინც გულს იგებს:
წესი არის და ბუნება!

ბესიკ ხარანაულის „ნანა“ უფრო მოსაოხებელი, სამკურნა-
ლო, სასალბუნო ლექსია; იმავდროულად, საქართველოს უღირს
შეილთა მამხილებელიც.

ძილი, რომელიც ერთი ანტიკური გამოთქმით, საუკეთესო
ნუგბარია ცხოვრების ნადიმზე, აკაკისთვის ძალ-ღონის მოკრე-
ბის საშუალებაა: „მაშ თუ არ ძილით, სხვით რითი უნდა მეკრი-
ბა ძალ-ღონე?“

მაგრამ ბესიკ ხარანაულის „ნანა“ სხვა „წყაროებზე“ უწინარე-
სად, XIX საუკუნის პოეზიის პატარა შედევრს, აკაკის უსათაუ-
რო და უთარილო ლექსს ეხმიანება:

ზეციურო სტუმარო,
ქვეყნის გამოცანაო,
ძილო! მოხუც მამასაყ
მოუვლინე ნანაო:
ქვეყნის განჯვა, ფხიზლობა
ველარ აიგანაო!
სიზმრით მაინც დაატკბე!
ნანა-ნანა-ნანაო!

სხვა ვერ არჩევის მკურნალი.
თუ არ შენისთანაო!
ანგელოზის ფარი ხარ.
ნანა-ნანა-ნანაო!
ძილო! შენით სულს იღვამს
ზეუა და ქვეყანაო!
მოუსყენე მამასაც
ნანა-ნანა-ნანაო!

ვერც იმას გამოვრიცხავ, რომ ავტორს „ბეციურო სტუმარო“ ამჯერად საერთოდ არ გახსენებია და ასეთი დამიხვევა მის-
დაუნებურია; მაგრამ შემთხვევითია ასეთი პარალელიზმი თუ
არა, ეს საქმის ვითარებას მაინც არ ცვლის: ამგვარი პოეტური
გადაძახილის თაეად ფაქტია ღირსსაყნობი.

ბესიკ ხარანაულმა, რომელსაც უწინ საყვედურობდნენ კიდეც
პატრიოტული მოტივის იგნორირებას (ჩემი აზრით, – უსაბუთოდ),
ამ თემას მაშინ შეჰბედა, როცა ყველაფერი ნებადართულია, როცა
უცენზურობა „უცენზურობას“, ნიპილიზმსა და ცინიზმს შობს (ესეც
სიგყვის თავისუფლების შუქ-ჩრდილები!), როცა ხანმოკლე ეი-
ფორიას უსამანო დაბნეულობა თუ სასოწარკვეთა ჩაენაცვლა;
მომავლის მხსნელად კი, – XIX საუკუნის დიდ პოეტთა ნაფიქრ-
ნააზრევი მოგვევლინა.

მაინც, ასეთი რა ჯადო აქვს მეცხრამეგე საუკუნეს?

მცირე არალირიკული გადახვევა: საზოგადო მოღვაწეობა –
ამ სიგყვის გრადიციული გაგებით, დღეს ან სახეცვლილია და
გადაგვარებული ან გადაშენების საფრთხის წინაშე მდგარი.

ამჟამინდელი ძნელბედობიდან გამოსავალი სწორედ საზოგა-
დო მოღვაწეობის აღორძინებაშია საგულვებელი: როგორმე თავი
უნდა დაველწიოთ აგრერიგად ფესვგადგმულ პირადულის კულტს,
არ ვანაცვალოთ ეროვნული, საზოგადო ინტერესები საკუთარ
ეგოისტურ ზრახვათა განხორციელებას (სულერთია, რა სახის
იქნება ეს მისწრაფებანი – „იდეური“ თუ „მატერიალური“: პოლი-
ტიკურ ამბიციათა დაკმაყოფილება, ქონების გამზავებული ხვეჭა
თუ ორივე ერთად).

ეროვნულ თუ საზოგადო მოღვაწედ (დღევანდელ „კოსმო-
პოლიტურ“ საქართველოში ეს სინონიმური ცნებებია) მხოლოდ
ის ჩაითვლება. ვინც უანგაროდ, უშურველად, სამზაურის გარეშე

და ზოგჯერ უჩუქრად იღვეწის საერთო საქმისათვის, პირადულს კი განზე სდებს; ვინც, უწინარესად „ქეყენის წყლულსა და იარას“ ესალბუნება.

XIX საუკუნის საზოგადო მოღვაწე გეესახება იმ იდეალურ „მოდეალად“, რომელსაც უნდა ვბაძაძედეთ დღეს. სწორედ ამ მოღვაწეთ – ქართველ სამოციანელებს პქონდათ, გალაკტიონის თქმით, – „მძღაერი ჯადო“; სწორედ მათ ეხება პოემის „აკაკი წერეთლის“ სგროფები:

ირგელიე თაეი მოყარა
ვისაც აერიებდა არა
პირადი და კერძო საქმე, –
ქეყენის წყლული და იარა.
ვინაც მიაგოვა ყველა
სამსახური, კარიერა,
და თაეისად მიიჩნია
საზოგადო ბედისწერა.

რუსეთში ე.წ. საჯაროობის პერიოდის დამდეგს ემთხვევა ლომუნგი – „წინ, პუშკინისაკენ!“ ინგერესი XIX საუკუნისადმი დღესაც არ დამცხრალა (იხ. თუნდაც აკუნინ-ჩხარგიშვილის სტილიმბებული რომანების მთელი სერია); მაგრამ იქ მას უფრო სხვა შეფერილობა აქვს, ვიდრე საქართველოში. ამ მხრივ ნიშანდობლივია რევამ ბარამიძის წიგნი – „წინ, ილიასაკენ!“ ჩვენში ილიას გზა, უპირატესად, ერის მსახურებად, ეროვნული სახელმწიფოს აღორძინებად, მომავლის ნიშანსეგად მოიაზრება. ისიც უნდა ითქვას, რომ დღეს მსოფლიო პოსტმოდერნიზმის მეტრებიც და მკვლევარნიც კი აღიარებენ მწერლობის „ჩიხში“ მოქცევას და ისევე „კულტურული მეხსიერების“ გამოცოცხლებას ცდილობენ. ასე რომ, – „წინ – წარსულისაკენ!“ – საყოველთაო მოელენაა და წარსულის, აწმყოსა და მომავლის მარადიულ ერთიანობასაც მიგვანიშნებს.

ღირსსაცნობია ისიც, რომ კურნალ „საგურამოს“ შეკითხვაზე (ანკეგა – „1990-იანი წლების ქართული პროზა“) – „ახალი სახელებიდან ვინ მიიქცია თქვენი ყურადღებაო“ – ზაალ სამაღამვილმა თითქოს მოულოდნელი, მოკლე და სხარტი, მაგრამ ძალზე ტეეადი და დამაფიქრებელი პასუხი გასცა: „ერსი რუსული წიგ-

ნის ყდაზე ასეთი რამ ამოვიკითხე: „ედევნება XIX საუკუნეს, როცა ლიგერატურა ძლევამოსილი იყო და ადამიანებს მტკიცედ სჯეროდათ პროგრესისა“...

ვინც ფიქრობს ჩვენზე, ვინც XIX საუკუნის მკითხველს აღვიძებს ჩემში, ჩემს ყურადღებასაც ის იქცევს“ („საგურამო“, 2002 წ., №3).

დავესესხები ზაალ სამადაშვილის მოხდენილ გამოთქმას და ვიგყვი, რომ ბესიკ ხარანაულის ზემოსხენებული ლექსები, მათ შორის „ნანაც“ – აღვიძებს ჩვენში XIX საუკუნის მკითხველს.

ისიც გაეხსენოთ, რომ პოეგმა, როცა საყვედური ჩააწვეთეს პატრიოტული შოგიის „იგნორირების“ გამო, 1989 წელს ერთ ინგერვიუში აუღელვებლად განაცხადა: „ნამდვილი პოეტი ყოველთვის აკეთებს ეროვნულ საქმეს, თუნდაც არ წერდეს პატრიოტულ ლექსებს“ („პოეტი – მარადიული გამომხატველი სულია“, „ლიგერატურული საქართველო“, 1989 წ., 17 ნოემბერი).

მართლაც, ბესიკ ხარანაულთან საქართველოს სახელს ღამის გაბუ პქონდა დადებული; „სიყვარულსა მალეა უნდაო“, – ეს სამშობლოზეც ვრცელდებოდა.

სამშობლო მისთვის ლიგონი ხოცბის საგანი კი არა, – ბედისწერა და დიდი სულიერი შეჭირვების წყარო იყო;

ო, სულო ჩემო, ერო ჩემო და ნიჭო ჩემო,
როდემდის უნდა ვიყოთ ერთურთს მიჯაჭვულები...
როდემდის უნდა მდარაჯობდე ქოფაკ ძალღივით
და ყოველ განზე გაწევამზე,
როდემდის უნდა მგლუჯდეს ხორცებს თქვენი ჯაჭვები...

გამოხდა ხანი და პოეგმა „ამ მიწის და ქვეყნის ვალის“ გადახდა სწორედ დღევანდელიობას დააკისრა:

ახლა დროა, რომ ნელ-ნელა
გავიხსენოთ ჩვენი ვალი,
რომ სამშობლო რასაც პქვია,
ყველასია ეს სამსჭეალი...

შემოქმედი მარგო ერთი ცრემლით კი არ არის ჩვენზე მეტი, არამედ იმითაც, რომ ჩვენზე უწინარესად, ქვეცნობიერად თუ

ცნობიერად, ნადირის გემით შეიგრძნობს იმ საფრთხეს. რაც გვე-
მუქრება.

ახლავს რომ აელაპარაკდით გლობალიზაციის თანამედვე სა-
მიშროებაზე, პოეტმა ჩვენზე გაცილებით აღრე იგუქანა ხიფათი,
რადგან:

თუ კოსმიური ქარივით,
ვარსკვლავებს ქვეშით,
კაეკასიონს გადმოივლი და გადმოიხედავ
ჩვენს ძველ ქვეყანაში,
რომელიც ამ საუკუნის მიწურულში
არაეისგან არ გამოირჩევა,
და აღამიანის ფასიც,
როგორც ყოველთვის ასეთი ძერების დროს,
აქაც მეტად უმნიშვნელოა...

(*პოემა „აგონიური“*)

ეს სტრიქონები თორმეტიოდე წლის წინ შეითხზა; არადა,
„არაეისგან არგამორჩევის“ საფრთხე დღესაც ვერა და ვერ გაა-
ცნობიერეს „ცივილური (სწორია – ცივილიზებული) დასაეულური
სამყაროს ფერხულში“ ჩასაბმელად აგროკებულმა „ნაციონალ-
ისგ-ნიჰილისტებმა“ (ასე პარადოქსულად „მოაზროენენიც“ გეყ-
ვანან).

არის ახალ კრებულში ერთი ლექსი – „დერეფანი“. ეს სიგყვა
ამ ბოლო ჟამს, „პოლიტიკური სპექტრის“ მიერ წარამარა ხმარე-
ბისაგან, მართლაც ძველი გრომივით გაცედა; მისი ორაზროენე-
ბა ბევრს „გაუთამაშებია“ პროზაშიც და პოეზიაშიც. ბესიკ
ხარანაულის „დერეფნის“ ძველთაძველი სასახლე – მშეიდი და
მწიგნობრული, მყარი და სამარადღეამო, სამოთხის მსგავსი, –
ძველი საქართველოს სიმბოლოა. სასახლის დერეფანი მუდამ
ნიაედებოდა გამჭოლი ქარებით, „რადგან ერთ-ერთი კარი
დერეფნისა მუდამ ღია იყო, ხოლო მეორეს განუწყვეტლივ ვი-
დაც აღებდა“... მაგრამ მაშინ სასახლეს ჯერ კიდეე ჰყაედა პა-
გრონი; უპაგრონო ეკლესიას კი ეშმაკები ეპაგრონებთან:

ამის შემდეგ იყო,
დერეფნის კარი გაიღო და აღარ დაკეტილა.

გაქოჩილათ და გამოქოჩონდათ.
შედლიოდნენ და ვადიოდნენ,
აგყავებდნენ იაგაკსაჲ, კედლებსაჲ, ჭერისაჲ,
რადგან სასახლე უკვე არავის აღარ ეკუთვნოდა
ანუ უკვე ხალხისა იყო.

ხალხის „საკუთრებად“ ბედკრული საქართველო 1921 წლის თებერვალში გამოცხადდა, მაგრამ ზემოთქმული ჩვენებურ დემოკრატიას იუ კანონში „ვერმოქსეულ“ ველურ კაპიტალიზმსაჲ გვაგონებს.

ვისღა ახსოვს სანთელი – წმინდა ნათელი XIX საუკუნისა, როცა, „გარდამავალი ასაკის მუწუკიანმა გოგო-ბიჭებმა საბოლოოდ შეშალეს სასახლეცა და დერეფანიც, ხმები, ხმაური, უგეინობა, უდიერობა, ქალი, კაცი... მოგი შედის, მოგი გამოდის, ორივე კარი ღია არის და სანთელს გიქრობს“...

ახლა ლაპარაკია ევრაზიის დერეფანზე,
მაგრამ ღმერთო, მოწყალევე,
ნუთუ ის ვახდება ახალი ბაბილონის გოდოლი
და ჩვენ აგვხევეს მიწიდან და დერეფნის ორპირი ქარი
ქეპლებზე მსუბუქად გადირეკავს ჩვენს
წმინდა ფრესკებს,
თან წაიღებს ჩვენს მონასტრებს და ჩვენს ციხეებს,
ჩვენს წყალს და მიწას, ჩვენს ენასა და
ჩვენს საბადებელს.
გაიყიდება ყველაფერი, მთები გავაკდება,
ქალი გაქსუედება, კაცი გამთხლეედება
და ორ მღვას შუა დარჩება დიდი დერეფანი,
სადაჲ მუდამ იქნება ორპირი ქარი...
სადაჲ ჩვენი სანთელი ჩაქრება.

პოეტი არასდროს წარმდგარა მკითხველის წინაშე ასე შეუფარავად და „გენდენციურად“; იგი არც პუბლიცისტურობას მოყრიდა და სულ სხვა გონალობით დაწყებული „დერეფანი“ მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობით აღსავსე სტროფით დაასრულა („ქარის“ მეტაფორა გეხვდება ლექსშიც – „სად არიან შეილუბი, შეილუბი სად არიან“...).

დღეს უჭირს სრელიად საქართველოს, სოფელსა თუ სოფელს დამსგავსებულ ქალაქს; დღეს ხომ ყველას უჭირს, უჭირს მიგელსაც („უცნობი“ მიგელი პოეტის, შემოქმედის, სულიერების მქსიტყვის მოგადი სახეა; მისი გაჭირვება კი სხვის ჭირზე დიდი ჭირია...):

უჭირს სოფელს,
უჭირს ქალაქს,
უჭირს მთიარეს, თოვლის მთიბეელს,
უჭირს წიგნს და
უჭირს ლამპას
და იმ წიგნის ბეჩაე მკითხველს...

ლექსში – „უჭირს მიგელს“ – რაღაც ქვეშეცნეული მფოთია და თავში სოლივით ჩასობილი პასუხგაუცემელი კითხვის, ფიქრის ტკივილია გადმოცემული: სოფლის გაძებვილ ავტობუსში ერთი მგზავრის ნათქვამი – „უჭირს მიგელს“ – მოსაუბრეს სულს შეუშფოთებს და თავსაგებს გაუჩენს, „რომელ მიგელს უჭირს ნეტა, მთერალია და ამრს ვერ იგნებს“...

წიგნით ჭკუანალრძობი, უძირო და უცოლშვილო, სოფლის „გაცოცხლების“ მოწადინე კაცი კი, ავტობუსიდან ჩასული, ყვეღრებით მიმართავს მიუხვეღრელ მგზავრს:

მიგელს უჭირს, რად ვერ მიხედი,
ვინ მიგელი გითხარ, ბიჭო!
რაგომ უყვარს ამ ქვეყანას,
რომე კარგ ყმას გაემიჯნოს...

ეს წიგნით ჭკუანალრძობი მთერალი ხომ დღევანდელი, ყოღლად გაუბედურებული ღონ - კიხოგია, მიგელი კი მისი გენიოსი შემოქმედი-შემქმნელი – მიგელ დე სერვანტეს საავეღრა.

მცირედ ფათერაკს „მწუხარე სახის რაინდის“ ორეული აქაც ვერ ასცდება, მას მრისხანება მოეძალება, რადგან ვერ გაუგეს, თითქოს განგებ გააბრიყვეს; ბოლოს კი, ფეხამცდარი, – თოვლს დაასკდება...

ფეხამცდარი თოვლს დაასკდა,
ვაჰ, თუ ავად ქარი მისთელს,

გაბხელა და ვაუღრისია.
არკი უთხრა, რომელ მიგელს.

სწორედ ახლა სჭირდება საქართველოს დონ-კოსოგიც და სერუანტესიც, გურამიშვილიც და ბარათაშვილიც. ილია, აკაკი, ვაჟა და მათი ერთგული „XIX საუკუნის მკითხველი“, სწორედ ახლა სჭირდება მამულს მამულიშვილიც და, უბრალოდ, – შეილესიც:

სად არიან შეილები, შეილები სად არიან,
გავალ, გავიხედები, არ არიან, ქარია.
სად არიან შეილები, მე რომ მოგაბარეა,
გავალ, ავეძრახები, არ არიან, ქარია.
საქართველო აქროლდა, ვით ფოთლებში ქარია...
... არ არიან შეილები, საქართველო ქარია,
ქარია საქართველო, შეილები არ არიან...

სწორედ ამიგომაც მიაპყრო მზერა ბესიკ ხარანაულმა XIX საუკუნის ნათელს: „რადაცა დამემართა და ვწერე და ვწერე ამ საქართველოზე. შეიძლება XIX საუკუნის პოეტებში რომ გადავსახლდი, იმიტომ. არცერთი სტრიქონი არაა, იმის უკან ვინმე რომ არ იღვეს. ვწერე, ვწერე, ამოვთქვი ჩემი ბალღამი და კიდევ დამეხურა გული. ველარ გავალე“.

პოეტის ბოლო კრებულს – „ლექსები“, 1992-2002 – სადად და მიმზიდველად გაფორმებულს (მხატვარი – ლევან ხარანაული) არაავითარი რეკლამა არ ჰქონია. ეს გადაჭარბება კი არა, ფაქტის კონსტატაციაა. დასანანია, რომ ჩემი წერილიც, რომელშიც მხოლოდ პაგრიოტული მოგივია მიმოხილული, ვერ მოახდენს ყოვლისშემძლე („საწუხ არს ესე“, – მაგრამ ასეა!) რეკლამის ეფექტს. ოღონდ ერთს კი დაბეჯითებით ვთხოვ მკითხველს, რომელსაც ჯერ კიდევ არ დაუქარგავს პოეზიისა და სამშობლოს სიბღღი, – წაიკითხოს ბესიკ ხარანაულის წიგნი.

ამჯერად არას მოგახსენებთ თანამედროვე ფილოსოფიური ლირიკის ისეთ შედეგებზე (გადაუჭარბებლად!), რომელთა რაობისა და სიღრმის გარკვევას მომავალშიც ბევრი შეეცდება; ესენია – „მკედრების სიმღერა“, „მიწა გაგაძლობს, მიწა გაგათბობს, მიწა დაგიფარავს“, „ღმერთს მე, აქ, ცოლელი ვესაჭიროები“,

„ესინდისობაა, როცა საჩთელი უაზროდ იწვის“, „ჩემი მეზობელი დარდისაგან ცხოველი გახდა“...

გემოხსენებულ ლექსთა დარად, სიახლისადმი მუდმივი მზადყოფნა და მაძიებლის დაუცხრომელი აზარტი გამოსჩვივის ბესიკ ხარანაულის ახალ, ყოველგვარი „ნორმიდან“ ამოვარდნილ, ზერელე გადაკითხვითაც კი გამაოგნებელ პოემაში – „წიგნი ამბა ბესარიონისა“.

საოცარია, რომ მასაც ზედმიწევნით მიესადაგება ნეგარხსენებულ გურამ ასათიანის მიერ ოცდაათი წლის წინ, „ხეიბარ თოჯინაზე“ ნათქვამი: „ამ პოემაში ჩანს ის, რაც ლიტერატურის არცერთ თეორიას არ ექვემდებარება და რაც, მიუხედავად ამისა, უპირველესი თვისებაა ნამდვილი პოემისა: ჭრილობა, რომლიდანაც „შავი სისხლი“ დის, პოეტის სისხლი“.

ბესიკ ხარანაული, გასულ საუკუნეშივე აღიარეს XXI საუკუნის პოეტად. 1991 წელს დასტავებული ვრცელი პოეტური კრებული და პოემა „აგონიური“, თითქოს უკანასკნელი ხარკი იყო, – გაღებული XX საუკუნის მიმართ. XX – XXI საუკუნეთა მიჯნაზე პოეტმა ქართული პოემიის ვერცხლის ხანას – XIX საუკუნესაც მიაგო მისაგებელი და ახალი საუკუნის წინაშე პირნათელი წარსლვა.

2003 წ.

„წვეთ-წვეთად ნაბროვები ხილვები“

ისეთი ლექსი არ იწერება,
რომ ყველას კარვად გაღაფაროს.
მამ ნეგავ რაღა გვიმელება
თავაღერილო ლექსის მწერალო

ბესიკ ხარანაული

არიან ალაშიანები, რომელნიც პიროვნებას ერთი თვალის გადავლებით, მთლიანობაში აღიქვამენ: თხემით გერფამდე – სახის ნაკეთებით თუ განის აღნაგობით, ჩაცმა-დახურვის ყოველი წერილმანით. ზოგიერთი კი იმასაც ვერ გაიხსენებს, თუ რა ეცუა მოსაუბრეს, რადგან მთელი გულისყური, უწინარესად, მისი სახ-

ისაღმი პქოსნდა მიმართული, მისი თვალების ხილრმეში იყო ერთიანად დანთქმული. როგორ უცნაურადაც არ უნდა მოგვეჩვენოს, პირველი აღქმა უფრო ზედაპირულია, მეორე – უფრო მძაფრი, ღრმა და სანდო. ეს უთუოდ იმაზეც არის დამოკიდებული, თუ ვის უმზერ, ზედაპირულ პიროვნებას თუ მზერაჩაბრუნებულს.

ბესიკ ხარანაულის პოეზიაც გამორჩეულ ყურადღებას მოითხოვს და არა ზერელე თვალის გადავლებას. ის გაიბულებს „თვალეებში ჩააჩერდე“ აეგორს, ჩაულრმავდე, ჩასწკდე მის ნათქვამს, ზოგჯერ კი ისე გაითავისო მისი საზრისი, რომ ქვეცნობიერად უგულებელყო „სამოსი-ფორმა“.

მისი ფორმა კი თავისუფალია, ისეთივე თავისუფალია, როგორც ბესიკ ხარანაულის პოეზიის შინა არსი.

პოეტი თანამედროვე ქართული თავისუფალი ლექსის – ვერლიბრის – ერთი დამამკვიდრებელთაგანია. თანამედროვე-მეთქი იმად მოგასხენეთ, რომ ამ საზომის ფესვები ქართულ ფოლკლორსა და შუა საუკუნეების ჰიმნოგრაფიაშია საძიებელი. მას XX საუკუნის 10-იან –20-იანი წლების ქართულმა ავანგარდისტულმა პოეზიამაც მოუსინჯა კბილი.

სამწუხაროდ, დღემდე გრძელდება კამათი – რა სჯობს, ვერლიბრი თუ რითმიანი ლექსი. ათიოდე წლის წინ „ლიტერატურულ საქართველოში“ ჩემთვის სრულიად გაუგებარი, ხანგრძლივი დისკუსიაც კი გაიმართა ამის თაობაზე. ამგვარი კამათი თვითმიზნურია და დღესდღეობით – რეგროგრადულიც. პოეტი თავისუფალია არჩევანში, გინდ გრადიციულ ლექსს დაწერს, გინდ თეთრს; თუ მისი თვითგამოხატვისთვის ვერლიბრია შესაფერისი, მას მიმართაეს. ცოცხა უტრირებულად თუ ვიგყვი, ამგვარი დაპირისპირება მაცონებს აბსურდულ კამათს იმაზე თუ რა სჯობს – რომანი თუ პოემა, პიესა თუ ნოველა, ჩახრუხაული თუ მრჩობლელი, შაირი თუ გრიოლეტი, სონეტი თუ აკროსტიქი...

ამაზე სიგყვას აღარ ვაგვარძელებდი, მაგრამ ბესიკ ხარანაული ხშირად გაუკრიტიკებიათ სწორედ „ვერლიბრისტობის“ გამო.

თვით პოეტს კი მიაჩნია, რომ „თავისუფალ ლექსში მეღაენდება ჩვენი ენის აქამდე დაფარული ძალები და შესაძლებლობანი... ჩვენ ერთის მხრივ, გაუმართლებელ უფლებას ვანიჭებთ ჩვენს თავს და, მეორე მხრივ, მგრულად ვეკიდებით მშობლიურ ენას, როდესაც ვამტკიცებთ, თითქოს თავისუფალი ლექსი მიუღებელი იყო ქართული ლექსის ბუნებისთვის. ღირს იმის გახ-

სენებაც, რომ თავის დროზე, როცა საფრანგეთში ურითმო ლექსმა იწყო გავრცელება, ეროვნული ლიტერატურის დამყვლები აღმოთებულები ამკიცებდნენ: ურითმოდ მსოფლიოს ყველა ენაზე შეიძლება წერა, გარდა ფრანგულისაო.

... ქართველებს მუდამ ჰყოფნიდათ შემოქმედებითი სითამამე, სწრაფეა სიახლისა და ნოვატორობისადმი“.

ბესიკ ხარანაულის შემოქმედებითი სითამამე მხოლოდ „ვერლიბრისგობაში“ როდი მკლავნდება. ნოვატოროლია და უალრესად თანამედროვე მისი მსატერული წარმოსახეაც.

დღეეანდღეობის მწველი და ცხოველი განცდა, მტკივნეული, გამოტანჯული შორალურ-ეთიკური ძიებანი, სწრაფეა მარადიული ფასეულობებისადმი, უკიდურესი გულახდილობა და სიწრფე, საკუთარი თავით დაუკმაყოფილებლობა, უკომპრომისობა და ამასთან – იაფფასიანი პათეტიკის, „მომგებიანი“ თემების, „გალექსილი ყოველდღიურობის“ ცდუნების სრული უგულებელოფა – ქმნის მისი პოეზიის დერიტას.

ბესიკ ხარანაული თითქოს „მაე-თეთრი“ პოეგია, როგორც გურამ ასათიანი იტყოდა – „უფერუმარილო“, მკაფიო, სადა, განზრახ გამარტივებული პოეტური მეტყველებით, ამალღებულზე „დამიწებულად“ მოუბარი, ირონიით შენიღბული ტკივილით; მისი ღრმა აზრობრივი დატვირთვის მქონე სახე-სიმბოლოები, განსჯა-მედიტაციები მკითხველისგან ზოგჯერ დიდ ემოციურ და ინტელექტუალურ დაძაბეას მოითხოვს.

ზემოთქმულის დასტურია მისი ახალი პოეტური კრებული „აგონიურიც“ (გამომცემლობა „მერანი“, 1991 წ.).

მოგახსენებდით, ბესიკ ხარანაული გაურბის-მეთიქი ყოველდღიურობის გალექსეას, მაგრამ „მსახერალი“ ყოველდღიურობის კლანჭებისგან თავი ვერ დაუხსნია.

მისი ერცელი ლირიკული პოემის სათაურიც – „აგონიური“ – სწორედ ახლა უნდა დაბადებელიყო, ჩვენს არეულ და გადარეულ დროში, XX საუკუნის მიწურულს: XX საუკუნის აგონია; არნახული ტექნიციზმის პირისპირ დედიშობილად მდგარი ადამიანის აგონია: ტანჯული სამშობლოს ტკივილით, პირადი შეჭირვებით განაწამები, ნახევარსაუკუნოვან ზღვარს გადაცდენილი, დაღმით ჩამავალი კაცის აგონია: სიცოცხლის, ადამიანურობის, პოეზიის გაუფასურება, აგონიაც და... მათი მარადიული არსებობა და ფენიქსისებრი განახლებაც.

სწორედ ამგვარ – მარადიულსა და წარედისებულს – ურთიქ-
ლეს კითხვებს ჩაპკირკიტებს პოეტი.

საუკუნის აზონია

*ყოველი საუკუნის მიწურულში კაცობრიობა ცელქი და წერას
აგანილია, რადგან მომაკვდავი ჰგონია თავი და დათულილ დღე-
ებს ამნაირად რომ იხანგრძლივებს, მიაჩნია, რომ სიბერით
ეპატიება...*

პოეზია

*მთელ დედამიწაზე – მთელ ხუთივე კონტინენტზე – გაყუნდ-
ნენ და მიიმალნენ მგოსანი პოეტები. ...რადგან ქვეყნიერების
გაშლილ ადგილებში ბაგონობენ – რკინის მალალ საძირკველე-
ბზე აღმართული მიკროფონები.*

სსრკ

*როგორც კი ეს სახელმწიფო დაარსდა, იმწუთსვე აიკრძალა
ღმერთის სახელი, როგორც ჯოჯოხეთში.*

აღამიანის შასი

*... თუ კოსმიური ქარივით, ვარსკვლავებს ქვემოთ, კავკასიონს
გადმოიული და გადმოიხედავ ჩვენს ძველ ქვეყანაში, რომელიც
ამ საუკუნის მიწურულში არავეისგან არ გამოირჩევა და აღამი-
ანის ფასიც, როგორც ყოველთვის, ასეთი ძვრების ღროს, აქაც
მეტად უმნიშვნელოა.*

პოემის ამ მონაკვეთთა თვითნებური დასათაურებით მრომა
„გავიიოლე“, რადგან ბესიკ ხარანაული მოუხელთებელი პოეტ-
ია და ხშირად უმწვავეს ნააზრევს ირონიის, „თამაშის“, მოუ-
ლოდნელი წიაღსელების საბურველით ნიღბავს, რადგან:

*სულელი არის, ჩემს შეპყრობას ვინც მოისურვებს, ვინც იფ-
იქრებს, რომ ხელში ვყაეარ, გულში ეუბიეარ, გვერდით მიეყე-
ბი... სულელი არის, ვინც ისურვებს, რომ გაიგოს რა მაქვს ჭკუა-
ში, რა იმალება ჩემს დაგმანულ გუჩების იქით, რა სამოთხე, რა
ჯოჯოხეთი...*

ერე საძრომები ბლომადა მაქვს...

ნიღბები და „ერუ საძრომები“ კი იმალ სჭირდება პოეტს, რომ პოეტია: რომ „დედმისობილა“ არ წარმოსდგეს, რადგან სხვაზე უფრო დაუცველია, სხვაზე უფრო მეტად აქვს „გულის გატეხვისა და ძრწოლის შანსი“, სხვაზე მეტი გვირსთი აქვს წამოკიდებული, სხვაზე მეტად სდექს დანაშაულის, ცოდვის შეგრძნება:

პოეტში იმდენი ცოდვა და მაღლია. რამდენის გარებაც იმას შეუძლია. დადის, დადის და აგროვებს სოფელ-სოფელ და ქვეყან-ქვეყან, რომ შემდეგ სადმე მარტო დაჯდეს და ამოაწყოს, რადგან მასში ის კრისტალებია, რაც ქვეყნად დულს და პაერ-შია... ხალხი კი მას მიაწერს ცოდვებს.

პოემის ლირიკული გმირის თითქოსდა უსამანო ეგოცენტრიზმი, საგნებთან და ადამიანებთან მიმართებით გამქაფებული ამბივალენტური – მგერმოყვარული დაპირისპირება, სიძულვილის ან გულგრილობის გამოხატვა მათდამი, მარტოსულობის, მარტოობის, „მარტოხარანაულობის“ გრაფიზმი, ყოვლისმომცველი გაუცხოების განცდა – ერთის მხრივ, გვიბიძგებს მეტი სიწრფელისკენ, სიმართლისკენ, საკუთარი ცოდვა-ბრალის, დანაშაულის გაცნობიერებისკენ, საკუთარი სინდის-ნამუსის აწონ-დაწონვისკენ, საკუთარ სულში ჩაღრმავებისკენ.

მეორეს მხრივ, ეს – გყუილის, სიყალბის, დამტკბარ-დათაფლული შემგუებლობის, „ჩეულებრივობის“, როგორც ვალაკტიონი იტყოდა – რუგინის წინააღმდეგ გაცხადებული ბრძოლაა.

შემცდარია ის, ვინც ზემოთქმულის გაუთვალისწინებლად, პირდაპირი, ზედმიწევნითი მნიშვნელობით გაიგებს ამგვარ სტრიქონებს:

დაიმახსოვრე, ერთადერთი შენი თავის წინასწარმეტყველი შენს სამშობლოშიც შენა ხარ და დედამიწაზეც... ჩემი დღევანდელი მდგომარეობა მუსტად ასახავს დანარჩენი სამყაროსა და ჩემს ურთიერთობას: ორივეს ერთმანეთი გვეზიზღება და ენებს ეუყოფთ... საშუალო ადამიანები მუდამ მტკიცე კაეშირს კპოეებენ, ერთლებიან, – სად პოულობენ ნეტავ ერთურთს ასე მუსტად და შეუმცდარად... თქვენმა სიძულვილმა შემაყვარა მე ჩემი თავი, როგორც ძაღლებში ძაღლს ძაღლობამ გადაუაროს... სულ ერთია, რაც უნდა იცხოვრო, მაინც „ეს“, „ამან“ და „ის“ ხარ...

მე განგებ შეეარჩიე ფილისტერული თვალთახედვით აგრერიგად „მიუღებელი“ აზრები, რათა მკითხველის ყურადღება მიმექცია ერთი გარემოებისთვის: პოეტი ყოველთვის, ყველაზე მკრეხელური განცხადებებისასაც ახერხებს ცინიზმის მდინარეზე

გადებული ბეწვის ხიდის მშვიდობიანად გავლას. აქაღმყოფური ჩვენებების, უმძიმესი სახე-სიმბოლოების დახვეწების, რა თუ ლად აღსაქმელ ფანგასმაგორი ულ ხილვათა ფონზეც (პირობითი სახელები: „ორი პორტრეტი“, „ქათმების მუზეუმი“, „ბანჯგელიანი ცხოველი“, „ურჩხული სიმართლებები“), უეცარი სინაზე ისე გაკვეთს ხოლმე შაუბნელ ჩვენებას, როგორც მზის სხივი წყედი-აღს. მკაცრ განსჯასა და ღრმააზროვან, გკივილიან ფიქრს გაურანდავი თუ დახვეწილი ირონია, ან აფორისგული, იაპონური განკის მსგავსი, მსუბუქი გაეპები შეენაცვლება.

ასე თანდათანობით, წველებით, გკივილითა თუ სიცილით, აღმაფრენითა თუ დაყემით იბადება ჰარმონია, ნიშანდობლივი მხოლოდ ამ პოეგისათვის, „მარგოხარანაულისათვის“, ჰარმონია, რომელსაც ერთი ნაბიჯილა აშორებს ჩვენი დღევანდლო-ბისთვის ეგზომ დამახასიათებელ დისჰარმონიას.

„პატრიოტული მოგვი!“ თითქმის არ არსებობს ქართული პოეზია მის გარეშე. „მარგოხარანაული“ აქაც არაგრადიციულია. „სიყვარულსა მალეა უნდაო“ – ეს სამშობლოს სიყვარულზეც ვრცელდება. ასე ფიქრობს გურამ დოჩანაშვილის ერთი ბრწყინვალე მოთხრობის გმირიც.

შესანიშნავი მწერალი და პუბლიცისტი, უზალო მოქალაქე თამაზ ბიბილური თავის უკანასკნელ „სალიგერატურო ანკეგაში“, თითქმის სულ ახლახან – გულისგკივილით შენიშნაუდა: „ქრისტეზე ისე ვწერთ, თითქოს გუშინ ჩვენთან ერთად იქე-იფაო“... ასეთი ფამილარული და გლანქია ზოგიერთი კალმოს-ნის დამოკიდებულებაც სამშობლოსადმი.

ბესიკ ხარანაულისთვის სამშობლოს სახელს ლამის გაბუ აქვს დადებული, ის ხოგბის საგანი კი არა, მისი ბედისწერაა და დიდი სულიერი შეჭირვების წყაროც:

ო, სულო ჩემო, ერო ჩემო და ნიჭო ჩემო, როდემდის უნდა ვიყოთ ერთურთს მიჯაჭვულები... როდემდის უნდა მდარაჯობ-დეთ ქოფაკ ძალღივით და ყოველ განზე გაწევაზე, როდემდის უნდა მგლეჯდეს ხორცებს თქვენი ჯაჭვები.

როგორ არ გავიხსენო დიდი ესპანელის მიგელ დე უნამუნოს ცნობილი ფრაზა – „მე მგკივა ესპანეთი“.

„ჩვენ თუ ვიწამეთ ერთი პოეტი, მოვითხოვთ, რომ სხვებმაც მხოლოდ მასავეთ წერონო“ – ესეც თამაზ ბიბილურის ნათქვამია.

ბესიკ ხარანაული „სხვაგვარია“, უკვე ოცდაათ წელზე მეტია „სხვაგვარად“ წერს.

ბ ხარანაულმა პირველი პოეტური კრებული 1968 წელს გამოცა. დღესდღეობით რამდენიმე მნიშვნელოვანი კრებულის ავტორია.

„უჩინო“ პოეტი ბესიკ ხარანაული იმ „მცირედ რჩეულთა“ რიგებს განეკუთვნება, მცირედ დათმობაზეც რომ არ წასულა, არც იდეურზე და არც მხატვრულზე.

ახლისმბადებელ, იმსავეითვე „ნორმიდან ამოვარდნილ“ ახალგაზრდა პოეტს ბევრი შოღავე გამოუჩნდა, მაგრამ თავისი მხატვრული მრწამსი არ დაუთმოია, არც იოლ, გატკეპნილ გზას დასდგომა მავანთ საამებლად. მისი თვითმყოფობის და გამორჩეულობის დასტურია ისიც, რომ თვით ბესიკ ხარანაულს ჩაუდგნენ კვალში მეტ-ნაკლები ნიჭიერების პოეტები. ცნობილია, რომ მიზაძის ობიექტები უფრო ხშირად იწვნევენ ხოლმე გააყვებულ კრიტიკას, ვიდრე მათი ეპიგონები.

მიზაძეელები ნებისმიერ პოეტს მისი ლექსის ერთგვარი „ღეჯალვაყის“ საშიშროებას კი უქმნიან, მაგრამ აფხიზლებენ კიდევ მას, აიძულებენ არ დასჯერდეს უკვე მიღწეულს – იყოს მუღმივ ძიებაში.

ზოგჯერ პოეტი უფრო „ხმაურობს“, ვიდრე მისი ქმნილება. „უხმაურო“ ბესიკ ხარანაულის ლექსები კი თვითონ ახმაურდნენ, ახმაურდნენ და გახმაურდნენ კიდევაც. მათ მკითხველთა საკმაოდ ფართო აუდიტორია, განსაკუთრებით ახალგაზრდობა დაიპყრეს.

სალიტერატურო კრიტიკამაც ჯეროვანი მიუზლო მის პოეზიას. უდაბვეწილესი გემოვნების მწერლის გურამ ასათიანის „ღია წერილმა“ კი დიდი სიხარული მოჰგვარა პოეტს.

გურამ ასათიანი სულ რამდენიმე ფრაზით, თითქმის ამომწურავად წარმოაჩენს ბესიკ ხარანაულის მხატვრულ ხელწერას: „არაფითარი შელამაზება, არცერთი თვალის მიაამებელი შტრიხი... ეპითეტები, მეტაფორები, ფიგურალური თქმები ფერუმარილის როლს კი არ ასრულებენ, პირიქით, უფრო მკვეთრად წარმოაჩენენ სინამდვილის ნაოჭებს“. ამამე უკეთ ვერას ვიგყვი! წერილის სათაური კი ახალგაზრდა ჩინებული ლიტერატორისაგან როსგომ ჩხეიძისაგან ვისესხე – „წვეთ-წვეთად ნაგროვები ხილვები“ – ეს სიგყეები მოხდენილად მიესადაგება ბესიკ ხარანაულის პოეზიას.

ჩემდათავად კი მოკლედ მოგახსენებდით – „უფერუმარილოდ“: ბესიკ ხარანაული ჭემმარიტი პოეტი, – პოეტი-ნოვატორი, უადრესად თანამედროვე, ამასთან – XXI საუკუნის პოეტი.

მხატვარ ლევან ხარანაულის მიერ ბრწყინვალედ გაფორმე-

ბული „აკონიური“ პოეპებისა და ლექსების კრებულია. მე მხოლოდ პოემას შეეხე, სამწეხაროდ. მასზედაც ბევრი დამრჩა საიქმელი. კრებულის ერთი ლექსის ფრაგმენტი ეპიგრაფად მოვიშველიე, მეორის სიგეეებით კი მინდა დაეასრულო:

იყოღა ღმერთმა, რომ ცხოვრება, ლოღია, განჯეა როა. იყოღა – და გამოგვიწოღა ეს იმეღი, რომელიც გულში, როგორც ნაყარში ნალვერღალი დამარხულია...

1993 წ.

შუქი წყვიღადში

ღია სტურუას პოეტური კრიგული

ღია სტურუა ერთი იმ პოეტთაგანია, რომელთაც, იშეიათი ნიჭიერებისა და თვითმყოფობის წყალობით, ახალგაზრდობიდანვე მიადწიეს ყოველი შემოქმედის საწადელს – ლიგერაგურული „შეგირდობის“ გვერდის აელით, მიაგნეს საკუთარ ხელწერას. პირველი პოეტური კრებული „ხეები ქალაქში“ 1965 წელს გამოაქვეყნა; დღემდე მრავალი პოეტური და ორი პროზაული წიგნის ავგორია, არის გაღაკიონ გაბიძის, სახელმწიფო, რუსთაველის პრემიათა ლაურეატი, პროფესიონალი ლიგერაგურათმცოდნე და ქართული მწერლოღისადმი მიძღენილი ჩინებული გამოკელეეებისა და ესეების ავგორიც გახღაყთ.

წიგნის, მწიგნობრობისა და ჭემშარიგი პოემის გოგალური გაუფასურების სანაში, ცალკე აღნიშენის ღირსია ღია სტურუას საგელეევიზიო საავგორიო გადაცემები: მჭვერმეგყეელისა და იმპროვიზატორის შესაშური უნარით დაჯიღლოებულს, ფართო თვალსაწიერის მქონეს, შესწევს ძალა – მიიზიღოს გელემაყურებელთა ფართო აუღიგორია და თანაც ისე, რომ ოღნავადაც არ უღაღაგოს თავის სტიღს – ინგელექტუალურს და იმაედროულად, – ღრმად ემოციურს.

ღირსსაენობი და ფრთიანი ფრაზის საპირისპიროდ – ვერც ზარბაზნების ქუხიღი, ვერც ქაღსი და ნვრეყა, ვერც „სიძულელის მძეინვარება“ და ძმათაკელა, ვერც სიცივე და შიმშიღი, თვით წყვიღადიც კი ვერ დაადუმებს მუშებს: მით უმეტეს – პოემის მუშას.

მოკრძალებულია პოეზიის მუშა – მას არც გამთბარი და სინათლით გაჩახჩახებული სცენა ესაჭიროება, არც გამართული მუსიკალური ინსტრუმენტი და თეატრალური დეკორაცია თუ სამოსელი, არც ძვირადღირებული და ხელმიუწვდომელი საღებავები, ჩარჩოები თუ გილო, საჭრეტელი თუ ბრინჯაო-მარმარილო. მისთვის არც სტომაქის ნაყროვანებაა საჭირო და არც გამთბარი ბინა, აი სინათლე, სინათლე კი... სასურველია; თუმცა კეარის შუქმცე შექმნილა ქართული პოეზიის შედეგები.

ღია სტურუას საქართველოს სახელმწიფო პრემიაზე წარდგენილი უახლესი პოეტური კრებულის სათაურია „შუქს ნუ ჩამიქრობთ!“ (გამომცემლობა „მერანი“, 1994 წელი).

– შუქს ნუ ჩამიქრობთ. ოღონდ შუქს ნუ ჩამიქრობთ!

პოეტის ამარ რიგორიკული ვედრება, თითქოსდა ყოფითი სურვილი – უღამაზესი მხედველობითი ხაგის ფონზე წარმოიქმნილ მწვავე, ტკივილიან ალტრუიზმში გადაიმრდება.

„როცა მოვკვდები, დამწვით მზესუმზირების კრემატორიუმში, იქნებ სინათლედ მაინც გამოვადგე თვალეზდათხრილ ქალაქს...“

თვალეზდათხრილ ქალაქშიც არ ცხრება პოეტური შთაგონება, ბობოქრობს პოეტის სული, ნისლიან ზამთარშიც ზეიმობს „მეტაფორა“ (როგორც პოეზიის სიმბოლო), თუმცა „შხამი მეტია მასში, ვიდრე თაფლი“.

გაუცხოებულ და შინააშლილობით გახლეჩილ სამშობლოშიც მხოლოდ „მუსიკა“, „სიყვარული“, „პარმონია“, „სიყვარულის იმედი“, „თანაგრძნობა“, „ოცნება გაზაფხულზე, რომელიც შეიძლება არც კი მოვიდეს“ (ღია სტურუას ლექსთა სათაურებია) შობს პოეზიას, მაშინაც კი, როცა ხელოვანს ტკივილი დაიმონებს, სეედა მოეძალება – შავი სეედა, „რომელშიც მზის და მთეარის წვეთები“ კი იგულისხმება, მაგრამ არ ჩანს.

უნდა ითქვას, რომ ღია სტურუას რამდენადმე მნიშვნელოვანი ევოლუცია ან, მითუმეტეს, მეტამორფოზები არ განუცდია. მან, სრულიად ახალგაზრდამ, უთვალავი ფერის, უთვალავი ბგერის და უთვალავი სიგყვის სამყაროში თანდათანობით მიაგნო თავის სტილს – მუსიკას – სიგყვას – ფერებს; მის პოეზიაში გამოიკვეთა თანამედროვეობის მწველი და ცხოველი განცდა, მგანჯველი მორალურ-ეთიკური ძიებანი, ეროვნული ტკივილი და მარადიული, მოგადსაკაცობრიო ფასეულობებისადმი სწრაფვა, უკიდურესი გალახდილობა და სიწრფელე, მოგჯერ – მეგნებუღი ეპატაჟი, უკომპრომისობა და შემოქმედებითი სითამამე.

მაღევე გახდა საცნაური ღია სტურუას პოეზიის ერთგვარი ელიტარულობა და „სირთულეც“: თვითმყოფი მეტაფორული და ასოციაციური აზროვნება. ღრმა ქვეტექსტები, ძნელად აღსაქმე-ლი მინიშნებანი: მისწრაფება ვერლიბრისაკენ – თავისუფალმა მხატვრულმა აზროვნებამ ფორმის თავისუფლებაც მოითხოვა. ღია სტურუა „რთულზე“ „რთულად“ მეტყველებდა, ასეთი იყო და არის მისი მხატვრული მანერა.

ცხადია, ყოველივე ეს სოცრეალიზმის ადექტებისაგან დაუსჯე-ლი არ დარჩებოდა: ღია სტურუამ ადრევე იწვნია ოფიციალური კრიტიკის სუსხიც და პოეზიის ჭეშმარიტ დამფასებელთა თანადგო-მაც. მის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ არც საკუთარი მხატვრუ-ლი მრწამსი დაუთმია და არც იოლ, გაკვალულ გზას დასდგო-მია მავანთ საამებლად.

როგორც მოსალოდნელი იყო, მის წინამდებარე კრებულს, უაღრესად თანადროული და აქტუალური პრობლემაგით გა-ჯერებულს, ეერაინ აღმოუჩენს კონიუნქტურის კვალს.

ამის დასტურია თუნდაც „რიგორიკული შეკითხვა მწიგნო-ბრებს“, „ომი“, „აპოკალიფსი“, „მოკლული ქალაქი“, „გირილის პოემა“, „მოლაპარაკება შიშთან“, „ფიქრი თვითმკვლელობაზე“, „მიდრეკილება სიკვდილისაკენ“ და სხვა.

ღია სტურუას ლექსები მუდამ ფერადოვანი იყო; შთამბეჭ-დავი, მოგჯერ მოულოდნელი, უცნაური მხედველობითი ხატე-ბით და ჩახჩახა ფერებით დაყურსული. იგი პოეტ- „ფერმწერთა“ იმ გუნდს მიეკუთვნება, „მზის კულგის“ მიმდევართ, რომელთა პოეზიაში ჭარბობს სინათლე, და, თუ გოეთეს კლასიფიკაციას მივმართავთ, „თბილი“ ფერები – ჟოლოსფერი, ძოწისფერი, მე-წამული, ვარდისფერი, ალისფერი, ნარინჯისფერი, სინათლის-ფერი, ოქროსმზისფერი...

ახლა კი პოეტის თვალისწინი ოდენ შავითა და თეთრი ფერე-ბით შემოიფარგლა, რადგან –

„სისხლი გახდა ერთადერთი ფეროვანი ამ სამყაროში, სა-დაც ადამიანებს მხოლოდ ორი ფერი დაუტოვეს: შავი მიწა, თეთრი სუღარა.

...თეთრი მზე იღვა ცაზე, სრულიად შავი მიწა არავითარ ყვაეილს არ ისხამდა...“

ახლა პოეტს „სხივი“ გაუხდა სასესხებელი:

„ოღონდ, შუქს ნუ ჩამაქრობთ და თოვლში ნუ გამაგლებთ სხივის სასესხებლად!“

როცა სახლი ბნელ ბუნაგად გადაქცეულა. ხოლო თვალები ვერ უყურებენ დამწვარ ქალაქს, მოღრეცილ პირებს, დაგლეჯილ ქუჩებს. „დარბაისელ. კეთილშობილ მათხოვრებს“, როცა პოეტის შინაგანი ხედვა უღექსობისაგან ჩლუნგდება, როცა ჩაბნელებულ ოთახში კარებზე შაეი შიში გვიკაკუნებს – უსინათლოდ და უმუსიკოდ დარჩენილ ხელოვანს ისლა დარჩენია, შევედროს ღმერთს:

„პოეტი თავის მიწაზე მიჭედლია ლურსმნებით და კვდება იგი იმწამსვე, როცა მუსიკას უკლავენ. უფალო, ყური ათხოვე, მზით დაუფერე კეფები ასეთ პოეტურ მათხოვრებს, სინამდვილეში მეფეებს“...

როცა ღია სტურუას ამ კრებულს ჩავკირკიტებ (უკვე მერამდენედ!), ცდუნება მიპყრობს – ციგაგებით გადავგვირთო ეს მცირე საგაბეთო წერილი და ამით, ვისაც ჯერ არ წაუკითხავს მისი ლექსები – დიდი სიამოვნება მიეანიჭოს... ცდუნება ცდუნებად რჩება; სამაგიეროდ, სრულად მომაქვს წინათქმა – ამ მშვენიერი წიგნის „ოქროს გასაღები“ (ღია სტურუა, რომლის მეორე ხელობა ლიგურატურათმცოდნეობაა, იმ პოეტთა რიცხვს მიეკუთვნება, თავიანთი პოეზიის „საიდუმლოს“ სიამოვნებით რომ გასცემენ): „ეს წიგნი დაიწერა ჩემი ცხოვრების უმძიმეს პერიოდში, ომით, რევოლუციით განადგურებულ, დანგრეულ, მშიერ, ბნელ და ცივ, სიძულელით გასლენილ საქართველოში, სადაც ემიგრანტივით ვცხოვრობ და სამშობლო მენატრება, ქართული ენა მენატრება, რომელიც ისე წაიბილწა ქუჩების ხეებაში, რომ ძნელი წარმოსადგენია, ამ ენაზე თუ ოდესმე ვაქა, ბარათაშვილი, გალაკტიონი ლაპარაკობდნენ.“

პოეზია უფრო ნათელი უნდა იყოს, ვიდრე ცხოვრება. ეს, ალბათ მოვა. ახლა კი ბოდიშს ვიხდი მკითხველის წინაშე ჩემი სევდისათვის, შაეი სევდისათვის, რომელშიც მზისა და მთეარის წვეთები კი იგულისხმება, მაგრამ არ ჩანს, რადგან ჩვენი ღლეუანდელი ცხოვრების ნიადაგი გკივილია. მკვიფა, ე.ი. ეარსებობ. ამ ხალხს ეძღვნება ეს წიგნი და არა მსუქან და მამდარ კმაყოფილებას, რომელიც ფითრივით ესვევა ჩვენს სიციცხლეს“.

ვგონებ, ამაოდ ითხოვს პატიებას ავტორი. მისი მკითხველისთვისაც ძლიერ ახლობელია სევდა და გკივილი, მის მკითხველსაც ეუცხოება ნირშეცელილი, სახემშლილი სამშობლო, სადაც თანამოძმის სისხლი იღვრება, სადაც სკიქიაც ბობოქრობს („ნი-

კორწმინდა დანგრეულა, გაიგეთ“). ეუცხოება წყვილიაღით მოყული, შიშით ვათანგული, თვალუბღათხრილი დღღაქღღაქი („მანინჯი სახლები, მანინჯი აღამიანები, დაკარგული სიგკო“...), საღაყ ხელოვანს მარგოობა ელის („ეუღად არის შენი საქმე, მხაგყარო, შუშები გაიმჭყარტღა, სინათლეს აღარ უშვებენ სხვენში. შენი საუკეთესო სახაგები გამოვიღნენ ჩარჩოებიღან და ცაში გაფრინღნენ“...) მასაყ ენაგრება მუსიკა („ღამიბრუნეთ მუსიკა“), თეაგრი („თეაგრის მოსნაგრება“), უმოწყალოდ მოკლული, გარღაცელიღი თუ საზღვარგარეთ მყოფი ახლობლები („მოსნაგრება“).

პოეტის „სულიერი ღები და ძმებიც“ („ტირიღღის პოემა“) მისტირიან სამშობლოსათვის თავშეწირულ უფლისწულიღით ბიჭებს – ლეეან აბაშიძეს, ირაკლი ამირეჯიბს, არჩილ მიშეღღაძეს და მრავალ სხვას (მათი ხსოვნისაღში მიძღვნიღია „აღღგომის პოემა“), ანღა, უაზროდ, ჩიგვიეთ მოკლულ პირტიგეღღა ყმაწვილებს („ისვრიან, ისვრიან“: – „გუშინ მთელი ღამე ისროღნენ, ვაშღღის ხეებს ხვრეტღნენ, ზეღმეგად ბეღნიერი სახე გაქეთო, პირმრგეღღი, ლოყაწითელი“...); ისინიყ განიციღღან გაშეფებულ უღმობელ სისასტიკეს, თანაგრძნობის უნარის დაკარგვას. „მეღღმეე ზამთარშე“ გაღასახლებულთ, უსასოო ყოფით უკიღღურესად შეჭირეე ბულთ, ისეე და ისეე უშწიკვლო ბგერის, ოქროსმზღღისფერი სხივის, ფერაღღვანი სიგყვის, პოეზიისა და სიყვარუღღის იმეღღიღა აყოცხლებთ:

„მოვიღა იგი, მარგალიგები სევიოღა პირიღღან, მიხრა-მოხრა საყვე მღღინარის, სიგყვეები ვერცხღღის მეღღიებეიეთ ფაფუკი და რაღღგან კანი სულ გაშიღღსა, გაცეღღა ყოფაბე ხახუნით, პირღღაპირ სისხლბე ღამისეა დანა და კი არ მოვეკეღღი, აყვეავებულ ბროწეუღღის ხეღ ღაღავეიქეყი...“

სწორედ „ყოფაბე ხახუნით“ გამღღნარი, გაცვეთიღღი კანი პოეტისა, მისი შიშვეღღი ნერევიეთ მტკიეანი სული, თეითმხიღღეუღღის ფხიბელი თეაღღი და შემოქმეღღისათვის აუციღღებელი უნარი თანაგანციღღსა – არის იმის საწინღღარი, რომ მკითხვეღღმა გაითაეისოს მისი თუნღღაყ უცნაური და სუბიექტური, მაგრამ მხაგვრულ-ემოციური თეაღღსაზრისით – ღიღი ზემოქმეღღებითი ძაღღის პოეტური ხეღღა, ხიღღვა-მეღღიგაციები. ეს გზა შეუღღარებღღად ეფრო ძნელია, ვიღღრე ზოგი პოპულარული კაღღმოსნის იოღღად აღსაქმელ გაეპიღა კინძეა.

„ხალხს მომღერალი ურჩევნია. პირიდან რომ ვარდებს აურქივეს, მე კი ყელში ბგერების ძვალი მაქვს გაჩხერილი და ყრუ-მუნჯს უფრო ვგაეარ, ვიდრე სიჩყვის მოყვარულს“...

თუმც არც „ზუსტ“ მისაძარტებს გვოაეაზობს პოეტი და, მითუმეტეს, „გარემოების საყვირადაც“ არ მიაჩნია თავი (გაეიხსენოთ ჭარმაგი აკაკის დანანებით ნათქვამი – პოეზიაში ყოველდღიურობაზე ზედმეტად ვიყაეი გადაგებულიო; ხოლო „თაეხედმა“ „ციხფერყანწელეზმა“ ეპაგაეის სკრვილითა და „უარმყოფლობის“ პათოსით ანთებულეზმა, მოგვიანებით შეკადრეს – „აკაკიმ გარემოების საყვირით ძალიან ბეერი იყვირაო“), მისი ახალი ლექსებიდან მკაფიოდ ინაკეთება ბოლო წლების ჩენი ქუფრი არსებობა, სისხლი და ცრემლი, განჯეა-სიმძიმელი, ნგრეეა-ქაოსი, ვაორება და გაუცხოება, სამშობლოში სამშობლოს მონატრება...

ღია სტურუასათვის პოეზია „წმინდაც“ არის და საყოელთაო-სახალხოც; განდეგილი ბრძენის თაემესაფარიც და მაპულის მეციხოვნეთა ხელობაც; ყოველგეარი სწორხაზოვნობის, ოდენ „შაეისა“ და „თეთრის“ დაპირისპირების მოძულე პოეტი „მარმარილოს ზურგებით გარე სამყაროსაკენ, პირით – წიგნებისაკენ მიქეული“ მწიგნობრების ანდა სპილოს ძელის კომქში და სიმმარულ ოცნების საუფლოში გამომწყედულ ხელოვანებსაც ჭირისუფლობს და მათი „რიგორიკული“ მოწინააღმდეგეც გახლავთ:

„მოიცილეთ მარმარილოს სიმძიმე, ამოიგდეთ თავიდან ოქროს კვეთი, დაინგრა თქენი ალგებრა, მწყობრი, განკენარი, სახლი დაინგრა, ვაზის თმებით შეკრული და მგრედის ფრთით განათებული, იქნებ თქვენ მაინც იყით, რა ეუყოთ მას, სადღაა კიდეე ერთი გალაკგიონი, რომ მის კედლებში ჩაეატანოთ?“

ღია სტურუას – შემოქმედს ყოველთვის პქონდა და აქეს კიდეც „ყოფაზე ამალლების ნიჭი“, თუმც „მოკლულ ქალაქში“ ამბობს:

„გადამასახლეს მუღმიე გამთარში, არარსებობის მკაფიობაში, აღარც ჩრდილი მაქვს, არც ზელსართაეი, არც ამალლების ნიჭი ყოფაზე...“

მთელი მისი პოეზია ხომ, მათ შორის, წინამდებარე კრებულიც – ამის დასტურია. პოეგისთვის „ყოფა“ ზოგადი ხაგია – წვალების, მიუსაფრობის, ამაო ფუსფუსის, გკივილის, სეედის, ავადმყოფობის, ახლობელთა დაკარგვის... ყოფა მეორე მხრით – ჭაობია, წუმქეა; „მაძლარი კმაყოფილების“, „შეძლებული, უკ-

ირაგესი, გაჩინარდნებელი სახლების“, მახინჯი, თვალგაბოროტებული, ესინდისო ადამიანების, ბოლმეანი მონების ერთადერთი საზრუნავი და ცხოვრების მიზანი.

– მე მტკივა ესპანეთი, – ჰგოდებდა მიგელ დე უნამუნო.

ღია სტურუას „შუქს ნუ ჩამიქრობთ“ ერთი გაბმული ტკივილია („ჩვენი დღევანდელი ცხოვრების ნიადაგი ტკივილია“); მას ტკივა საქართველო, ტკივა თბილისი, ახლობლები, თანამოქალაქენი, სულით მონათესავენი, დარბაისელი მათხოვრები, პოეტები, მხატვრები, მუსიკოსები, ვაშლის ხეები და ბელურა ჩიტები, მოხეტიალე ძაღლები და უმანკო კრავები...

მაგრამ კრებულში, წინათქმის მიუხედავად – „მზისა და მთვარის წვეთებიც“ მძლავრობენ.

„...სასწაული ჯერ კიდევ არსებობს ამ ბნელ, საკყარ, უმნეო წუთისოფელში, სოლო ცის მყარზე შემოქმედი ზის და, გაცილებით დიდი წვალეებით და ვაი-ვაგლახით, ვიდრე ოდესღაც, გვიბერავს განში. ძველებურად ლურჯ, ვარსკვლავიან სულეებს“.

და ღია სტურუას ძნელბედობისას შექმნილი ლექსების ეს მშვენიერი კრებულიც სინათლის სხივად, შავ სევდაზე გამარჯებული იმედის სიმბოლოდ მესახება.

1994 წ.

პარიზი – ახდენილი და ახდენელი ოსნება

ღია სტურუას პროზაული კრებული

საქართველოს შემდეგ

უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი...

პოლო იამელი

„პარიზზე იმდენია დაწერილი, რომ, თითქმის წარმოუდგენელია რაიმე ახალი თქვაო“, – ასე იწყება ღია სტურუას „ბედნიერი სინუზის“ პაგარა წინათქმა.

მეოცე საუკუნის ხელოვნების მექაზე მართლაც ძალზე ბევრია დაწერილი, მაგრამ საკუთრივ პარიზისადმი მიძღვნილი პირველი ქართული წიგნი, მხატვრული ესეისტიკის ეანრს რომ

განეკუთვნება, – ლია სტურუას „ბედნიერი სიჩუბეა“ (გამომცემლობა „მერანი“, თბილისი, 1996 წ.).

პარიზი, რომის მსგავსად „მარადიული ქალაქია“, ყველასთვის მისაწვდომი და მიუწვდომელიც, მრავალპლანიანი და მრავალწახნაგოვანი. პარიზი მოგვაგონებს მგეს, რომელიც „თაყის შარავანდელს სწორად მიაყენებს ყოველსავე, მაგრამ ნიშაგსა, ძალსა და საქმეს ყველაკასა სხვადასხვას მისცემს“.

ეს სიგყვები პირველ „სენადალეულ“ დიდ ქართველ მწერალს სულხან-საბა ორბელიანს ეკუთვნის.

ლია სტურუას პარიზი მისი გონისმიერი, სულისმიერი თუ ყოფითი საგზლის, შემოქმედებითი ინგერესისა და თვალსაწიერის, მისი „ნიშაგის, ძალისა და საქმის“ ანარეკლია.

ქართველი ადამიანის, განსაკუთრებით ხელოვანის ცნობიერებაში, მის, როგორც ერთი თანამედროვე პოეტი იცყოდა, – „მახსოვრობაში და დაღლილ გვინში“, – პარიზს ერთი პაგარა, მარადიული ნიში უყურია. საყველპურო, სადაგ ვითარებაშიც. პარიზი ლამის საზოგადო სახელად იქცა. ამა თუ იმ ქალაქის, მაგალითად, თბილისის „პაგარა პარიზად“ სახელდება დიდი პატივია. ეს ერთობ გავრცელებული და საჩინო ეპითეტი ღღეს მხოლოდ მწარე ირონიად თუ ჟღერს.

ჩვენს დღევანდელ ვითარებას უფრო აკაკი წერეთლის 1909 წლით დათარიღებული, ღიმილიან-გკივილიანი ლექსის „პარიზის“ სგროფი მიესადაგება:

რომ შევადარე პარიზი
ამ ჩემ სამშობლო მხარესა,
კინაღამ გული გამისქდა...
ფიქრებს მივეცი მწარესა!

ამთავითვე უნდა ვთქვა, რომ „ბედნიერი სიჩუბე“ პროზისა და პოემის საზღვარზე მერყეობს: ეს არის პოეტის პროზა და ის, რასაც საგანგებო სახელი „პოეტური პროზა“ კქვია, – უხეად გაჯერებული ლიტერატურული რემინისცენციებით, ფერთა სიმბოლიკით, ლექსების ფრაგმენტებით, უცხოელი თუ ქართველი პოეტებისა თუ მხატვრების სხარგი, ჭეშმარიტად პოეტური ხატებით; ეს არის ფერის, მუსიკის, სიგყვის თანაარსებობა; წარსული პარმონის მონატრება, კლასიკის მიმართ ქელმოხრა და თან-

ამელროვე ხელოვნების მძაფრი განცდა, შემეარული ნაკადი და დღეიანდლობის შკიენეული აღქმა.

ყოველივე ეს ისეა ურთიერთგადაჯაჭვული, რომ მკითხველის ყურადღება არ ნელდება; მხოლოდ ქვეთაეების ვარსკვლავებით დაშორიშორება აძლევს მკითხველს სულის მოთქმისა და წაკითხულის უკეთ გააზრების საშუალებას.

მიუხედავად მრავალი, მოგჯერ სრულიად განსხვავებული ნაკადისა (შემეარული თხრობა, პუბლიცისტური განსჯა, იმპრესიონისტული ანაბეჭდები, გულახდილი პირადულობა, ჩანართი ნოველები თუ ლექსები, ნახაგისა თუ ლექსის ლაკონური დახასიათება, იშვიათად – დოკუმენტალიზმი და ა.შ.), წიგნის მთლიანობას ერთიანი სტილი განაპირობებს. ამით პოეტი ოსტატურად ემიჯნება ეკლექტიზმის ხიფათსაყ.

ღია სტურუას სტილი დასაწყისშივე ცნაურდება; ის, აკაკის ლექსისა არ იყოს, ჩვენეული „სიბნელისა“ და პარიზული „სინათლის“ კონგრასტულ მეტაფორას ეფუძნება, მეტაფორას, რომელიც ეპირიულიც არის და პოეტური გროპიყ:

„ჩემი ცხოვრების რეფრენად ქეული სიბმარი, რომ სიბნელეში სიბნელეს მიქრობენ, პირველ დღეებში პარიზშიც განმეორდა.

სიბმარი ხომ მისტიკის სფეროა, სარკის ამალგამაზე დახაგული სინამდვილე, მაგრამ ეს, ჩემი საკმაოდ რეალისტური კომმარი იყო.

წეხარ ღამე სრულ სიბნელეში, ქალაქში, ქუჩაში, სახლში სინათლის წვეთიც არ ჩანს და უცებ, რალაც ითიშება, არა გაელვებით, არამედ გკაცუნით, მოწყვეტილად. რბილად ეარდები ბაბბის სხეულით ხავერდის ფრესკზე, თან იყი, რომ პაერი შეღავათიანად, აქურულად შავია, ხავერდი – მჭიდროდ, გამოუსაელად...

ვწეარ შავ ჭაში და შიშით ეელოდები დილას, აქედან რომ ამომიყიანს და ახლა ყინულის ჭაში ჩამაგდებს, რომელიც ელვარედ თეთრია და, მაინც არ არის სინათლე.

ჩემი ძეირფასი, პარმონიული კლასიკიდან მახსოვს, რომ მშენიერი, ნათელი და კეთილი ერთიდაიგიევა.

აქ კი, დღე და ღამე განათებული, პარიზელების მსუბუქი, გაღიმებული ბუნებით გამობარ კაფეში, ხალხის გარემოცვაში, ფიქრს ვეჩევი, რალაყას, ჩემთვის სრულიად წარმოუდგენელს.

„იქ სადაც სინათლე და სისუფთაეეა“... დალოციილი ჰემინგუეი, როგორ მუსკად შეეძლო ამებასაეით გაწელილი და

უფორმო განწყობილებისათვის შესაბამისი სახელი დაერქმია“.

გერონტი ქიქოძე, რომელიც პარიზში პირველად 1913 წელს აღმოჩნდა (მანამდე იგი ცხოვრობდა და მოგზაურობდა გერმანიაში, შვეიცარიაში, ავსტრიაში, პოლონეთსა და ბელგიაში), მოგვიანებით წერდა, „ეროვნული კულტურისა და ტერიტორიის ერთიანობის პრობლემაზე დაფიქრებამ, ცოცხალი არ იყოს, ხელი შემძალა სათანადოდ დამუშავებინა პარიზის მშენებლობა“.

ეროვნული საკითხი, საქართველოს თვითმყოფობის შენარჩუნებისა და ტერიტორიული მთლიანობის საკითხი, სამწუხაროდ, XX საუკუნის კარდინალურ პრობლემად გვექცა და ამას ღია სტურუას წიგნიც ადასტურებს, წიგნი, რომლის ლაიგმოგივი ასე შეიძლება განისაზღვროს: პარიზის შესახებ – სამშობლოზე ფიქრით.

„მე ეხებად ჩემს თავს საფრანგეთში, საფრანგეთს ჩემს გარშემო და რადგან სამყარო „არც მთლად რაციონალურია და არც იმდენად ირაციონალური“ (ა.კამიუ), მე მხრებით ლოკოკინას ნიქარასავეით დამაქვს ჩემი სახლი, ჩვეულებები, გრადიციები. პარიზის ქუჩაში ნოგრდამის წინ პირიდან მონარივით ამოვებხევე ჩემს სვეტიცხოველს, დაეხედავ, ცოცხალია, ისევე ისეთი მშენებელია, სრულიად განსხვავებული გოთიკისაგან და ორივე ძალიან მომწონს, დაეკეცავ ისევე, ჩაეღებ ნიქარაში, გუმბათს ვერ ჩავაგევე, მარავენდედად დამიმრგვალდება თავთან და მე, აბსურდის ადამიანს, ღმერთთან მიმაახლოვებს“.

ამ პატარა მონაკვეთში ყურადღებას ისიც იქცევს, რომ კლასიკურ პარმონიას დანაგრებული პოეტის ხედეა უაღრესად თანადროულია, აენაგარდისგულიც და გნებაეთ, აბსურდულიც. სწორედ კლასიკის ცოდნა და სიყვარული უწყობს ხელს პოეტს ღრმად ჩასწვდეს დარღვეული პარმონიის არსს; სწორედ უჩვეულო, არაორდინალური მხატვრული პირობითობა ვახდა თავის დროზე სრულიად ახალგაზრდა ღია სტურუას – თვითმყოფი პოეტის წარმატების საფუძველიც.

ღია სტურუას პარიზი ტურისგისა თუ მოგზაურის თვალთ არ ვახლაეთ დანახული: ეს არის შემოქმედის, ხელოვანის სულში წარმოსახული და არეკლილი ქალაქის ძალზე სუბიექტური, მაგრამ მთამბეჭდავი ხაგი.

„ალბათ, მხოლოდ ფრანგს შეეძლო ეთქვა, რომ არქიტექტურა გაქვეავებული მუსიკაა.“

პარიზი ოკეალურია, კეთხეებმომრგვალებული მისი კვადრატები და კარეები ისევე წრეებში სხედან. კუთხე, თუ სადმე წაგრძელდა და გაწევიტიანდა, უსათუოდ, მრგვალი ფორმით დაბოლოვდება – ეკალზე წამოცმული ეარდივით.

წამახული, წვეტიანი გოთიკა, ჯერ ბაროკომ დაამბიძმა და მოაგლეუა. მერე როკოკომ ჩაახუჭუჭა. როკოკო ხომ სუფთა ფრანგული მოვლენა იყო: შაქარდაყრილი პარიკების, მუსიკალური ტრელებისა და ფიორიტიურების, თითის წვერებზე შემდგარი მარმამის სტილი...

პარიზი, მაინც, ამ სტილებზე მალა ღვას, როგორც პოეტი, რომელმაც კლასიციზმიც იცის, პარნასიც, რომანტიზმიც, სიმბოლიზმიც, მაგრამ აქვს „მკერდს მიდებული ქნარი, როგორც უნდა“, ლიტერატურის თეორიების ცაზე ცხოვრობს, სადაც ყველანაირი გუმბათი, წვეტი, ლოგიკა იშლება და სინათლის მეტაფორაში ერთიანდება“.

სიგყვა გამიგრძელდა, მაგრამ მკითხველს პარიზის კიდევ ერთი, ლია სტურუასეული პოეტიკური ანაბეჭდი თუ არ შეეთაჟაბე, „მშენიერ სიჩუმეზე“ სრულყოფილ შთაბეჭდილებას ვერ შეეუქმნი: „ლორკა რომ პოეზიას განსამღერავს, არა აზრის, ან რითმა, ან წერის ტექნიკა, – პოეზია არის ხიბლი, ღუენდე.

პარიზი ღუენდეა. სიგყვით აუხსნელი, აპოლინერის ლექსივით დახვეწილი, უკიდურესად ესთეტიკური და, მაინც, ოქროს ზომიერებით გამორჩეული.

მალალი გემოყნება ხომ მომიერების თმის ღერზე სიარულია. ოქროსფერ თმებში ნაგიფი თითებით გილებს კლავენ, მაგრამ გილების მახინჯ წერტილებს აწონასწორებს ლაქვარდოვანი ვარდებით საფხე პაერი“ (იგულისხმება არტურ რემბოს ლექსი „თმაში მაძიებელნი“ – ლ.ა.).

თმები წვიმასაც აქვს, სევედიანი, შვეული ხაზები ციდან მიწამდე. ამ ხაზებში მონპარნასი იკვეთება, მოდილიანის ნუშის გულივით, თუ ცრემლივით წაგრძელებული ქალებით. ცრემლიც წვიმის ნათესავია. პარნასელი პოეტიკები წვიმასავით სევედიანები არიან და სპილოს ძვალვით დახვეწილები. სპილოს ძელის კოშკი... რა იოლია, პარიზის, რომელსაც გინდა ქუჩას, მოახატო სპილოს ძელის კოშკი...

პარიზის ხიბლის გაძლიერებას არ ეხმარება არც ფერადოვანი კარნავალები, გრანდიოზული რელიგიური ღლესასწაულე-

ბი, კორიდა, რომელიც თავის ფერთა და გულუბრყვილობით, პირველყოფილი ვნებისა და ემოციების მუხტით, სისხლის კოლგებს მშვენიერ ვარდებად აქცევს და პირიქით. აქ დღესასწაული მენს სულში იწყება და მას, უთუოდ, ის პარმონია იწყებს, რომელიც ქალაქის პლასტიკაში დევს.

... პარიზში არაფერი არ ვთარგუნავს: არც ვანდომის სვეტი, არც ეიფელი, არც ინვალიდების სასახლე თუ ნოგრადამის ქიმურები, რომელთა სიმახინჯეს გოთიკის ბესწრაფვა და ვიგრაქების მზე აწონასწორებს (კეაზიმოდო და ესმერალდა), როგორც ბუნებაში, რომელიც: „ერთფერად მგვირთველი არის საქმის თეთრის და შავისა, მაინც კი ლამაზი არის, მაინც სიგურფით ყვავისა“.

ეს ბუნებრიობა და სისადავე, მაინც, ყველაზე უფრო მარადიულ და მშვენიერ, ქალის სხეულის პლასტიკაში იღებს სათავეს. ქალაქის აშკარად გამოკვეთილი ქალური-საწყისი – ეს მაიოლის ილ დე ფრანსის სავესე ფორმების პლასტიკაა, ამიგომ არის ასეთი პარმონია XX საუკუნის ქალების ქანდაკებებსა და ლუერის რენესანსულ არქიტექტურას შორის. ამიგომ ასეთი პარიზულია მურის ქალის ფიგურა იუნესკოს შენობასთან, რადგან აბსტრაქციების და პირობითობის მიუხედავად, მისი საფუძველი კლასიკური და სრულყოფილი ქალური ფორმაა.

ქალაქი-ქალი, ულამაზესი სხეულით და განწყობილებებისგან შემდგარი ცვალებადი ხასიათით“...

ღია სგურუას პარიზული ასოციაციები, ამ საოცნებო ქალაქში მოხვედრამდე უპირატესად გალაკტიონის, გრიგოლ რობაქიძის, პაოლო იაშვილის და ზოგი სხვა ცისფერყანწელის (რომელთაც თვალთ არ უნახავთ ფრანგ სიმბოლისგთა სამშობლო – ქალაქი-ლეგენდა) შემოქმედებასთან არის დაკავშირებული. ეს კი XX საუკუნის დასაწყისის ქალაქი გახლდათ.

„საქართველოს შემდეგ უწმინდესი ქვეყანა არის პარიზი... სადაც გიჟური გაგაცებით ჯამბაზობენ ჩვენი ლოთი ძმები – ვერლენი და ბოდლერი, მალარმე, სიგყეების მესაიდუმლე და არგურ რემბო, სიამაყით მთვრალი, დაწყველილი ჭაბუკი“ (პაოლო იაშვილი, „პირველთქმა“, ჟურნალი „ცისფერი ყანწები“, ქუთაისი, 1916 წ.).

მას შემდეგ ბევრმა წყალმა ჩაიარა: XX საუკუნის დასასრულის პარიზი უკვე სხვა ქალაქია. ავგორი, რომელიც მუდამ მბაფრად განიცდის თანამედროვეობას, ჯეროვანს მიაგებს პარიზს

– კლასიკისა და აკანგარდიზმის ნაჩავეს: „ლუკრში შესვლის წინ ჩემს თავს ვეკითხები: – შეიძლება თუ არა იქ შესვლა? ჩემი დარღვეული პროპორციების შეგანა და ვენერა მილოსელის წინ დგომა, შეიძლება თუნდაც ერთი ყალბი ბგერის გაელერება ლუკრის სრულყოფილებაში?

მაგრამ ეს სიყალბე არაა. მაიოლის კვერცხივით ქალი რომ დაანაწევრო, ცალ-ცალკე ნაკეთებს, თუ სხეულის რომელიმე ნაწილს მისცე უპირატესობა, მკერდზე ყვავილი ამოუყვანო, ხელს ან თვალს ცალკე ძეგლი დაუდგა, მით უმეტეს, იუ ხელი ისეთი მგრძნობიარეა, თითქოს მასზე თვალია გამობმული, ვითომ ამით რამე შეიცვლება? მოდერნისტული ხელოვნების გარემოცვაში ახლა უფრო კარგად ვგრძნობ თავს, ჩემი მძიმე ყოფა და ფრანგული ნაგიფი ეგზისტენცია ნაკლებ წინააღმდეგობაში მოდიან ერთმანეთთან „ბობურში“ (პომპიდუს ცენტრში)“.

ვერ ვძლიე ცდუნებას და, ბარემ, „ბობურის“ ავგორისეულ დასასიათებასაც მოვიხმობ: „პომპიდუს ცენტრში ისევე ასოციაცია სიმბოლისტურ პოეზიასთან: შუშის და ფოლადის თანამედროვე შენობა, მედუზა გორგონას ნაწნავებივით შემოგრაგნილი ფუნქციური მილებით. მილები საგანგებოდ გამახვილებულია და უგრირებული, თან, სხეადასხვა ფერად შეღებილი: წყლის – ლურჯი, კანალიზაციის – მწვანე, გათბობის – წითელი. მაგონდება არტურ რემბოს „სონეტი ხმოვნების შესახებ“, სადაც ყველა ხმოვანს დაძებნილი აქვს შესაბამისი ფერი: – ა – შავი, ე – თეთრი, ი – წითელი, უ – მწვანე, ო – ლურჯი.

„ბობური“ გავს ადამიანის სხეულის ჭრილს, სადაც ყველა ნაწლავს, ძარღვს, მყესს დაძებნილი აქვს შესაბამისი ფერი და ეს გაფაგრული სხეული ფრანგებისათვის ჩვეული ელემენტურობით ესთეტურ ფენომენად არის ქცეული“.

თანამედროვე „სამომხმარებლო“ სულისკვეთება, ამერიკული მასკულტურის მძლავრობა (და ეს ორივე მოვლენა კომერციულია თავისი არსით), – მეგნაკლებად პარიზშიც მქლავნდება. მეოცე საუკუნის დასაწყისის დიდებულ მხატვართა თავშესაფარი – მონმარგრი ფულის შოვნის „ცენტრად“ ქცეულა: „მონმარგრზე კი ხატავენ. ხატავენ, სინამდვილის ფოტოგრაფიულ ასლებს აკეთებენ. გაწაფული აქვთ ხელი, ფული სჭირდებათ, აქ არავენ არ მოიჭრის ყურს“ (მინიშნება ეინსენსტ ვან-გოგზე, რომელმაც ყური მოიჭრა და, ყურმოჭრილმა, გასაოცარი ავტოპორტრეტი დახატა):

სულ ახლახანს. ბოლო არჩევნებზე ფრანგულმა ფაშისგურმა პარტიამ, ლე პენის პარტიამ არნახული გაძარჯვება იბრძოლა, — სმათა 15 პროცენტი დააგროვა. ამგეარმა მოულოდნელმა შედეგმა შეაძრწუნა საფრანგეთი, რომელიც არანაკლებ არის შეძრწული უცხოელების მიერ ჩადენილი გეროროისგული აქტების სიმრავლითაც.

უცხოელთა „ექსპანსიას“ (კულტურის „ამერიკანიზაციას“, უცხო პოპულაციის მოძალეებას, ინგლისური სიციყეების შემოჭრას) ფრანგები დიდი ძალისხმევით და წარმატებითაც ებრძვიან. მაგრამ პრაგმატიზმისა და „კიჩის“ მეუფება აქაც საცნაურია. ავგორი ამასვე შენიშნავს დანანებით: „როგორც ჩანს, ფრანგებისათვის იუმორის გრძნობასთან ერთად, ფერის გამძაფრებული შეგრძნებაც უბოძებია შემოქმედს. ...ფრანგმა მამაკაცმა მიაგოვა საყვარელი ქალი იმის გამო, რომ მან თავისი ოთახი რომელიღაც პასტელის ფერიდან გადაღება კარმაზინისფრად. ვერ აპაგია ქალს გემოვნების უკმარისობა, მყვირალა ფერის სიყვარული.

ახლანდელი მონმარგრი ჩემზე კარმაზინისფრად შეღებილი ოთახის შთაბეჭდილებას გოვებს. „სხვა ხალხის ისმის აქ კრიამული“. წმინდა პარიზული ბოქემა შეცვლილია აღმოსავლური წარმოშობის ხალხით, მანგებით.

— სულის ბეიმი ხაზგასმულად გროტესკულ კარნაველად იქცევა, სადაც მათხოვრობა, ქურდობა, მდარე თეაგრი ჭარბობს“.

ალარც პოეზიაა დიდ პაგიეში: „ამ ხუთიოდე წლის წინ პარიზში მითხრეს, რომ რენე შარი გარდაიცვალა და ნახევარ პარიზს არც კი გაუგია. ძალიან არაპოპულარული გახდა პოეზია, პოეზიის დამოკიდებულება სამყაროსთან — ბავშვის გაოცება და გკივილის ხელოვნებას დაუფლებული კაცის სიბრძნე, ცეცხლი და ყინული, ხან მორიგებული ერთმანეთში, ხან ამბოხებული“.

ასეთია ლია სგურუას პარიზი: გარდასულ დღეთა სურნელი, უმაღლესი პარმონია ერთი მხრით, და, — დარღვეული პროპორციები, „ამერიკანიზებული“ გელეეკრანი, უტილიტარული „ხელოვნება“ (თუ ხელოსნობა?), „ძველი მადლი, ახალი უღმერთობა“, — მეორეს მხრით.

ეს პატარა წერილი მხოლოდ მიახლოებაა „ბედნიერ სიჩუმესთან“, რადგან ეს თითქოსდა მომცრო წიგნი ერთობ გევალია. ამიგომაც, თუშეცა სათქმელი კიდევ ბევრი მქონდა, აქ ვამჯობინე წერტილის დასმა. ამჯერად ვერაფერი მოგახსენეთ წიგნის

მემუარულ გადახვევებზე, ზოგი მათგანი დამოკიდებულ ნოველად რომ აღიქმება; პარიზში მცხოვრებ ქართველია საქმიანობის ავტორისეულ წარმოჩენაზე; განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს მძაფრი პუბლიცისტური ჩანართები, საქართველოს დღევანდელ უმწვევეს პრობლემებს რომ ეხმიანება, მაგრამ ამაზე სხვა დროს... მე შევეცადე ღია სტურუასეული პარიზის მხოლოდ კონკურები მომეხაზა, მეჩვენებინა ავტორის საოცრად სათუთი დამოკიდებულება „ქალაქი-მკურნალისადმი“. „პარიზის გამჭვირვალე სული, ზოგჯერ, პეპელას ფრთით შეგვხება კიდეც, შენი მოვალეობა კი ის არის, ისე ფრთხილად ისუნთქო, რომ ფრთაზე ნახაგი არ წაუშალო“...

ახლა, როცა ამერიკის შეერთებული შტატების „კულტურული ექსპანსია“ (საფრანგეთის კულტურის ყოფილი მინისტრის ეაკ ლანგის სიგყებია), უფრო დაზუსტებულად კი – აშშ-ის მდარე მასკულტურის ზღვა, მხოლოდ საქართველოს კი არა, მსოფლიოს მრავალი დიდი ქვეყნის კულტურის თვითმყოფობას უქმნის საფრთხეს, პარიზისა და ფრანგული ხელოვნების აპოლოგია ჩვენს სინამდვილეში ფრიად მისასალმებელია; ხოლო მწერალთა კავშირის გამომცემლობა „მერანს“, რომელმაც, მრავალი პრობლემის მიუხედავად, დროულად გამოსცა ეს შესანიშნავი წიგნი, უღრმესი მადლობა ეთქმის.

1997 წ.

ბალანტის ნებისყოფა

ელგუჯა აბამუკელის „დრო და შემოქმედი“

XXI საუკუნის დადგომისთანავე მოამროვნე საზოგადოებამ XX საუკუნისაკენ მიაბრუნა მზერა, განსაკუთრებული გული-სყურით შეეცადა მის მთლიანობაში აღქმას, მისი გამორჩეულობის გააზრებას და იმასაც, რომ ამ საბედისწერო ასწლეულში კაცობრიობა ღეთის განგებით გადაურჩა თვითლიკვიდაციას. გექნიციშმის იგავიეწველომელმა აღბევებამ არა მარტო ფიზიკური განადგურების, არამედ ეკოლოგიური და სულიერი საფრთხეს

შეუქმნა ადამიანთა მოღვაწე. მარადიულ ფასეულობებს თიხიქოს-
და საფუძველი მოერყა. კაცობრიობის სწრაფვას ამალღებულის-
სადმი, მნიშვნელოვანწილად მასკულტურა თუ ანტიკულტურა
ჩაენაცელა, საჩინოა ხელოვნების გლობალური კრიზისიც.

„გარდასული ეპოქების ადამიანებთან შედარებით XXI საუკუ-
ნის კარიბჭესთან მღვარი ადამიანი მარმაც ინტელექტუალად
გამოიყურება. სიზარმაცეში იმ მზამზარეული სულიერი პროდუ-
ქციისადმი ინტერესს ვგულისხმობთ, ცივილიზაცია რეაქტიული
სიჩქარით, გექნიკური სასწაულებით ყოველ წუთს სტიქიურად
რომ გვთავაზობს. სმენითმა თუ ვიზუალურმა ინფორმაციამ სა-
განგამოდ შეაფიწროვა წაკითხული და აღქმული. ღღეს ადამი-
ანი, სურს თუ არა ეს, სტიქიურად ეცნობა სხვათა ნაფიქრსა და
ნააზრევს და გაუცნობიერებლად, საკუთარი პრეგენზიით, საზოგა-
დობას მის ინტერპრეტაციას სთავაზობს. შემოქმედს ეუფლება
სიბერწე. იგი იშვიათად „მშობიარობს“, რაკი ძნელად „ფესმძიმ-
ღება“. აქ იღებს სათავეს ახალი მოძალება ე.წ. აგრესიული მოდ-
ერნისა, გუშინდელი დაბადებულის ესთეტიკური სამოსელის უც-
ერემონიოდ გათავისების სახით. რა თქმა უნდა, გამონაკლისნი
არსებობენ, მაგრამ ისინი იმდენად მცირენი არიან, რომ უძნელდუ-
ბათ ღროის ესთეტიკური „ამინდის“ შექმნა“ – ასე ეუქტურად,
მიმზიდველად, იმავღროულად, ჯიქურ და უშელავათოდ გვახ-
ლის სიმართლეს წიგნის „ღრო და შემოქმედის“ დასაწყისშივე,
ავტორი – ელგუჯა ამაშუკელი (თბილისი, „მერანი“, 2000 წ.,
რედაქტორი მილიცა ჯაფარიძე, გამომცემლობის ღირექტორი –
გურამ გვერდწითელი).

სამწუხაროა და პარადოქსიც, რომ ელგუჯა ამაშუკელის
მრავალწლიანი, უაღრესად ნაყოფიერი და წარმატებული შემო-
ქმედების (მონუმენტური ძეგლები, ღამგური ქანდაკება, მცირე
ზომის პლასტიკური ფორმები, მეღალიონები, ფერწერა, გრაფი-
კა და ა.შ.) ამსახველი ალბომი ღღემდე არ გამოცემულა; სასიხ-
არულოა, რომ ღდი ხელოვანის ნაფიქრი და ნააზრევი, ნანახი
და განცდილი, თავმოყრილი მემუარულ-ესეისტური ქანრის კრე-
ბულში, – მისი მეოთხე წიგნია.

მთელი საქარიფელო იცნობს ღიდოსგაგ მოქანდაკეს ელგუ-
ჯა ამაშუკელს: ქართულის ღედის, ვახგანგ გორვასლის, ღომზე
ამხედრებული მშვეკაბუკის, ფიროსმანის, ღეღაენის, ილიას, ღაე-
ით აღმაშენებლის, მალთაყვის მემორილის, ვეფხისა და მოყ-

მის, ცოტნე დადიანისა თუ სხვა მონუმენტურ ძეგლთა ავტორს. თბილისი-ქუთაისი-ფოთი, ბათუმი-გორი-მალთიაყვა – ჯერჯერობით (ჯერჯერობით-მეთქი, იმიტომ ვამბობ, რომ ნანახი მაქვს სიღნაღისთვის გამიზნული თავისუფლების ქანდაკებისა და ნიკოლოზ ბარათაშვილის ბათუმური ძეგლის ბრწყინვალე მაკეტები) ასეთია მისი ქანდაკებების მარადიული სავანე. ეს ის ძეგლებია, რომელთა „დამსობა“ შეუძლებელია; ეს – მრავალჭირნახული, მაგრამ მუდამ მშვენიერისაკენ, ამაღლებულისაკენ მიმსწრაფი საქართველოს სიწმინდეთა ბრინჯაოში ჩამოსხმული „ქეათა დალაღა“.

ქართული მონუმენტური ქანდაკების თითქოსდა მყისიერი აღმეება, 50-იანი წლების მიწურულს, უნიჭიერეს შემოქმედთა თანავარსკვლავედის მოვლენას რომ დაემთხვა, უპირატესად ელგუჯა ამამუკელისა და მერაბ ბერძენიშვილის სახელებს უკაემირდება (ქრონოლოგიურად, არსებითად და ანბანურადაც).

ეს ის დროა, როცა ხრუშჩოვისეულად წოდებულმა დათბობამ თუ გამოდარებამ ქართული ხელოვნების და, შესაბამისად, ეროვნული თვითშეგნების არნახული აღმავლობა გამოიწვია – სიგყუკაბმულ მწერლობაში, სახვით ხელოვნებასა თუ თეატრში, კინემაგოგრაფსა თუ მუსიკაში.

სრულიად სამართლიანად აღნიშნა სულ ახლახანს ერთ გელუინგერეიუში მერაბ ბერძენიშვილმა, – ჩვენი თაობა მებრძოლი თაობა იყო.

შემოქმედებაში გამოვლენილი მებრძოლი სულისკვეთება და უკომპრომისობა! გახდა ამ ნიჭიერი თაობის, ე.წ. ახალ „სამოციანელთა“ გამორჩეულობისა და მომავალ თაობათათვის სწორი ნიშანსეგის განმსაზღვრელიც.

ელგუჯა ამამუკელის პირადად მცნობთათვის ეპითეტი „მებრძოლი“ თითქოს სრულიად მიუღებელია: ეს თავმდაბალი, მშვიდი, ზრდილი და გაწონასწორებული, უზომოდ მომთმენი და შიმტვევბელი, წესიერი და პაგიოსანი (რა „მოძველებული“ სიტყვები დაეხვავე!) აღამიანი მხოლოდ შემოქმედებაშია მებრძოლიც, უკომპრომისოც, თამამიც და ბავშვურად „თავხელიც“ კი. მისი ახალი წიგნი „დრო და შემოქმედი“ ძლიერ „ჩამოკვავს“ ავტორს, რომელსაც, სხვათა შორის, მარტო საჭრეთელი კი არა, კალამიც საუკეთესოდ უჭრის.

ქანრობრივად და არქიტექტონიკითაც „დრო და შემოქმედი“ დიდად განსხვავდება მისი 1987 წელს გამოქვეყნებული „მეექვსე

გრძნობისაგან“: განსხვავებულია ავტორის მიზანდასახულობაც – შედარებით უმნიშვნელოა მემუარული ნაკადი. მას ენაყვლება დღიურის ფორმა, ესთეტიკური თუ ეთიკური ძიებანი, მცირე ფორმის სენტენციები, აზრები, მხედულებანი. წიგნი უაღრესად აქტუალურია და თანადროული; მთელი ეს მასალა, მცირედი გამონაკლისის გარდა, 1990-2000 წლებშია შექმნილი.

ავტორი მკაცრიც არის და სამართლიანიც, მიმტკიცებელიც და უკომპრომისოც, ხელოვანის ბედით, მარადიულ ფასეულობათა დეველვაციის გამო შეძრულიც და უკეთესი მერმისის მოიძუდუც; ესაა კულტურის ფენომენის რეგროსპექტული გააზრება დღეიან-დელი დღის სამზერიდან და ძველისა და ახლის დიალექტიკური მონაცვლეობის გარდუვალობისა და უცილობლობის შეგნებაც:

„XXI საუკუნე უსათუოდ ახალ იდეოლოგიურ-ესთეტიკურ მოდელს შემოგვთავაზებს. ეს იქნება ხელოვნების განვითარების „სპირალის“ ბოლო რგოლები, ანუ დასასრულის დასაწყისი. ამ-იგომ, თუ საკუთარი განცდის სიმართლეში ეჭვი არ გეპარება, იყურე წინ. ის, რაც შენამდე იყო, არც გამდაბლებს და არც გამ-აღლებს. წარსულის კრიტიკით, ლანძღვა-გინებით სამოღვაწეო, სამოქმედო არეს ვერ გაიფართოებ, შემოქმედებით სუნთქვას ისევ მომავლის ინტერესები გაგიაღვილებს.

წარსულის ხელოვნება, როგორი დიდიც არ უნდა იყოს, „უან-გბადთან“ ერთად „ნახშირორქანგსაც“ შეიყავს და თუ მას უც-ერემონიოდ დაეწაფები, სუნთქვას დაგიმძიმებს. შემოქმედ აღ-ამიანს მიზანი წინ უხმობს. ის, რაც უკვე იყო, ბურგის სინათლეა, წინ საველ გბას რომ უნათებს...“

ჭეშმარიტი გალანგის არსი, აღამიანის მნეობრივი დაკინება და მისი მიზეზების ძიება, ეროვნული და მოგადაღამიანური, კლასიკურ ხელოვნებასთან ზიარების მაღლი და ფსევდოკულ-ტურა, ძველი და ახალი, თაობათა ცვლა – აი, ის ძირითადი პრობლემები, რომლებზეც ჩაგეაფიქრებს ავტორი.

ელგუჯა ამამუკელის ერუდიცია და განსწავლულობა არ არის „თავმომწონე“ ან თვითმიზნური. იგი ხან დიდი გკივილით, ხანაც სიხარულით, ხალისითა და იუმორით, სადად და მისაწდომად გაენდობა მკითხველს. მას არც „პირველადმომჩენის“ პრეგენ-ზია გააჩნია, ხოლო თავის სენტენციებს „დაგვიანებულებს“ უწოდებს.

„აქ მინდა ბევრჯერ ნათქვამი გავიმეორო: როცა საზოგა-დოება კულტურას ბურგით შემოუბრუნდება, როცა კლასიკურ

ხელოვნებას დაეწივების აჩრდილი გადაეყარება, ეს ნიშნავს. როგორც გოეთე ამბობს, – „დღეა ეპი ბარბაროსობის, ცხოველური ინსტინქტების და ძალადობის აღზეებისა, ხოლო თუ რა მოსდევს ყოველივე ამას, კაცობრიობას ამის გამოცლილება არ აკლია“. „სილაძამე გადაარჩენს კაცობრიობას“. – დიდი რუსი მწერლის ეს სიტყვები დღესაც ძირითადი ლაიტთემაა ხელოვნების ფილოსოფიისა. ისტორია გვასწავლის – როცა ამა თუ იმ სახელმწიფოს მაგერიალურად უჭირდა, ის მდგომარეობას ასწორებდა არა კულტურის – ლიტერატურის და ხელოვნების სფეროში დაბოვილი თანხებით, არამედ ცდილობდა ხალხის კულტურის, მისი მწიფობრივი და ესთეტიკური ღონის ამალღებით მიწიერი ტყივილების შემსუბუქებას. აგებდა ტაძრებს, აშენებდა ძეგლებს, ხატავდა ფრესკებს, ქმნიდა მუსიკას, პოეზიას, საგალობლებს. ხალხის სულიერი საზრდოს, კულტურის სარჯზე მაგერიალური მდგომარეობის გამოსწორება ცხოველური რეფლექსია – „რასაც შეჭამ, ის შეგრჩება“. ადამიანმა ეს ლოგიკა გამოქვაბულშივე უარყო, როცა მან საჭრეთელით თავისი ფიზიკური სამყოფელის კედლებზე ლამაზი ფორმა და ხაზი ამოკვეთა და სულიერ მშვენიერებას დაწაფებულმა მიწიერი სიმძიმე შეიმსუბუქა“. – ესაა ამონაწერი 1993 წლით დათარიღებული წერილიდან „კიდევ ერთხელ კულტურის ფენომენზე“, რომელშიც მწვავედ და ზუსტად არის გადმოცემული დამოუკიდებლობის გზაზე შემდგარი საქართველოს ავ-კარგი. საუალალოა მხოლოდ ის გარემოება, რომ ზოგ იმეამინდელ მოსაზრებას დღემდე არ დაუკარგავეს სიმძაფრე:

„პოლიტიკა არ შეიძლება ადამიანთა პატიემოყვარეობის თავშესაფარი იყოს. ვიდრე საქართველო არ გააქნობიერებს მგრისა და მოყვრის ხატს, ვიდრე ე.წ. „მამულიშვილთა“ საქციელს, რომელთაც აფხაზეთში და სამეგრელოში ღალატით სამშობლო გაჰყიდეს, სამართლებრივი შეფასება არ მიეცემა, უპირველეს ყოვლისა, თვით ქართველი ხალხის მიერ, მანამდე მას არაფერი ეშელება და სხვა ვერაფერ მოუხსნის ერს იმ მძიმე ფსიქოლოგიურ სტრესს, რომელშიც დღეს იმყოფება. როცა ჩვენ აღმყოფებულეზი მიემართაუო მსოფლიოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციას დახმარებისათვის, როცა ვსაყვედურობთ რეაქციულ რუსეთს, რატომ არ იჩენს ის დიდსულოვნებას და საკუთარი ინიციატივით რატომ არ ამბობს უარს თავის ყველაზე უფრო გეპრიულ ლუკმაზე – საქართველოზე (აფხაზეთი რომ საქართვე-

ლოს განუყოფელი ნაწილია, ეს რუსეთმა ჩვენზე კარგად იცის). ეს ისეთი რანგის გულბრწყვილობაა, ოცდამეერთე საუკუნის მიჯნაზე მყოფ ცივილიზებულ ერს რომ არ ეკადრება.

... საქართველო არა მხოლოდ მარიამ ღვთისმშობლის წილხვედრი ქვეყანაა. იგი ბრძოლებგადახდილი და განჯუგადატანილი სახელმწიფოა, დიდ წინაპრებს ვაიფავლახით ჩვენამდე რომ მოუტანიათ. მსოფლიოს ცივილიზაციის გზაზე დიდი ხანია გათენდა – საგნები მშვენივრად ჩანან. თუ გესურს მთლიანი და განუყოფელი საქართველო, დავარქვათ ყველას და ყველაფერს თავისი სახელი“.

„დრო და შემოქმედი“ სრულიადაც არ არის „პოლიტიზირებული“ წიგნი; თუმცა შემოქმედების, ხელოვნების, სულიერების უწინარესობისა და უპირატესობის შეუვალი მტკიცებაც ხომ თავისებური პოლიტიკაა! კრებულის ლომის წილი ხელოვნებასა და ხელოვანის მისიაზე განსჯას ეთმობა.

საზღვარგარეთული დღიურები და ჩანაწერებიც სწორედ უცხოური თუ ქართული ხელოვნების ფენომენს ეძღვნება: „ეფიქრობდი საუკუნეების მანძილზე ისტორიული ბედით საზღვრებშემოვლებული ჩემი ქვეყნის შემოქმედ ადამიანთა ფენომენზე, ეფიქრობდი ნიკო ფიროსმანზე, მიხეილ მესხზე (ის ყოველთვის ჩემთვის დიდ შემოქმედად დარჩება), გალაკტიონზე, ეაქაზე, ბარათაშვილზე და სხვებზე. ისინი ხომ ფაქტიურად, ბედის ირონიით, მდინარის საწინააღმდეგოდ ცურავდნენ. და თუ მაინც არ ჩაქრნენ მსოფლიო ცივილიზაციის ფონზე, მათი ნიჭის ელვარების წყალობით“.

ავტორის კვალობაზე, მეც მინდა ჩაეუფიქრდე ერთ უცნაურ ფენომენს: როგორ მოხდა, რომ კომუნისტური გოგალიგარიზმისა და უმკაცრესი ცენზურის პირობებში, ელგუჯა ამაშუკელის (და, ცხადია, არა მარტო მისი, მაგრამ ამჯერად მხოლოდ მასზე ვსაუბრობთ) დიდი ხელოვნება, „ღინების საწინააღმდეგო“ – უაღრესად ეროვნული და პაგრიოტული, ბევრი წერილმანი თუ მსხვილმანი დაბრკოლების მიუხედავად, ჯეროვნად დაფასდა?!

ჯერ იყო და, 1958 წელს, აწ უკვე ქალაქის სიმბოლოდ ქცეული „ქართულის დედა“ მექმნა: 1963 წელს ძეგლი დაიდგა, 1965 წელს ავტორს მიენიჭა რუსთაველის პრემია სახელით ხელოვნებაში (ლადო გუდიაშვილთან ერთად!); 1959 წელს ვახტანგ გორგასლის ძეგლის კონკურსში გაიმარჯვა (კონკურსში მონაწილენი ერთმანეთზე უკეთესები იყვნენ – აღნიშნავს ავტორი ჩვეული კეთილმოსურნეობით), ძეგლი მხოლოდ 1967 წელს დაიდგა; 1978 წელს

ელგუჯა ამაშუკელს საქართველოს სახალხო მხატვრის წოდება მიენიჭა, 1988 წელს სსრკ სახალხო მხატვრისა, 1988 წელს რუსეთის საზნაგური აკადემიის წევრ-კორესპონდენტად აირჩიეს; გორისა და მალთაყეის მემორიალებისათვის 1986 წელს სსრკ სახელმწიფო პრემია მიენიჭა; უფრო ადრე „დედაენის“ ძეგლისათვის, 1984 წელს – იაკობ გოგებაშვილის სახელობის პრემია...

ახლა მელლის მეორე მხარე შოვისილოთ: „შემოქმედებითი ცხოვრების გზაზე, სიხარულთან ერთად, ბევრი ტკივილიც განმიცდია. ვიღრე ჩემს ამა თუ იმ მხატვრულ ჩანაფიქრს ხორცს შევასხამდი, არა ერთი და ორი წინააღმდეგობა გადამიღახავს. ...მჯეროდა, – ხელოვნებაში მთავარი შედეგია და არა შედეგის განმსაზღვრელი ფაქტორები. მჯეროდა, – ხელოვანის მეგზური შემოქმედებაშიცა და ცხოვრებაშიც სიკეთე უნდა იყოს და თუ მის „სპილოს ძვლის კოშკს“ ბოროტებაც დაუკაკუნებს, ესეც არ უნდა ეუცხოოს“...

ორიოდე მაგალითი: მოქანდაკის უფროსი კოლეგები „აბეზღებენ“ „გორგასალისა“ და „ქართულის დედის“ ავტორს რუს აკადემიკოს კოლპინსკისთან, თითქოსდა ეს ძეგლები ფაშისგური სეასტიკის ფუძეზე აგებული კომპოზიციებია!

თბილისის ქალაქკომის მდივანს უგზავნიან რუსთაველის პროსპექტის იმ წერტილიდან გადაღებულ ფოტოს, რომლიდანაც ამქამინდელ თავისუფლების მოედანზე განთავსებული ლენინის ძეგლის კისერს „ქართულის დედა“ ხმლით ებჯინება!

მოშურნეთა თუ ინგრიგანთა ვინაობა მალევე გარკვეულა და ძეგლიც გადარჩენილა. მაგრამ თავად შემოქმედმა იცის, რად დაუჯდა მას ეს მოულოდნელი ელდა.

მსგავს „წვრილმან“ უსიამოვნებებს ხელი არ შეუშლია მოქანდაკისათვის, რათა 1967 წელს ფოთში აღმართული დიდების ძეგლი შეფარვით წმინდა ნინოს სახესთან მიეახლოვებინა – ქალის ფიგურას ხელთ ხმალი უპყრია თუ ჯვარი, ეს მნახველის მზაობაზეა დამოკიდებული. ქედუხრელი საქართველოს სიმბოლოს, ლომზე ამხედრებული მშეჭაბუკის ძეგლი, ელგუჯა ამაშუკელისა და მის გორელ თანამოაზრეთა მცდელობით, 1979 წლის 26 მაისს გაიხსნა (ქართულთა საფიცარ დღეს!).

„დიდი შრომის გარეშე ნიჭი ჭკნება. დიდი გალანგი, შრომის გარეშე განწირულია დასადუჰავად. გექნიკა შრომის შედეგია“ – ამ თითქოსდა გრივიალური სენგენციის ავტორი თავად იძლევა მუხლჩაუხრელი შრომის მაგალითს: „ვახტანგ გორგასლის

ბეგლის საკონკურსო პროექტი 15 კვ. ფართობის საცხოვრებელ ბინაში გამოცემულა. იმავე ქანდაკების მოდელი – კამოს ქუჩაზე, დროებით მოცემულ 20 კვ. ოთახში. ცუდი განათების გამო მუშაობა ელექტრონის შუქზე მიხდებოდა. ამიგომ ნამუშევარი საბოლოო კორექტირებისათვის გადავიგანე მეგების პლაგოზე, მაშინ იქ არსებული პოლიკლინიკის ერთ-ერთ ოთახში, რომელიც პლაგოს რეკონსტრუქციის დროს მშენებლებმა დაანგრიეს და მას მტკიარში ჩემი ქანდაკებაც გადააყოლეს (ორი წლის მუშაობის შედეგი! – ლ.ა.)... ბეგლის ახალი სამუშაო მოდელი მეგების გაძარში შექმენი. ნაგებობა არ თებოდა, ზამთარში შიგნით ისევე ყინავდა, როგორც გარეთ. მუშაობის პერიოდში ორჯერ მძიმედ გავხდი ავად – ერთხელ ფილგების ანთებით, მეორედ მხრის მწვავე პლექსიგით. ... მეგების ეკლესიაში ოთხ-წლიანმა წრთობამ მომავალში ფასდაუდებელი სამსახური გამოწია. შემდგომში უფრო უარეს პირობებშიც მიმუშავია, მაგრამ იოლად გადამიგანია ყველა სიძნელე“...

ახლა, როცა რეკლამისა და თვითრეკლამის ინტენსივობამ ლამის დაჯაბნოს ნიჭიერება, ისიც გავისხენოთ, რომ ელგუჯა ამამუკელი მუდამ გაურბოდა ერთსაც და მეორესაც. იგი ვერც მამა-ბიძათა წაბიძგებით, ვერც პარტიულობით (მარადიული უპარტიოა), ვერც ვისიმე მოქრთამებით გაიგანდა თავს; თუ არა ცინცხალი ნიჭიერება, შესამური უნარი ნიადაგ შრომისა და, რა თქმა უნდა, ღვითით ბოძებული იღბალიც, ღლეს შესაძლოა, მისი ქანდაკებების რიცხვი ნაკლები ყოფილიყო.

იყო დრო, როცა მისი ქანდაკების დაღმისაგან თავს იკავებდნენ – „სოფლის მეურნეობის გეგმა ვერ შეგვისრულებიაო“... კურიოზებიც მრავლად იყო და, სამწუხაროდ, ახლაც არის.

ჭემმარიგტი გალანტი კი მუდამ გაიკვლევს გმას, თვით გოგალიგარულ სახელმწიფოშიც, მსოფლიო კულტურის ისტორია ამის უამრავ მაგალითს იცნობს.

„დრო და შემოქმედის“ ავგორი არაერთხელ გაუწბილებიათ, რბილად რომ ეთქვათ, ნაკლებად ნიჭიერ კოლეგებს თუ უბრალოდ, – მოშურნეებს; მაგრამ ეს მას არც აკრთობს და არც აკეირვებს: „მე შემხედრია ბევრი ჰუმანისტი პოეტი, მხატვარი, მსახიობი, მუსიკოსი და ა.შ., რომელთაც მშიერი კაგის დანახვაზე თვალეები ცრემლით ევსებათ, მაგრამ საქმე რომ საქმეზე მიღგება, ერთმანეთს უფსკრულისაკენ ისე უბიძგებენ, რომ თვალს არ დაახამხამებენ.“ – ეს არც ნიშნის მოგებაა და არც ცინიკური

ქირქილი: ეს ხელმოწერა ბუნებრივი ანგაგოსინიზმის იემორიის შეფერილი პი.ჰერბოლურ-მეგაფორული გადმოცემაა.

ვისე ელგუჯა ამაშუკელს კარგად იცნობს, შეუძლებელია არ შეენიშნა მისი ერთი, მეგად მიმზიდველი ღირსება – სიბრძნესა და ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან ძალდაუგანებლად შერწყმული ბავშვერი სიხალასე და სიხალისე. მზაობა აღგაყებისა და გაკვირებისადმი. მაგრამ მის „ბავშვერობას“ არაფერი აქვს საერთო „ინფანტერიბალის“ („უზნეო ბავშვის“) სინდრომთან. ავრერიგად რომ არის გავრცელებული შემოქმედთა წრეში.

ჩემი თვალსაზრისის დასაზუსტებლად, უმჯობესია თავად ელგუჯა ამაშუკელს დაუთმო სიგყვა: „შემოქმედება დაუსრულებელი ბავშვობაა. შემოქმედი მხოლოდ იმას ხედავს, რაც სურს რომ დაინახოს; რაც არ აღელებს, არ იზიდავს, იმას არ ამჩნევს და არც ხედავს. ბავშვი ხომ თავისი ფანტაზიით, სათამაშოებით თავად იქმნის სინამდვილის ილუზიას, იკმაყოფილებს თავის ცნობისმოყვარეობას და იქმნის მიკროგარემოს. შემოქმედი რეალური შთაბეჭდილებების გაყენით, წარმოსახული ფორმით ქმნის ახალ სინამდვილეს. ერთ შემთხვევაშიც და მეორე შემთხვევაშიც განცდა სინამდვილის იდენტურია და მას საუშუალოდ უშუალოდა უდევს“.

თიიქმის არაფერი მითქვამს ავგორის ლაკონურ ამრებსა თუ სენგენციებზე; მკითხველს ღიდ სიამოვნებას მიანიჭებს სხარგად გამოთქმული, აფორისგული, ზოგჯერ პარადოქსული შეხედულებების გაცნობა. ჭაშნიკად კი ერთ მათგანს შემოგთავაზებთ:

„თუ ჩემი შემოქმედება შენ წონასწორობას გიკარგავს, იძიე მური და გამომიცხადე სიყვარული“.

2001 წ.

პატარა ქვეყნის ღიდი მწერლობა

უცნაური ბედი დაგყვა ქართველებს: ღღეს, როცა გლობალ-იზაცია პოლიტიკურ თუ ეკონომიკურ სიკეთესთან ერთად, ღიდ საფრთხესაც უქმნის ჩვენს ეროვნულ თვითმყოფობას, – გვიხდება ბრუნვა არა მხოლოდ იმისათვის, რომ უნიკალური კულტუ-

რული მემკვიდრეობა დავიცვათ. არამედ იმისთვისაც, რომ, ბოლოს და ბოლოს, მსოფლიოში კი არ „გვეცნოს“ – გაგვიცნოს!

„ქართველი ხალხის ისტორია ოცდაათი საუკუნის ისტორიაა. ასურეთი-ბაბილონის მომსწრეებს გელეფონისა და ელექტრონის ხანამდე მოგვიღწევია და დღეს გარემოება ისეთი დაგვიდგა, რომ იძულებული ვართ ჩვენი ვინაობის შესახებ ვილაპარაკოთ: იცოდეთ, თანამედროვე ხალხნო, რომ ჩვენცა ვართ... – ვემუდარებით ყველას. ოცდაათი საუკუნის ისტორია კი სადღაც ჩაიყლაპა“. – ეს ტკივილიანი სიტყვები არჩილ ჯორჯაძემ 1909 წელს გაზეთ „დროებაში“ გამოაქვეყნა.

„იქნებ იწამოს მსოფლიოში სილამაზისათვის ჯეარცმული ერი!“ – ეს კი ახალგაზრდა გიციან გაბიძის ნაოცნებაარია, გამოთქმული 1915 წელს.

აღარც თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებად ვიწოდებით და აღარც საქართველოს საბჭოთა სოციალისტურ რესპუბლიკად, მაგრამ, დამოუკიდებლობის ათი წლის შემდეგაც ჩვენი კულტურული მემკვიდრეობა, ინტერნეტის ხანაშიც კვლავ „ტერა ინკოგნიტად“ რჩება.

მწარე რეალობა ასეთია: „დღესდღეობით უცხოეთის ნებისმიერ ქვეყანაში – ჩვენი უახლოესი მეზობლებით დაწყებული და შორეული სახელმწიფოებით დამთავრებული – ან საერთოდ არაფერი იციან საქართველოს, ქართველების, ქართული მწერლობის, სულიერების შესახებ, ან ერთობ მწირი ინფორმაცია მოუპოვებათ. მწირი, ხშირად მცდარი და არცთუ იშვიათად – განზრახ გაყალბებულიც“.

ამ სიტყვების ავტორი ცნობილი მწერალი და მთარგმნელი, ლიტერატურისა და ფილოსოფიის მკვლევარი, მრავალი ჩინებული წიგნის ავტორი რევაზ თვარაძეა. ფუნდამენტური წიგნის – „თხუთმეტსაუკუნოვანი მთლიანობისა“ და სხვადასხვა დროის ქართველი მწერლებისადმი მიძღვნილი მონოგრაფიული თხზულებების დამწერს უთუოდ ხელეწიფება იმ საშური სამუშაოს გასრულებაც, თავს რომ იღვა: ახლახანს გამოიყა რევაზ თვარაძის „ქართული ლიტერატურის ისტორია, მოკლედ მოთხრობილი უცხოელთათვის“, ნაკვეთი პირველი, გამოცემლობა „საქართველოს მაცნე“, თბილისი, 2001. მცირე წინათქმაში ვკითხულობთ: „ამ წიგნში ქართული ლიტერატურის ისტორია არის მოთხრობილი და უცხოელთათვის არის მოთხრობილი.“

გულდასაწყვეტი იქნება, ქართული სულიერების მშვენება

სამკლამოდ დაუარული რომ დარჩეს დანარჩენი კაცობრიობისათვის.

ნაგულისხმევი საქმის აღსრულების ერთი პირველი ცდაა ეს წიგნი. უმჯობესის შექმნა სხვათათვის მიძინდვია სამომავლოდ.

ვიდრე წიგნი უცხოურ ენებზე ითარგმნებოდეს, აუცილებლად მივიჩნიე მისი ქართულად გამოქვეყნება – ქართველობამ უნდა იცოდეს, რას მოუთხრობს უცხოელებს ჩვენი ლიგერაგურის შესახებ ესა თუ ის ავტორი“.

სულიერების საყოველთაო დაკნინება და მსოფლიოში „სამომხმარებლო“ სულისკეთების მძლავრობა, ჭეშმარიტი კულტურის მისი სუროგატით – კომერციული მასკულტურით ჩანაცვლება, კიდევ უფრო მღუდავს ჩვენს სურვილს – დავაინტერესოთ უცხოეთი ძველი ქართული ცივილიზაციით და, კერძოდ, – მწერლობით.

დღევანდელი რეალიების გათვალისწინებით, რევამ თვარაძეს საესებით მართებული გზა აურჩევია. მისი „ქართული ლიგერაგურის ისტორია“ არის მცდელობა – მიმზიდველად, მისაწვდომად, საინტერესოდ და გასაგებად, – მოუთხროს მკითხველს საქართველოზე, მის ისტორიასა და მითოსზე, მწერლობასა და ანბანზე, „გაუჩინარებულ“ მწერლობაზე თუ მაგერიალური კულტურის ძეგლებზე, მოუთხროს – მსოფლიო ცივილიზაციის კონტექსტში, არა სქოლასტიკურად და მშრალად, არამედ ლაღად, დამაინტრიგებლად. ის არ გაურბის არც სტილისტურ ეკლექტიკას; ბელეტრისტიკის თუ ესეისტიკის, მეცნიერული განსჯისა თუ პუბლიცისტიკის ერთგვარი „ნაბავით“ საუკეთესო შედეგს აღწევს: წიგნი მართლაც რომ „ერთი ამოსუნთქვით“ იკითხება.

უჩვეულოა წიგნის აგებულება: ვრცელი შესავალი შეიცავს რამდენიმე აუცილებელ ინფორმაციას საქართველოსა და ქართველებზე, ენასა და დამწერლობაზე, მითოსსა და ლიგერაგურის სათავეებზე („საქართველო და ქართველები“, „ენაჲ შემკული და კურთხეული“, „მითოსის ნამუსრევები“, „დამწერლობისა და ლიგერაგურის სათავეებთან“).

ამის შემდეგ ავტორი მეგზურობას გვიწევს ქართული სულიერების საუულოში: „გაუჩინარებული ლიგერაგურა“, „სულიერი ლანდშაფტი“, „დეალიზმის პრობლემა“, „მეუღაბნოე უფლისწული“, „მცირე ექსკურსი“...

რევამ თვარაძე აუცსლებლობად მიიჩნევს იმის განმარტებასაც,

თუ რატომ დაუთმო დიდი ადგილი „არალიგერატურულ“ რეალიებს: „ამ წიგნის სპეციფიკამ განაპირობა, რომ წმინდა ლიტერატურულ-ესთეტიკურ საკითხებზე აქამდე მხოლოდ გაკერით ვეჭონდა საუბარი აქა-იქ. რაკი წიგნი უცხოელთათვის იწერება, ხოლო უცხოელებს, ჩვეულებრივ, არაეითარი ან თითქმის არაეითარი წარმოდგენა არა აქვთ საქართველოს, ქართველების, ქართული კულტურის გრადიციების შესახებ, ჩემს მოვალეობად მივიჩნიე მკითხველებს შეძლებისდაგვარად შევძლოლოდი ქართული სულიერების საუფლოში“.

ქვეთაეები – „ჰავიოგრაფები-და პიმნოგრაფები“, „მწიგნობართა და რაინდთა ქექყანა“, „მეთორმეგე საუკუნის ლიტერატურა“, „რუსთაველთან მიახლოება“, „სიყვარულის მოძღვრება“ – საკუთრიე მწერლობას რომ ეხება, ერთგვარად გვამზადებს „ვეფხისტყაოსნისათვის“; ქართული პოეზიის დღემდე მიუწედომელი მწვერული, მსოფლიო მწერლობის შედევი და „ქართველთა სახარება“, ადრეული რენესანსული პოემა (ქართველთა თვალთახედვით) – მისაწედომი უნდა გახდეს უცხოელთათვისაც. სწორედ „ვეფხისტყაოსანსა“ და მის აეგორს ეხება ორი თაეი: „ყოგა რამ რუსთაველისა და მისი ქმნილების შესახებ“ და „ამბავი ვეფხისტყაოსანი რაინდისა“.

წიგნის პირველი ნაკვეთის ბოლო თაეი – „მექანიკური წყეეგილი“ – მკითხველს განამზადებს ქართული მწერლობისა და საქართველოს ისტორიის იმ პირქუში საუკუნეების აღსაქმელად, ე.წ. „ოქროს ხანის“ შემდეგ რომ დაგეაგყდა თაეს.

ორიგინალურად არის მოწოდებული სადაეო, დღემდე საკამათო პრობლემები: აეგორი არ ამელაენებს მიკერძობას, არც პირადი მოსაზრებების გამელაენებას არილებს თაეს. ზემოთქმული ეხება ქართველთა ეთნოგენეზისს, ქართული ენის მიმართებას სხვა ენებთან, ქართული დამწერლობის აღმოცენების საკითხებს, ბიზანტიურ-ქართულ და ქართულ-ბიზანტიურ ლიტერატურულ ურთიერთობებს და ურთიერთმეგავლენას, ძველი სიგყვაკამშული მწერლობის ძეგლთა „გაუჩინარების“ მიზეზებს და სხვა.

აეგორი აუცილებლად მიიჩნეეს ჩვენი ხასიათისა და ბუნების, მისი ამბიეალენგური არსის გადმოცემას (უცხოურ თუ ქართულ წყაროებზე დაყრდნობითაც და პირად მოსაზრებათა საფუძველმეც), ქართული მსოფლმხედველობის თავისებურებათა წარმოჩენას და მათ მეგავლენას ლიტერატურაზე. განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს დუალიზმის პრობლემას.

ცხადია, ამ სახის წიგნი დაზღვეული ვერ იქნება სუბიექტივიზმისაგან. ამას რევამ თვარაძე არც უარყოფს (ჩემი აზრით, სუბიექტივისტური ნაკადის გარეშე, მისრობელის ემოციური ზეგავლენა განუმოძლად ნაკლები იქნებოდა). მისივე მოწოდებული ცნობები ანტიკური საქართველოს უნიკალურ მაგერიალურ ძეგლებზე, ფოლკლორის არქაულ დანაშრევებზე, წარმართული ხანის აურაცხელ ნაშთზე, თუნდაც ნეკრესის ბოლოდროინდელ აღმოჩენაზე (წინარექრისტიანული ხანის ქართული წარწერა); დღემდე ხელუხლებლად მოღწეული წარმართული საგალობლები ან მთაში დღესაც დაცული წარმართული ადათ-წესები, გრადიციები და სხვა მისთანანი, ცოცხა არ იყოს, აფერმკრთალებს რევამ თვარაძის მოსაზრებას: „ქართულ კულტურაზე საუბრისას უმთაერესი და განმსაზღვრელი, ქართველი ერის სულიერი რაობის წარმომჩენი მაინც არის ქრისტიანობის მიღების მომდევნო ხანა. ქართული კულტურა თავისი არსებით ქრისტიანული კულტურაა...“

არადა, ჩვენამდე მოღწეული პირველი ქართული თხზულება „შუშანიკის წამება“, აღიარებული თვალსაზრისით, შეუძლებელია ცარიელ ადგილას აღმოცენებულიყო. თუმცა, ისევ აეგორს მოუესმინოთ: „ჭეშმარიტებისაგან ალბათ შორს არ აღმოვჩნდებით, თუ ვიგყვით, რომ ქართული წარმართობისდროინდელი ლიტერატურული გრადიციები საკმაო საფუძვლად გამოდგებოდა საიმისოდ, რათა საქართველოშიც ეფიქრათ მთელი „ბიბლიის“ თუ არა, მის ცალკეულ წიგნთა თარგმანზე... გარკვეული ადგილობრივი ლიტერატურული გრადიციების უქონლად ქართველნი ესოდენ კადნიერად ვერ შეჰბედავდნენ საღვთო წერილის ქართულად ამეგყველების ურთულესსა და უსათუთეს საქმეს. ყოველ შემთხვევაში, იმ დონის თარგმანს ვერ შექმნიდნენ, როგორც ადრეული საუკუნეებიდანვე (დადგენილია, რომ „სახარება“ და „ფსალმუნნი“ ქართულად IV საუკუნეშივე უთარგმნიათ) გვიდასტურდება“ და ა.შ.

ძალზე მართებულად მეჩვენება რევამ თვარაძის პოზიცია ძველი ქართული ლიტერატურის „საეროდ“ და „სასულიეროდ“ მკვეთრი გათიშვის წინააღმდეგ: „საეროდ“ და „სასულიეროდ“ კი არ უნდა გაყმიჯნოთ საკაცობრიო ლიტერატურული მეშკვიდრეობა, არამედ ამოსავალ პრინციპად უნდა მოვიმარჯვოთ ცნება დამოუკიდებელი ესთეტიკური ღირებულებისა“.

სწორედ დამოკიდებული ესთეტიკური ღირებულებაა ის კრიტიკერიუმი, რომლის მიხედვით, IV-XII საუკუნეთა ქართული პავიოგრაფია და კიბნოგრაფია გოლს არ უდებს ნებისმიერი ქრისტიანული ქვეყნის მწერლობას.

თუკი ავტორის ერთი შემოსხენებული მოსაზრების პერიფრაზს მივმართავთ, შეკვიძლია დაუეჭვებლად ვალიაროთ, რომ ჩვენამდე მოღწეული ქართული მწერლობა თავისი არსით ქრისტიანული მწერლობაა...

ახლებურად წარმოგვიდგება ძველი საქართველოსა და გარესამყაროს ურთიერთობა, განსაკუთრებით, საბერძნეთ-ბიზანტიასთან მიმართებით; ისიც, რომ დასაუღეთ ევროპასთან დაახლოებას ხელს უშლიდა მათ შორის „გახილული ბიზანტიის იმპერია თავისი მოუწყინარი ამბიციებით“; ქართველთა მრავალსაუკუნოვანი გოლერანტული დამოკიდებულება საქართველოში მცხოვრები სხვადასხვა ეროვნებისა თუ აღმსარებლობის ხალხებისადმი და ა.შ.

მართებული სიამაყის გრძნობას იწვევს, მაგრამ სევდანარევიცაა XI-XIII საუკუნის საქართველოს „ოქროს ხანის“ მიმოხილვა: „ქართველნი იმდროინდელი ქრისტიანული ქვეყნიერების ფარგლებში ბენიგზე იმყოფებიან სულიერების განვითარების თვალსაზრისით.

მაგრამ ბენიგზე ყოფნა იმასაც ნიშნავს, რომ მთავრდება ან დამთავრდა განვითარების ერთი ციკლი და ამას მომდევნო ციკლი უნდა მოჰყვეს“...

„ოქროს ხანის“ გვირგვინი და მშვენებაა რუსთაველი – გეცისა და მიწის შუაკაცი, სულისა და სხეულის დუალიზმის დამძლვევი, სიყვარულის, სიკეთის, მშვენიერების გენიალური აპოლოგეტი.

XIII საუკუნიდანვე იწყება საქართველოს ისტორიის, კულტურის არნახული დაღმასვლა, ეპოქა, რომელსაც რევამ თვარაძე თამარის მემატიანის მიერ მეფის გარდაცვალების გამო თქმულ ფრაზას მიუსადაგებს: „დღემან იწყო მიდრეკად და მგემან – დასლედ და პაერმან სხვად ფერად უფერულობა. და ცისკარსა დღისასა ზედა იწყეს შემოსად ბნელთა ღრუბელთა. იცვალა ფერი ქართველთა მხიარულებისა“...

იმედი ვიქონიოთ, რომ რევამ თვარაძის წიგნის მეორე ნაკვეთისაც მალე მიიღებს მკითხველი, უწინარესად, ქართველი

მკითხველი ახალგაზრდობა, რომლის დიდი ნაწილი, სამწუხაროდ, უფროსის სქელგანიან სამეცნიერო ნაშრომებს (ბოგიც, მისივე აღიარებით, მწყრაღად არის რაგინდარა ეანრის წიგნთან). ამ მხრივ ეს წიგნი სულზე მისწრებაა, რადგან იგი ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიის პოპულარული და მიმზიდველი გადმოცემის პირველი და ფრიად წარმატებული ცდაა.

იმედი ვიქონიოთ, რომ დღევანდელი ძნელბედობის ხანაშიც გამოინახება სახსარი უცხოელთათვის გამიზნული წიგნის უცხოურ ენაზე გამოსაცემად.

2001 წ.

„გემოქმედება განმარტოებული ხელოვანის თავის შექმნა როლია“

კოტე ჯანდიერი

„ახლებურად მოაზროვნეებს“ დღეს ძალზე აღიზიანებთ ქართულ გრადიციებზე მითითება; არადა, სწორედ ეროვნული თვითშეგნება, გრადიცია, ფესვები, ჩვენი კულტურული „გენეტიკა“ – თვითმყოფობის შენარჩუნების ანუ თავის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა, შეიძლება ითქვას, პანაცეაა.

ჩვენთვის ახალმა ხილმა – საბაზრო ეკონომიკისა და „ბაზრული“ გემოვნების განდემმა დასაველური სამყარო კულტურულ კრიზისამდე მიიყვანა. განსხვავება ის გახლავთ, რომ იქ დიდი ხანია, გაცნობიერებული აქვთ ეს გარემოება და მეგ-ნაკლები წარმატებით ებრძვიან კიდევ მას; ჩვენ კი, პირიქით: უცხოური თუ მისი წამხედურობით შექმნილი „მშობლიური“ მასკულტურის ლავამ ლამის წაგვლეკოს. მწერლობისათვის საბედნიეროდ, ეს, უწინარესად, პრესასა და, განსაკუთრებით, ელექტრონულ მასმედიამზე ითქმის. უფსკრული კულტურასა და მის სუროგატს შორის ღრმავდება; ჭეშმარიტ ხელოვნებას კომერციული შოუ-ბიზნესი და ბულვარული მწერლობა ენაცვლება, კაგას-გროფულად მრავლდება მათი „მომხმარებლების“ რიცხვიც. დასაველური გაიორება (ელიტარული-პოპულარული) კარგს

არაფერს გვიქაღის; ამას გადაჭრით ეწინააღმდეგება ქართული გრადიციაც.

გერონგი ქიქოძე: „ჩვენი ისგორიული გრადიცია საუკეთესო საფუძველს წარმოადგენს ხალხისა და ესთეტიკური კულტურის შესაუღლებლად. ქართული ხელოვნება არასოდეს არ ყოფილა განკერძოებული და მიუწვდომელი; ქართველ მწერლებს, ხუროთმოძღვრებსა და მხატვრებს არასდროს არ ჰქონიათ მიუკარებელ ქურუმთა კასტის ხასიათი. მათი შემოქმედება გულგაშლილი იყო სამხრეთის მზის სინათლისათვის, რომელიც ერთნაირი სიუხვით უნათებს ყმასა და მბრძანებელს. ჩვენი ხელოვნება დამწყვედული არ ყოფილა არც პირამიდებში, სადაც მხოლოდ ფარაონებს სძინავთ, არც ცისე-კოშკებში, სადაც მხოლოდ რაინდები ცხოვრობენ, არც სალონებში, სადაც მხოლოდ არისტოკრატიები მოძრაობენ. ქართული გაძრები და სასახლეები ხშირად ბორცვებსა და გორაკებზე შენდებოდა, რათა ყოველ თვალებილულ არსებას შეძლებოდა მათი დანახვა, შენობის კედლები ჩუქურთმებითა და მხატვრობით იყო დაფარული, რათა ყველასათვის მისაწვდომი ყოფილიყო დიდი ხელოვნება“ („ხელოვნების აღორძინებისათვის“, 1917 წელი).

თანამედროვე პოპკულტურამ თუ მასკულტურამ, რომელთა „უკულტურო“ ნაყოფს ვიმკით დღეს, რამდენადმე ქართულ მწერლობამეც მოახდინა მათზე ზეგავლენა (განსაკუთრებით – ახალგაზრდულზე). ახალი კონიუნქტურა (წიგნი – საქონელია, თუ გინდა გაყიდო, ამისთვის უწიგნურ მასას თავე უნდა მოაწონო!) არაფრით არ დგას ძველ იდეოლოგიურ კომპრომისზე მაღლა.

კოგე ჯანდიერი იმ იშვიათი მწერალთა რიცხვს მიეკუთვნება, ელიტარულიც რომ არის და პოპულარულიც (ქართული გრადიციისამებრ). არსებითად და ქრონოლოგიურადაც, იგი ე.წ. „ოთხმოცდაათიანელების“ ერთი ლიდერთაგანია (თაეად მწერალს ამ სიგყვაზე „იდიოსინკრაზია“ რომ აქვს, ამაზე ქვემოთ მოგახსენებთ).

მოსეს 40 წელი დასჭირდა, რათა თავისი ხალხისათვის წარსული დაევიწყებინა და მონის კომპლექსისაგან გაეთავისუფლებინა. XX საუკუნის დასასრულს ყველაფერი დაჩქარდა, თუმცა თაობა, რომელსაც გოგალიტარული რეჟიმი არ მოსწრებია, ჯერ კიდევ ეერ გამოვა სალიტერატურო სარბიელზე; ამას ალბათ ათობით წელი დასჭირდება.

კოგე ჯანდიერის პირველი და ჯერჯერობით ერთადერთი წიგნი. პროზაული კრებული „ცუდი ბიჭების ცხოვრებიდან“ 1995 წელს გამოიყა („პერანი“, რედაქტორი – მანანა სანალირაძე, მხატვარი – გოგი წერეთელი, გამოცემლობის დირექტორი – გურამ გვირდწითელი). თვალსაჩინო ავტორმა, რომელსაც მკითხველი ქურნალებში გამოქვეყნებული ორიოდუ მოთხრობით თუ იცნობდა, წიგნით უმაღვე მიიქცია ყურადღება. აღგაცება ვერ დამალა ცნობილმა და დახვეწილი გემოვნების ლიტერატურათმცოდნე ალექსანდრე გვახარიაძე: „ლიტერატურული საქართველოს“ ყურელებზე იგი მიესალმა კოგე ჯანდიერის წიგნს და რწმენა გამოთქვა, რომ ქართულ კრიტიკას შეუძნეველი არ დარჩებოდა მშვენიერი კრებული. უნდა ითქვას, რომ კრიტიკის იმეამინდელი „გარინდებისა“ თუ მწერლობის გაუფასურების კვალობაზე, წიგნმა სათანადო დაფასება თუ შეფასება ვერ შოი-პოვა; ამას ხელი არ შეუშლია კოგე ჯანდიერის პოპულარობისათვის ინტელექტუალურ წრეებშიც და ახალგაზრდა თაობის მკითხველთა შორისაც.

პროზაული კრებულის სახელწოდება „ცუდი ბიჭების ცხოვრებიდან“, ავტორის მიერ პერსონაჟთა თითქოსდა მკაცრ შეფასებაზე რომ მიგვანიშნებს, ირონიული ქვეგექსტის შემცველია: კოგე ჯანდიერი გადმოსცემს იმათ ცხოვრებას, ვინც გულით უყვარს და ვისაც უდიდესი გკივილითა და თანაგრძნობით ხაგავს; ეს მისი თაობაა, მისი სისხლი და ხორცი, „უდროობის დროის“, იდეალიზმისა და რომანტიზმის მსხვერვეის, საყოველთაო უნდობლობის, ურწმუნობისა და გაყრუებული იმედების ქამის ნაყოფი. ეს არის დრო, როცა თითქოსდა მოჯადოებულ, დახშულ სივრცეში, ახალგაზრდობის ცხოვრება წრებრუნეას ჩამოჰგავს; ეს არის დრო, როცა ჩვეულებრივი გოგო-ბიჭები, უკუღმართ ვითარებასა და ურთიერთგაუცხოების გარემოში მოხვედრილი, აწმყოსა და მომავალში რაიმე ნათელ ნიშანსევეს ვერ ხედავენ; უნიჭონი ან ხელმოცარულნი სულაც არ არიან, მაგრამ რისი გაკეთებაც შეუძლიათ, იმასაც ვერ აკეთებენ, ვისი სიყვარულიც ძალუძთ, იმის შეყვარებასაც გაურბიან.

კოგე ჯანდიერის მოთხრობა „დაპატიება კინოში“ – მონოლოგური ცხოვრების, დაქარგული და გაფლანგული დროის, უღიმღამო და უშინაარსო ყოფის გამო სინანულია. მწვავე შინაგანი პროტესტის მიუხედავად, გმირი წყალწაღებული ნაფოტივიით ინ-

ერგულია, ყოველდღიურობის მონად ქცეული, თავის თავში ჩაკეტილი და საკუთარი სულის ნიადაგ მჩხრეკავი. მხოლოდ საყვარელი გოგოს უეცარი დაღუპვა დაანახებს გმირს (და მკითხველსაც), რომ სიცოცხლის შიში, სიყვარულის შიში და გაუთავებელი თამაში საკუთარი თუ სხვისი გრძნობებით, დროის „მოკვლა“ (პირდაპირი მნიშვნელობით) ეგოისტური უგნურობაა.

კოტე ჯანდიერი არაფერს არც ალაბამებს, მაგრამ არც ამახინჯებს (საბედნიეროდ: თანამედროვე რუსული და ნაწილობრივ, ქართული პროზის ერთი ფრთის „ჩერნუხა – პორნუხა“, „შაეი“ იუმორი და თვითმიზნური სადიმ-მამოხიზმი – ამაზრზენია); შესანიშნავი მთხრობელის ნიჭის გარდა, მას უხვად აქვს მომადლებული მაღალმხატვრული გემოვნება და ზომიერების საოცარი ალღო. თუკი ოდესმე XX საუკუნის რჩეული ქართული მოთხრობის ანთოლოგია შედგება, „დაპატიჟება კინოში“ თამამად გაუწევს მეტოქეობას სხვადასხვა დროის ქართველ პროზაიკოსთა თხზულებებს.

ახალგაზრდა პროზაიკოსების სადღეისო, ძალზე მოდური ტენდენცია – უგენდენციობის მკაცრი მოთხოვნაა, რასაც კოტე ჯანდიერი – მხატვარი მაინცდამაინც არ იზიარებს („თეორიულ პლანში“ პირიქითაა: ერთ ინტერვიუში იგი შეუვალად ემიჯნება „მორალიზატორებს“: „მწერალი, პირველ რიგში, არ უნდა იყოს მსაჯული, მით უმეტეს – პროკურორი არც საკუთარი პერსონაჟების და არც რეალური ადამიანების. მორალიზატორობა მწერლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია, რადგან, საბოლოო ჯამში, იგი იწვევს მკითხველის სიძულვილს საერთოდ წიგნისა და ლიტერატურის მიმართ“).

ამ, ცოტა არ იყოს, ზედმეტად მკაცრ მოსაზრებას მწერალი თავადვე აბათილებს საკუთარი შემოქმედებით; სწორხაზოვან მორალიზებას, რა თქმა უნდა, ოსტატურად (და სწორედ დიდი მხატვრული ოსტატობის წყალობით) გაურბის, მაგრამ ავტორის მწეობრივი პოზიცია მტკიცეა და ზოჯჯერ შეუვალის კი.

თუკი მწერალი, თუნდაც შეფარულად, მწეობრიობისაკენ გვიბიძგებს, ლიტონი დეკლარაციულობის გარეშე, ეს მხოლოდ მისასალმებელია; თუკი ეს მწერალი მკითხველზე დიდი ემოციური ზეგავლენის საიდუმლოსაც ფლობს (კოტე ჯანდიერი სწორედ ასეთი ავტორია), – მისი პოზიცია ათმაჯად სასიკეთოა (ხელოვნების და, კერძოდ, ლიტერატურის „დეპუტანიზაციის“ იდეამ დიდი

ხანია. დაკარგა ხიბლი და, უპირატესად, ელიტარული კულტურიდან მასკულკურაში „გადაბარგდა“).

კოტე ჯანდიერის ზემოსხენებული ვრცელი მოთხრობის ეპიგრაფი, კლავდიუს გიბერიუსს რომ ეკუთვნის, იმთავითვე მიგვანიშნებს უაზრო და უმიზნო ცხოვრების ამაოებასა და სიმძიმეზე: „აგერ უკვე ამდენი ხანია ყოველდღე ვკვდები...“

ასეთი განწყობისათვის გმირს უამრავი მიზეზი აქვს: მამის უაზრო დაღუპვა ავგოაფარიასი (რაც ბოლმით ახრჩობს ბიჭს), უინტერესო სამსახური (მისი ნამდვილი მოწოდება მწერლობაა, თუმცა ორი წელია, სტრიქონიც არ დაუწერია), გაუმხელელი სიყვარული და მეგობარი გოგოს უცნური გათხოვება-გამოთხოვება; ახალგაზრდათა ჯგუფის ინფანტილური გაბრძოლება – თვითმფრინავის გატაცების მცდელობა უმძიმესი შედეგით; სულისშემბუთველი ატმოსფერო, გამეფებული ძალადობა, სკეპსიზი და ცინიზმი, თითქოს გუნებში გამჯდარი აბსტრაქტული შიში. ყველასა და ყველაფრისადმი ირონიული დამოკიდებულებიდან არც ისე შორია მიზანთროპიამდე: საკუსთარ სულში მშერაჩაბრუნებული გმირი სხვის გასაჭირსა და საგკივარს ნაკლებად ამჩნევს, მოგჯერ ტკება კიდეც საკუთარი პოზით, უსასობით და სნობიზმით.

მხოლოდ საყვარელი გოგოს გრაფიკული და ფაგალური (ისიც ბიჭის მამასავით ავგოაფარიის მსხვერპლია) აღსასრული გამოაფხიზლებს მას, თვალებს აუხელს, მოყვანის სიყვარულით და შეცოდებით აუვსებს გულს და საკუთარ დანაშაულსაც აღიარებინებს. ეს ღვთიური სასჯელია რწმენადაკარგულთათვის, მათთვის, ვინც „ღმერთი ეჭვის ჭიაზე“ გაცვალა.

თუმცა „დაპატიება კინოში“ გრადიციული მოთხრობის ჩარჩოში ჯდება, მკითხველს არ შორდება სიახლისა და მოულოდნელობის მძაფრი განცდა. იგივე ითქმის მეორე ვრცელ და გამორჩეულ მოთხრობაზე – „საოჯახო ქრონიკა“ – ესაა ერთი ჩვეულებრივი ოჯახის არაჩვეულებრივი დრამა, გადმოცემული მხოლოდ წერილებით. „მიწერ-მოწერა“, მწერლობის ერთ-ერთი უძველესი ეანრი, ცხადია, სიახლედ არ ჩაითვლება. კოტე ჯანდიერს ამ ხერხს ერთ ქალაქში, ერთ ჭკერქვეშ მცხოვრები ოჯახის ურთიერთგაუცხოების საილუსტრაციოდ იყენებს.

ავტორი ამბავს ოსტატურად და, რაც ერთობ დამახასიათებელია პოსტმოდერნიზმისათვის, – „ორმაგად“ ნიღბაეს: კოტე ჯანდიერი მას მიაწერს ცნობილ მწერალს, რომელიც კოლეგას ერთ

ხელნაწერს გადასცემს (აღბათ გამოსაქვეყნებლად); თავის მხრივ, მწერალიც „გამსხვისებელია“, რადგან თავს მხოლოდ „გადაამწერად“ აცხადებს.

ეს არის გრაგკდია ოჯახისა, რომლის წევრებს ერთმანეთის თვალებისა ეშინიათ და საურთიერთოდ „ნეიტრალურ“ ბარათებს მიმართავენ; ესაა აღსარება ოჯახის უფროსისა, მამაკაცისა, რომელიც გულწრფელად ინანიებს თავის დანაშაულს.

ოჯახის ყველაზე ხანდაზმული და „გრადიციული“ წევრი ბებიია. ის უძღვება საოჯახო მეურნეობას შინაყ და გარეთაც, ცდილობს მოაგვაროს ბედნაცვალი ქალიშვილისა და სიძის, აგრეთვე, მშობლებისა და შვილების დიდი თუ მცირე კონფლიქტები, მაგრამ ამაოდ. ცოლ-ქმრის გაუცხოების ძირითადი მიზეზი სამსახური, პირადი ცხოვრება და ზოგჯერ ამურული თავგადასავლებია; შვილების რთული ურთიერთობაც და მშობლების მიერ მათი არჩევანის მგრული უგულებელყოფაც – მათ შორის გადაულახავი შეუთავსებლობის მიზეზი ხდება.

ქართული მწერლობისათვის თითქმის არ არსებობს ინცესტის პრობლემა. კოტე ჯანდიერმა შორეული წარსულიდან არსებული ეს მარადიული და, XX საუკუნის მწერლობისათვის საკმაოდ პოპულარული თემა თანამედროვე ქართულ ოჯახს ძლიერ გაქტიანად, დამაჯერებლად, ფაქიზად მიუსადაგა. თუმცა „ნახევარი“ და-ამის ურთიერთობა ბავშვობაში სრულიად უმაკველი იყო, მაშის მიერ დათესილმა ეჭვის მარცვალმა სიციოცხლე გაუმწარა მათ. დიდ სიყვარულთან ერთად ძმას ჩაუდენელი დანაშაულის სიმწარე ქენჯნის და ბოლოს ლამის თვითმკვლელობამდე მიიყვანს.

კოტე ჯანდიერმა კი ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ უხამსი, მღაბიური ნატურალიზმისა და უფუნქციო სკაბრებულობის გარეშეც, ერთგვარად მოკრძალებულად, იმავდროულად – შემადრწუნებელი ეფექტით, ძალუძს „ხელმეუხებელი“ თემების წარმოჩენა. ამ მხრივ ის თანამედროვე ქართული მწერლობის გრადიციათა მართლაც ჩინებული გამაგრძელებელია.

„მამათა“ და „შვილთა“ ცხოვრების განსხვავებული ნირი და წესი, პიროვნული შეუთავსებლობა, გკვილიანი სიყვარული თუ მათ შორის გაჩენილი უფსკრული, – ე.წ. „ოთხმოცდაათიანულთა“ პროზის ჯერხნობით შეუცვლელი თემაა. ამ მხრივ, არც კოტე ჯანდიერის კრებულია გამონაკლისი: „ოჯახური ქრონიკა“, „და-

„პატივება კისოში“, „ხანმოკლე შვებულება“, „მაგარებლები გვირაბში შედიან“ (წიგნში სულ ექვსი მოთხრობაა). მხოლოდ ორად ორი მოთხრობა „ბუმერანგი“ (კოტე ჯანდიერისათვის ეჩვეულოდ სწორხაზოვანი) და მახვილგონიერული, განსჯითა და შესანიშნავად გათვლილი ლოგიკური სელებით აღსაქვე მომცრო დეტექტივისებური ფსიქოლოგიური მოთხრობა – „განსხვავებული კალიბრის ვაზნა“ – სცილდება ჩემოხსენებულ პრობლემას.

„განსხვავებული კალიბრის ვაზნამ“ უფრო კლასიკური დეტექტივები (ედგარ პოე, რომლის აჩრდილი თითქოს დაქუარფაგებს ქართველ საუკეთესო ახალგაზრდა მწერლების შემოქმედებას) და „ძველმოდური“ უცხოური ნოველისტიკის გრადიციული ფორმა გამახსენა, თუმცა თემა – 1937 წელი, სანდრო ახმეტელის თეატრი და ბერიას ამბივალენტური სახე, ცბიერი და ჭკვიანური იებუიგური თამაშები – უაღრესად ჩვენეულია და ახლობელი.

კოტე ჯანდიერი არა მარგო პროზაიკოსი, არამედ ფრიად წარმატებული სცენარისტი და ესეისტიც გახლავთ (მისი სცენარების მიხედვით 14 ფილმი ყოფილა გადაღებული); თუმცა კინოფილმი უპირატესად რეჟისორის „კუთვნილებაა“, მე კი მწარედ ვზანობ, რომ კოტე ჯანდიერი – პროზაიკოსი ნაკლებად „პროდუქტიულია“. ამის თქმის საფუძველს მაძლევს თუნდაც მისი „მაყვლიანი“ (ზემოხსენებულ კრებულში არ დაბეჭდილა), ბრწყინვალე, ღრმააზროვანი და უნაგიფესი მოთხრობა, რომელსაც უკვე რამდენიმე თვეა, შეუნელებელი ინტერესით ჩაკვირკიტებ.

ელისო კაპანაძე ვრცელ და საინტერესო ინტერვიუში კოტე ჯანდიერთან – წერს: „იგი თვლის, რომ საკუთარ ნაწარმოებში პირადი გამოცდილების 90% დევს. ისე კი, ყველა წაკითხულ წიგნსაც საკუთარ გამოცდილებად თვლის“. – ეს უკანასკნელი მოსაზრება – ეგზომ დამახასიათებელი პოსტმოდერნიზმისათვის, ძალუმაღ იგრძნობა კოტე ჯანდიერის, უაღრესად ერუდირებული და მაღალი ინტელექტის ავტორის ყველა თხზულებაში.

საგანგებო აღნიშვნას საჭიროებს კოტე ჯანდიერის ენობრივი პოზიცია: დახვეწილი, რაფინირებული, არისგოკრატული სტილი. მის მიმართებაზე სიგყვასთან, შესაძლოა, მთელი გამოკვლევა დაიწეროს; ამასთან, მის ნაწერში ავტორისეულ ტექსტსაც და პერსონაჟთა მეტყველებასაც (მწერალი დიალოგის დიდოსტა-

გია) ხელოვნურობის ელფერი იმეითად თუ დაკრავს. სანიმუ-
შოა მისი ქართული თიანამედროვე ახალგამრდობის დიალოგებ-
ში: მწერალი, რალაღა მანქანებით, ქუხური ჯარგონის მინიმალური
გამოყენებით, ბუნებრივი და უშუალო მეგყველების ეფექტს აღ-
წევს (ენობრივი „ნატურალიზმი“ დიდი ხანია გასცდა ქუჩას და
მწერლობასა და მასშელღამიც, საჯარო გამოსვლებსა თუ მა-
ღალ-მაღალ გრიბუნებზეც „ღაღიანა“, რაც დიდ საფრთხეს უქმ-
ნის უცხო სიგყეებით ისეღაც დანაგვიანებულ თანამედროვე
სალიტერატურო ქართულს).

ღასაწყისშივე მოგახსენეთ, კოტე ჯანღერი ერთი ლიდერთა-
განღა მწერლობის ახალი ფრთისა-მეთქი; ისიც დავძინე, რომ
სიგყვა „ღიდერს“ არ სწყალობს, მაგალითად, ასეთ კონტექსტ-
ში: „სამწუხაროდ, ჩვენ არაფერი ეიცით მათელღის, რუსთაყე-
ღის ან ჩახრუხადღის სამოგადობრივი მოღვაწეობღის შესახებ,
თუმცა, სიღარიღე გითხრათ, საეჭვოა, რომ მათ სამოქალაქო
ცხოვრებაში ლიდერღის ფუნქღია ეგვირთათ...“

... ლიდერები არ ყოფიღან ბესიკ გაბაშეიღი და ეოღფრამ
ფონ ეშენბახი, ჰაფეზი ან დღეით გურამიშეიღი, შექსიღი ან ვაჟა-
ფშავეღა...

... სამოგადობრივი ლიდერღის მანიღთ შეჰყრობა არც ერთ
შემთხვევაში არ უნღა დღეუკავშიროთ ქართული მწერლობღის
ისგორღას“...

ავგორღის რადიკალიზმი, ჩემი ამრით წრეგადღსუღია; სწორედ
ძეღი ქართული მწერლობა და, განსაკუთრებით XIX საუკუნღის
„სამოციანეღები“ უყრიღან საფუძეღს გრადიციას: მწერლობა –
ბნეობრივი, ან, თუნღაც, ეროვნული ნიშანსვეგი; მოკღედ –
„ღიდერი“ (მწერლობა ბოგადღად და არა რომეღღიმე ცალკეული
მწერალი).

თუმცა, უსაგნო კამათი რომ არ გამოგვიღიდეს, თაეღ კოტე
ჯანღერს დღევსეღსები: „*ეხადღია, არაეღინ უარყოღს მათი ნაწარ-
მოებების უღიდეს მნიშენეღობასა და ვაეღენას სამოგადობრივი
ცნობიერებაზე, (ხაზი ჩემიღა – ლ.ა.), მაგრამ ეს წმინღა ლიტერ-
ატურული, „მენტღალური“ გაეღენაღა და აქ „ღიდერიღა“ თაეღ გე-
ქსტი და არა ავგორი“...*

განა „მენტღალური“ გაეღენა ბნეობრივი-ღდეურ ლიდერობას
არ ნიშნავს?

ღასასრულს, ერთ მწერალსა და ფიღოსოფოსს, უჭკვიანეს

მეამბოხეს, „აბსურდისგისა“ და ეკზისტენციალისგს მოვუსმინოთ:
„მე თუ მკითხავეთ, შემოქმედება განმარტოებული ხელოვანის თავის შექცევა როდია. იგი ხერხია, რაც შეიძლება მეტი ადამიანის გრძნობათა გასალევიეებლად...“

მწერლის მოწოდება იმამი მდგომარეობს, რომ გააერთიანოს რაც შეიძლება მეტი ადამიანი, ... დღესდღეობით მწერლის პროფესია პატივია. ღირსებაა, რადგან ეს ხელობა მარტო წერას როდი გვაეალებს.

ყოველი თაობა დარწმუნებულია, რომ სწორედ იგია მოწოდებული სამყაროს გარდასაქმნელად. ჩემმა თაობამ უკვე იცის, სამყაროს ვერ გარდაქმნი. მაგრამ მისი ვალი იქნებ უფრო დიდებულიცაა. იგი მდგომარეობს იმაში, რომ სამყარო დალუპების კარამდე არ მივიდეს“ (ალბერ კამიუ, 1957 წელს ნიობელის პრემიის მიღებისას წარმოთქმული სიტყვიდან, ნესტან იორდანიშვილის თარგმანი).

2001 წ.

გაზა თვარაპის მოხეტიალე პერსონაჟები

სალვადორ დალის პარადოქსებიდან განსაკუთრებით მიზიდავს ერთი მათგანი – „ნუ ცდილობ თანადროული გამოჩნდე, ესაა – ვაი რომ! – ერთადერთი რამ, რასაც, რაც არ უნდა ეცადო, ვერ გაექცევი“ („ერთი გენიოსის ღლიური“, ჯუმბერ თითმერიას თარგმანი). მოსაზრება არა მარტო მხატვრობას, – ხელოვნების ყველა დარგს, მათ შორის, ლიტერატურასაც მიესადაგება.

მოარული გამოთქმა – „მედროვე მწერალი“ ოდენ პოლიტიკურ კონფორმიზმს არ გულისხმობს: ეს ცნება, როგორც ნეტარხსენებული აკაკი ბაქრაძე იტყოდა, „ფლუგერის“ კომპლექსსაც, ავრეთვე, სრულიად აპოლიტიკური პიროვნული სულწასულობის, ჯიბრის, დასწრების ელემენტებსაც გულისხმობს.

სწორედ ამიგომ „ცხელ კვალზე“ დაწერილი თხზულება, მცირედი გამონაკლისის გარდა, სამართლიან დაეჭვებას იწვევს. არც ის არის გამორიცხული, რომ ისტორიულ თემას შეჭიდებული

მწერალი უფრო თანამედროვედ აღიქმებოდა, ვიდრე აქტუალურ თემატიკას დაწაყებული ავტორი, რომელიც სწორედ „აქტუალურობით“ ცდილობს ფონს გასელას და არა ნიჭითა და უნარით.

სულაც არ ეაპირებ სოლჟენიცინის მწერლობისა და პიროვნული გაბედულების დაკნინებას, მაგრამ, როცა ინგლისელი ლიტერატურათმცოდნე დონალდ რეიფილდი ჭაბუა ამირეჯიბის „გორა მბორგალში“ რუსი მწერლის ზეგაევენას „აღმოაჩენს“, თამამად შეიძლება ითქვას, რომ მას არად ჩაუვდია ჭაბუა ამირეჯიბის ბიოგრაფია, თხზულებაში წარმოჩენილი ქართული კაცის ქედუხრელი ბუნება (მაშ როგორ მოვალწევდით დღემდე!) და, რაც მთავარია, – რომანის ზოგადსაკაცობრიო არსი – ძლიერი პიროვნების მარადიული ლტოლვა თავისუფლებისადმი. შემიძლია ვიფარაუდო, – სამი ათეული წლის წინათ რომ დასტამბულიყო „გორა მბორგალი“, – ეგების მრავალი დასავლური პრემიისათვის გამოეკრა ხელი; მაგრამ განა ეს შესანიშნავი რომანი დღეს ნაკლებად შთამბეჭდავი და აქტუალურია?

როცა სულისშემძვრელი 9 აპრილის შომღეენო დღეებში რუსთაველის ჭადრებზე მიკრული ამ გრაგედისადმი მიძღვნილი ლექსები გაინდა, ეს სრულიად ბუნებრივად მეჩვენა; მაგრამ „ოპერატულიად“ გამოქვეყნებულმა პროფესიონალი მწერლების ორმა-სამმა მოთხრობამ, რომელთა ნაჩქარეობა ამკარა იყო, უსიამოვნო გრძნობა აღმიძრა; ალბათ დროც იყო საჭირო, დისტანციის შეგრძნებაც და „მალღად მხედი“ მწერლის ფიზიკური თვალის. იმთავითვე, ცენზურის შესუსტებისა და შემდგომ, სულაც გაქრობის კეალობაზე, დაინერგა „შავი“ ნატურალიზმიც; ეს მიმართულება კი არასოდეს ყოფილა ქართული მწერლობის სულისკვეთების წარმომჩენი.

ათწლეულზე მეტია, რაც პოსტკომუნისტურ სივრცეში და, კერძოდ, საქართველოში უძრაობა თუ სტაგნაცია შეეცალა თავაწყვეტილი ცხენისა თუ წლობით დაბმული და ახლად ამეებული ძაღლის სინდრომმა: ამის საეაღალო მაგალითები მრავლად გვაქვს. მაგრამ თითქმის ყველაფერი იყო ისე, როგორც ხდება ხოლმე მსგავსი კატაკლიზმების დროს მსოფლიოს ნებისმიერ კუთხეში – სიმინდისა თუ ბანანის რესპუბლიკებშიც და ცივილიზებულ ქვეყნებშიც: წმინდა მისტერია და გაუგონარი ცინიზმი, ძალადობა და სისასტიკე; მსხვერპლშეწირვის, ერთარსებად ქცე-

ვის ექსტაზი და დაუნდობელი, ძმათაძველელი ომები, გმირობა და ლალატიც...

ჩვენ, ჩვენი გაუწონასწორობლობის, სულსწრაფობის, ემოციურობის თუ მეგიჩრობის და, რაც მთაყარია, სხვათა წაბიძგების „წყალობით“, – სივლახეშიც პირველები აღმოცნდით; თუმცა ის, რაც ჩვენში მოხდა და რაც დღემდე ხდება, მართლაც ჯოჯოხეთია მოსავონებლად, მოგვიანებით სხვაგანაც განმეორდა; რაღა შორს წაიდე – სულ ახლახანს, – იუგოსლავიაშიც (ვგულისხმობ ბელგრადის მოვლენებს: „კანონიერი“ ხელისუფლების გადარჩევას, თუ დამსობას...).

ქართული მწერლობა არასოდეს გაქცევიდა რეალობას. გამოხდა ხანი და გამოჩნდა უაღრესად მაღალმხატვრული, უაღრესად მწვევე და უკომპრომისო თხზულებანი. საჯაროობის შემდგომ გაბატონებულ, დროულ და აუცილებელ პუბლიცისტიკას შეენაცვლა ლექსები, მოთხრობები...

სხვა რომ არა, სანიმუშოდ და თავმოსაწონებლად ოთარ ჭილაძის რომანი „აველუმი“ იკმარებდა. გახმაურდა ლაშა თაბუკაშვილის „რა ეუყოთ, რომ სველია სველი იასამანი?!“ – დამიწებულიც და ამაღლებულიც, ნაგურალისგურიც და მისტიკური რომანტიკულიც.

25 წლის აკა მორჩილაძეს ეყო ნიჭიერებაც და გამბედაობაც, თბილისის ავადსახსენებელი „მოვლენები“ ახალგაზრდისთვის მოულოდნელი შორსმჭვრეტელობით აესახა და, იმავედროულად, გრაფიკომიკურის ბეწვის ხიდზეც გაეველო („მოგზაურობა ყარაბაღში“).

ქართული მწერლობა, ასაკობრივი „ცენზის“ მიუხედავად, ირგვლივ გამეფებული მატერიალური სიდუხჭირის, უღმობელი სისასტიკის, ურთიერთკინკლაობის, ზოგჯერ „შუბების მტვრევის“ ფონზე, დულს და გადმოდულსო, ვერ იცყვი, მაგრამ მაინც ცოცხლობს! (ამ „სიცოცხლეში“ არ ვგულისხმობ ახალი მოდის მოსაქმონსო „ფლუგერების“ ჭრელა-ჭრულა წიგნებს).

წამკითხავი და განმკითხავი კი ცოგაა...

ზოგი „პოსტავანგარდისტი“ ამქარა ჯამბაზობაზეა გადასული. აქაოდა, ცენზურისგან თავისუფალნი ვართო, – უცენზურო, ყაფლგასული ფორმალისგური „ოპუსებით“ იწონებს თავს.

საქართველოში ნიჭიერ ახალგაზრდებს რა გამოლევს, თუმცა „ბაზარი“ ისეთი რამაა, იფქლისა და დეარძლის გარჩევა ჭირს.

ახლად დაარსებულ ჟურნალებსა თუ გაზეთებში ბევრი ახა-

ლი სახელი გამოჩნდა, მაგრამ კარგი წიგნი მაინც დიდი იშვია-
თობაა.

ზაზა თვარაძის ცალკეული ლექსები და მოთხრობები 1991 წლიდან დროდადრო იბეჭდება ჟურნალ-გამეტებში; მაგრამ რამდენიმე ლექსითა და მოთხრობით მის მხატვრულ სამყაროზე სრულყოფილ წარმოდგენას ვერ შევიქმნიდი, რომ არა „მერანის“ მიერ 1999 წელს დასტავებული ზაზა თვარაძის მოზრდილი პროზაული კრებული „მოხეგიალე“ (რედაქტორი – ნუგზარ შატაიძე, მხატვარი – ჯემალ ზენაიშვილი, გამომცემლობის დირექტორი – გურამ გვერდწითელი).

რადგან „თანადროულობის“ უცილობლობით დაეიწყე, ამთაე-
ითვე უნდა შევნიშნო, რომ ზაზა თვარაძის წიგნს ერთიანად მსჭე-
ალაფს თანადროულობა, თუმცა ის ერთგვარი ფონი უფროა, ვი-
დრე მოვლენათა თვითმიზნური ანარეკლი.

ზაზა თვარაძის ფილოსოფიური, ინტელექტუალური პროზა, თხრობის თავმეკაეებუი, მშრალა და მკაცრი სტილი უფრო სიღრმეების წვდომას ისახავს მიზნად, ხოლო მკითხველს არაერთხელ ჩააფიქრებს მისი საკმაოდ რთული ქვეტექსტები და სიმბოლიკა.

ცხოვრების სიზმარეულობა, ამოება, ადამიანის მარადიული მიმოქცევა მოჯადოებულ წრეში, მისტიკურისა და ყოფითის, რეალურისა და დაუჯერებლის „მშვიდობიანი“ თანაარსებობა, აღქმის კონსტანტობის რღვევა, ყოფის აბსურდულობისა და გრა-
გიზმის შეგრძნება, და, რა თქმა უნდა, მეტყველების შესაბამისი სტილი, – განაპირობებენ ზაზა თვარაძის მოთხრობების სირთულეს და მკითხველისგანაც გარკვეულ ინტელექტუალურ დაძაბვას და მზაობასაც მოითხოვენ.

90-იანელთა ლიტერატურული თაობა, ამკარად თუ შეფარ-
ვით, გამიზნული ეპაგაჟითა თუ ქვეცნობიერად, მუდამ ეპაექრე-
ბა „მამათა“ თაობას; უფრო მუსტად რომ ეთქვათ, ახლო წარსუ-
ლის ლიტერატურის მათთვის მიუღებელ მაღალფარდოვნებას, ყალბ რომანტიკულობას თუ სანტიმენტალიზმს, პათეტიკასა თუ „ჩახუჭუჭებულ“ სტილს (ცხადია, ყოუელივე ეს მართლაც არსე-
ბობს, თუმცა „მამათა“ თაობის საუკეთესო წარმომადგენლებს საერთოდ არ ესება); მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ, ნებსით თუ უნებლიედ, ახალგაზრდები უფრო ჭეშმარიტ მწერლებს „უტყვენ“, ვიდრე უფროსი თაობის უღიმღამო, მეღროვე კალ-

მოსხნებს. ლიგერაგურის ისტორიაში ამის მრავალი მაგალითი არსებობს. სახელდასელოდ გავიხსენოთ, რომ ჭაბუკმა ცისფერ-ყანწულებმა, რომელთაც ნოვატორობისადმი სწრაფის გარდა, ეპიგონური პოეზიის სიძულვილიც აერთიანებდა, უნიჭო ეპიგონებს კი არაა, – სწორედ მიბაძვის ობიექტებს, – ილიასა და აკაკის დაუწყევს „ჭიდილი“.

ირაკლი აბაშიძე, თავის დროზე, ერთ უცნობილეს ხალხურ ლექსს გაეპაექრა:

„ბინდისფერია სოფელი,
უფრო და უფრო ბინდლება,
რა არი ჩენი სიცოცხლე,
ჩიგივით გავციფრინდება“...

„ბინდისფერია სოფელი“

„თუ ყველაფერი არის სიბმარი,
და ბინდისფერი არის ყოველი,
მაშინ რატომ ღვას დღეს მცხეთის ჯვარი,
რატომ ღვას ისე სვეტიცხოველი?“

„მცხეთა“, ირაკლი აბაშიძე

გაბა თვარაძის „დამშრალი მდინარის“ (დამშრალი მდინარე – ჩენი უახლესი ისტორიის ერთობ გამჭვირვალე სიმბოლოა) პერსონაჟი, დიდი პესიმისტი, პირად ცხოვრებაში ხელმოკარული და საქართველოს მომავლისადმი ურწმუნოებით აღესილი ისტორიკოსი გიორგი – ავგორის alter ego – ირაკლი აბაშიძის ლექსს ლიგონი რაციონალიზმით უპირისპირდება:

„და ყველაფერი, რაც მთელი ამ ხნის მანძილზე მოხდა, და რაც ახლა, ამ წუთში ხდებოდა, ჰგავდა მსწრაფლწარმავეალ სიბმარს და გარკვეული ამრით ეს მართლაც სიბმარია. სიბმარი, რომელიც მე შესიბმრება. მაგრამ მაშინ რატომ ღვას ამ სიბმარში მცხეთის ჯვარი? რატომ ღვას რუსული ეკლესია? რატომ ღვას ლურჯი მონასტერი? ღვას იმიტომ, რომ (ამაზე პასუხი არ არის ძნელი, მით უფრო არ გაუჭირდება გიორგის, ამ მრავლისმნახველ ისტორიკოსს), ღვას იმიტომ, რომ იგი თამარ მეფის ეპოქაში ააგო ვინმე ბასილიმ, ქართლის მთავარეპისკოპოს-ყოფილმა, ძმამ იმდროინდელი პოლიტიკური მოღვაწის აბულასანისა, რომელიც მეფეს აუჯანყდა, დამარცხდა და ხელმწიფის კარიდან გან-

დევნილ იქნა. ლურჯი მონასტერი აიგო უფრო ადრინდელი, დანგრეული ეკლესიის ადგილას. მისი აგებისას გამოუყენებიათ ძველი ეკლესიის ცალკეული ნაწილები. ლურჯი მონასტერი თავდაპირველად გუმბათოვანი ეკლესია იყო და უახლოვდებოდა XII-XIII საუკუნეთა მიჯნის ქართლის სხვა გაძრეულ (ბეთანია, ქვათახევი). XIV საუკუნის მიწურულს გაძარი ძლიერად დაზიანებულია და იგი თითქმის მთლიანად აღუდგენიათ. XVII საუკუნეში მიწისძვრის შედეგად გაძრის გუმბათი ჩამოქცეულა. ამის შემდეგ გაძარი უგუმბათოდ აღადგინეს და მის შიდა სიერეს ბაზილიკის იერი მიანიჭეს. შემდეგში გაძარი რამდენჯერმე კვლავ ძლიერ იქნა დაზიანებული. XIX საუკუნის მეორე ნახევარში ლურჯი მონასტერი კვლავ აღადგინეს და დაადგეს მას ქართული ხუროთმოძღვრებისთვის სრულიად უცხო გუმბათი, აუშენეს აგურის ახალი კედლები და ფრონგონები – რამაც არსებითად დაამახინჯა ძეგლი. ამ დამახინჯებული გაძრის თავდაპირველი ნაგებობიდან გეგმის წარწერებისა და პერანგის ქვედა ნაწილის გარდა, გადარჩენილია აღმოსავლეთის შვერილი აფსიდის სარკმლის ჩუქურთმა. ჩვენი საუკუნის 80-იანი წლებიდან გაძარი კვლავ ფუნქციონირებს. იგი ნაკურთხია მოციქულ ანდრია პირველწოდებულის სახელზე“.

ეს ვრცელი მონაკვეთი, რომელიც, ერთი შეხედვით, ირაკლი აბაშიძის სგროფის ანგითემაა და წუთისოფლის ამაოების გამოწუხილი, თითქოსდა უადგილოა; თხრობის „პროგოკოლური“ მანერით, ის მწვავე ირონიადაც აღიქმება. საყურადღებოა სიმბოლური პლანიც. მრავალჭირნახული ლურჯი მონასტრის გაუთავებელი და უთავბოლო ნგრევა-შენება-გადაკეთება-დამახინჯება-აღდგენის ამბავი საქართველოს ისტორიის „თვალსაჩინოებად“ წარმოგვიდგება. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს პასაჟი მოთხრობის ფინალია, ხოლო ყოველად ჩვეულებრივი და ხშირად განკვებ ნეიგრალური „დასაწყისისგან“ ვანსხვაებით მაზა თვარაძე თითქმის ყოველთვის მოულოდნელად და ძალზე ეფექტურად ამთავრებს მოთხრობებს.

მწერალი გვერდს არ უელის ბოლო ათწლეულის შემზარავ მოვლენებს: აღწერს მათ მოგჯერ ქუფრი ფერებით, დაწვრილმანებული ნაგურალიზმით, მოგჯერ – მმრალად, მკაცრად და ლაკონურად. საცნაურია, რომ ეს ამბები სავანეებოდ არ არის გამოყოფილი და ორგანულად ერწყმის გმირის თავგადასავალს.

ამ მხრივ ნიშანდობლივია ეროვნული მოძრაობის დასაწყისისა და 9 აპრილის ღამის მოზრდილი ეპიზოდების ჩართვა მოთხრობაში „ბინები“. ყოფითი, სადაგი საქმეების ყალიბში მოქცეული თხრობა (მოთხრობის ხილული სიუჟეტური ღერძი – ბინების გაცვლის ამბები და ამასთან დაკავშირებული ოჯახური წერილმანების გაუთავებელი მონაცვლეობა) თავისებურად ნიღბავს მთავარ საოქმელს; მთავარი კი ის გახლავთ, როგორ წარმართა ახალმა დროებამ ბავშვობის ორი განუყრელი მეგობრის, ორი ბაალის ბედი.

მთხრობელი ბაალი, მშვიდობიანი, ჩუმი და კარჩაკეტილი მეოცნებეა, ყოველდღიურ ცხოვრებაში – უმწეო, არაპრაქტიკული; თუმცა, ექსტრემალურ სიტუაციაში (ხანძრის დროს) – სწრაფიც და მოხერხებულიც. მეორე ბაალი მთხრობელის სრული ანტიპოლია – უაღრესად აქტიური პიროვნება, უბნის თვალი, ძმაცაცების შემწე და მოყვარული, ინტელექტუალურად მოაზროვნე, პირველობის კინით შეპყრობილი და მართლაც პირველი ყოჩი – სპორტშიც, ჩხუბშიც, ჭირსა და ლხინშიც.

სახალხო მოძრაობამ ისინი რამდენადმე დააშორა ერთმანეთს: „კმ, დრო შეიცვალა. კომუნისტების გახრწნილი მმართველობა თითქოს შეირყა. ხალხი ქუჩაში გამოვიდა. ბინებიდან ღინგები გამოყვეს უცნაურმა ლიდერებმა – ქუჩებში გამოვიდა თაობებით დაგუბებული ბოლშა და აგრესია...“

სახალხო მოძრაობაში ჩემი მეგობარი ბაალიც ჩაერთო. შექმნა დიდი შეიარაღებული რაზმი, წაეიდა და იბრძოდა სამაჩაბლოში, აგრიალეებდა რაღაც ჩემთვის გაუგებარ საქმეებს. მე პირადად მშვიდი და ფრთხილი კაცი ვარ. სახალხო მოძრაობაში მონაწილეობა არ მიმიღია – მხოლოდ პირველ მიგინგებს დაუესწარი, მაგრამ, როგორც კი შევიგყვე, რომ ლიდერებს მიაჩნდათ, ერის გადასარჩენად სისხლის დაღერა იყო საჭირო, მას შემდეგ მათ მოძრაობას ახლოს არ გაეკარებივარ“...

9 აპრილის ღამის მონაწილე ორივე ბაალი საკუთარი ბუნების შესაბამისად იქცევა: ერთი მათგანი, მეგობრებთან ერთად, დარბევას მედგრად, წინააღმდეგობით ხელება, მთხრობელი კი მხოლოდ იმაზე ფიქრობს, როგორ დააღწიოს თავი იქაურობას; თუმცა უმწეო ქალიშვილსაც მიეხმარება და სახეშემლილი, ხელკეტიანი ჯარისკაცის პირსპირ აღმოჩენილი არც დაფრთხება და არც დაიბნევა – გონების კარნახით, „დამარცხებული ცხოვე“

ლის პოზის“ მიღებით. ერთგვარად ვაანულებს სისხლით გავიყე-
ბული სალდათის („სამგვამოვანი არსება – ადამიანი, ცხოველი
და მექანიზმი ერთდროულად“) აგრესიას, თავსაც გადაირჩენს
და ქალიშვილსაც განარიდებს სასიკვდილო საფრთხეს.

„ეს დღე ერთ-ერთი იყო საქართველოზე დამკვდარ უბედურე-
ბათა შორის. სამიოდე წლის მანძილზე ჩვენი ძირძველი და ბედ-
კრული ქვეყანა თითქმის ნაცარტუგად იქცა. რამდენი ადამიანი
დაიღუპა, რამდენი დარჩა უსახლკაროდ და უბინაოდ, რამდენს
ჩაუსახლდა სულში ეჭვისა და სასოწარკვეთილების ბაცილა“...
ორივე მაალისთვისაც 9 აპრილი ურთიერთგაუცხოების დასაწყ-
ისი შეიქმნა: ისინი კელაე ხელებიან ერთმანეთს, თუმცა მთხრო-
ბელისათვის სრულიად გაუგებარია მეგობრისა და მისი რაზმე-
ლების სულისკვეთება. ხოლო მაალს, რომელმაც ბოლომდე არ
დაგოვა ბრძოლის ეელი 9 აპრილს – ეჭვი ჩაესახა მთხრობელის
მიმართ.

რამდენიმე თვის შემდეგ მაალი გრაგიკულად იღუპება,
როგორც ჩანს, ყოფილი თანამებრძოლის მიერ, ფრიად საეჭვო
ვითარებაში (პერსონაჟს ჰყავს რეალური პროგოგიჟი, რომლის
შეუბრალებელმა და უაზრო აღსასრულმა, ვაგლახ, რომ სათავე
დაუდო ძმათა შორის „ანგარიშსწორების“ ბნელ პერიოდს): „მის
სიკვდილზე ხშირად ვფიქრობდი. რაგომ ჰქონდა ხუთი ჭრილო-
ბა? რაგომ ჰქონდა ხელის გულები გახერეგილი? ვიციდი – ხე-
ლებით წავიდა იარაღზე. ჯერ მარჯვენა ხელი ააფარა. ესროლეს,
მერე მარცხენა. მარცხენაშიც ესროლეს. დანარჩენი გყვიები
მკერდში და მუცელში მოხვდა. რაგომ იყო უიარალოდ? რაგომ
არ ეცვა გყვიებაგაუმტარი ეილეგი? – ალბათ არაფერს ელოდა.
წარმოვიდგინე, რამხელა შური უნდა ჰქონოდა ეილაცას, რომ
უიარალოსთვის ხუთი გყვია დაეხალა“.

მაალის გარდაცვალებამ მთხრობელი კელაე დააახლოვა სიყრ-
მის მეგობარსა და მეგობელთან: „ამის შემდეგ ჩემს ცხოვრებაში
რალაც მოირღვა. უკვე აღარ შემეძლო ჩვენს სახლში ძველე-
ბურად ცხოვრება... აღარაეინ იყო დამხმარე, აღარაეინ იყო
მფარველი. სახლშიც ვერ ვჩერდებოდი – მესამე სართულზე კვ-
ლავ შეულებაეად ეეიდა მაალის შავი რკინის კარი... ვფიქრობდი
აგრეთვე, თუ რა უბედურებაში გაეხვია მთელი ჩვენი ერი. გარ-
დაიცვალნენ საუკეთესო ადამიანები, რომელთაც. რომ ეეოცხ-
ლათ, ჩეენი ერის ცხოვრება სხვაგვარად წარიმართებოდა. მათ
შორის იყო მაალიც“.

სწორედ აქედან დაიწყო ბინების ცვლის (თუ გმირის საკუთარი თავიდან „გაქცევის“?) გაუთავებელი პროცესი, რომელსაც მოგვიანებით ჩაერთოება გარდაცვლილი ზაალიც, როგორც რეალურად არსებული პიროვნება (ამ მოვლენას – მოთხრობათა გმირის და ასლობელი მიცვალებულის „თანაარსებობას“ ზამბა თვარაძის პროზაში კვლავ დავუბრუნდები).

სახალხო მოძრაობის აღმავლობა, 9 აპრილის სისხლიანი დამე და ზაალის უმოწყალო მკვლელობა – გაჯერებულა ბინების გაცულა-გამოცვლის უმძიმესი, ურთულესი, უპრო და შემაწუხებელი, გაუთავებელი პროცესის განზრახ დამიწებული, ლამის „მაკლერული“ გადმოცემით. სიმბოლური თვალსაზრისით კი ბინის ძიება საკუთარი ადგილის, პიროვნული პოზიციის, სახლის თუ მშობლიური, აწ მორღვეული კერის ძიებას უკავშირდება.

„დამშრალ მდინარეში“, რომელიც ქრონოლოგიურად, 90-იანი წლების დასაწყისს ემთხვევა, „თბილისის დიდი ომი“ მხოლოდ გაკვრით და ისევე ყოფითი ამბის თანმხლებად მოიხსენიება, თუმცა მთავარი გმირი – გიორგი ცდილობს ისტორიკოსის თვალსაწიერიდან გააშუქოს საქართველოს წარსულიც და დღევანდლობაც; დეკემბრის ცივ დილას, ბედნიერი და სიყვარულით მთერალი გიორგი, საყვარელ ქალთან გაგარებული ლამის შემდეგ, – ხალისიანი და იმედიანი, ჭავჭავაძის, მელიქიშვილისა და რუსთაველის პროსპექტების გაელთ სახლში მიეშურება: „ამ დროს, ზედ მის წინ, მთავრობის სახლის მხრიდან გაისმა ავტომბაგის კაკანი, რასაც მოჰყვა რაღაც უფრო მსხვილკალიბრიანი იარაღის საშინელი გრუხუნი. თავგზაბნეული გიორგი გაიქცა ქვემოთ, ჯორჯიაშვილისა და ძნელაძის ქუჩებისკენ, იქ მცირე ხანს შეჩერდა – სროლა არ წყდებოდა. არ წყდებოდა და არა – ასე დაიწყო თბილისის დიდი ომი, რომელშიაც პრეზიდენტმა და მისმა მინისტრმა ნახევარი ქალაქი დაანგრიეს“.

შეიძლება დავასკვნათ, რომ მწერლისთვის მთავარია – როგორ აღიბეჭდა ყოველივე ეს პერსონაჟთა ცნობიერებაში, როგორ გააღვივა მათში უიმედობა, აპათია, გულგრილობა და პასიურობა, ხშირად – აგრესიულობაც. ეს უკანასკნელი თვისება განსაკუთრებით არის დამახასიათებელი „დამშრალი მდინარის“ გმირისათვის, როგორც ცალკეულ პიროვნებებთან ურთიერთობისას, ისე – საქართველოს ისტორიის გაზრებისას.

90-იანი წლების ქართული პროზა და, განსაკუთრებით, ახალგაზრდული, თითქმის მთლიანად, არა მარტო კრიტიკული,

არამედ ზოგჯერ პიერკრიტიკულიც კი არის ჩვენი თანამედროვეობის მიმართ (რადიკალიზმი სრულიადაც არ მხიბლავს, მაგრამ ეგებ ამან მაინც გამოგვაფხიზლოს!).

ელდისებური, უეცარი ცვლილებები და არსებული უკმაყოფილება ამძაყრებს და აჩქარებს აქსიოლოგიურ პროცესებს, თუმცა ფასეულობათა გადაფასების გადამეტებული, დაუოკებელი ვნება მსოლოდ ზიანის მომგანია; ქართველებს ზომიერება და გაწონასწორებული განსჯა რომ გვაკლია, ბოლო წლებმა ამაში ყველა დაგვარწმუნა.

რა გასაკვირია, რომ ამ ფონზე მწერალმა სხვაგვარად განსაჯოს გაიდეალებული წარსული. ეს სულისკვეთება მკაფიოდ და, ვგონებ, პირველად წარმოჩნდა ოთარ ჭილაძის „აველუმში“.

ზაზა თვარაძე, გიორგის თვალსაზრისის გადმოცემისას, ერთმანეთს უნაცვლებს ისტორიკოსის ხედვას და სასოწარკვეთილი მოქალაქის განცდებს; იმ პიროვნების ვნებათაღელვას, რომელსაც პროფესია აიძულებს დაიცვას ობიექტურობა.

„ისტორიის ყოველი მონაკვეთი, თითოეული ცალ-ცალკე, გიორგი ჩხიკვიშვილის განუზომელ ინტერესს იწვევდა. მას აინტერესებდა ფარნავაზის მეფობის ხანა, მერე თანდათანობით ეს ინტერესი ადგილს უთმობდა ბაქიჭამიას მეფობის პერიოდს. მათ ნაცულად ცნობიერების სიღრმიდან ამოგიეციელებოდა თამარისა და რუსუდანის უცნაური, ბრწყინვალე და დამლუქველი მეფობა. შემდეგ მოდიოდა პარტახი და ხრიოკი ასწლეულები, სადაც, როგორც დამშრალი მდინარის ღორღიან ფსკერზე სულს დაფაჟდა ყოველივე ცოცხალი – აქ ერთმანეთს ჭამდნენ და ყელს ღადრავდნენ უწყლოდ დარჩენილი დემონები, – რომლებიც, მაინც, რაღაცნაირად, ჩვენი შინაური დემონები იყვნენ და მათს არააღამიანურობაში იყო რაღაც შინაური და მშობლიური, თუმცა, შინაური მღვდლისა არ იყოს, შენდობა ალბათ მათაც არ ჰქონდათ. გიორგი ეცნობოდა 1917-21 წლის ხანმოკლე თავისუფლების მონაკვეთს და ხედავდა, რომ ღლეანდელი ჩვენი ეპოქაც ისეთივე ბოროტი თავქარიანობითა და უვიცობითაა აღბეჭდილი, როგორც მენშევიკთა ბატონობის ხანა. იგი ვონებაში წონიდა და ადარებდა მაშინდელ და ახლანდელ დემოკრატიას, მაშინდელ და ახლანდელ დაუნდობლობას და გერორს, მაშინდელ და ახლანდელ მინისგრებს, გვარდიას, რუსულ და ეეროპულ ორიენტირებს, ერში არსებულ პოლიტიკურ ტენდენციებს და გამოჰქონდა სეედიანი და საშიში დასკვნა, რომ ახლანდელი დამოუ-

კიდელობაჲს ისეთივე გრაგედით უნდა დასრულებულიყო, როგორც მაშინდელი, და მასაც უნდა მოჰყოლოდა რეპრესიები-სა და გეროროის საზარელი ათწლეულები. — რას იზამ, ასეთი გონიერია ქართველი ერი, სადაც, ერთი რუსი შოვინისტის თქმისა არ იყოს, ლურჯ ვირს უფრო აღვილად იპოვი, ვიდრე ჭკვიან კაცს. და თუ მაინც ეს ჭკვიანი რაღაც სასწაულით, დაიბადა და ბაეშობაშივე არ გადაგვარდა, მაშინ მას შემდგომში, როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემათ, მოკლავენ ან სამარცხე-ნო ბოძზე გააკრავენ — როგორც, მაგალითად, მოკლეს და ქვეყ-ნის საგმობად აქციეს ილია ჭავჭავაძე, მიხეილ ჯავახიშვილი, მერ-აბ მამარდაშვილი და სხვა მრავალი“.

უსამანო პესიმიზმი, აგრესიული ცინიზმი და მოყვასის ირონი-ულ-ფამილარული განსჯა (თვითირონიის გარეშე!), ასე რომ გახშირდა ჩვენში, XX საუკუნის და, მეტადრე, საუკუნის დასას-რულის გლობალური სენია. დამოუკიდებლობის გამოცხადებით ფრთაშესხმულ, ხოლო მალევე ხიბლგაფანტულ და არსებული ვითარებით უკმაყოფილო ქართველებს, საუბედუროდ, ჩვენმა ყოფიერებამ ნაყოფიერი ნიადაგი შეუქმნა ამგვარი სულისკვეთ-ებისთვის.

მსგავსი განწყობილებანი აისახა მწერლობის ყველა ეხნრში, ზოგჯერ სრულიად მიუღებელი და მახინჯი ფორმითაც და ეს სრულიადაც არ აღიქმება ახალგაზრდების „პრეროგატივად“. ამ მხრივ ყველა თაობის მწერალი სცოდაეს მეგნაკლებად.

ამას წინათ, შესანიშნავ დრამატურგს, ვიქტორ როზოვს, რომელიც დიდად პოპულარული იყო საქართველოშიც, შეკითხ-ვაზე, თუ რა ელის რუსეთს, — საჯაროდ და ერთობ ლაკონურად განუცხადებია — „დაღუპვა“. ასეთი კატეგორიულობით შეძრუ-ლი რუსი ეურნალისტი მკითხველთა მიმართ პასუხისმგებლო-ბასა და „სამწერლო“ სიკყვის თაყისუფლებაზე (ყველაფერი ნე-ბადართულია?) ალაპარაკდა. მისი მომდევნო დიალოგი დანიილ გრანინთან, მიუხედავად ამ უკანასკნელის შეუვალი, კრიტიკუ-ლი მაქსიმალიზმისა, მაინც იმედის მომცემი გახლდათ, რადგან მწერალმა ყველაფრის მამოძრავებლად რწმენა დასახა.

ამ თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა „დამშრალი მდინარ-ის“ (თარიღდება 1992 წ.) ერთი მოსაკვეთი, რომელიც აეგორის ახალგაზრდულ მაქსიმალიზმს და ჰიპერკრიტიკულ („მოყვარეს პირში უძრახე“...) დამოუკიდებულებასაც გამოხატავს და რწმენის პრიორიტეტულობაზეც მიგვანიშნებს.

ზაზა თეარაძე რამდენადმე ეხშიანება „მამათა“ იმ ნააზრევსაც, ქართულ სულს, ეროვნულ ხასიათს რომ ეხება: ამ თემის წაშლწევა მაშინ დიდ გაბედულებას ითხოვდა. ჩვენმა რამდენიმე რჩეულმა მწერალმა პოლეტიკაც კი გააბა ამ საკითხზე (ესეც ერთ-ერთი საბჭოური პარადოქსი!) ახალი თაობისათვის, რომელსაც არამცთუ ოყიციიალური ცენზურა, მარადიული „შინაგანი ცენზორიც“ აღიზიანებს, ძნელი წარმოსადგენია, რომ „ვეფხისტყაოსნისადმი“ მიძღვნილი მშვენიერი წიგნის ავტორი გაიომ იმელაშვილი, თავის ღროზე, გააკრიტიკეს ცნება – „ქართული სულის“ – გამოყენებისათვის.

დღეს კი გიორგი (თუ პერსონაჟს ამოფარებული ავტორი) ასე განსჯის: „თუშცა, კაცმა რომ თქვას, ჭკვიანი და სულელი ერები ამქვეყნად ალბათ არც არსებობენ. არსებობს ეროვნული გრადიციები, ცნობიერება, ხასიათი. ქართველებს ემოციური, ქალური ხასიათი აქვთ. ხოლო ერის ჭკუა-უჭკუობა იმაში გამოიხატება თუ როგორ ეპყრობა თავის კრიტიკოს შვილებს, რომლებიც ხედავენ, რაოდენ სულელნი არიან თვითონ, რაოდენ სულელია მოელი ერი და რაოდენ სულელია მოგადად ადამიანი. ამას ისინი გულახდილად განაცხადებენ ხოლმე, და სწორედ ეს დანახვა და განცხადებაა სულელის სიჭკვიანე, რასაც სხვა სულელები მოთმინებიდან გამოჰყავს. და თუ ერში ეს სხვა სულელები მძლავრობენ, მაშინ, სწორედ, შეიძლება ითქვას, რომ ეს ერი უგუნური და შლეგია. ისინი მგლებივით მისცვივლებიან თავიანთ კეთილისმყოფელს, ყელს გამოლადრავენ და მერე, სისხლით დამოერალნი, უსმენენ ერთმანეთის დელაკაქურ დითირამბებს. „ქართველი ერი გაბრწყინდება!“ შესძახებენ ხოლმე ისინი. „ჩენი ერი ღეთისმშობლის წილხვედრია!“ „ჩვენ დავითისა და ილიას შთამომავლები ვართ!“ – და ამით თვითონვე იკრებენ თავის თავზე ნალვერდალს, რადგან გვანან იუღვეელთა ერს, რომლის შვილებიც იქადიდნენ ღეთის წილხვედრილობას, რაც, სხვათაშორის, მართლაც ასე იყო, იქადიდნენ, რომ იუღვა გაბრწყინდება, – რაც, სხვათაშორის მართლაც მოხდა; იქადიდნენ, რომ თვითონ იგინი დავითისა და ილიას შთამომავლები იყვნენ – ესეც, ცხადია მართალი იყო, იქადიდნენ, რომ დელამიწის ბურგზე მხოლოდ მათ შინარჩუნეს ჭემმარიტი, მართლმადიდებელი სარწმუნოება – ესეც, სამწუხაროდ თუ საბედნიეროდ მართალი იყო... მაგრამ თავისი სიქადულით დაბრმავებულებმა ვერც იყნეს მათ შორის მოსული ღმერთი და კაცი, – ყოველი ამ სიქადუ-

ლის რეალური აღსრულება – მგლებივით მისცვიკდნენ, ტანჯეს, მოკლეს და ქვეყნის საგმიობად აქციეს – რადგან არ მოეწონათ მისი ნათქვამი: „ნაშობნო იქედნეთიანო, თქვენ ამბობთ, რომ წინასწარმეტყველთა შთაბომავლები ხართ და ძეგლებს უდგამთ ამ წინასწარმეტყველთ. მაგრამ განა თქვენმა მამებმა არ დახოცეს ისინი?! თქვენ ამბობთ, რომ ღვთის რჩეული ვართ, მაგრამ თუ არ მოიქცევით ისე, როგორც რჩეულს შეჰფერის, მაშინ იცოდეთ, რომ ღმერთის შეუძლია წარგწყმდილოთ თქვენ და რიყის ქვებისგან აღადგინოს აბრაამის მოდგმა“.

ეს ვრცელი მონაკვეთი, რომელშიც საკამათოც ბევრია და სოფისტიკის ელემენტებიც, მაინც მძაფრ შემოქმედებას ახდენს მკითხველზე, შინაარსითავე და ფორმითავე; მისი სტილისტიკის ძალმოსილებას კი თითქოს განსაზღვრავს ბოლო, დამაგვირგვინებელი ბიბლიური ფრაგმენტი.

არსებული ეითარების უმძაფრესმა განცდამ, ჩვენი ცხოვრების დაღმასვლისა თუ ჩიხში მოქცევის რწმენამ, გაზა თვარაძის გმირები ახალგაზრდა ბებრებად აქცია.

მწერლისათვის უმთავრესი მაინც გარემოებათა განსჯა კი არა, პერსონაჟთა სულიერი მდგომარეობა და უცნაური, აბსურდული ყოფის მხილებაა; ცნობიერისა და არაცნობიერის, ირეალურისა და რეალურის თითქოსდა ჩვეულებრივი მონაცვლეობაა.

გაზა თვარაძის სტილისტიკა რამდენადმე განსხვავდება 90-იანელთა, მის თანაგოლთა ხელწერისაგან; მის მოთხრობებში რაიმე ამკარა ლიტერატურული ზეგავლენაც არ იგრძნობა. თუმცა, უცხოური პროზის კვალი აქა-იქ მაინც შეიმჩნევა (აღამიანის მწერად გადაქცევა, პერსონაჟთა ცხოველური სახება „გოგემი“; ან, მაგალითად, კაფკასეული მანერა – საშინელის, შემადრწუნებელისა თუ უჩვეულოს „ჩვეულებრივი“ გადმოცემისა და ა.შ.). გაზა თვარაძის პროზა მაგონებს მამუკა დოლიძის ძალზე საინტერესო, ღრმად ინტელექტუალურ მხატვრულ მანერას, თუმცა უშუალო ზეგავლენაზე ლაპარაკი ზედმეტია.

ბარემ აქვე ვიგყვი; რომ გაზა თვარაძე ჩამოყალიბებული, თვითმყოფი, დიდი პოტენციის შემოქმედი, თუმცა, საბედნიეროდ თუ საუბედუროდ (აღარ ვიცი რომელი უთქვა), – მასობრივი მკითხველის მიერ აღიარებისა თუ დიდი პოპულარობის იმედი არ უნდა აქონდეს.

სამყაროს სიმზარეულობა, მისი ბოლომდე ამოცნობის შეუ-

ძლებლობა, უაზრობა და მსწრაფლწარმაჯალობა, დამოკლეს მახვილიყით რომ ემუქრება გაბა თევარაძის გმირებს. — არსებობას უწამლაყს მათ: „აღამიანები ცთომილებიყით გაიყლეყებენ ცისქვეყმეთში და ქრებიან. ქვეყანა კი რჩება უკუნისამდე, როგორც მაგერიალური სიმმარი, რომელსაც არსად არა აქეს ბოლო, რომელშიც ვერცერთმა კაცმა ვერ დაიმკვიდრა აღგილი“ („ლიცენზონენბურჯი“).

თუკი სამყარო „მაგერიალური სიმმარია“, ხოლო ცხოვრება ამო და უფრო ამრსმოკლებული, ვიდრე ნამდვილი სიმმარი, რალა დარჩენია კაცს? პასუხი არ არის:

„სად, რომელ განზომილებაში ხდება სამყაროს მოულოდნელი ცვლილება? როდის გადადის აღამიანი ერთი სკნელიდან მეორეში? სანამ აქ არის, ხომ აქ არის და აქ. ხოლო, როცა უკვე იქ იმყოფება, მაშინ ხომ აქაც აღარ არის. სად არის საზღვარი? სად არის შუალედი? ეჰ, ღმერთმა იყის“ („მაუგლი“).

მოთხრობაში „მინის უკან“ აღამიანური არსებობის უაზრობის ნათელყოფად პერსონაყს თავისი სამსახურის ყოველდღიურობა მიაჩნია. ეს ჯერ კიდევ დამყაყებული საბჭოეთის ხანაა, ჟურნალ „ცხოვრება და კანონის“ რედაქცია კი ერთი დაუსრულებელი უაზრობაა, მოჯადოებულ წრეში მონოტონური მიმოქცევაა: „აღამიანები დადიან. დადიან უაზროდ. საუბრობენ, საუბრობენ, კამათობენ. მერე იყინიან, რომ დადიან უაზროდ... მეც იქ ვიყავი. ...ასე გამყაედა ცხოვრება... საშინელი სასოწარკვეთილი გრძნობა მსრისაედა. ... და მე კი მივდიოდი უშანსო, გაგრძელების შანსის არმქონე, და ირგვლივ თითქოს შეორთქლილი მინის კედელი მეკრა“...

გმირის ორეული და აღვილად ამოსაცნობი სიმბოლო ჩეეულებრივი მწერია, რომელმაც „ცხოვრებისა და კანონის“ მინიანი აბრის ქვეშ განუგევა სული: „ხის აბრა გამოეხრა გარესამყაროსკენ მომავალს, გვირაბი გამოეჭრა — მუყაითად, რობოგიყით — მინის ზედაპირს მისდგომოდა და აქ გახირულიყო.

ველარც უკან წაეიდოდა — დაუძლეველი ინსტინქტი — სინათლის ტროპიზმი — მას სინათლისკენ ეწეოდა.

... იგი გავგნებული მიიწეედა წინ. მიიწეედა, იყენებდა თავის ყველა უნარს — კალის უნარს, გარაკნის უნარს... იძაბებოდა, აწეებოდა, სწამდა, სჯეროდა... მაგრამ რაგომდაც, მისთვის აუხსნელი მიზემის გამო, სიყოცხლემდე ვეღარ აღწეედა.

ასე იყო და ბოლოს მოკედა“.

მწერების მოზღვავებაა „მაუკლიმიც“. ეს ერთადერთი მოთხრობაა, რომელშიც ავტორი „ბოროტად“ იყენებს თავის პროფესიას – ფსიქოლოგის თვალის არის დანახული და ახსნილი ყოველივე – ალქმის კონსტანტობის რღვევა, თავეგადაპარსული ბიჭების ინდივიდუალურობა, უსაქმურთა სადღო-მაჰოხისგური თამაში ხოჭოს მშთანთქავი ჭიანჭველებით და სხვა. ამასთან, ნაწევებია მუსტად ისეთივე უაზრო ყოფა, როგორც ქურნალის რედაქციაში იყო: „უეცრად დაეინახე, რომ რაღაც უცნაურ გარემოში ამომეყო თავი. ეს უკვე აღარ ჰგავდა ახალციხეს, და არც სრულიად საქართველოს. ეს იყო უცნაური, სიმშრისეული სამყარო...“

რა გასაკვირია, რომ ზაზა თვარაძის ამგვარად მოაზროვნე გმირები, არსებულით უკმაყოფილონი და ხშირად, მოყვასის ზედმეტად მკაცრად განმსჯელნი, მძაფრ ირონიას აელენენ საკუთარი პიროვნების მიმართაც და ყველაზე კრიტიკულნი და შეურიგებელნი სწორედ საკუთარი „მეს“ მიმართ არიან.

მთხრობელს აოცებს, როცა მეგობარ გოგონას მოსწონს მასთან ყოფნა, მისი ნაუბარი – „უაზრო ბოდეა“, მაშინ, როცა თავად ფიქრობს, რომ გალემილი და საზიზღარია („მინის უკან“); ზაალს გაცნობიერებული აქვს, რომ უმწეო და უმაქნისია, არცერთი დაწყებული საქმე ბოლომდე არ მიუყვანია, თავის დაცვაყ კი არ შეუძლია („ბინები“); სრულიად უსუსურია რედაქციის თანამშრომელი ნიკოც, თავის უქნარობას და ბაეშვობიდან თანდაყოლილ შიშებს ღვინოში რომ აღრჩობს („სალომე“); ფარისევლები ზეობენ „ხსოვნის საღამომე“: რედაქციის დამაარსებელ ფრიდონ მოისწრაფიშვილს სიცოცხლე მოუსწრაფეს (გვარების ასეთი „გათამაშება“ სხვაგანაც გეხვდება: გიორგი ჩხიკვიშვილი „ჩხიკვია“) ბოროტმა და გესლიანმა, ლაქარდიანმა ენებმა, ახლა კი იგივე ენების პაგრონები ხსოვნის საღამოს უმართავენ. გარდაცულილი კაცი ფოტოსურათს შემოუნახავს, რადგან თავად „აღარ არის“... ცხოვრება კი „არარაობის მსგავსი სიცარიელეა“.

რწმენადაკარგული, დაფეთებული, გასაცოდავებული, გაბოროტებული, აგრესიული, გზააბნეული ხალხით არის დასახლებული ზაზა თვარაძის მხატვრული სამყარო და დღევანდელი თბილისი. აღამიანები დიდად არ განსხვავდებიან ფაუნის წარმომადგენელთაგან: ზოგი მწერია, ზოგიც ბაყაყი ან მაიშენი, ჩხიკვი და სინდიოფალა და ა.შ.

ასეთ „გოიოპარკს“ ხანდახან ნათიული პიროვნებებიც ენაცვლებიან, მაგრამ მხოლოდ ხანდახან: დაღებით გმირს, რომელსაც, სამ-

წახაროდ, ჩვენს დღევანდელ მწერლობაში იშვიათად თუ შევხვდებით, ვერც შაბა თეარაძის პროზაში მოვიძიებთ: თითქმის ერთადერთი გამოჩაკლისი სალომეა, რომელიც ისეთი უბრალოებით სჩადის სიკეთეს, თითქოს სადილს აცხელებდეს („სალომე“)...

ავტორი მწარედ განიცდის, რომ გარდაცვლილი არარაობიდან არარაობაში ინთქმება, „აღარსად არის“ („ხსოვნის საღამო“), თუმცა მოგჯერ მთხრობელის აწ განსვენებული ძვირფასი ადამიანები სრულიად ბუნებრივად ჩნდებიან, როგორც პერსონაჟები. უნდა ვიფარაუდოთ, რომ ახლობელთა გარდაცვალება ხელს არ უშლის გმირს, მუდამ გვერდით იგულოს ისინი, სულიერად ახლოს იყოს მათთან და მოვლენათა განსჯა-შეფასებისას მათი თვალთახედვაც გაითვალისწინოს. შაბა თეარაძის ერთ-ერთი საუკეთესო მოთხრობა „მოხეტიალე“, რომლის სათაურიც ავტორმა წიგნის სახელწოდებად შეარჩია, ამის ნათელყოფაა: მთხრობელი და მისი ბიძაშვილი ღამით ერთად ბრუნდებიან წვეულებიდან, გზად ორიოდ ფათერაკიც გადახდებათ თავს; მოთხრობის დასასრულს, როცა გმირი სახლს მიაღწევს და კიბეს აუყვება, მკითხველი მაშინღა იგებს, რომ უმცროსი ბიძაშვილი, ერთგული, ჭკვიანი და მოყვარული ბიჭი, მხოლოდ მთხრობელის გონებასა და სულში არსებობდა: „ამ დროს გამახსენდა ჩემი დაკარგული ბიძაშვილი – იგი თხუთმეტი წლის წინ გარდაიცვალა, მეცხრე საავადმყოფოში, რაღაც გაუგებარი ავადმყოფობით – მაშინ მე სტუდენტი ვიყავი. თხუთმეტი წლის დაღუპული და გამქრალი ბიჭი, ისიც წასული და დაკარგული – სხვა მკვდრებივით, დროის უსასრულო ოკეანეში“.

შაბა თეარაძის გმირებს დაბადებიდან კი არ დაჰყვებათ უიმედობა: ისინი გონიერნი არიან, შრომობენ, სწავლობენ, ამროვნებენ, მეგობრობენ, უყვართ; ხანდახან, ეგოცენტრიზმის ნაჭუჭიდან თავდაღწეულნი, საერთო საქმეს ემსახურებიან (ლურჯი მონასტრის აღდგენა „დამშრალ მდინარეში“). ცდილობენ ღმერთის, ეკლესიის მსახურებას, მოყვასის უანგარო შეწევნას, მაგრამ საბოლოოდ ყველაფერში ხელმოყარულნი რჩებიან: ენგრევით სახლი, ოჯახი, სამსახური ერთფეროვან უაზრობად ექცევათ; რწმენაშერყეულები და ხიბლგაფანტულები ვეღარასდროს ჰპოვებენ სულის სიმშვიდეს და, გაუცხოებულთ, საკუთარ ქალაქშიც კი უძნელდებათ შინისკენ გზის გაგნება. მათი ცხოვრება დაუსრულებელი გამოცანებით და პასუხგაუცემელი შეკითხვე-

ბით არის საეკე; სიჭმარ-ეხადიე მათს ცხოერებაში ერთიანად აღუეს კლია.

გმირები ამაოდ ედილობენ შეუცნობელის შეცნობას. აეგორი არაერთხელ მოუხმობს ფსიქონალიგიკურ თვალსაზრისსაც, თემა ფროიდის ბოგიერთ მიმდევართა ორიოდოქსიისგან, საბედნიეროდ. თავისუფალია (ახლა, თქვენ წარმოიდგინეთ, მასკულტურაშიე კი, მომრავლდნენ რომის პაპზე უფრო კათოლიკენი ანუ ფროიდზე უფრო ფროიდისგები, რომელთაც დააკინნეს დიდი მეცნიერის მოძღვრება). მის მოთხრობებში არის რადაე ჰიჩოკისეულიე („გაქეული მიმუნი“, „ბუმი ფანჯრის მინაზე“ – აქეე შეენიშნავ, რომ ჩემთვის მიუღებელია ამ მოთხრობის მოულოდნელი „ჰეფი ენდი“): „ეს ქეეყანა ხომ მწერებს ეკუთვნის! მწერების ძუნწი სიყვარული, მწერების პარაბიგული მზრუნელობა... ქეეყნიერება, რომელიე ბუბისებრი კანონებით არის აგებული“...

მაზა თვარაძის პრობის კითხვა, გაუბრალოებულად რომ ვთქვა, „ძნელია“. ყოველგვარი მხატვრული სამკაულების უარმყოფი აეგორის სგილი სადაა, მშრალი და მკაცრი; მაგრამ მას მაინე მართებს რეგი ყურადღება ენობრივი ქსოვილისადმი, რომელშიე ხანდახან თვალში უსიამოენოდ შეგეწხირება „მონსტრუალური“, „ემოციონალური“, „გამამწესეს“ და სხვა. ბოგი მოთხრობა ზედმეტად არის გაჯერებული სპეციფიკური მეცნიერული გერმინოლოგიით.

მწერალმა მოთხრობათა კრებულის სათაური ძალზე ზუსტად შეარჩია, რადგან მის პერსონაეთა უმრავლესობა სწორედ რომ „მოხეგიალენი“ არიან. შინ მისასეულელად მათ დიდი გმის გავლა უწევთ, ბოგერ კი იკარგებიან მათთვის სრულიად უცხო, აბსურდულ გარემოსა თუ მეგროს არარსებულ სადგურებში მოხედრილნი („ლიენზონენბურგი“).

მაზა თვარაძის დანახული დღევანდელი თბილისი საკმაოდ პირქუმ და ფანტასმაგორიულ ქალაქად წარმოგიდგება; ის თითქოს თბილისია და არე არის...

90-იანელთა თაობის პროზაიკოსები თანამედროვე თბილისის, ბოგერ ერთმანეთისგან მკვეთრად განსხეეებული, მაგრამ მაინე ჩინებული „კოლორისგები“ არიან.

მაზა თვარაძის თბილისი სიჭმარში ნანახს უფრო წააგავს, ვიდრე რეალურ დედაქალაქს, რომელიე მთელი თაობებისთვის

სანაგრელი „მცირე სამშობლოც“ იყო. დედამიწის ზურგზე ესაყვარლესი ადგილიც და სულიერი ნაესაყუდელიც.

მიძიმს ამის გამხელა, ძნელია, თვალი გავუხწოროთ სინამდვილეს, მაგრამ ის ქალაქი, რომელიც ყველა თბილისელს გკბილი სევდიან გვენატრება, აღარსად არის...

ამაში ზაზა თვარაძის პროზაეც გვარწმუნებს.

დოსტოვესკის ჩაკირკიტებულ მკელეუარებს შენიშნული აქვთ ერთი გასაოცარი ვითარება: ეს გენიოსი, როცა თავის პერსონაჟთა პეგერბურგში მიმოსვლას აღწერს, გედმიწეუნითი სიზუსტით იყავს მათ „მარშრუტს“; მაგალითად, მანძილს რეალურად არსებულ შენობათა შორის (ნაბიჯების რაოდენობაც კი ემთხვევა), აღნიშნავს ქუჩებს, შესახვევებს, დაწერილებით აღწერს სახლებს და ბინებსაც კი...

ეს ამბავი მაშინ გამახსენდა, როცა ჩემი განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია ზაზა თვარაძის პერსონაჟთა ხშირმა გადაადგილებამ თბილისის ქუჩებში, რაც ავგორს გუსტად და პედანტურადაც კი აქვს მონიშნული. ქართულ პროზაში და განსაკუთრებით, კინემატოგრაფში ასეთი „უნქუალურობა“ საკმაოდ იშვიათია, რაც, მართალი გითხრათ, ხშირად იწვევდა ჩემში უნებლიე გაღიზიანებას. მაგალითად, გრიბოედოვის ქუჩიდან რუსთაველზე ჩამომავალი კაცი უმაღლეს მტკეარგაღმა აღმოჩნდებოდა, ან მერაბ კოსტავას ქუჩის მიწისქვეშა გადასასვლელიდან – პირდაპირ ზუბალაშვილების ქუჩაზე აუხეევდა...

თითქოს წერილმანია, მაგრამ ეს გარემოება გარკვეულ დისკომფორტს და შეუსაბამობის განცდას ბადებდა ხოლმე.

თუკი ამისთვის თავის არიდება კინოში ვერ ხერხდება მიზეზთა გამო, პროზაიკოსისთვის ასეთი დაუღვერობა ნამდვილად არ გახლავთ მოსაწონი.

ზაზა თვარაძის „პედანტურმა“ მარშრუტებმა, გულწრფელად უნდა გითხრათ, ღიდი სიამოვნება მომგვარა (ახალგაზრდობაში ხომ ყველანი „მოხეგიალენი“ ვართ, როგორც გადაგანითი ისე პირდაპირი მნიშვნელობით).

მთავარი კი ის გახლავთ, რომ ზაზა თვარაძის პერსონაჟთა ხეგიალს სიმბოლური დატვირთვა აქვს, ხოლო „მოხეგიალენი“ პიროვნული „მეს“ შეცნობის, საკუთარი თავის პოვნის („ეძიებდე და პპოვებდე“), მხოლოდ მათთვის განსაზღვერული ადგილის მოძიებისთვის არიან მოწოდებულნი, თუმცა გვეყური ცთომილებ-

ის მსგავსად ისინიც ხშირად სკდებიან სწორ გზას და მარადისობის მგერად იქცევიან.

„იზმების“ მოყვარულთ, შესაძლოა, დაებადოთ კითხვა, – ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, – მიეკუთვნება თუ არა ზაზა თვარაძის შემოქმედება ეგზისტენციალიზმს? ამის თაობაზე პოე ითქმის და არაც; რაღვან „მოხეციალემი“ თითქმის თანაბრად დაიძებნება არგუმენტები pro et contra.

ეგზისტენციალიზმით, განსაკუთრებით მისი ფრანგული ლიტერატურული ნაირსახეობით, დიდად ვიყავით გატაცებულნი; დღევანდელობაც, იქნებ, მაინცდამაინც ეგზისტენციალიზმით დაინტერესებას უწყობდეს ხელს. მაგრამ, პირადად მე, ზაზა თვარაძის თეიომყოფი მხატვრული სამყარო ნამდელიად არ მეძებება რაგინდარა „იზმის“ ჩარჩოში მოსამწყვედეად.

2001 წ.

გამოთხოვება კველ თბილისთან, კრწოლა ახალი თბილისის წინაშე

(აკა მორჩილაძის „გადაფრენა მადათოვზე და უკან“)

მე არ მიყვარს კილო მუხამბამისა,
კინგოთ კილო, კილო შუაბაზრისა...

ეახტანგ ორბელიანი

ძველ პოემიას კადნიერად ეახურავთ ჩალმას,
მაგრამ სახესა სიყვარულით თვალის უკეზი...

გიციან გაბიძე

ამოიყან ეს ცხოვრება, არ ვინდა?

აკა მორჩილაძე

დროდადრო განათლებული საზოგადოების ნაწილს უჩნდება ილუზია, რომ აღარ შეიძლება უწინდებურად წერა. ამგვარი განცდა ეამიკამ ეუფლება ცალკეულ მკითხველსაც, მეტადრე, – მწერალსა და შემოქმედს. ეს, საბოლოო ანგარიშში, სასიკეთოა მწერლისთვისაც და ზოგადად ლიტერატურისთვისაც; თუმცა,

ზოგჯერ, შესაძლოა, ნოვაციისადმი დაქინებულმა და თვით-
მიზნურმა სწრაფვამ კარიკატურული სახე მიიღოს და უაზრო
თამაშს (მწერლობა აზრიანი თამაშია) დაემსგავსოს.

სიახლის გაცხოველებულ თუ გაშმაგებულ ძიებას ზოგჯერ
ფიასკომდე მიეყავართ; ყოველივე ახალი ხომ კარგად დაიწყე-
ბული ძეგლია! ნოვატორული „სიმმაგე“ საერთოდ დამახასიათე-
ბელია XX საუკუნისათვის, განსაკუთრებით კი, ჩვენი დროები-
სთვის.

XX საუკუნის მიწურულის მწერლობაც და ხელოვნებაც ერთ
უმთავერეს, ზოგად ტენდენციას წარმოგვიჩენს, – ეს გახლავთ
ეკლექტიკა.

ამას ლოგიკური ახსნაც მოეპოვება: ერთის მხრით, – იგაფმი-
უწედომელი კომუნიკაციების, კულტურული ინტეგრაციისა და
ეროვნული მწერლობის „გლობალიზაციის“ პროცესი; მეორეს
მხრით, – მწერლობის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ვათვალ-
ისწინებით, – სიახლის დიდი დეფიციტი: XX საუკუნის ახლისშა-
ძიებელ მწერალთა ლეგიონმა თითქმის ამოწურა ახლის მიგნების
ყველა შესაძლებლობა. ამიგომაც მიეცა „გზა ფართო“ – ეკლექ-
ტიკას. ეს არც საძრახისია და არც მოულოდნელი; თუმცა სა-
ფრთხესაც შეიცავს, მით უმეტეს, – ჩვენებრ პაგარა ერისთვის.

რასაკვირველია, ჩვენში, გოგალიტარული ცენზურისგან ახ-
ლად თავდახსნილ და, გრადიციულად, დიდი მწერლობის ქვეყა-
ნაში, ძველისა და ახლის ჭიდილი მეტად მძაფრად, „შუბების
მგერევიტ“ მიმდინარეობს.

სავეალალო უფრო ის გახლავთ, რომ ფასეულობათა გადა-
ფასების უცილობელი პროცესის გარეშე, სიტყვის თავისუფლებ-
ის „თავისებურმა“ გაგებამ და გაუთავებულმა კინკლაობამ, –
მასკულტურის მძლავრობით ისედაც გაზარმაყებული, მთელეშარე
გონების გემოვნებაშერყვნილი მკითხველი მთლად დააბნია და,
ზოგ შემთხვევაში, – ბურგი აქეუენა ჭეშმარიტი მწერლობისთვის.

ამას თან დაერთო თაობათა მარადიული ჭიდილი; თუმცა,
ზოგჯერ, „მამათა“ და „შვილთა“ ბრძოლა ახლებურ ყაიდაზე, –
მრწამსისა და მხატვრული მანერის ურთიერთდაპირისპირება
უფროა, ვიდრე ასაკის პრობლემა.

აქვე მოვიშველიებ ერთ, საკმაოდ სახალისო ნამდვილ ამბავს,
არაკადაც რომ გაძოდგება: ანა ახმატოვამ „ენა მიუტანა“ ალუ-
ქსანდრ ბლოკს – ბენედიქტ ლიეშიცმა შემომჩივლა, ბლოკი, თვით

თავისი არსებობის ფაქტითაც კი, ხელს მიშლის ლექსების თხზვაშიო. დიდმა პოეტმა, ახმაგოეასთვის მოულოდნელად. არც კი გაიღიმა, – სრულიად სერიოზულად მიუგო: „შემიძლია ამის ვაგება. მე ლევ გოლსტოი მიშლის წერასო“.

ამ სასეირო არაკს კიდევ დაუბრუნდები, ისედაც სიგყვა გამიგრძელდა: ახლა კი ნამდვილად ღროა, ჯიქურ მივადგე ჩემს ძირითად სათქმელს – აკა მორჩილაძის ჯერჯერობით ბოლო წიგნს – „გადაფრენა მადათოებე და უკან. დეტექტივი“, თბილისი, 1998 წ., 2000 წ., „ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“ (შემდეგში მას, სიმარჯვისათვის, „მადათოეს“ ეწოდებ). ამხელა წინათქმა კი იმისთვის დამჭირდა, რომ „მადათოვი“ ბოლო წლების ქართული პროზის ერთ-ერთი ყველაზე უცნაური ნაწარმოებია, – არაორდინალური ფორმითაც და შინაარსითაც: ნოეაგორულიც და გრადიციულიც, კომიკურიც და გრაგიკულიც, ღრმაც და ზედაპირულიც, პროტესტის გამომწვევიც და თანაგრძნობის აღმძვრელიც, ყაულგასულიც და სადღეისოც; ერთი სიგყვით, ეს გახლავთ მაღალი დონის ეკლექტიკა, ჰარმონიული „დომხალი“ (აფგორის „კომენტარებიდან“), ერთგვარი გადაფრენა თუ გადარბენა ძველ თუ უახლეს ქართულ მწერლობაზე, თბილისის ძველ თუ უახლეს ისტორიაზე.

აკა მორჩილაძის პირველი ორი წიგნი („მოვბაურობა ყარაბაღში“, „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“) ალტაცებით და თითქმის უკრიტიკოდ მივიღე, რასაც ვერასგზით ვერ ვიგყვი „მადათოებე“, რომელმაც, სხვათა შორის, ბევრი მოულოდნელი თავსაგეხი გამიჩინა.

თუ არა პროფესიული ინტერესი, ალბათ ეს წერილიც არ დაიწერებოდა.

თუმცა „დეკამერონი“, სხვათა წამხედურობით და მშობლები-სგან მალულად, IV კლასში წავიკითხე (ნეგა რას გავიგებდი, მაგრამ აკრძალული ხილი ხომ გკბილია!), სკაბრებულობა მწერლობაში, მით უმეტეს, ქართულში, ეროვნული გრადიციებისა და მრწამსის გათვალისწინებით, – არამცთუ არ მიზიდავს, მაფრთხიბს კიდევ (ვგულისხმობ ჭეშმარიტ მწერლობას და არა ისეთ „პოსტავანგარდისტულ“ ფსევდონოეაციებს, ბიბლიისა და „შუშანიკის წამების“ უხაშს და ბილწ, მკრეხელურ პაროდის რომ მიეცაეს).

საბჭოური ცენზურა დიდი „ავის მქმნელი“ კი გახლდათ, მაგრამ ერთ რამეს ვერ დაუკარგავ, – „ზრდილობიანი“ იყო: ძველმ-

ოღურ, „ბურჟუაზიულ“ მენჯალიგეტს ანგარიშს უწედა და „ეულ“ სიგყეებს კრძალაჲდა. ქართული ფოლკლორისგებიჲ კარგად იცნობენ სკაბრეზულ ზეპირსიგყეიერებას, თუმცა სამზეოზე არასოდეს გამოუყენიათ. გაბუ გაბუა!

საბედნიეროდ და საუბედუროდაჲ, რკინის ფარდის რღვევის შემდეგ დაეინახეთ, რომ ახლანდელ მსოფლიოში თითქმის ყველაფერი ნებადართულია და, მთლად უარესი, – ყოველივე ეს „ადამიანის უფლებად“ მოიაზრება. ჩვენ კი, ერთგვარად, ახლად თვალახელილი კნუგების მღვომარეობაში აღმოვჩნდით, გაციებით რომ ეწაფებიან გარესამყაროს. ისგორიის ჩარხი თითქოს აჩქარდა და ახალმა რეალობამ მყისიერი ზეგავლენა მოახდინა ჩვენს ლიგურაგურაჲჲ (არა მხოლოდ ახალგაზრდულზე), რომელშიჲ ძალუმად შემოიჭრა სკაბრეზულობაჲ.

„ეარდთა და ნეხუთა ვინათგან მზე სწორად მოეფინების“, – ამ ჩემმა ნაქებმა (იხ. „ლიგურაგურული საქართუელი“, 2000, № 17) და მართლაჲ სანაქებო პროზაიკოსმა აკა მორჩილაძემ. არც აცია, არც აცხელა და ბოლო თხზულება, როგორც ახლა, აღერსიანი გონით, ლამის ენის მოჩღეჲჲთ შენიშნავენ მავანნი „თავისუფალნი“ – „არაგრადიციული სქესობრივი ორიენგაციის“ წარმომადგენელს მიუძღვნა. ეროსი მანჯგალაძის ერთი დაუეიწყარი გმირისა არ იყოს, – „Тоже мне Альямодовари!“ „მადათოვის“ კითხვა დიდი მოლოდინით კი დაეიწყე, მაგრამ ზემოხსენებული ფაქტი საკმარისი შეიქნა, რომ წიგნი უსიამოვნოდ, წყენით – ყველაზე „პიკანტურ“ ადგილას, მომესროლა და აღთქმა დამედო საკუთარი თავის წინაშე, რომ „მადათოვის“ ხელში ამლები აღარ ვიქნებოდი. გული იმაზე დამწყდა, რომ ქართულად მომიხდა ასეთი „ეულგარული მახვილგონიერულობის“ (გერონტი ქიქოძის სიგყეებია) წაკითხვა, თორემ, მშობლიური გელევიზიის „წყალობით“, უცხოური, მეტწილად ნაპარაჲი, მდარე კინოპროდუქციის მეშეობით, „პირონაკადემია“ გვაქეს დამთავრებული!

ამაო ცნობისმოყვარეობამ თუ „უწესო“ მთხრობელის წრეგადასულმა ნიჭიერებამ მალევე დამარღვევინა ეს აღთქმა. ასე ჩაეიკითხე მთელი წიგნი, ხან გააყებულმა, დიდი შინაგანი წინააღმდეგობით აღვისილმა, – ხანაჲ აღგაყებულმა ფაბულის მოულოდნელი წიაღსვლებით.

თუ არა აკა მორჩილაძის დაუოკებელი ფანტაზია და იუმორი, ნებისმიერი მოვლენისა თუ პერსონაჲის ირონიული აღქმა, – „მადათოვის“ სკაბრეზულობას როგორ გავუძლებდი!

აკა მორჩილადის „ეკლგარული მახვილგონივრულობა“ მხოლოდ მაშინ გავეაცნობიერე, როცა „ეფუემისგურმა“ იმელგაცრუებამ გამიარა და სავსებით მიეწინააღმდეგა ავტორს (თანაც ჩათრეყას ჩაყოლა ვამჯობინე).

სხვათა შორის, აკა მორჩილადი ძალზე ეშმაკი ავტორია და თითქოს ყველაფერი წინასწარ აქვს გათვლილი...

მაინც მინდა ამთავითვე შევნიშნო, რომ თხზულებას არაფერი დაუშავებოდა ზოგი უწმაწური შაირისა თუ გულისამრევი სცენის გარეშე. ჩემი „ძველმოდური“ და ღრმა რწმენით, ერთი-ორგან ავტორმა ამკარად გადაამლაშა (თუნდაც ამილახერიანთ კნენიას რას ერჩოდა! უბრალოდ, ცდუნებას ვერ გაუძლო). და, რაც ყველაზე საწყენია, მაგრამ მაინც უნდა ვთქვა, „მადათოვი“ თავის პოპულარობას, მნიშვნელოვანწილად, უფრო სკაბრებულობას უნდა უმაღლოდეს. ვიდრე რთულად აღსაქმელ და ძნელად მისახვედრ პაროდისა თუ ირონიას, ლიგერატურულ რემინისცენციებსა თუ ალუზიებს, უცნაურ ნიღბებსა და მისტიფიკაციებს, რომლებითაც დაყურსულია თხზულება. ალბათ, სწორედ ამიგომაც გამოცხადდა „მადათოვი“ „ბესტსელლერად“; თუმცა კიდევ საკითხაჲია, რამდენად თავმოსაწონებელია ჩვენს სინამდვილეში ეს ცნება.

მთავარი კი ის გახლავთ, რომ მწერლობა „შოუ“ არ არის, მას გვინის განძრევა და მკითხველთა გარკვეული მზაობაც ესაჭიროება; სწორედ ასეთ თხზულებათა რიცხვს მიეკუთვნება „მადათოვიც“.

აკა მორჩილადის სამსავე წიგნს რომანებად მიიჩნევენ, თუმცა, ჩემი აზრით, რომანის ჟანრს მხოლოდ „მადათოვი“ უახლოვდება.

თხზულების, ანუ როგორც ავტორი უწოდებს – „დეტექტივის“, – ღერძი გასაიდუმლოებული ბიოგრაფიისა და ასევე ბუნდოვანი საქმიანობის თბილისელი მოქალაქის ჰაფუბ (ხაფო) მხატვრის მკვლელობა და დანაშაულის გამოძიებაა; თუმცა დეტექტიური ხაზი მეორეხარისხოვანია.

მუსგად არის მითითებული მკვლელობის დრო და ადგილი – 1899 წლის ზაფხული, მადათოვის კუნძული.

რომანი სამწაწილიანია; პირველი მათგანი – „მღებავი კაცის ბიოგრაფია“ – პროტაგონისტის (რაც ძველ ბერძნულად ზედმიწევნითი მნიშვნელობით – „პირველ აქტიორს“ ნიშნავს) თბილი-

სურთ თავგადასაყვალს და მკვლელობის ამბავს გეაძცსობს; მოძღვენო ნაწილი – „ბაიარდი და ყორღანოვი“ – გამოძიების მსკვლელობასა და გამოძიებელთა ავანჩაყვანს გაღმოგვექმს: მესამე ნაწილი – „რამღენიმე ქრონიკა“ – თითქოსღა სრულიად განსხვავებულ და დამოუკიდებელ ეპიზოდებს გვთავაზობს. რომელთაჲ მხოლოდ ერთი რამ აქვთ საერთო – პირღაპირი თუ ირიბი კავშირი ხაყო მხატვართან.

ე.წ. „ღანართი“ არანაკლებ მნიშვნელოვანია; ავტორი ვითომღა კომენტარებს ურთავს რომანს; სინამღვილეში კი მისტიფიკაციის შესაძურ უნარს ავლენს და მკითხველს აბაიბრუებს და ათაყვანებს: უიშვიათესად მართალი, ზოგჯერ ნახეურად მართალი, უმეტესად კი სავსებით ცრუ „შენიშვნებით“, „განმარტებებით“ თუ „ნუსხებით“.

წმინღა წყლის მისტიფიკაციაა ჰაფემ მხატვრის „გენეალოგიური შგოს“ პეღანტურად შეღგენილი „სქემაც“, რომელშიც მამამისის სახელიც კი მცღარია! ტექსტის მიხედვით – იბრაიღია, „სავარაუღო წარმომავლობის ქაღალღით“ – შაღამა...

ხოლო უკანასკნელი „ღოკუმენტური“ შენიშვნა იმის თაობაზე, რომ ჰაფემ მხატვრის არც სახელი, არც პირადი ნიღთები და ნაკეთობანი, არც საბუთები არ შემორჩენიღა, – საბოლოოდ აცამტეერებს „ნღობის ფაქტორს“ ამ ვითომღა ისტორიულ-ღოკუმენტური ღეტექტივისადმი.

პირველ ნაწილს – „მღებავი კაცის ბიოგრაფიას“ – წინ უძღვის ფარსული ინტერღული თუ ინტერმეღია, დაახლოებით იმგვარი, ძველვეროკულ თეატრალურ წარმოდგენებში რომ გამოიყენებოღა; ეს კი, ამთავითვე, თხზულების პირობითობასა და „თეატრალურობაზე“ მიგვანიშნებს. ჩემს მიერ პროტაგონისტის ზემიწვენითი მნიშვნელობის – „პირველი აქტიორის“ – მოხმობაც ამ თვალსამრისს ღაქვემღებარა.

ღასაწყისიღანვე ცნაურღება აკა მორჩიღაძის მიერ ერთ-ერთი უძველესი ღიგერატურული ხერხის – „სიუვეტური შენიღების“ გამოყენებაც, სათქმელის „გასხვისება“, სხვამე გაღაბრალება, არარსებულ მოწმეთა მოხმობა თუ მკითხველის გაუთავებელი მისტიფიცირება.

არანაკლებ მნიშვნელოვანია წინათქმის ეპიგრაფი, ავტორისეული განმარტებით, „სამოგაღო ეპიგრაფი მთლიანად წიგნისა“; ამუღური პოემიის პაროდიას – „ტკილხმოვან“ სიგყვათა

რაჩარუსს, ერთადერთი ამრიგად, ირონიულად გამოხატული, მაგრამ ამკარად ფილოსოფიური საკითხი ენაცვლება.

ყასიმორის ყაითაი არ მინდა,
გაზის ბაზის ინდოხაში არ მინდა,
ამოიყან ეს ცხოვრება, არ გინდა?

პატარა წინათქმა „დექანი“ ვითომცდა მემუარისტის არგემ გეშაქოვის „ჩემი დროის ჩანაწერების“ ხელნაწერის ფრაგმენტია. გეშაქოვი, რომელიც ხაფოს კუკიაზე დასაფლავების თვითმხილველია, დიდი ხნის შემდეგ იგონებს ხაფოს ქელესს ქალაქის გარეუბნის დუქანში და მისი დასაფლავების უცნაურ „რიტუალს“, რომლის არსი პატარა ბიჭმა მაშინ ვერც კი გაიგო. „ცერემონიასაც“ და ჭირის სუფრასაც ათი-თორმეტი „ალაღად მწუხარი“ კინგო ესწრებოდა: „კუბოს რომ დაჰხურეს, ეს ათი-თორმეტი კაცი, სრულიად დამწუხრებული და მოქვიითინე, ერთიდროულად ჩამოჯდა ხაფოს სასახლის სახურავზე და თითომ სამჯეროთხჯერ დაჰკრა გავა ამ სახურავს, აითქოს მკვიდრად უნდა მოარგოს კუბოსო“...

აკა მორჩილაძე ამას არ სჯერდება და, მეტი დამაჯერებლობისათვის, „შენიშვნებსა და განმარტებებში“ – წარბმეუხრელად გვაცუსურაკებს: დუქანში აღწერილი ეპიზოდი უკანალით კუბოს დახურვისა, მუსგად 70 წლის წინათ უნახავს მოხუც გ. რ.-ს, რომელმაც ნანახიდან მუსგად 68 წლის შემდეგ უამბო და აუხსნა ავტორს ეს ამბავი. ასე რომ, გეშაქოვის პირველი ჩანაწერი „სინამდვილეს ეყრდნობა“. აკა მორჩილაძე რიგაინად არ განმარტავს, მოხუცმა გ. რ.-მ შემოხსენებული ძვირფასი „ამორალია“ იხილა თუ მისი სხვა ანალოგი? ორამროვნების გამო იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოხუციც თვითმხილველია: ე.ი. მან ავტორს 1967 წელს (1899+68) უამბო ეს „დაუეიწყარი“ ეპიზოდი. ამოყანა გვეკითხება: რამდენი წლისა ბრძანდებოდა აკა მორჩილაძე 1967 წელს? ჩემი „საფუძვლიანი“ გამოანგარიშებით, იგი, შესაძლოა, სწორედ ამ წელს დაბადებულიყო! როგორც ხედავთ, ავტორმა თამაშში ჩამითრია; მარგო მისი „ქრონოლოგიური სიზუსტე“ – „მუსგად 70 წლის წინათ, ... მუსგად 68 წლის შემდეგ“ – რად ღირს! ხოლო ყოველივე ეს თამაშია და სხვა არაფერი. პირველი ნაწილი – „მღებავი კაცის ბიოგრაფია“ – გამორ-

ჩეულია მოქმედების დინამიზმით. ის მოიქცავს ხაფიზ მხაგერის, ორმოციოდე წლის საეჭვო პიროვნების თავგადასავალს: ხაფიზ გაურკვეველი რჯულისა და წარმომავლობისაა, „ემშაკეული“, სოდომის ცოდვის გამაფრცველებელი, „მომსახურებისთვის“ ფულსაც რომ იღებს; თარსი თვალი აქვს, ამქრიდან ამოძირკვეს, მრავალგზის ნაცემია, მის დანახვაზე იფურსხებიან; ამასთან, მთავრობის კაცების „ძალიშვილია“, მეეახშე, თაღლითი, უამრავ ბნელ საქმეში გარეული, შესაძლოა, მკვლელიც; მაგრამ მუდამ მოუხელთებელი (თერთმეტი დღე უთვალთვალა ანჩისხაგის მღვდელმა მამა ბაქარიამ, რათა სამშეობზე გამოეგანა მისი შავბნელი ცოდვები, ამოიციო კიდეც მისი ავანჩაენი, რის შედეგადაც მისი სხეული მტკვარმა გამოიოცა).

მეორე მხრით, ხაფიზ შესანიშნავი თვითნასწავლი მხაგეარია, დიდი ფანტაზიისა და ნატიფი გემოვნების მქონე, ძველ ნაკეთობათა დამფასებელი და კოლექციონერი; ხანდახან, განსაკუთრებით, უცხოელებთან, — ხელგამლილი და თავისი ნიჭით თავმომწონე...

ხაფიზს მხაგერობის „აღმომჩენი“ და დამფასებელი, რა თქმა უნდა („გრადიციისამებრ“ — გავისენოთ ძმები ზღანეიჩები და გარუსებული ფრანგი ლე დანგიუ), უცხოელია: არც მეტი, არც ნაკლები, — ნორვეგიელი მწერალი კნუტ ჰამსუნი. ამ უკანასკნელმა 1898 წელს მართლაც იმოგზაურა საქართველოში და, თუმცა „წერილმანი“, მაინც აღსანიშნავია, რომ 1899 წელს ხაფიზს მკვლელობის გამო მას ვერაინ დაკითხაედა. უმთავრესი კი ის გახლავთ, რომ აკა მორჩილაძის რომანში მოხვედრას დიდი ნორვეგიელი მის ნაშედეგ გვარს — „ქედერსენს“ („ქედერასგია“ ძველბერძნულად მამათმავლობაა) უნდა „უმაღლოდეს“. ასეთია ავტორის „ასოციაციური ჯაჭვი“ — სრულიად შემთხვევითი კაპრიზი თუ უნებლიე დამთხვევა.

ჰამსუნის ყველა „ჩანაწერი“ გამოგონილია (თუმცა მის საქართველოში მოგზაურობას უკეალოდ არ ჩაუვლია — დაწერა პიესა „დედოფალი თამარი“ და შთაბეჭდილებათა წიგნი — „ზღაპრულ ქვეყანაში“). სხვათა შორის აღსანიშნავია, რომ თბილისის ბიბლიოთეკაში ჰამსუნმა მიაგნო მაღამ ბროსეს ფრანგულ თხზულებებს საქართველოზე. ნეტავ რატომ აქცია ისტორიკოსმა გიო ახელედთანმა მარი ბროსე ქალად? რასაკვირველია, „საღადაოდ“! ჩვენს მასმედიაში პირადად მე ორჯერ შემხვდა

ძალიან „თავისუფალი“ და „განათლებული“ კალმოსჩების მიერ მოხსენიებული „ქალბატონი მარი ბროსე“.

სწორედ ჰამსუნის ცნობისმოყვარეობას და ცნობისწადილს უკავშირდება მადათიოვის კუნძულისა და ხაფოს მხატვრობის „აღმოჩენაც“.

ზოგიერთი ეპიზოდის კითხვისას იქმნება შთაბეჭდილება, რომ აკა მორჩილაძე ღრუბელივით ისრუტავს ყოველსეულს. რაც ოდესმე დაუნახავს. წაუკითხავს, დაულანდავს, – ცხოვრებაშიც და ეკრანზეც; ყველაფერ ამას ჩაუძახებს თავის „ქვებში“, აურ-დაურევს, ან გადახარშავს, ან არა, ცოტას იუმორით შეკმაზავს. გემოვნებისამებრ. და, შემდეგ, მკითხველს პირდაპირ თავზე გადმოამხობს. მაგრამ საოცარი ის გახლავთ, რომ ყოველივე ეს საკმაოდ მიმზიდველია, ხოლო ლიტერატურულ-მხატვრულ-კინემატოგრაფიული „შარადების“ ამოცნობის მოყვარულთათვის, – პირდაპირ სულზე მისწრებაა. ერთ-ერთი ასეთი ძალზე შთამბეჭდავი ეპიზოდია ჰამსუნის ვიზიტი ჰაფემთან და სწორედ ამას შევხები დაწერილმანებით (ხაფოსა და ვაქეაცას „ჩრდილების თეატრისა“ თუ სასაირო ბალაგანის ეპიზოდი, ვინც ლიტერატურაში სკაბრეზულობაზე გიჟდება, იმან მიმოიხილოს).

მწერლებს ხშირად აღიზიანებთ მათი პერსონაჟების პროტოკოლითა ძიება; ბევრჯერ გვარიან ხათაბალაშიც გაბმულან ამის გამო. მოგეხსენებათ, „ბუღჩბროკების“ 25 წლის ავტორს ერთხანს მშობლიურ ლიუბეკში არ ჩაესვლებოდა; თომას მანი ვერც კომპოზიტორ მონბერგის წყენას გადაურჩა „ლოქტორ ფაუსტის“ გამო...

ცხელ კვალზე დაწერილი „ყარაბაღში მოგზაურობის“ ავტორიც ვერ გაექცა ნაირგვარ ჭორებს: „ეს ცუდად არის გამოყვანილი, ის – კარგად. პირდაპირ გაიგვსო“ – შესჩივლა ერთი ქურნალისგს აკა მორჩილაძემ.

ამიტომაც, ავტორი თავს იმღვევს და „სკანდალის“ ასარიღებლად, მიუთითებს თავის გმირთა „წარმომავლობაზე“ (ჩვეულებრივი მანერით, – გყუილ-მართლით): „თუმიცა ავტორი კატეგორიულად წინააღმდეგია იმისა, რომ მღებავი ღიდ რეჟისორთან გააიგივოს, უბრალოდ, მან გამოიყენა ერთი შგრიხი ამ ხასიათისა.

...ავტორს თავში უტრიალებდა ამბები ღიდი რეჟისორის სერგო ფარაჯანოვის საოცარი ხელგაშლილობის შესახებ...”

მარტო „ერთი შგრიხია“ გამოყენებული? ვნახოთ!

„მადათოეში“ აკა მორჩილაძემ უღალატა თაჲის ადრეულ მანერას. ვერც „მოგზაურობაში“ და ვერც „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებში“ ვერ აღმოაჩენთ პერსონაჲთა გრადიციულ პორტრეტს. ხაფო კი უკიდურესი დაწერილმანებითაა დახატული: სახის ნაკეთების, თჲალთა გამომეტყველების, წვერის მოყვანილობიდან, თუ ტანის აღნაგობიდან დაწყებული, მისი ჩაცმულობითა და მიხრა-მოხრით დამთავრებული.

„დაბლა ქალაქში“ იგი ბრგე ყარაჩოხელის, ლადო გუდიაშვილის კინტობისა თუ „ქეთო და კოტეხ“ ბაღდადურის მოცეკვაჲეთა პლასტიკური ნაზაჲია: განიერი ბეჭებით და ვიწრო წყლით, ოღნაჲ უკან გადარწეული. გაბზეკილი გაეით, შესხნილი ქალაქური ჩოხით, ალისფერი, გულგაღელილი ხალათითა და პრიალა ჩექმეებით, მუდამ გამომწვევად და აგრესიულად იქცეჲა...

„მაღლა ქალაქში“ ის სულ სხევაგეარია: თაემოდრეიკილი და დამაქრულად მოლაპარაკე, ევროპულად ჩაცმული, რუსული შლიაპით, თეთრი პერანგითა და პიჯაკით მოსილი.

ეჭვს გარეშეა, რომ ჰაფემის ხელობა – მღებავობა („მღებავი იყო, მაგრამ მხატვარი და დეკორაგორი უფრო ეთქმოდა“), განუყრელი შლიაპა და პიჯაკი, ჰამსუნის აზრი („ჰაფემ მხატვარს... ძალიან აქებდა. უწოდებდა მას დიდ მხატვარს და ამბობდა, ასეთი ხალხს მალე ხელის გულზე ტარებას დაუწყებენ პარიზშიო“ – ქართველებისთვის კი ხაფო მხოლოდ „მალიარია“), – ყოველივე ეს უმაღ ნიკო ფიროსმანს მოგვაგონებს, ვიდრე სერგო ფარაჯანოვს.

აკა მორჩილაძე რატომღაც ერიდება პირდაპირ მითითებას, თუმცა, ვითომცდა ცისფერყანწელი სარიდანის „ეტიუდს“ როცა განმარტავს, წერს – „აეგორს გაახსენდა გ. ტაბიძის ძალისხმეეა ფიროსმანთან დაკავშირებით“.

სერგო ფარაჯანოვი „ქეედა ქალაქის“ ხაფოს პროტოტიპი უფროა, თუმცა „ჰაბიგუსით“ ის შეუდარებელი გიორგი შავეგულიძის კინოგმირებს მოგვაგონებს და არა დიდ რეჲისორს; ხოლო ხაფოს სახლი, მასპინძლის კარნაუალური მორთულობა, ექსცენტრულობა, ნაკეთობა-კოლაჲები და ეგზოტიკური „ზოგადად მოსაეღური“ გარემო თითქოს ნატურიდანაა ჩახატული (იხ. პირველი თავის ქეეთაჲი – „ფანჯარაში ჩანდა მდინარე და კლდე“).

უკვე ნანახისა და განცდილის შთაბეჭდილება დამეუფლა, როცა ჰამსუნის წინაშე, სპარსული მღაპრების გმირიყით ანაზდუელად გამოჩენილი, თითქმის შიშველი, ჩალმიანი. თეპობზე მიტ-

კალშემოხიყველი ბიჭის შესახებ წაეკითხე. გამახსენდა ერთი გელეფილში, გადაღებული მოსკოვის ცენტრალური გელეფიზიის მიერ: სერგო ფარაჯანოემა თავისი შაღების, ხალისების, კოლაჟების დემონსტრირების შემდგომ, ეურნალისტებს მორიგი „აღმოჩენა“ წარუდგინა – თბილისელი მეზობელი, სრულიად ახალგაზრდა, ნახევრად შიშველი, ლამაზი ქურთის ბიჭი, რომელიც უკვე გადაეღო თავის ფილმში. იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ქმნიდა გმირთა ჩაცმულობას, რეჟისორმა წითელი პრიალა ნაჭერი ისე მთარგო ბიჭს, რომ ძლიერ ეფექტური მოსასხამი გამოუვიდა.

შესაძლოა, რომ ეს ფილმი აკა მორჩილაძესაც ენახა.

„ბოდი არც“ – თან დაკავშირებული კინემატოგრაფიული ასოციაციები გამიმძაფრდა, როცა, ჰაფებ მხაგვარმა, ჰამსუნს ახალი „შოუ“ წარუდგინა, – ბიჭის შიშველ ზურგზე ხაგვა დაიწყო. ამან ერთი ეგზოტიკური ინგლისურ-იაპონური ფილმი (რეჟისორი „კონსერვატორული“ ალბიონის მკვიდრია, მოქმედება იაპონიაში მიმდინარეობს, ყველა მსახიობი იაპონელია) მომავინა: შიშველი ქალებისა და მამაკაცების არნახული „სიუხვის“ ფონზე (ერთი-ორი მამათმავლური სცენა ისეთი უბრალოებითაა ჩართული, თითქოს პერსონაჟები ბრინჯს მიირთმეოდნენ იაპონური ჩხირებით!), დროდადრო სკაბრებულობის განცდა ქარწყლდება, რადგან ადამიანთა შიშველი სხეული „პერგამენტად“ გამოიყენება მწერალი ქალის მიერ; მას საგულდაგულოდ გამოჰყავს ლამაზი იეროგლიფები. დაუჯერებელი, ფანტასტიკური სანახაობაა! ფილმის სახელწოდებაა „ლოგინის წიგნი“. მასში ხშირად მოიხსენიება 1000 წლის წინათ მცხოვრები იაპონელი მწერალი და სეფექალი სეი-სიონაგონი და მისი „ლოგინის წიგნი“. სახელწოდების სიზუსტეში ეჭვი მეპარება, რადგან რუსებს ის „სასათუმლის ჩანაწერებად“ ჰქონდათ თარგმნილი, ხოლო ამ ბრწყინვალე წიგნის ჩინებულმა მთარგმნელმა ჯუმბერ თითმერამ 1983 წელს მას, შინაარსის გათვალისწინებით, სახელი შეუცვალა და „მარგოთბის ეამის ჩანაწერებად“ მონათლა. ამ მეშუარულ-ესეისტიკური ეანრის წიგნში არაფერი იყო სასერიო და სკაბრებული.

როგორც ხედავთ, დრო-ეამის შესაბამისად, ინგლისელმა რეჟისორმა ყირამალა ამოაგრიალა შუა საუკუნეთა იაპონელი სეფექალის კლემამოსილი და ნაგიფი გულახდილობა (აკა მორჩილაძესაც ხომ იგივე „მეთოდი“ აქვს მომარჯვებული: ერთ მოთხრობაში სოსია მეწისქვილესა და ოთარაანთ ქერივის გიორ-

ვის „ნაჯვარ“ დოყლაპია გმირს, კისერმოღრეცილი რომ უთვალთვალეებს კნეინას, სარზე დარჭობა „მიუსაჯა“, ოლონდ ფაგალური შედეგის გარეშე). რას ვიწამთ, ახლა ასეთი დროა... აკა მორჩილაძეს, ჯერჯერობით, იუმორის გამძაფრებული ვრძნობა შეულის.

ხაფომ „საიდანღაც გამოათრია საღებავების ყუთი, ლამაზი ფუნჯები და ბიჭს რაღაც ანიშნა. ბიჭი გახტის კიდეზე ჩამოჯდა და პედერსენს ბურვი მიუშვირა... სინათლე ბურგზე დაეცა ბიჭს.

...მასპინძელი ხატავდა უცნაურ ქალაქს, კომქებით, კომქებზე მაღალი ადამიანებით, ლამპარიდან ამოსული ჯინებით და ყვავეილებით. საკეირეული ის იყო, რომ მთელი ქალაქი ადამიანის სახეს წარმოადგენდა, ჭრელი გველები, მოწყენილი ჩიტები და სევედიანი აქლემები – ყველაფერი ეს ნელ-ნელა ჩნდებოდა ბიჭის თხელ ბურგზე.

ბაგონ პედერსენს არასოდეს ენახა ამგვარი რამ. მან გაიფიქრა, რომ ეს კაცი ფუნჯით უამბობდა ჯადოსნურ, ქირმანის ცმებით მოხატულ მღაპარს. ბაგონ პედერსენს“...

აქ ეს ამალღებული თხრობა ერთბაშად წყდება, რადგან... „მეკურტუმე“ ხაფოს ნაღდი კლიენტები ესტუმრებიან (აღმოსავლურ მღაპარს ფარსი ჩაენაცვლება).

ბიჭის მიშველ ბურგზე ხატვა, ისევე როგორც მამაკაცის მიშველი სხეულის იეროგლიფებით აჭრელება ქალის მიერ, ჩემი აზრით, შემოქმედებითი ენებისა და სექსუალური ლგოლვის სიახლოვეზე (ან იგივეობაზე) მიგვანიშნებს; ხაფოს ნახაგი კი, პირადად მე ძალზე მაგონებს რუსუდან ფეგეიაშვილის მანერას.

სასხვათაშორისოდ აღენიშნა, რომ აკა მორჩილაძის მიერ აღწერილი კოლაჟები მართლაც შეიძლებოდა ფარაჯანოვის პატარა შედევრებად ან მათ მიბაძკად მიგვეჩნია, ვინმეს რომ განხორციელებინა ავტორის „პროექტი“.

სიამოვნებით ავუვლიდი გვერდს კიდე ერთ ეპიზოდს – ცისფერყანწელი სარიდანის „ეგიუდს“, რათა თავი ამერიღებინა თბილისის აბანოში მამათმავლების „გრუპენ-სექსზე“ საუბრისთვის, მაგრამ ეს არ მოხერხდება.

საქმე ის გახლავთ, რომ ამ დიდი „ექსპრესიით“ დახატულ, გროტესკულ „ამორალიას“ აკა მორჩილაძემ მნიშვნელოვანი დატვირთვა მიანიჭა: ერთმანეთს გადაბმულ-გადაჯაჭვული ქალაქელი ბობოლები (ხაფოს უსტაბამობით) ორგანიზებული

დანამაჟულებრივი კლანის თუ მაჟიის სკაბრიუმულ „თეალსაჩინოებად“ აქცია.

ჩვენი თაობის ახალგაზრდობის „იდილიერ“ დროში „არასგანდარგულ სექსუალურ ორიენტაციას“ თავისი სახელი ერქვა, საზოგადოების დიდ ნაწილს ფულზე გაგიჟებაც საპარცხეინოდ მიანდა. ერთი „ფრთიანი“ გამოთქმაც მახსოვს, აი ისიც: ყველაფრის მკისრებულ კაცზე ამბობდნენ – „ფულის გულისთვის ... მისცემსო“ (რა სიგჳვა გამოუგოვე, ამის მიხვედრა იოლია). ახლა კი, ბუერი, ფულის გულისთვის თითქმის ყველაფერს კისრულობს და არც „სქესობრივ უმციურესობათა“ ამა თუ იმ ფორმით პროპაგანდას ერიდება. საბუნდუიეროდ, აკა მორჩილაძე „პროპაგანდისგად“ ეურასგზით ვერ ჩაითულება. საერთოდ, მორალიზებას კი გაურბის, მაგრამ მემოხსენებული „სიმბოლიკა“ ძალზე უარყოფითი ელფერისაა: „მეკურგუმობა“ – „საშინელ სისგემას“, „ფულის ამოქანუას და ფულის გრიალს“, ძალადობას, მკვლელობას, მეეახმეობას, შანგაქს, ქურდობას და თალლითობას უკაეპირდება. თუმცა საჩინოა აეგორის ერთგვარი გოლერანგობაც ხელოვანთან მიმართებით: როცა ბაიარდი პამსუნს რალაც-რალაცეებს შეაპარებს ხაფოს ზნეობაზე, იგი მხრებს აიჩეჩავს მხოლოდ – „რაგომ უნდა გაინგერესებდეს შექსპირი, როცა გაქეს „მეფე ლირიო“...“

სწორედ ამ უკანასკნელი მოსაზრებიდან გამომდინარე, ლოგიკური ჩანს „ეტიულის“ მაინცდამაინც ცისფერყანწელისთვის მიკუთვნება. ასოციაცია „ცისფერებისა“ ცისფერყანწელებთან შემთხვევითიც არის („ფურით“ თამაში) და არც არის: თუმცა, ცისფერყანწელები, ძირითადად, დიდი მექალთანეები იყენენ, პირველად მათ შემოქმედებაში გაილანდა თანაგრძნობა რედინგის ციხეში ფილისგერთა მიერ გაგანჯული ოსკარ უაილდისადმი; არც ვერლენისა და რემბოს ურთიერთობის ოდიობური მხარე (სხვა საკითხია, ლეგენდა იყო ეს თუ სინამდვილე) იქნებოდა მათთვის უცნობი; არადა, ისინი აღმერთებდნენ სამივე მათგანს.

„შენიშვნებში“ აეგორი კვლავ აბნევს მკითხველს – „აეგორად გამოცხადებული ვარდან სარიდან კი აეგორის ფიქრით ეგებ იყოს რომელიმე აღრეგარდაცვლილი სიმბოლისტი, სანდრო ცირეკიძე, გიომ საგანელი, მიქელ პაგარიძე“.

მიქელ პაგარიძე არც „ადრე გარდაცვლილი ცისფერყანწელი“ გახლდათ და არც ესეისტი; ქართულ პოეზიაში მან ერთადერთი წიგნით – ჟოზე მარია დე პერედიას სონეტთა კრებული „ტროფეების“ ბრწყინვალე თარგმანით დაიმკვიდრა ადგილი

(გამოცემულია ორჯერ, 1936 და 1971 წლებში); გიონ (და არა „გიომ“: აკა მორჩილაძემ აპოლინერის სახელით „მონათლა“ იგი) საგანელი ესეისტი არ ყოფილა: „ეტიკდში“ არც სანდრო ცირეკიდის პრობისა თუ ესეების კვალი ჩანს... მაშ, სინამდვილეში, ვის „გამოაჯავრა“ ავტორმა? ან რატომ დაფარა პაროდის ობიექტის ვინაობა? სარიდანის „ეტიკდი“, დაუეჭვებლად შემიძლია ამის თქმა, გრიგოლ რობაქიძის სტილის პაროდიაა. საკუთარი სახელი სარიდანის, „ეფუხისტყაოსანშიც“ რომ გვხვდება, რაიმე ინტერესს არ უნდა იწვევდეს, მაგრამ თუ გავითვალისწინებთ აკა მორჩილაძის „ასოციაციურ ამპლიტუდას“, შეიძლება რობაქიძის ერთი „დიონისური“ ლექსის გაეპი გავიხსენოთ: „ფერები გარბიან სარბე სარიდან“; აქა-იქ გვხვდება კონსტანტინე გამსახურდიას ინგონაციებიც (ცნობილია, რა გააფთრებით ებრძოდა ორივე მწერალი კინგოს „იდეალიზაციას“ თუ „ესთეტიზაციას“ ქართულ პოეზიაშიც და სცენაზეც; ანდა ისიც, რომ „დიონისოს ღიმილში“ კონსტანტინე საეარსამიძის დაყინებული ინტერესი ფარეიზისადმი „ბისექსუალურ“ ტრფობას გვაგონებს). „ასოციაციური ჯაჭვი“ აკა მორჩილაძის კიდევ ერთ პერსონაჟს – მოხუც გ.რ.-საც წვდება...

ავტორის მცდელობით, არამცთუ ცისფერყანწელებს, არამედ ილიას ცნობილ „ხუთშაბათობებსაც“ კი უკავშირდება ხაფოს სახელი. აკა მორჩილაძე გვიხატავს ილიას ერთ-ერთ „ხუთშაბათობას“, რაც ლუკულუსის ნადიმს მოგვაგონებს თათქარიძის მენიუთი; სტუმრებიც (იაკობ გოგებაშვილი და ნიკო ხიზანიშვილი) და მასპინძლებიც (ილია და ოლღა) „ქრესტომათიული პეწის“ გარეშე წარმოგიდგებიან. ავტორმა ილიას ცოლის მზითევი „წამოაძახა“, ნიკო ხიზანიშვილს – ღორმუცელობა, იაკობს – ავადმყოფური ეჭვიანობა საკუთარი ჯანმრთელობისადმი (სხვათა შორის, ყოველივე ეს უტყუარი მოგონებებით დასტურდება). ნიკო ხიზანიშვილი მარგო საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი კი არა, ვეჩილიც იყო. მისთვის ხაფოს ადვოკატობა (საქმეში, რომელშიც მღებავი უდანაშაულო იყო) უთხოვნია მეფისნაცვლის მრჩეველს, დიდ მოხელეს (შეთავსებით და დაფარულად – კრიმინალური ბანდის „ნათლიას“) ბებუროვს.

ილია გაოცებულია: „სად მალიარი და სად დეისგეიგელნი სტაგსკი საუეგნიკი?“ (არა მგონია, გაუამრებელი იყოს თბილისური მაფიის „ბარონისა“ და ილიას დედის გვარის დამთხვევაჟ!).

ხაფოს მკვლელობის გამოძიება თითქოს სულ სხვა „ოპერი-

ღან“ არის: მოქმედების დინამიზმი, სტილური სიჭრელე ჩანაყურებულა აუქჩარებელი, დარბაისლური მრავალსიგყვაობით, გაწელილი „ძველმოღური“ ფრაზებით, უამრავი საჭირო თუ ზედმეტი წერილმანით. ზოგჯერ სრულიად უამრო ლიალოგებით. ჩანართი პროტოკოლებით, გამოძიების ვერსიებით. ფსევდოდუგექტური წიაღსვლებით, ქასდარმთა ფილოსოფიური თუ ყოფითი საუბრებით, ჩანაწერებით და ა. შ.

სტილთა აღრევაც იშვიათია. ის, უპირაგესად, XIX საუკუნის ქართული რომანისტიკის, პუბლიცისტიკის თუ რუსულიდან მთარგმნელთა სტილის თავისებური ნაზავია.

შეიძლება ისიც ვიფიქროთ, რომ ავტორს „დიდი მართონისთვის“ სუნთქვა აღარ ეყო. ამას, ეგონებ, თავად გრძნობს. დანართში ერთგან შენიშნავს, რომ ხუმრობა არ გამოუვიდა, რომ ეყადა – ამბავი უფრო მოსაწყენი ყოფილიყო და მისთანანი.

II და III ნაწილები, ძირითადად, „დათა თუთაშხიას“, „გლახის ნაამბობის“, „შერლოკ ჰოლმის“ გათამაშებაა; პერსონაჟების წარმომავლობაზე ავტორი თავად მიუთითებს; ბაიარდი და ყორღანოვი – შერლოკ ჰოლმსი და უოტსონია; ამასთან, პოლკოვნიკი ყორღანოვი, რომელიც ვერა და ვერ გარუსდა, – თითქოს ილიას გარეგნობისა და დავით კლდიაშვილის მხედრული შემართების პიბრიდია (ჩემი აზრით კი, ყორღანოვი მონანიე და დაჭკვიანებული ლუარსაბ თათქარიძე უფროა); იოსებ ირემაშვილის ნაღდი პროტოგოპი ახალგაზრდა სოსო ჯულაშვილია; ქანდარმერიის უფროსი სეგელი აკა მორჩილაძემ ჭაბუა ამირეჯიბის სიბრძნითა და წარმოსადგეობით აღჭურვა (მაღალი, ხმელი, წელგამართული არისგოკრაგი, მოხდენილად ჩამოქნილი სახით, ინგელიგენგურად მოსაუბრე)...

„ძღებავი კაცის ბიოგრაფია“ შედარებით მალე დასრულდა. „მოსაწყენ“ ნაწილში კი ახალი, უტყვი და უსულო, უმნიშვნელოვანესი „პერსონაჟი“ წამოგივტივდა – ეს გახლავთ საუკუნის მიწურულის შლეგი და მიმზიდველი თბილისქალაქი. შეგნებულად არ დაეასახელე საუკუნე; დღევანდელი თბილისისც ისეთივე „გაორებულია“, გაუცხოებული, შლეგი და ჭრელი, როგორც XIX საუკუნის დამლევისა. სამწუხაროდ, ასეთი პარალელიზმი ყურით მოთრეული არ გახლავთ; ეს დღევანდელი რეალობაა.

წიგნის ერთი განისხვავებულად პოეტური და სრულიად არაიუმორისტული ბოლო ქვეთავი „ქრონიკა ქალაქისა და მისი ხმებისა“, რომელიც 1899 წლის სექტემბრის ბოლო დღით თარიღდება,

- რაღაც შუოთისა და სელის წუხილის, სინანულისა და გკივილის განცდებს ბადებს; ის მკითხველს მწარედ ჩააფიქრებს იმდროინდელი თბილისის გუჟისცალაზე - XXI საუკუნის ძრწოლით მომლოდინე ჩვენს დედაქალაქზე.

„ღანართში“ ავტორი საკმაოდ ბუნდოვნად ცდილობს ამ ქვეთაყის მნიშვნელობის დაკნინებას თუ მიჩქმალეას: „ქრონიკისა და წიგნის ბოლო თაყი ავტორს დიდად არ მოსწონს, თუმცა ჭარბსიგყვაობას განრიდებულს მაინც ასე ურჩევნია“...

XIX და XX საუკუნეთა მიწურულის სურათიყი, ვაგლახ, დიდად არ განსხვიელებიან (ოლონდ რაკურსია შეყვლილი), არც ამერ-იმერის დაპირისპირებაა უცხო დლევანდელობისთყის (დაკარგული აუხაგეთი, სამოქალაქო ომი თბილისსა თუ დასაყლეთში, წერილ-წერილი ლოკალური „ბუნგები“ და სხვ.).

მორჩილაპისეულმა სეგედმა უკეთი იყის საქართელოს ისგორია, ვიდრე მუშნი მარანლიამ: „მუშნი, თქვენ მე მარცებთ, არაფერი იყით თქვენი ქეყენისა. ქუთაისის გუბერნიაც ხომ საქართელოა?“ (მდრ. „დათა თუთაშხიას“ დედნისეული ფრაზა).

„დუქნის კარზე“, - ძალზე სასაცილო ქვეთაყი, - ამ მხრივ განსაკუთრებული მნიშვნელობისაა. ოთხი ძმა, ქუთაისიდან ნათესავის საგირალში ჩამოსული, თბილისურ ჭირის სუფრას იუცხოვეებს და მაინცდამაინც კუკიის იმ მყუდრო დუქანს მიაშურებს. ხაფოს ქელესის გამო რომ დაუკეგავთ მის მოქეითინე საყვარლებს. გახგის აზნაურობით თაემომწონე ძმები გაალმასდებიან - „აიო, ამათი წესიო, ამათი ჯილაგო, თათარი ქრისტეს ლოყულობს, ქართეული აღაპსაო, კაცს დაფაბურნით მარხაყენ, ვინძლო ერთმანეთი ქალებივით მოიხმარონო“... ძმებმა ხანჯლები იშიშვლეს, თხუთმეგსაყე დარდიან კაცს სულ ყურები და თითები დაათალეს, მერე კი გინებით, მუქარით და ყიყინით დაგოყეს „ბრძოლის ველი“. ამ ქვეთაყის კომენტარში აკა მორჩილაპე ერთადერთხელ მიანიშნებს, რომ თბილისის დლევანდელობითაც „ისარგებლა“: „ამ ჩანაწერების შედგენისას ავტორი ხელმძღვანელობდა განთქმული პრინციპით, „ქალაქელის“ და „ჩამოსულის“ შესახებ. ყოფითი დისონანსი თბილისსა და დასაყლეთ საქართელოს შორის უცხო არ არისო, ფიქრობდა ავტორი და აგონდებოდა, როგორ მოკლა იმერელმა პრინციმა არჩილმა გყილეელი მოლა (ყეს ეპიზოდი საფუძვლად დაედო ვივი მალულარიას შესანიშნავ, არდასავიწყებულ ნოველას - ლ.ა.), ავტორს

ასევე გაახსენდა აკაკის ჩანაწერები იმერულ ბიჭთა ზედკრული ცხოვრების შესახებ და თვალწინ დაუდგნენ დღევანდელი ლტოლვილებიც“.

ყორღანოვი, რომელმაც ის-ისაა გააცნობიერა, ვინ არის ხაუოს მკვლეელი, ნიბლიანიდან თბილისს ბრუნდება, თუმცა ფეხს ითრევს – „თითქოს შინ მისასულელი გზა დაეკარგა, ან კიდევ საერთოდ არ უნდოდა შინ მისვლა“ (ეს ეპიზოდი ეხშიანება სამა რეხვიაშვილის ფილმს „გზა შინისკენ“).

სწორედ ამ უაზრო სეგიალისას ინაკვთება თბილისის ეკლექტიკური, გაუცხოებული, „ლანდური“ სახე: აქლემები, ინით წვერშეღებილი სპარსი მუშები, იმერული ბიჭები, სოფლისკენ გაშურებული დაბნეული გლეხები, თაღლითი კინგოები, მეთულუხჩეები, მსუდრავეები, წიგნის გამყიდველნი; თათრები, ერთი ჯამიდან პირდაპირ ქუჩაში რომ ჭამენ; – ოპერაში კი იგალიერი გენორი მღერის, ალექსანდრეს ბაღში რუსებს შაპიგო გაუმართავთ, გოლოვინის პროსპექტზე ხალხი სეირნობს, რესტორნებში გვეა არ არის...

„ყორღანოვი კი დადიოდა, დასეირნობდა სრულიად უაზროდ, თავის წინ ხედავდა მხოლოდ ლანდებს და მოესმოდა ხმები, რომელთა ჯადოსაც შეიგრძნობდა სხეულის ყოველი ნაწილით. ყორღანოვი ეკითხებოდა საკუთარ თავს: ნეგავ როდის დამთავრდება ეს ყველაფერი?“

ნიშანდობლივია, რომ ერთგან ყორღანოვი ბაიარდს ეუბნება: „რაც მალე დაეანგრევთ (ქალაქს) უკეთესია. მაგრამ არა მგონია. დაგვანგრევენონ“ ... ეს მოსაზრება ყორღანოვს მაშინ გაუჩნდა, როცა ბებუროვ-ხაფოს დანაშაულებრივი კორპორაციის ამბავი შეიგყო, კორპორაციისა, რვაფეხასავით რომ გაეწვდინა საცეცები და „დაბლა ქალაქისა“ თუ „მაღლა ქალაქის“ მრავალ ბინადარს მისწვდომოდა.

ბევრი რაი შეიძლება ითქვას ბებუროვ-ხაფოს მაფიისა და დღევანდელი ქართველი კრიმინალური ჩინოსნების თუ საქმოსნების „ურთიერთიარბმულობის“ მანკიერ, მოჯადოებულ წრებზე. და, რაც მთავარია, არც მაშინ და არც ახლა, – ხელისუფლებას არ ძალუძს, თუ არ სურს მათთან გამკლავება.

„რა ეშველება ამ ქვეყანას?“ – ათქმევინებს აკა მორჩილაძე ილიას. „ნეგავ როდის დამთავრდება ეს ყველაფერი?“ – მხარს

უბამს ილიას მისი „ორეული“ ყორღანოვი... შეკითხვები მხოლოდ რიგორიკულია.

ჩვენი საზოგადოებაც დაიღალა რიგორიკისგან.

რომანის დასასრულს მინიშნებულია, რომ „მადათოვი“ ჭაბუა ამირეჯიბის რომანის თავისებური პარადიგმაა, ე.წ. „გადაბრუნებული სერთუკის“ სტილში: დათა შეიღმა მოკლა, ხაფო – „ნამვილებმა“; მომაკედავი დათა თუთაშხია უჩინარდება, რათა მკელელობის კვალი წაშალოს; ყრუ-მუნჯის ახალი მამობილი ყორღანოვი ბიჭს შეგნებულად აფარებს ხელს. ხაფო უნდა მოეკლათ, რადგან – ასეთი ცხოვრება მართლაც უნდა აღკვეთილიყო. ორსავე შემთხვევაში, მამები შეილებს დაინდობენ.

კელავ მამათა და შეიღთა ურთიერთობასა თუ „ბრძოლას“ უნდა დავუბრუნდე, ახლა უკვე „ლიგერატურულს“. როგორც უკვე ითქვა, ბლოკს გოლსგოი უშლიდა ხელს წერაში, ბლოკი – ბენუდიქტ ლიეშიცს.

აკა მორჩილაძეს ხელს უშლიან (იმავედროულად, – ეხმარებიან): ილია ჭავჭავაძე, აკაკი წერეთელი, ალექსანდრე ყაზბეგი, გრიგოლ რობაქიძე, გალაკტიონი, XIX-XX საუკუნეთა მიჯნის აშულები, მემუარისტები, პუბლიცისტები, ჟურნალისტები; ყველაზე ხელშესახებად კი – ჭაბუა ამირეჯიბი.

გინიანოვის ნათქვამია, – წარსულის მწერლებზე რატომღაც ქლესური გონით საუბრობენო. აკა მორჩილაძესთან ქლესურს არა და, ფამილარულ თუ ირონიულ გონს ხშირად წააწყლები.

მაინც რა არის „მადათოვი“ – „დათა თუთაშხიას“ პარადიგმა, თანამედროვე თბილისის გამჭვირვალე სიმბოლო („ვენახი ნაგავსაყრელზე“), ძველი თბილისის კოლორიტული სახე, ცხოვრების აბსურდულობის ნიმუში, სკაბრებული ნიღბების კარნავალი, ლიგერატურულ ფასეულობათა პაროდული გადაფასება თუ ასოციაციური „დომხალი?“ ცოგ-ცოგა – ყველაფერი.

დასასრულ, უნდა მოგახსენოთ, რომ „მადათოვი“ XX საუკუნის მიწურულის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ქართული რომანია; მაგრამ მომავალში ავგორს დიდი ძალისხმევა მართებს, რათა დაძლიოს წარმატება და „ალემაგოს საკუთარ თავს“. აკა მორჩილაძეს ეს ნამდვილად ძალუძს.

2000 წ.

რამდენიმე წელია მესმის, – აკა მორჩილაძე... აკა მორჩილაძე... აკა მორჩილაძე... მაგრამ რა არის რამდენიმე წელი ჩვენს აჩქარებულ დროში, როცა XX საუკუნე უაზრო სისწრაფით მიექანება დასასრულისაკენ. არადა, აკა მორჩილაძემ პიროვნულად – თავმდაბალი, ფრიოხილი სიჩუმით, ხოლო შემოქმედებითი თვალსაზრისით, თამამად და მყარად, – უკვე დაიმკვიდრა ადგილი.

თანაც, უნდა გამოვყდე: ბოლო ავბედით წლებშიც მას ეუსმენ და მის ნაწერებს ვკითხულობ, ვინც დამონებულ, ბედკრულ საქართველოშიც ისე ლაღად და ოსტატურად წერდა, თითქოს კომუნისტური იდეოლოგია და ცენზურა საერთოდ არ არსებულებოდა! მათი სახელები კი ყველამ იცის; ჩამოთვლას მოვერიდები, რა ვიცი, ქართველები ვართ... ბევრი მათგანი – „ოცარიღელია“, ზოგიც – არა.

აწ განსვენებული თემო მალაფერიძის მიერ (იგი არამარტო მწერალი და ლიგერატურათმცოდნე, არამედ ახალგაზრდების გზის გამკვალავი ჩინებული პედაგოგიც გახლდათ) დაარსებულ „არილში“ თავის დროზე გამოვარჩიე რამდენიმე ახალგაზრდა, რომელთა მიმართ ინტერესი დღემდე არ გამწვანებია. რამდენადაც მახსოვს, მათ შორის აკა მორჩილაძე არ იყო.

როდის-როდის ვიკითხე – რა დაწერა? – „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“. ამრეზით შევხვდი წიგნის სათაურს; საყოველთაო გათიშულობის, მოულოდნელი გაუცხოების (მიაბიგურად მწამდა, რომ გაუცხოება ქართულ მრწამსთან სრულიად შეუსავსებელი რამ იყო), ილიას თქმით – გათითოკაცების, დედაქალაქისა და პროვინციის მართლაც ღრმად პროვინციული დაპირისპირების ფონზე, – თბილისის შეუვალ უბნებად კი არა, ახლა ქუჩებად დაყოფა?

მოთხრობა სცენაზე დაიდგა, „ოპერატორულად“ (ასეთი ოპერატორულობა, სამწუხაროდ, კრიტიკას არ გაუმტლავნებია). სპექტაკლმა, როგორც ამბობენ, ბევრი ვერაფერი შემაგა თხზულებას, თუმცა მის პოპულარობას კი შეუწყო ხელი.

ახლა „მოგზაურობა ყარაბაღში“ ყარაბაღი გვაკლდა! ჩვენი გაჭირვება არ გვეყოფა?

მოგვიანებით გავიგე, რომ თავდაპირველად 1992 წლით დათარიღებული „მოგზაურობა ყარაბაღში“ გამოქვეყნებულა ცალკე

წიგნად; ავტორის შეწყვეტია „მსკ“ (კიდევ ერთი თანამედროვე რეპუზი – აბრევიაცურა). წიგნის გამოცემის წელს სანთლით რომ ეძებო, ვერ მიაგნებ. კითხვისას ხომ თვალებს დაითხრი (ქალაქ-დი ცუდია, შრიფტი – მქრქალი), მაგრამ „გავეუსწრებ მოვლენებს“ (რუსულის უხეირო კალკი, სატელევიზიო კლიშიედ ქცეული) და უცნობ „მსკ“-ს გულითად მადლობას მოეახსენებ აკა მორჩილაძის მეცენატობისათვის.

„ფალიაშვილის ქუჩის ძაღლები“, რომლის დაწერის თარიღი 1995 წელია, გამომცემლობა „ქოლორმა“ 1996 წელს დასტამბა.

ჩემი არცთუ კონსერვატორულად მომართული, აწ უკვე კლასიკური ავანგარდიზმის მოყვარული და პროფესიულად მჩხრეკელი, მაგრამ ჩვენებური მყვირალა პოსტავანგარდისგების „ნოვაციებისადმი“ უნდობლად განმსჭვალული ვონება პირუელად აკა მორჩილაძის რიგით მესამე წიგნის სათაურმა – „გადაფრენა მადათოვზე და უკან“ – გამოაფხიზლა („ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა“, 1998 წ.). საცნაურია, რომ ახლა, სწორედ ამ უკანასკნელის მიმართ ვარ შედარებით „პრიგენბიული“ (ახლახანს წაეიკითხე ლანა კალანდიას საინტერესო პროფესიული წერილი – „აკა მორჩილაძე, „გადაფრენა მადათოვზე და უკან“, ციგაციის გააზრებისათვის“, „ლიტერატურა და სხვა“, 1999 წ. № 1).

თუ არ ვცდები, აკა მორჩილაძე, ჯერჯერობით, ამ სამი წიგნის, ეანრობრივად, რომანზე უწინარეს, ე.წ. ერცულ მოთხრობას – ИОЩЕЪ – რომ უახლოვდება და ეურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული რამდენიმე მოთხრობის, ესეის თუ პუბლიცისტური წერილის ავტორია: მოგ მათგანს უკვე ფსევდონიმს კი არა, საკუთარ სახელსა და გვარს – გიო ახვლედიანს აწერს.

რამედაც ხელი მიმიწვდა, ყველაფერი წაეიკითხე, თუმცა დღეს-დღეობით, მისი შემოქმედების განმსაზღვრელი მაინც ეს სამი წიგნი მგონია.

ფურთხილობ, რადგან მიმდინარე ლიტერატურული პროცესისათვის თვალის მიდევნება დღეს ერთობ საძნელოა.

აკა მორჩილაძის წიგნების მოძიება, ბელნიერი შემთხვევის წყალობით, არ გამჭირვებია: მეგობარმა მომართვა სახლში, როგორც ოსტამ ბენდერი იცყოლა, – ცისფერკიდეებიანი ლანგრით (გასათვალისწინებელი წერილძანი, ერთობ „პრომბაული“: ჩემისთანებს. ანუ კრიტიკოსებს, წიგნების ყიდვის სამუშალება არა აქვს; ბიბლიოთეკებში კი უახლესი ბეჭდური პროდუქციის უმ-

ცირეხი ნაწილი ხედება): და, რაც მთავარია, ჯერ წასაკითხად მათხოვა, ხოლო თუ დაეინტერესდებოდი და მათზე მუშაობას მოვიწადინებდი, – სულაც განუსაზღვრელი ვადით.

ასეც მოხდა; რა თქმა უნდა, დაეინტერესდი. თითქმის მთელი წელია წიგნები სახლში მაქვს და კლასიკური მწერლობის ნებისმიერი ძეგლი რაინდისა თუ მდაბიორი ჩარჩის დარად გედ დაუკანკალე: ამ ხნის მანძილზე არც არავისთვის მითხოვებია. მე კი უკვე რამდენჯერმე წავიკითხე – ჯერ სულმოყოთქმელად, შემდეგ დაგეგმონებით, ბოლოს ფხიზელი კრიტიკული თვალთ.

ყოველივე ბემოთქმული იმისთვის მოგახსენეთ, რომ კრიტიკოსი, უწინარეს ყოვლისა, მკითხველია და, როგორც ყველა მკითხველი – სუბიექტურიც.

ხოლო ჩემი სუბიექტური აზრით, რომლის იბიექტურობაში შეეცდები დაგარწმუნოთ, – აკა მორჩილაძე დაბადებით მთხრობელი-მთხზველი ანუ ჰემმარიტი პროზაიკოსი გახლავთ.

1992 წელს „ცხელ კვალზე“ დაწერილი „მოგზაურობა ყარაბაღში“ ამავე წლის ზამთრის მიწურულის ორიოდე კვირის ამბებს გადმოგვცემს. ამთავითვე უნდა შევნიშნო (აეგორის სასახელოდ), რომ თხზულება სრულიად არ გოვებს „ცხელ კვალზე“ შექმნილის შთაბეჭდილებას, „ნაჩქარეობის“ განცდას და ეს განსაკუთრებით ცნაურდება დღევანდელი თვალსაწიერიდან.

მთხრობელი, დე-იურე – სგუდენტი, ხოლო დე-ფაქტო – უსაქმური გია მიქაგაძე გაურკვეველი „სტაგუსის“ მქონეა: ის არის „შვილი“ და სხვა არაფერი.

გია ქალაქში ცნობილი „ნადლი“ თბილისელის, „კონსერვებით ნაკეთები“ მილიონების პატრონის, თენგიზა მიქაგაძის შვილია. დედით ობოლი ბიჭი მამამ ყველაფრით უზრუნველჰყო – ბინით (რა თქმა უნდა, – ვაკეში), ფულით, „შმოგებით“, ახალთახალი „09“-ით; საყვარელზეც მანამდე არ დაქორწინდა, სანამ გია უმაღლეს სასწავლებელში არ „დააბინავა“. გია მარტო ცხოვრობს, ამხანაგებს გადაყოლილი, ვითომდა დამოუკიდებლად, თუმცა მის ცხოვრებას ფაქტობრივად მამამისი განსაზღვრავს (საკვანძო სიგუაციებში მაინც).

ფაბულა კი მოკლედ ასეთია: გიას თანაკლასელი, ბავშვობის მეგობარი – მარტივი, უკვინო, უშიშარი და უკეხი, მუდამ უფულო და გამორჩენის მომლოდინე ნარკომანი გოგლიკო ნარკოტიკებით მოვაჭრე აჩიკო ყიფიანის წინადადებას დაეხარბება და

მზადაა აზერბაიჯანში გაეგზავნოს მას „წამლისათვის“ (მუქიათა კაიფის ხატრით). ამისათვის კი გიას მანქანაა საჭირო. გიას მანქანაც ენანება, ნარკოტიკების მიმართაც გულგრილია და ეზარება კიდევ – ამიგომაც არ თანხმდება. მაგრამ გოგლიკომ იყის, გიას დაყოლიება რომ შეიძლება, იმავე საღამოს აჩიკო ყიფიანს დააყენებს თავზე; გია მას უარს ვერ ეუბნება. „წამლისთვის“ წასულ ბიჭებს გოგლიკოს უთავბოლობით და გიას აღრენილობით ღამით გზა აეხსეუათ და ყარაბაღში აღმოჩნებიან. მათ ჯერ აზერბაიჯანელები დააგყვევებენ, შემდეგ კი, სომხების თავდასხმისას, ძმაკაცები უნებლიედ დაშორდებიან ერთმანეთს: სომხები გიას „გამოიხსნიან“ და თავისიანებთან წაიყვანენ. გია მძეულის როლში აღმოჩნდება, თუმცა ვერც კი ხვდება ამას.

გია მოგვიანებით მოვა ამრზე – საღ მოხედა და რისთვის; წინასწარ მოუიქრებულ გამჭრიახ გეგმას უზადოდ განახორციელებს: რუსი მძეულითა და აზერბაიჯანელთა გყვევებით „ხელდაშვენებული“ თათრებს მიაღგება, გოგლიკოსაც გამოიხსნის და ავგოშაგის ჯერით დაცხრილულ მანქანასაც დაიბრუნებს. ძმაკაცები მშვიდობიანად დაბრუნდებიან თბილისში, თუ მშვიდობა ეთქმის იმას, რომ გია ვერ გაუძლებს უსასტიკეს სტრესს და მეტყველების უნარს ჰკარგავს.

თუკი რაიმე არის პაროდული ამ თხზულებაში, ეს, უწინარეს ყოელისა, სათაურია, – „მოგზაურობა ყარაბაღში“. (ერთი პერსონაჟი, „ყოელისმცოდნე“ რუსი ჟურნალისტი მასალას აგროვებს ამ სახელწოდების წიგნისათვის).

ჩემს მიერ წინასწარ ვითომცდა დაწუნებული, უპრეტენზიო და იმავდროულად ირონიული სათაური ბედმიწეენით მიესადაგება მას. „მოგზაურობის“ სათაურში გამოგანა, ცხადია, სიგყვაკამშული მწერლობის ერთ უძველეს და, ალბათ, მარადიულ ჟანრზე, ე.წ. „მოგზაურობათა“ ჟანრზე მიგვანიშნებს. „ღონ-კიხოგი“, „მგზავრის წერილები“ თუ „სამანიშვილის დედინაცვალი“ სწორედ მოგზაურობათა ღერძზეა აცმული. სათაური აბსურდულ მომენტსაც შეიცავს: თბილისის ფილაქნებს ჯერ სისხლი არ შეშრობია, ძმათამკელელი ომი ახალი დასრულებულია და ამ ღროს – მოგზაურობა აღმოდებულ ყარაბაღში? მეორეს მხრით, სწორედ მოგზაურობისას „იხსნება“ მთელი სისავსით გიას პიროვნული პოტენციალი; ეს კი პროტაგონისგის მთელემარე და ღუნე ყოფის დინამიზმით, მის ექსტრემალურ სიტუაციაში მოხვედრით მიიღწევა.

მიუხედავად იმისა, რომ აუტორი (მთხრობელი პირველი პირია) „უტყენდენციოა“ და მორალიზებასაც გაურბის (ანდა ცინიზმით და ირონიით ინიღბება), „მოგზაურობა ყარაბაღში“ განმსჭვალულია მძაფრი პაციფისტური სულისკვეთებით; რაც მით უფრო აღსანიშნავია, რომ პაციფიზმი ქართული მწერლობისათვის, გრადიციულად უცხოა. ჩვენი მრავალსაუკუნოვანი ისტორიის გათვალისწინებითაც, პაციფიზმი მიუღებელია ქართული მენგალიტეგისათვის. მაგრამ მართლაც დრონი მეუბოენ და ახლა, კაცობრიობის ისტორიაში ყველაზე დამანგრეველი ომების საუკუნის მიწურულს, მით უმეტეს, დღევანდელი რეალების გათვალისწინებით (თაეზარდამსეემი, უაზრო მსხვერპლი!), პაციფიზმი ჩვენშიც დაიმკვიდრა არსებობის უფლება.

როგორც ლიტერატურის ისტორიკოსმა და, ჩვენში მიღებული ანგარიშით, „მამათა“ ბანაკის წევრმა, ისიც მინდა ეთქვა, რომ დიდი მნიშვნელობა აქვს დროსა და აუტორის ასაკს: ეს, პირდაპირ ვიგყვი, ბრწყინვალე თხზულება იწერებოდა უშუალოდ თბილისის ომის შემდგომ, უმოწყალოდ და უგზურად დანგრეულ დედაქალაქში, აფხაზეთის სასაკლავო ის-ის იყო დაწყებულიყო, აუტორი კი ოცდახუთიოდე წლის ბიჭი გახლდათ (გია მიქაგაძე ოცდაოთხი წლისაა). გია არ იმჩნევს, თორემ თბილისის ომის სისასტიკე და აბსურდულობა მუდამ უფუთუფუთებს სულში და, ისედაც ისტერიულს და ნერვებდაძაბულს გონებას უძღერევს. ისე, სასხვათაშორისოდ იგყვის: „ამ ომის დაწყებიდან, ლოგინში არ ვწოლილვარ. სავარძელში მძინავს. აქეთ სანთელი მიდგას, იქით რადიო – ...ქალაქში ცხოვრება აღარ შემიძლია, ამ დაწყებულ, დანგრეულ ქალაქში“... ომში გარევა არც კი უფიქრია (თუმცა, იარაღის ხმარებაც იყის და ბევრჯერ უჩხუბია), ის მხოლოდ მიზღს, დაცინვასა და პროტესტს იწვევს მასში; მამის „რევოლუციონერ-კუჭჩისგობას“ მხოლოდ ირონიულად აღიქვამს. მისი წარმოდგენა ავადსახსენებელ თბილისურ ომზე სასტუმრო „თბილისითა“ და „იერთბანკის“ სახურავით შემოიფარგლება. განურჩევლობას თამაშობს, თუმცა, ხანდახან, მთელი წლის დაგროვილი ბოღმა და დარდი უეცარი ისტერიკით გადმოენთხევა. რამდენჯერმე წამოცდება: თბილისი მეზიზღებო... თქვენს დანგრეულ ქალაქს ასე და ისეო (გექსტში სხვა რამ წერია)... და მისთანანი. თუმცა, გამკრიახია და არცერთი წერილმანი არ გამოეპარება, – ობიექტურიც არის, მიუკერძოებელიც და მიმტკეპელიც.

„ღილით რვა საათზე გამოვედი და უკვე შუადღის გრასა იყო. უამრავი სამხედრო მანქანა, ფურგონები, მილიცია, გვარდია, რა ვიცი კიდევ რამდენი რამე. ეს გვარდია მაგიკებს. სულ ორასნი იყვნენ „თბილისში“ და ამდენი საიდან მოგროვდნენ ვერ გავიგე. თან რა ბაგალიონები აღარაა. ათი ძეგლი ბიჭი შეიკრიბება ბირეაზე, დაირქმევს „დელგას“ თუ რაღაცას და მიადგება კომუნდაგურას მვიადას ვინებით. დაურიგებს კომუნდაგურა ავტომატებს და მიდი, ავოიე! კოგია აროშიძემ, პირველი შემიადგენლობის „მხედრიონელმა“ მითხრა ერთხელ, სექტემბრის ამბებს რომ მიყვებოდა საღდაც, ვიღაცასთან. ამ გვარდიის ვერ გავიგე, ეგეთი დაბნეული კანგორა მე არ მინახავს და უმრავლესობა ძალიან პაგარები არიანო. თუმცა კი იომეს, რა გინდა... ერთი სარქისოვი იყო ჩვენს უბანში. გილი რა, კაიფარიკი, ნაფეხბურთელარი, მერე ფიშკულგურის მასწავლებელი იყო, ქალები მიყავდა სკოლაში და გამოაგდეს. გვარდიის მაიორია, ზღვაზეც იყო და რამე. გოგლიკოს პლანი მოაწეინა იმ დღეს. ნერეები ამიშალეს იმ დღეს, თორემ რას ვერჩი, რაც სხვაა – ისიც ისინი. როგორიც მე და გოგლიკო, ისინიც ისეთები არიან, ოღონდ ჩანან და ეგაა. სხვაგან რა, ყველაფერი წესრიგშია?“

„სხვისი“ ომის შეფასებისას, რომელშიც შემთხვევით აღმოჩნდა ჩათრეული, გაა სრულიად დაურიღებელია და კატეგორიული. მით უმეტეს, რომ თბილისის ცენტრში, გყვიების წვიმაში არ მოხვედრილა; ყარაბაღში კი ჯერ თათრების გყვეთა სარდაფში აღმოჩნდა, შემდეგ სომხურ სოფელში – მძეველად; ბოლოს კი თავად მოუხდა გადარჩენაზე გრუნვა – შამხანისა და „ლიმონკის“ მუქარით – მძეველად რუსი ჟურნალისგის აყვანა და სასიკვდილოდ განწირულ გყვეთა გამოხსნა. „ეს ჩათლახი „ბაევიკები“, თავიანთ მიწას იცავენ თუ რაღაც ჯანდაბას, ფულის გაკეთებაც უნდათ, ბიზნესია თუ სამშობლო ვერ გავიგე, რა. ომი თუა, უნდა მოკლა, არა? შენ მირბიხარ, იგაცებ და მერე ფულს ითხოვ. ან მკედარში, ან ცოცხალში. ეგაა ომი? ომი კი არა კოპერაგია. სომხურ-თათრული კავკასიური კოპერაგია. ერთმანეთის სახლებს ვუნგრევთ, ცოლებს ვუხოცავთ, შეილებს ვგატყობთ, მერე ფულს ვთხოვთ, ამ ფულით „მუხებს“ და „გემლია გემლიას“ ვყიდულობთ და ერთმანეთის სახლებს ვუშენთ. წვერცანცარა რუსის ჟურნალისგები მოეთრევიან, ბატონი დემოკრაგები და ჩვენზე წიგნებს წერენ, მამაცი რუსის ჟურნალისგები, ბრძოლებ-

მი კამერიით ღარბიან და რამე. ეგაა ღღეს მთელი ჩვენი ამბალოკი. რუსი წერს, თან როგორც აწყობს ისე, ღღეს შენ გაქებს, ხეალ იმას, ზეგ კიდევ იმას და ა.შ. ... მოკლედ, ომი კი არა, ყაჩაღობა იყო. რომელი რომელს მოასწრებდა, წაგლეჯდა და წაიღებდა“.

გიაშ მებრძოლთა ნაცულად „ჯალათ-ბიშნესმენები“ ნახა. „ტყუილი, რომელსაც გაქეკია ჰქეია, ნაბიჭერობა, რომელსაც აღამიანურ ურთიერთობებს ეძახიან“ ... ასეთია ომის სასტიკი კანონი თუ უკანონობა: ამამრბენი რამ, სიყალბესა და ანგარებამზე, ამბიციურობასა და უნამუსობამზე ღაფუძნებული. ომის შემამრ-წუნებელი ამრდილი თან სღეს გიას მონათხრობს.

რადგან „მამათა“ ბანაკი ერთგან უკვე მოვიხსენიე, აქვე შევეხები „მამათა“ და „შეილთა“ ამბიულენტიური ურთიერთღაპირი-სპირების მარადიულ (არალიტერატურულ) პრობლემას. გიას მამამზე ახლობელი ქვეყნიერებამზე არავინ ჰყავს. ისეთ მიმტევებულ და თანალმობის იშეიათი უნარით ღაჯილღოებულ ბიჭს, როგორიც „გიუშაა“, შეუძლებელია არ უყვარღეს იგი. მატრამ შეილი საკმაოდ უღიერად მოიხსენიებს მამას, ამკარა ირონიით ხატავს, სიცილად არ ჰყოფნის მისი „პატრიოტიული“ აღტკინება, ღაინტერესება პოლიტიკით, ჰიკეგებთან იარაღით ღაძისთევა, „ნაღღი“ თბილისელობის კულტივირება, და, რაც მთავარია, ეგოისტიური მესაკუთრული სული.

ბიჭს აღიზიანებს მამის „მაფიოზურად“ ღაყენებული შევერცხლილი თმა, ნაპარავი მილიონები (რომლებიც მის უმრუნეულ ცხოვრებასაც განსამღერავენ), ღეფციტიური ბენზინით გამოტენილი სარღაფი (რითაც ხშირად სარგებლობს თაეად), 53 წლის კაცის ახალგამრღელი ფაფხური... არ მოსწონს მისი ღამოკიღებულება 5 წლის ირაკლისთან, „ვიღეო-ბავშვითან“, რომელიც მმრუნველმა მამამ უცხოური „ბოევიკური“ ფილმებით მოამარაგა და „სნიკერსებში“ ჩაძირა; არც მისი მიმართება ახალგამრღა ცოლისაღმი – ნანასაღმი, ქმრის მონაღ რომ ქსეულა.

ღედინაცვალი ასაკობრივად გიას უფრო უახლოვღება, ვიღრე ქმარს; გერიც მეტ სითბოს ამქლენებს მის მიმართ. ნანა, შეძლებისღაგვარად, პატრონობს მას, მამის რისხვისგანაც იეავს ხშირად. თუმცა, ამხანაგი ამბობს – ნანა „მოაჯღა თენგიზას მილიონებს და მოსევა გიუშკი „ქევიატკამეო“, – გია შორსაა ყოველგვარი მერკანტილიზმისაგან და ფულზე უწინარეს, მამის სითბო, შეილის მიმართ გამქლენებული ინტერესი ენატრება. ღეპრე-

სიაში მყოფსაყ. უფრო ნანასკენ მიუწევს გული, რადგან დედის ხელს მოკლებულია და სწორედ ქალური მოვლა-პატრონობა, დაგურგურება და აღერსი სწყურიბა. ვიას აღიზიანებს მამამისის მეგობრებიც, ყველაფერს ფულით რომ ზომივენ და ფულითვე აგვარებენ. თავისი ხელიდან წასული, უწიგნური, უსაქმური, მუთისთავი, ნარკომანი, კახპებსა და სმას გადაყოლილი ძმაკაცების მიმართ უფრო გოლერანგულია; თინაც „მამათა“ ვარეკოცეაყ თითქმის ისეთიყეა, როგორიც მისი. უფროსებისაგან კი ვია, სრულიად სამართლიანად, მეგს მოითხოვს, იქნებ – მაგალითს. ამიგომაც ხატავს ასე გყსლიანად ორმოციოდე წლის ბიზნესმენ – „ბიძებს“, ქორწილში პლანის მოწვევით რომ იწონებენ თავს: საპირფარეშოში გასულთ „მოწვეის“ გროსმანისგერი გოგლი, კო აეგორლიალება და პირში ჩალას გამოაელებს – ისე „მეუკეთებს“ მათსაყე სიგარეგებს, რომ ნახეყარ პლანს ააფყქენის. „ბიძები“ ვერაფერს მიხედებიან და „ღირსეული გამომეგყელებით“ დაბრუნდებიან სუფრასთან.

ვიასთეის სრულიად მიუღებელია „მამათა“ ყოყოჩობა, სნობიზმი, მათი ფარისეველური „კოდექსი“ (თენგიზას მეგობრები, თინაგრძნობის ნიშნად, დამუნჯებულ გიუმას ფულით ამოუტენიან ბალიშს; მას კი ფულის გარდა ყველაფერი სჭირდება).

ვია, რომელსაყ, შესაძლოა, ნამღელი ოძისაგან თაედასახსნელად ადამიანის მოკელა მოუხდეს, ფიქრში მთლად დაუნდობელი ხდება „მამათა“ მიმართ: „ისე, ბოლო გახურება აქეთ, აეგომაგები, ინგერვიუები, რა ვიცი. მაგრამ მიღიან. მილაგლებიან კარგი პატრონის ხელში. თენგიზაც, მერაბიც, ორლიკაც, გეგულაც, თამაზიც, რომიკაც, ყველა. მაგ თაობის სიბერე ჯერ არ მინახავს, მაგრამ, ალბათ, ისევე ჩაბერდებიან, როგორებიც არიან. „რამიშვილი გახსოვს? მთელი ნახალოგის უბიიყობა დგას ამ პანაშვიდზე“ და რამე. და რამე, რამე, რამე. „ჩემო ღუშკა, რა კამისიონნი პურის დაეესკასავით დაიკარგე“, – აი ვგრე ბაზრობენ. კლიმაქსამდე ერთი ორი გაგორება დარჩათ და მერე ნახე მათი არეკვა...“

ყოველიყე ზემოთქმულში, ცხადია, ახალგაზრდული გაქსუებული ეგოიზმიც ურეეია: მით უმეგეს, რომ გიუმა და მისი აშხანაგებიც კარგი ჩიგები არიან და არც ისინი ბაზრობენ ლიგერაგურული ქართულით.

ძმაკაცებისაგან განსხეაყებით, ბუნებისაგან უხეად დაჯილდოე-

ბულ გიას (იგი გონიერია, დაკვირვებულად, კეთილი, უასჯარო, მოძიხებლად, კაცობრივად; უიშვიათესად, ექსტრემალურ სიგუაყიაში – მტკიცე და გამბედავი) სინანული განჯავს. იმის გამო, რომ უნებისყოფა და სხვის ჭკუაზე დადის: რომ ბავშვობის მერე წიგნი არ წაუკითხავს, რომ ხატვის მოყვარული, მამამ სხვა, ვერცხლისმოყვარე „მამების“ დახმარებით, მაინცდაძინს სამშენებლო ფაქულტეტზე დასვა, სადაც ხუთი წელი უქმად გალია (სადიპლომოსაც ვიღაც გაქეული ლექტორი უხაზავს)...

გია ნანობს, რომ ნაფოტივით წყალწაღებულია, მუდამ სხვისი მოიმედე: „მე ხომ არასოდეს არაფერი გამომსვლია, ყოველთვის უკან მიყვებოდი რაღაცას, ...თენგიზაზე და ბიჭებზე ჩამოკიდებული“... ყარაბაღის სომხურ სოფელში (სადაც თავი სტუმარი ჰგონია, არადა – სამხედრო „ნადავლია“) ერთხანს გაუტკებდა კიდევ უდარდელი, მთვლემარე ყოფა და მარგობა, მაგრამ, ამრზე მოსულს, უმაღვე მოენატრება თავისი უსაფრთხო „გალია“: „მშვენიერი, პირდაუბანელი თბილის-ქალაქი, ვითომც ლამაზი, მგერიანი, ნამწვავებით, ვიდეოკასეტებით და სავარძლებით გამოტენილი ქანგიანი გალია“.

გია გრძნობს, რომ მისი უსაქმურობა, უსწავლელობა, ინფანტილიზმი, „თავშესაფარის“ ძიება „ქანგიანი გალიასა“ თუ ნარკოტიკებში, მნიშვნელოვანწილად, მამის ბრალია; თუმცა, თვითკრიტიკულიც არის. იგი გაქირდვით აღწერს იმ პირქუმ, აბსურდულ ყოფას, რომლის მონაწილეც თავად არის, მაგრამ არაფრის შეცვლა არ შეუძლია (არც უნდა). გიუმა დღევანდულობის ღვიძლი შვილია. ის და მისი წრე მხოლოდ აწმყოთი ცხოვრობს: ცოგა უსინდისობა, ცოგა ცუდლუგობა, ცოგა გყუილი – მათი ცხოვრების ნორმაა. „ტკბილ ცხოვრებას“ ჩვეულთ, გაიოლებული აქვთ ყოფა – მშობლების, ფულიანი ბიძების გასუყურაკების თუ ერთმანეთის ხარჯზე...

მიუხედავად ქუფრი სინამდვილისა, უკელმართი და აბსურდული, სულიერებისაგან თითქმის სავსებით დაცლილი არსებობისა, რაც თსზულებაშია გადმოცემული, – მთხრობელის ემოციური გემოქმედება ისეთია, რომ მკითხველსაც ეუფლება თანაგანცდის მძაფრი გრძნობა და აღარაფერი აღიქმება გროტესკულად ან უგრირებულად. ეს არის ჩვენი დროების ნაყოფი, – საზოგადოების გარკვეული ფენა, რომლის არსებობას სტაგნაციის პერიოდმა დიდად შეუწყო ხელი, ხოლო პერესტროიკამ, საჯაროობამ და უსამანო, ვითომდა „თავისუფლებამ“ ნოყიერი ნიადაგი შეუქმნა.

გია, სიგყვიერად, ძალზე ადვილად იმეგებს ახლობელსაც და შორეულსაც; მაგრამ მხოლოდ სიგყვიით და არა საქმით. ყველას და ყველაფერს მუქ ფერებში წარმოგიდგენს, ყველას და ყველაფერს ამახსრებს და დასცინის. მას ერთობ მჭრელი, ფიზიკელი თეალი აქვს. ამიგომაც არ აღიქმება მეურაცხყოფად მისი ირონიული, გამქირდაკი კილო სხვა ერის შეილთა მიმართ. ასეთია გიას „თაყისუფალი სტილი“, რაც საესებით შეესაბამება მის სულიერ მდგომარეობას. მისი გამუდმებული ქირქილი, ირონია უფრო „მანერაა“, ვიდრე სხვისი ნაკლით გკობის პიროვნული ზადი.

აკა შორჩილაძე მძაფრ ირონიას ხშირად უნაცვლებს თბილ, კლდიაშვილისეულ იუმორს (მოგი პასაკი ანეკდოტად აღიქმება, თუმცა საესებით ორგანულად მის გექსტში). დაეთ კლდიაშვილთან ანათესაევებს აეგორს ისიც, რომ თანალმობის უნარს მკითხველსაც უწილადებს. გიას მიერ გადარჩენილ ერთ-ერთ გყვე თათარს – სამანდარას, სისხლისაგან დაყლილი თანამომძის წამოყვანაც კი არ უნდა – ოლონდ თაეი დაიხსნას. გია მაშინვე „ჩათლახობაში“ დაადანაშაულებს მას, თუმცა მალე გამოუნელდება ბრაზი – საწყალს, ოთხი დლე სულ ამიშმილებდნენ და დლეში ათჯერ ცემდნენო... უკეე სამშვიდობოს გასული გია, სამანდარას გირილის ხმაზე იგყვის: „სამანდარას სლუკუნის ხმა რომ მომესმა, დაერწმუნდი, მარგო ამის გირილად ღირდა გამოქყევა და რამე. მარგო ამ სულელი საზამთროების გამყიდველისათვის ღირდა-მეთქი და ევრეც იყო ალბათ. საჭეზე დაეეზე თავით და ეივრძენი, როგორ დამისველდა თეალები. ... ყველაფერი ერთად მომაწვა გულში და ისეთი მოთქმა აეგეზე, რომ მახსენდება, მრცხენია, უნამუსო ეიყო. ... აღარ მიხაროდა. გირილი თუ რაც გაეაჩალიჩე, ნერეების პონგი იყო, სიხარულის და რამის კი არა... შოკის პონგი იყო“...

გიასათვის ე.წ. ეროვნული მოძრაობაც და პოლიტიკაც თამაშია და სხვა არაფერი. სომხების მიმართაც, მისი აზრით, ვითომ სამართლიანობისა და პატრიოტიზმის ლომუნგებით უამრავ სი-საძაგლესა და სიმდაბლეს რომ სჩადიან („ჯალათ-ბიზნესმენები“), დაუნდობელია, თუმცა, ადამიანურად, ეცოდება ისინი. მაგრამ პატივისცემას მხოლოდ ერთისადმი, სოფელში, ბების სახლში შემთხვევით ჩარჩენილი „ძველისადმი“, გალოთიებული სომეხი მხაგერისადმი – ვალერასადმი ამეღაენებს. სწორედ ეს უკანასკნელი, „აზრზე მყოფი“, – აუხელს თეალებს გიას, დაანახებს ომის აბსურდულობასაც და ქართველ „სტუმარს“ გაქყევაშიც დაეხმარება.

გიას ეცოდება ყველა: დედინაცვალნი, ძმა. ვალერა, თათარი გყვეები, კახეები, თბილისელი ბებერი „ნარკუშები“, ძალით გათხოვილი და გაუბედურებული თანაკლასელი და ა.შ. შეჩინძნავს კიდევ, რა ყველა მეცოდება. გარდამავალი ასაკი მიქვს თუ რაო.

ალბათ, არ არსებობს უმსგავსი ეპითეტი, რომლითაც გიას თავისი უპირველესი ძმაკაცი გოგლიკო არ შეემკოს: მწვანე სიფათიანი დეგენერატი, ფიცარი, ქლიაფი, დაეარდნილი, გიჟი, დარცმული, ნაძალდარი, ბანჯგელიანი მაკარონი და სხვა; მაგრამ მათი მეგობრობა „ვეფხისტყაოსნის“ გმირებსაც კი „მეშურდება“. ძალღვივით ერთგულია გოგლიკო. მისამართის დაწერა არ შეუძლია (ანკეგაში, ქუჩის სახელწოდების ნაცვლად, III სართულს ჩაწერს), მთელი მისი „განათლება“ გელევიზორით და ბარიგაკახეებთან სირბილით შემოიფარგლება, მაგრამ ბიჭები უსიგყეოდ უგებენ ერთმანეთს, მუღამ ერთად არიან და იქნებიან. ავადმყოფ გიას მხოლოდ მისი დანახვა ამშვიდებს... გოგლიკო, მოხუცი ბებიის აშარა დარჩენილი (რომელსაც მეზობლები უმიდავენ პურს), გიას წყალობით „კაიფობს“; მაგრამ მათ შორის ანგარება რა მოსაგანია...

შეცოდებით დაიწყება გიას რომანი იანასთანაც, თბილისში, ბიცოლასთან შეკედლებულ და გმასაცდენილ გოგოსთან. ერთადერთი, რაც ვერ უპაგებია გიას მამისათვის – ფეხმძიძე იანასთან განშორებაა.

აკა მორჩილაძე, რომელიც, ძუნწი შგრიხებით, ლაკონურად, მაგრამ დიდი გამომსახველობით ძერწავს პერსონაჟებს, ქალთა პორტრეტების ხაგვისას ცოგა მოიკოტლებს (ასეა „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებშიც“); ეს განსაკუთრებით ითქმის იანაზე, რომელიც მხოლოდ გიას ოცნებებში განაგრძობს ყოფნას: „იყო და არა იყო რა“... იანასთან ურთიერთობა უფრო გიას დასახასიათებლად გამოდგება, მეგადრე, თუ გავითვალისწინებთ ფინალს; ბურანში მყოფი ვია ოცნებობს, როგორ მოუძებნის მას თენგიზა მიქაგაძე თბილისის გარეუბანში იანას და როგორ მოჰგერის... არადა, იანას მოძებნას რა უნდა! (რაც არც კი უცდია და ეს არის გიას უდიდესი საგანჯეელიც).

საერთოდ კი, აკა მორჩილაძე პერსონაჟების ხაგვის დიდი ოსგაგია – წერილმანი დეგალებით, ერთი-ორი მონასმით, – მთლიან, სრულყოფილ პორტრეტებს ქმნის: თენგიზა, გოგლიკო, ვალერა, მარკიორი, რაფიკა, ფიშული, ღუდა, „აქდანელი“ თათარი პოლკოვნიკი... ქალებიდან – მარინკა, ცანცუკა... რომელი

ერთი ჩამოცივებულს. „მოგზაურობაში“ უამრავი პერსონაჟია და არცერთი – უფუნქციო.

მაგალითისათვის კი ნარკოტიკების ეპიკური ანტიკონკრეტული იქმარებს: „დიდია ეგვიპტის, ბიზონიის, ორი მარგო მარფი აქვს ჩაფენილი. კრილოსანს ათამაშებს“... იგი სათანადოდ. „დაძა-ჯერებლად“ მეტყველებს: „გიუმკი, გამიგე, ძმურად, ...გოგლი-კოს ძმა ხარ და ჩემი ძმაც ხარ. ორი ღლე რა არი... კაცურად გავისტუმრებ ყველაფერს“.

ამ „კაცურმა“ ბარიგამ, რომელიც, რა თქმა უნდა, ფულებში ცურავს, გასაოცარი სიძუნწე გამოიჩინა და გიას იმდენი ბენშინი ჩაუსხა, მარნეულამდეც რომ არ ეყოფოდა...

ასეთია გიას გარემოცვა და, რა გასაკვირია, რომ მის წრეს და მის ყოფას ყველაზე უკეთ ქარგონი მიესადაგება.

ქარგონს აკა მორჩილაძის სამივე წიგნში მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია. ქარგონულ წიაღში აუგორი ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებში“ განსხვავებული ქარგონი რამდენიმე პერსონაჟის ე.წ. „სტიკური ექსტრემით“ დახასიათებას ემსახურება, ხოლო „გადაფრენაში“ ერთმანეთს ესაყვარება წარსულის და თანამედროვე მწერლების ენის იმიტაცია-პაროდია, ძველი პროტოკოლური სტილი თუ მოქალაქეთა სხვადასხვა ფენის ქარგონი.

„მოგზაურობა“ თითქმის მთლიანად ქარგონითაა გამართული. ესაა: მოყვრებული მალაღმარებლებისაგან თავის დაძვრენაც, ენობრივი ნაგურალიზმიც, მთხრობელის პიროვნული დახასიათების საშუალებაც, მისი იუმორისა თუ თვითირონიის ხერხიც. მწერლობაში (მათ შორის ქართულში) უფრო ხშირია ქარგონული გამოთქმები და დიალოგები, თითქმის მთლიანად ქარგონით მოთხრობილი თხზულება კი – იშვიათი. სწორედ ამ უკანასკნელთ მიეკუთვნება „მოგზაურობა ყარაბაღში“. ქარგონი ანტიკური მწერლობიდანაა ცნობილი (არისტოფანე, პეტრონიუსი...), შუა საუკუნეთა ავტორებიც (ბოკაჩო, რაბლე, შექსპირი) და XVIII-XIX საუკუნეთა კლასიკოსებიც (ვოლგერი, პიუგო, დიკენსი...) ხშირად მიმართავდნენ მას. XX საუკუნე ხომ დაიყურსა ქარგონით (მოემი, სარტრი, სელინჯერი, სილიგოუ, ჯოისი...). ამიგომაც მეუცხოვა გია ბენიძის (წერილი „ძალღური სიმბოლიკა და სხვა“) თვალსაზრისი: „ქარგონი ენის ეფემერული წარმონაქმნია და მალე ძველდება. ... პირადად ჩემთვის ...ზოგი გამოთქმა გაუგებარია, რადგან თბილისის უბნებში არ მიცხ-

ოვრია, ეს გამოთქმები კი ყოველთვის როლი სცნლდებიან ამ უბანთა ლოკალს“-ო. დიას, ეარგონი დლესაც წარმაველია, ისევე, როგორც ასტიკურ სამყაროში ან ჯოისის დროს იყო, მაგრამ თუ მას მხაგერული ფუნქცია აქვს (აკა მორჩილაძესთან ასეა!), სასაყვედუროც არაფერი ყოფილა. მთავარი კი ის არის, რომ ავტორი გამიზნულად, მოხდენილად და ბუნებრივად იყენებს ეარგონს და დიდ ემოციურ ზეგავლენასაც ახდენს.

აკა მორჩილაძე, რომელიც უალრესად ერუდირებული მწერალია, ვიას „როლში“ შესანიშნავად ნილბავს თავის ცოდნას; მთხრობელი ძირითადად გელევიზორში ნანახი ფილმებით თუ მოიწონებს თავს, თუმცა – „გაფილოსოფოსდით“ თვითირონიით შენიშნავს ხოლმე და მართლაც ფილოსოფოსობს: „მე ის ვიცი, რომ არაფერი არ ვიცი ქვეყანაზე. მე ის ვიცი, რომ იმითი ვცხოვრობ, რასაც არაფერი ჰქვია“.

გია, ყველასთვის და, უწინარეს ყოვლისა, მისთვისაც მოულოდნელად, სრულიად უმსხვერპლოდ, ნამდვილ გმირობას ჩაიდენს (ეს დეგექტური ეპიზოდი უნაკლოა) – გყეუბიდან გამოიხსნის ჯერ ორ თათარს, შემდეგ გოგლიკოს და „მინიმალური“ მაგერიალური დანაკარგებით ბრუნდება თბილისში.

ბრწყინვალეა მოხუც მარკიორთან „შერკინების“ პასაჟიც: თუმცა მისი ბედი ბეწვებე ჰკილია, ვიას ბაბუისგოლა კაციის მოკვლა კი არა, თავში კონდახის ჩარგყმის პერსპექტივაც კი ჰმარავს: „დგახარ თბილისელი ახვარი. ქამარში იარალით, ჯიბეში ხელყუმბარით და უნდა გააქრო; ვინ, ბაბუაშენის გოლი, ერთი ბეწვ, გაუბედურებული კაცი, ხანმოკლე სიხარულის წუთებში, რაღაც გასაღებების ასხმის გულისათვის“.

საბედნიეროდ, ყველაფერი უსისხლოდ მთავრდება.

მაგრამ 24 წლის ვიასათვის ყველაფერი ახლა იწყება, როგორც ვალერა-მხაგვარი იტყოდა, – „ვეს მირ ვ კარმანე“.

რა მოელის მას და მისთანებს – ძნელბედობის, „უდროობის“ შვილებს? შეკითხვა არ არის რიგორიკული, მასზე პასუხი „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებშია“ გაცემული: ზოგს – აფხაბეთი, ზოგს – როყიო გყვია თბილისში...

აკა მორჩილაძეს კი შემიძლია დიდი მომავალი ვუწინასწარმეგყველო; ვუსურვებ მხოლოდ, გედმეგად არ გადააყვეს ისეთ თვითმიზნურ ექსპერიმენტებს, როგორიცაა, ვთქვათ, მოთხრობა „წიგნი“ (თაფლიან კასრში შერეული კუპრის ერთი წვეთი), რომელიც, სხვათა შორის, ზოგს გამორჩეულად და ერთობ მნიშვნელოვნადაც მიაჩნია.

PS. წერილის სათაური – „კარგი ცუდი ბიჭები“ – გელმისწეუნით მიესადაგება აკა მორჩილაძის გმირებს: (მაგრამ უსათუოდ უნდა დავისახელო მისი წყარო: ნართაელი თქმის, სიგყვათქმნადობისა და ეარგონის დიდოსტაგის – გურამ დოჩანაშვილის კვიმაგი ფრაზა – „კარგი გლახა ქალების“ თაობაზე.

2000 წ.

შპეთური ღროის კეთილი ნიბნი

ხუან რამონ ხიმენესის „პლაგეროს“
მანანა გვისნიეშვილისეული თარგმანის გამო

რამდენი ბავშვი შეახარის ამ დღეს,
რა ახალია ეს დელამიწა!

ვალაკიონი

თავს დამელეარა მე სიხარული
და დამანახა მთიების ბრწყინება...
ცისა და მიწის შმეუნიერებას
აღმოუცნობი უძლოდა წინა...

ანა კალანდაძე

სჯა-ბაასი და კამათი ხელოვნების დანიშნულებასა და რაობაზე, თითქმის ისეთივე ხანიერია, როგორც თეით ხელოვნება. მწერლები, ფილოსოფოსები, ესთეტიკოსები, ფსიქოლოგები, მუსიკოსები, სოციოლოგები თუ სხვანი და სხვანი დღეშდე ვერ შეთანხმებულან – ძალუძს თუ არა ხელოვნებას გადაახევაფეროს ადამიანი, გააკეთილშობილოს იგი, აღზარდოს მისი სული; ხოლო საბოლოოდ – გარდაქმნას, გააუმჯობესოს კაცობრიობის მომავალი.

ხელოვნების როლი განსაკუთრებული და გამორჩეული რომ არის ე.წ. გარდამავალ პერიოდში – ისტორიული, სოციალური, პოლიტიკური თუ სხვა ნაირგვარი კატაკლიზმების დროს. – ამას თვით სკეპტიკოსებიც კი აღიარებენ.

„ხელოვნების დეკუმანიზაციასაც“ (რომელიც ამა თუ იმ სახით ალბათ მარადეაშს არსებობდა), სწორედ ეამთა სიავემ და

ჩვენი საუკუნის დიდმა მოაზროვნეებმა მისცეს ჩამონაკეთული და აშკარად გამხელილი სახეება.

„ხელოვნება“ და „სიკეთე“ დამორიშორდა.

დღეს საერთაშორისო პრემიაც კი არსებობს – „წლის ყველაზე კეთილი წიგნისათვის“. ეს პრემია 1917 წელსაც რომ არსებულებოდა, როცა პირველი მსოფლიო ომის ხანძარს მთელი ევროპა მოეცვა, ხოლო რუსეთის ვეება იმპერიას მსოფლიოს ყველაზე დამანგრეველი და დაუნდობელი რევოლუცია მოვლენოდა „მხსნელად“, იგი უთუოდ ხუან რამონ ხიმენესის ლირიკული პროზის კრებულს – „პლაგერო და მე“ – ხედებოდა წილად.

სწორედ 1917 წელს გამოქვეყნდა დიდი ესპანელი პოეტის, ესპანური მოდერნიზმის აღიარებული მოთავის, იმთავითვე „ცოცხალ კლასიკოსად“ მიჩნეული, „ჩვეულებრივი“ გაგებით კი 32-36 წლის ჭაბუკის ხუან რამონ ხიმენესის სიკეთით, სინათლით და სიბრძნით აღსავსე „პლაგერო და მე“ (წიგნი 1913-1916 წლებშია შექმნილი).

პირველი მსოფლიო ომის პირისპირ წარმდგარ ევროპაზე წერდა პოლ ვალერი: „უჩვეულო ერუანტელმა დაუარა ევროპის გვინს. მიიღო თავისი მოაზროვნე კვანძებით მან შეიგრძნო, რომ უკვე ვეღარ სცნობს, უკვე აღარ ჰგავს თავისსავე თავს, და რომ მას თვითმემეცნების უნარის დაკარგვა ემუქრება, უნარისა, რომელიც მან მხოლოდ ამდენი საუკუნის მანძილზე დათმენილი ათასგვარი უბედურების, ათასობით პირველხარისხოვანი მოაზროვნის ძალისხმევისა და ურიცხვი გეოგრაფიული, ეთნიკური თუ ისტორიული სპეციფიკის წყალობით შეიძინა.

მაშინ, – თითქოს მისი ფიზიოლოგიური არსებობის უმწეო მცველად, – ევროპის სულში ბუნდოვნად გაიღვიძა მთელმა მისმა მესსიერებამ, ისტორიის სიღრმიდან რიგრიგობით ამოგიეგვიდნენ მისი დიდი პიროვნებანი და დიდი ქმნილებანი. არასოდეს არ კითხულობდნენ უფრო ბევრს და უფრო გაგაცებით, ვიდრე ომის დროს: დაეკითხეთ წიგნით მოვაჭრეთა თაროებს. არასოდეს არ ლოცულობდნენ უფრო მეტს და უფრო გულმხურვალედ: დაეკითხეთ სამღვდელელოებას. სასოწარკვეთილებამ გამოიხშო ყველა მხსნელი და ფუძემდებელი, ყველა მჟარეული და მარგვილი, ყველა გმირი და მამულის მამა, წმინდანებად შერაცხილი გმირი ქალები, ნაციონალური პოეტები („სულის კრიზისი“, ბაჩანა ბრეგვაძის თარგმანი).

ჰოლ ვალერის ეს სიგყვები. ასე შთაბეჭდავდა რომ მიგვანიშნებს სასოწარკვეთილებამდე მისული ხალხის ერთადერთ სწორ ნიშანსვეგს – სულიერებას, საოცრად მიესადაგება მოდერნისტი ხიმენესის „ფერისცვალებასაც“ – სწრაფვას ღვთაებრივი კარმონისადმი, „ადგილის დედის“ სიყვარულსა და ერთგულებას; ე.ი. ყოველივე იმას, რაც უდიდესი მხაგვრული ძალისხმევით არის განსხეულებული „პლაგეროში“.

ევროპული ქაოსის ეამს შეთხზული ეს წიგნი – გეშთავონებულ ბიბლიური სისადავით, თითქოსდა მხცოვანი ბრძენის მახვილი ჭკუითა და სიღარბაისლით, იმაედროულად, „აღტაცებაში მყოფი ბავშვის“ (გალაკტიონი) თვალთ ხელახლა დანახული სამყაროა; სოფელი ანუ წუთისოფელი, მარადიული და დაუსაბამო...

ხიმენესს უნამუნოსავით არ „ტკივა ესპანეთი“, იგი თვითონაც ტკება თავისი კურთხეული სამშობლოთი და მკითხველსაც ატკობს – მშვენიერებით, სიკეთით, „ნათელი სევდით“.

„პლაგერო და მე“ არ არის საყმაწვილო წიგნი. ის ბავშვის მარად პირველქმნილი, გაოცებული ხედვით, „ლამაზი გაკვირვებით“ (ბესიკ ხარანაული) აღბეჭდილი წიგნია.

„ეს პაგარა წიგნი, რომელშიც პლაგეროს ყურებითა ცყუჰად, ერთმანეთის გვერდიგვერდაა სიხარული და სევდა, დაწერილია... არ ვიცი, ვისთვისაა დაწერილი!.. მათთვის, ვისთვისაც ვწერთ ხოლმე ლირიკოსი პოეგები... რაც შეეხება ბავშვებს. ამ წიგნის მკითხველად მათ არც გამოვირცხავ და არც საგანგებოდ ვგულისხმობ. ძალიანაც კარგი!“

„ბავშვები სადაც კი არიან, ყველგან ოქროს ხანაა“ – ამბობს ნოვალისი. სწორედ ამ ოქროს ხანისთვის, რომელიც გეციდან ჩამოვარდნილი ღვთაებრივი კუნძულივითაა, ძგერს პოეგის გული. თავს ისე კარგად გრძნობს აქ პოეგი, რომ ურჩევნია, არ მოუწიოს მისი მიგოვება.

სინაზის, სილალისა და ბედნიერების კუნძულო, ბავშვობის ოქროს ხანავ! ხშირად მოგაკითხავ ხოლმე სევედის ზღვადქეულ ამ ჩემს ცხოვრებაში. დაე, შემოიქროლოს შენმა სიომ და თან მოიყოლოს თავისი ზარი, – მეღერი და ზოგჯერ აზრმოუგანებელიც, შეთენებულზე გოროლას ვალობის მსგავსი.

არასდროს დამიწერია და არც დაწერი რაიმეს ბავშვებისათვის, რადგან მიმაჩნია, რომ პაგარებს მშვენიერად შეუძლიათ წაიკითხონ წიგნები, რომელთაც დიდები კითხულობენ... (ხიმენესი, „წინასიტყვაობასავით“).

ესპანური ენის უკოლინარმა, როგორ დაეიხეცო, – მანანა გიგინეიშვილის განსაკვივრებელი ქართული თარგმანი დედნის კონგენიალურია-მეითი; მაგრამ ვინც ქართული „პლაგეროს“ თუნდაც რამდენიმე ელევას წაიკითხავს, სხვა ენაზე ნათარგმნისაკენ აღარასოდეს გაიწუდენს ხელს. ისიც ვასათუვალისწინებელია, რომ ქალბაგონ მანანას (ისევე როგორც ჩვენს სხვა სასიქადულო ათიოდე მთარგმნელს), რამდენიმე ევროპული ენის ჩინებულ მცოდნეს და შესანიშნავ ფილოლოგს, „სუსტი“ – არც თარგმანი და არც სხვა რამ ნაშრომი არ მოეძევება.

დღეს, როცა ქართული ენა აგრერიგად არის შერყვნილი, ქართული „პლაგერო“ კიდევ ერთხელ გვარწმუნებს დედაენის უკიდეგანო შესაძლებლობებში და კანონიერი სიამაყის გრძნობითაც გვაესებს.

„პლაგერო საქართველოსაც ეწვია“ – ასე დაასათაურა მანანა გიგინეიშვილისეული თარგმანისადმი მიძღვნილი ბრწყინვალე ესეე ემზარ კვიტაიშვილმა – ჭეშმარიტმა შემოქმედმა, რომელსაც სრულიად არ „უმიმის“ მართლაც ბავშვური ალგაცება გამოხაგოს სხვა ხელოვანის ნაღვაწის მიმართ; იგი არა მარგო პოეტი, ჩინებული პროფესიონალი და უაღრესად ერუდირებული, მახეილი კრიტიკული თვალის ლიგერაგურათმცოდნე ბრძანდება. მასზე უკეთ ვერას ეიგყვი: „ძალზე ცოგა იქნებოდა იმის თქმა, რომ „პლაგერო და მე“ უზადო ქართულითაა თარგმნილი. ალბათ გაძნელდებოდა მეორე ადამიანის დასახელება, ასე სისხლხორციულად, მუსგად და სრულყოფილად რომ გრძნობდეს ჩვენი ენის ფარულ სტიქიას, მის ნაირგვარ ელფერსა და მიმოხრას.

გასაკვირი არც არის, უკვე გამომქლავებული უზომო სიყვარულით, საყოველთაო ალგაცებით, რომ შეეგებნენ ამ წიგნს ქვეყანაში, სადაც „შელის ნუკრის ნაამბობი“ დაიწერა. ქართულმა „პლაგერომ“ პირველივე სგრიქონებიდანეე სხვანაირი შუქი შეიგანა მკითხველთა გულებში“.

მანანა გიგინეიშვილი, უწინარესად, ხიმენესის თსზულების არსს, მის ღრმა სიმბოლიკას, სულის უკვდავების რწმენას ვადმოსცემს. სულისშემძვრელი წინათქმაც, 25 წლის მეცაში წასულ შვილს ვანიკო რამიშვილს რომ ეძღვნება და ბოლოთქმაც, „პლაგეროს“ მთარგმნელისეული ხედვა – ორგანულ მთლიანობად და ამ რწმენის განსხეულებად წარმოგვიდგება.

მანანა გიგინეიშვილმა ბრწყინვალედ შეიჩარჩუნა დედნის ბავშვური სიცინცხალე და უშუალობა, რასაც თავის ნაბოლარა

ვაქს (რომელსაც უფროსი ძმისგან, ბიძინა რამიშვილისაგან, 8 წელი ამორებდა) უმაღლის: „იყო ამქვეყნად საოცარი ბიჭი, ჩათუ-ლი და ჩახჩახა! ოცდახუთი წლით მომბაბრა უფალმა და მერე კვლავ თავისთან გაიხმო.

ვანო რამიშვილის გღვარდაუღებელი შესაძლებლობებისაოვის ფეხის ასაწყობად, მისი დიდი მიზნების თანამშრომლობის ნიშ-ნად, მისდა გასახარად, მისთვის ქართული „პლატეროს“ საჩუქე-ბლად შეუღვა დედამისი ესპანურის შესწავლას.

მხოლოდ ოცდახუთი ელევინის ჩუქება მოვასწარი...

მისი ყოველი შენიშვნა ქართული ენის არსის უფაქიზესი წე-ლომის შეღვეგი იყო.

ღღეს ვანო რამიშვილს კი არ უძღენის დედამისი ამ თარგ-მანს, ეს თარგმანი ამქვეყნად დაშორებული დედა-შვილის სული-ერმა ერთობამ გაასრულა.

ქართულ „პლატეროში“ ვანო რამიშვილის სულიც ფუთქავს.

ეს ასეა. და ამის თქმა მომინდა მკითხველისთვის“.

ამ გამაოგნებელ წინათქმაში მანანა გიგინეიშვილმა შეუძლე-ბელი შეიძლო: მკითხველს აარიდა თავისი დარდი, დაფარა ის და ნათელი სეედით დაფერა ეს თითქოსდა ასოცდამეცხრაამეგე ელეგია („პლატეროში“ 138 ელეგია).

აკუტაგავა რიუნოსკეს ერთი მოთხრობა გამიკრთა მეხსიერე-ბაში: იაპონელი დედა, ლამაზი, ლამათიანად ჩაცმული, მშეიდი სახით მოუთხრობს აეგორს პირმშოს გარდაცვალებამე; მო-საუბრე შეცბუნებული და გაოცებულია დედის „გულგრილობით“, ამოდ ცდილობს მისი საქციელის გამართლებას. მოთხრობის დასასრულსდა ეხვდებით, რომ ქალს – აუმღერეველი, უღრუბ-ლო სახით, დედას, რომელსაც ერთი ნაკეთიცი კი არ შერხევიდა, სიმწრისაგან, ნაკუწ-ნაკუწ დაუძენძავს კალთაზე დაფენილი მშ-ვენიერი ცხვირსახოცი, მოსაუბრისათვის კი უსიამოვნების ნაგა-მალიც არ მიუყენებია...

მართლაც და საოცარი რამ არის მახსოვრობა, რასაც ინებებს, იმას შემოინახავს: დაახლოებით ოციოდე წლის წინათ (აღბათ – ცოგა მეგის) ვიდაც მადლიანმა გადაწყვიტა, ფილარმონიის დიდ დარბაზში დისნეის ფილმების ნაკრები წარმოედგინა. ჩვენი თაობის ბავშვებს „ბემბი“ და „თეთრთოვლა“ კი გექონდა რამ-დენჯერმე ნანახი, ცხადია, ე.წ. „კინოკურნალში“, ტელეკრანზე მაშინ ვინ გააჭაჭანებდა ამერიკულ ფილმებს. ანდა, რა უკიდეგა-

ნო ფანგაჩიის პატრონი ესდა ყოფილიყავი, რომ გეწინასწარ-
მეტყველა 90-იან წლებში ქართული ტელევიზორანის ამერიკული
„ექსპანსია“ (ჩვენ ხომ „ეკიდურესობების“ ხალხი ვართ!).

ასე იყო თუ ისე, ყოველივე „არაამქვეყნიურს“ დახარბებული
მაყურებელი ფილარმონიის დიდ დარბაზს მიაწყდა. მთელი თბი-
ლისი იქ იყო; ვის არ ნახავდით – ყველა თაობის წარმომად-
გენელს და, რა თქმა უნდა, ნებისმიერი ასაკის ბავშვს.

ჩემი ნაცნობ-მეგობრების ტევა არ იყო, მაგრამ რატომღაც
დამამახსოვრდა მხოლოდ დედა-შეილი – მანანა გივინეიშვილი
და ვანიკო რამიშვილი.

მანანას სტუდენტობიდანვე შორიდან ვიცნობდით – მასაც და
მის მიუღწევე ირაკლი რამიშვილსაც – ინტელექტუალებს, უნი-
ჭიერეს პიროვნებებს, „ჩუშ“ დისიდენტებს (მაშინ მყვირალა დის-
იდენტობა არ იყო მოდაში); კვბ-მ კი, „ჩუში“ დისიდენტობისა კი
არა, დაუეიწყარი ნოდარ ღუმბაძისა არ იყოს, შივი ზღვის ხამ-
სის უცხო სრეკეში გასვლის ამბავიც კი იყოდა.

მოგვიანებით მანანა კარგად გავიცანი და ღღემდე არ გამ-
ნელებია მისი სიყვარული და უღრმესი პატივისცემა. მის იშვიათ
საჯარო გამოსვლებს, სამეცნიერო ნაშრომებსა თუ უზადო თარგ-
მანებს მუდამ სიხარული და აღგაცება მოჰქონდა ჩვენთვის.

ასევე ვეთაყვანებოდით მამამისს, უბრწყინვალეს მეცნიერსა
და პედაგოგს, უმწიკვლო პიროვნებას – ვანო გივინეიშვილს.
ამას ჩემი ოჯახური გრადიციაც უწყობდა ხელს: ბაბუაჩემი,
რომელსაც არ მოესწრებივარ, ქუთაისელი ქურნალისტი, მთარგ-
მნელი, ფედერალისტი დავით ავალიანი – ვანო და კონა გივი-
ნეიშვილების მამისა და ირაკლი რამიშვილის პაპის (დედის მხრი-
დან) – ცნობილი პოეტისა და მეცნიერის სილოვან ხუნდაძის ახლო
მეგობარი გახლდათ.

პატარა ვანიკოც არაერთხელ მყავდა ნანახი თავის ემოში,
ბურთით ხელშიც და მკირე ხნით დადინჯებულებიც – ბატონ
გრიგოლ კიკნაძისა და ქალბატონ დარეჯან რამიშვილის ოჯახ-
ში, რომლის ხშირი სტუმარი გახლდით.

ბატონი გრიგოლის გარდაცვალების შემდეგ დიდად მიმძიმდა
მის სახლში მისვლა; ვანიკოსაც აღარ ვხვდებოდი. ამიგომაც
ჩემთვის ვანიკო დღესაც ბავშვია – ულამაზესი, მუდამ მოცინარი
სახით, ხალისიანი და სიცელქით გაბრწყინებული თვალებით,
შავკერემანი, თმახუჭუჭა. იგი, ჩემი აზრით, ძლიერ ჰგავდა ბა-
ტონ ვანოს, უაღრესად ლამაზ კაცს.

პოლა, სწორედ ამ საღამომზე მანანამ ასეთი რამ მიიხრა: რა ბედნიერებაა, ვანსკოს ხაიროთ მოველი ვითომ და ისე გადმოძულე მისი ეპოქები, ისეთი თანაგანცდა დაძეუღლა – თითქოს თავიდან განვიცადე ბაეშეობა და ბაეშეური სიამოვნებაც მივიდეო... დაახლოებით ეს მითხრა, თორემ მანანა რის მანანა იქნებოდა, სათქმელი უფრო მოხდენილად არ გამოეთქვა. მე კა. ჩანს, მხოლოდ არსი დაძამახსოვრდა.

სიგყვა გამივრძელდა, მაგრამ ჩემი მყირე მოვონებაც ხომ დედა-მეილის სულიერი ერთობის დასგურიია.

ამბობენ, რომ ხუან რამონ ხიმენესის (1881-1958 წწ.) დიდი შემოქმედება ერთი მთლიანი, გაბმული შინაგანი მონოლოგია. პირველი ლექსები 16 წლის ასაკში დასგამბა („პლაგერო და მე“ რომ გამოაქვეყნა, 21 წლის პოეტური „სგაყი“ ჰქონდა!). 19 წლის იყო, როცა ორი პოეტური წიგნაკი გამოსცა. 1902-1908 წლების კრებულებმა უკვე საყოველთაო აღიარება და ესპანური მოღერნიზმის ერთ-ერთი მოთავის სახელიც მოუხვეჭა; კრიტიკოს გილიერმო დიას ჰლახას თუ ვერწმუნებით, თვითმყოფობასა და სრულყოფილებას 1910 წლიდან მიღწია. ხიმენესი თავს არ თვლიდა „სპილოს ძელის კომკში გამოკეტილ“ პოეტად, მისი გაცნობიერებული დევიზიც – „ეთიკური ესთეტიკა“ – თვითმიზნურ ფორმალიზმს გამორიცხავდა.

მისი პიროვნული ცხოვრება არ იყო გამორჩეული, მრავალფეროვანი, საინტერესო; გამორჩეული და საინტერესო მისი პოეზია, მისი „სულის მუსიკა“ გასლდათ.

დაიბადა ესპანეთში. ანდალუსიის პატარა ქალაქ მოგერში (სწორედ მოგერია „პლაგეროს“ ერთ-ერთი უმთავრესი „პერსონაჟი“), მადრიდში ცხოვრობდა და მოღვაწეობდა, ხშირად მიემგზავრებოდა საფრანგეთში (ერთხანს პოლ ვერლენისა და პარნასელების პოეზიით იყო გატაცებული). მუდამ ბრუნდებოდა მოგერში – მისი სულის ნავსაყუდელში. პოლიტიკაში არასოდეს ჩარეულა, არც პოლიტიკა ჩაურევია ოდესმე თავის შემოქმედებაში. 1936 წელს მძიმედ დაავადდა და მეგობრების დაყინებითა და რესპუბლიკური მთავრობის ხელშეწყობით, „ესპანური კულტურის ელჩის“ სგატუსით ამერიკის შეერთებულ შგატებში გაემგზავრა. ფაშისმს გაურბოდა, ფრანკოს ესპანეთში აღარ დაბრუნებულა. თუმცა ძალზე უჭირდა უსამშობლობა. ნობელის პრემია 1956 წელს მიენიჭა; გარდაიცვალა 1958 წელს სამშობლოსაგან შორს – პუერტორიკოში. სიცოცხლეშივე მერაყხეს კლასიკოსად.

მანანა გიგინეიშვილისეული „პლაგერო და მე“ – ხიმენესის ქართული „დებიუტია“ – ერთობ წარმატებული და ფრიალ ღროუ-ლიც!

ჩვენს არეულ დროსა და ამღვრეულ სულს „პლაგერო და მე“ ცის ნამივით ეკუთრება.

ამ ბრძნული წიგნის წაკითხვა, უდიდესი ესთეტიკური ტკობის გარდა, მრავალ სადღეისო თუ მარადიულ საფიქრალს აღძრავს...

მანანა გიგინეიშვილისეული ბოლოთქმა, მეგად ღრმააზროვანი და გვეადი, თითქმის არ გვიგოვებს სათქმელს. ძალზე შთამბეჭდავია და „იღვთა აგმოსუერული გავლენის“ (გრიგოლ რობაქიძე) ჩინებულ ნიმუშად აღიქმება „პლაგეროსა“ და გიორგი ლეონიძის ლირიკული პროზის შედევის „ნაგერის ხის“ ემზარ კეიგაიშვილისეული პარალელი.

მაინც დამრჩა სათქმელი მოგი რამ, მაგრამ ამჯერად აქ მინდა დავსვა წერტილი. შეენიშნავ მხოლოდ, რომ წიგნზე ერთობ მცირე გირაის გამო, ქართველ მკითხველს ხელი არ მიუწედა. პარადოქსია: წიგნი არ გაყიდულა (მთარგმნელმა გააჩუქა), ისე მოიპოვა დიდი პოპულარობა!.. უღრმესი მადლობა საქართველოს გელე-რადიო კორპორაციას, თორემ შესაძლოა ეს წიგნი საერთოდ არ დაბეჭდილიყო...

„პლაგერო და მე“ ისეთივე მისაწვდომი უნდა გახდეს ესპანეთის „გენეტიკურად“ მოყვარული ქართველებისათვის, როგორც დიდებული „ღონ-კახოგი“!

რადგან: „ყველა ადამიანი თავისას ამოიკითხავს ამ წიგნში თავისი მისწრაფებების, სულიერი წყურვილის, პიროვნული სიღრმის, სისათუთის, ძიების უნარის, ცნობიერების ღონის შესაბამისად. მაგრამ შეუძლებელია, „პლაგეროს“ მერე სხევანაირი არ გახდეს ცხოვრება. განათებული ხვეულები ჩვენი სულისა იოლად ველარ ჩაიხურება ისევ. მეგის დანახვა, სამყაროს იღუმალეებისათვის გულის გადახსნა მოუნდება ადამიანს, რომ ნათლის სხივმა მეგი ძალით შემოაღწიოს სულში“ (მანანა გიგინეიშვილი).

1998 წ.

ანა ახმაგოვას სადა ღიღებულება

ნუნუ კერესელიძის თარგმანის გამო

ანა ახმაგოვას პოეზია ძლიერ წააგავს მის მშობლიურ წმინდა პეტრეს ქალაქს: ისეთივე ღიღებულება, ვრცელი და ამალღებულება; ხან პეტერბურგის გლეხი მარმარილოსავეთ მიუკარები, ცად აცყორცილი სვეტებივით მიუწვდომელი. ხანაც – პატარა ხიდების თუჯის ორნამენტებსა თუ ძველი ქურნალის ენიეტივით უბრალო, სასურველი და სანდომიანი.

მძაფრი ენებების პოეტს ენებათა მოთოკეაც ძალუმს. ანა ახმაგოვა უფრო „ღისტანციურ“, არაფამილარულ პოეტთა რიცხვს განეკუთვნება, თუმცა მისი მხატვრული სამყარო ყველასათვის ღიაა.

ახლა, ჩვენშიც და უცხოეთშიც (თვით რუსეთშიც კი), სშირად საუბრობენ ორ რუსეთზე, – მარტივად რომ ვთქვათ, – კარგზე და ცუდზე. ეს საექვო თვალსაზრისი უმალ ქარწყლდება, როცა რუსეთის სამაგალითო შეილებს ვისხენებთ: ანა ახმაგოვა ერთიანი, გაუბზარავი რუსეთის წარმომჩენია, როგორც შემოქმედებით, ასევე, სამოქალაქო ცხოვრებითაც. გრაგიკული ხეუდრის მქონე, მუდამ ქვეყნის ბედითა და საკუთარი პრობლემებით შეჭირვებული, მაგრამ გოგალიგარიზმის „არაღჩამვლები“ (მეგა რა უნდა დაეშავებინათ მისთვის? პირველი ქმარი, გამოჩენილი პოეტი ნიკოლოზ გუმილიოვი დახვრიტეს, ერთადერთი შვილი ლევ გუმილიოვი – გადაუსახლეს; თავად მუდამ სდენიდნენ, მასზე დადგენილებებს „თხზავდნენ“, „ამუშავებდნენ“, არ ახარებდნენ...) პოეტი ჭეშმარიტი სულის არისტოკრატი გახლდათ: ჭირთამთმენი, გამბედავი, შეუვალი, თავისი ღიაღი მისიის ბოლომდე ერთგული.

„სადა ღიღებულება“ – პოეტისა და მთარგმნელის ნუნუ კერესელიძის ეს სიგყეები ჩინებულად მიესადაგება ანა ახმაგოვას პოეზიას და პიროვნებასაც.

რუსი პოეტის შემოქმედების ამგვარმა გესტმა და სხარტმა გააზრებამ თითქოს რაღაც საიდუმლო გასაღებით დააჯილდოვა ნუნუ კერესელიძე და შეაძლებინა ანა ახმაგოვას ღირიკისა და პოემის კონგენიალურად თარგმნა.

ახლა, როცა „უმცროსი ძმის“ კომპლექსის ჩამოცილებას ვცდილობთ და, ხანდახან „ეეჭვიდავებით“ კიდევ ჩრდილოელ მეზობელს, ერთი რამ, საბედნიეროდ, არ გვეშლება (ან – არ უნდა შეგვეშალოს): სტრატეგიული ინტერესები, პოლიტიკური ვნება-

თაღელვა და შესლა-შემოხლა სხვია. და. კულტერკლი ურთიერ-
თობა და მაღალი ხელოვნება სხვა. ჩანს. ეს კარვად აქვს გაცნო-
ბიერებული საქართველოს მწერალთა საერთო-ეროვნული კავ-
შირის გამოძეგმლობა „მერანს“ (ღირექტორი – გურამ გვერდ-
წითელი). რომელმაც ქართულ ენაზე პირველად დასტამბა ანა
ახმაგოვას პოეტური კრებული: ანა ახმაგოვა, „მე მხიარული
დაემარხე ჩიგი“, თბილისი, 1999 წელი. თარგმნა ნუსუ კერე-
სელიძემ, მანვე დაურთო ბოლოსიგყეაობა, რელაქტორი – ზეი-
ად რაგანი, მხატვარი – სპარგაკ ცინცაძე.

საქართველოს არასოდეს კვლებია დიდებულ რუს პოეტთა
ყურადღება: XIX საუკუნეში – პუშკინი, გრიბოედოვი, ლერმონ-
გოვი... XX საუკუნეში – ბალმონტი, მაიაკოვსკი, პასტერნაკი,
ანდრეი ბელი, ესენინი, გიხონოვი, ზაბოლოცკი... თავის მხრით,
საქართველოსთან კავშირი თითქოს რაღაც საზომი იყო აღმაგე-
ბული პოეტური რანგისა. სულ ცოგა ხნის წინათ, ზემოხსენებულ
პოეტთა გრადიციას აგრძელებდნენ ბელა ახმაღულინა, ევგენი
ევგუშენკო, ანდრეი ვოზნესენსკი და სხვანი; მათ შორის გან-
საკუთრებით გამოეყოფ შესანიშნავ პროზაიკოსს ანდრეი ბიგოვს
– „ქართული ალბომის“ ავტორს (სამწუხაროდ, ეს გრადიცია
დღეს მოიშალა).

ანა ახმაგოვა, ამ მხრივ, გამონაკლისია. თუმცა იგი ხშირად
შეხვედრია ქართველ პოეტებს, ორიოდე თბილი სიგყეაყ აქვს
დაწერილი გიციან გაბიძესა და პაოლო იაშვილზე, საქართვე-
ლოსადმი განსაკუთრებული ინგერესი მას არასოდეს გამოუჩე-
ნია; თუ არ ვცდები, ნამყოფიც კი არ არის საქართველოში. ეს
ისე, სასხვათაშორისოდ მოგახსენეთ; მაგრამ ეგებ ამ გარემოე-
ბამაც განაპირობა ახმაგოვას ქართული თარგმანების სიმწი-
რეც დღემდე.

ხშირად გაიგონებთ: რა საჭიროა რუსი მწერლების თარგმნა,
მათ ხომ რუსულად ვკითხულობთო! ეს მცდარი თვალსაზრისია:
განა ანა ახმაგოვას პოეზიის თარგმნას ნაკლები ნიჭი და ოსტა-
გობა, თავდაუზოგავი შრომა და რულუნება ესაჭიროება, ვიდრე,
ვთქვათ, გაბრიელა მისტრალის ლექსების თარგმნას?

ახლა ჩვენში მოზარდი თაობა უფრო ინგლისურს ეწაფება,
ვიდრე რუსულს; მამ, ახლო მომავალში, როცა მართლაც საერ-
თაშორისო ენა – ინგლისური – ისეთივე მისაწელომი გახდება
მომავალი თაობებისათვის, როგორც რუსული (რომლის „დავიწ-

ყება“ გაუმართლებელი ეგზურება იქნებოდა), – თომას ელიოტი, ლიკენსი ან ელვარ პო აღარ უნდა ითარგმნოს?

ის, ვინც დელანში კითხულობს ანა ახმაგოვას ან ვირჯინია ეკლუს, – მათ ქართულ თარგმანებსაც სიამოვნებით წაიკითხავს.

ნუნუ კერესელიძე, ანა ახმაგოვას თარგმნისას, შეძლებისდაგვარად, ნაკლებად ამელავენებს საკუთარ ხელწერას; ხოლო იმ გარემოებას, რომ მას სიგყვის გამძაფრებული გრძნობა აქვს. – თარგმანის სასიკეთოდ იყენებს. სანიმუშოა მისი ქართული – მდიდარი, გაუცვეთავეი ლექსიკა, ფრაზის ბუნებრივი წყობა, საინტერესოდ შერჩეული სარიითმო სიგყეები, ძალდაუტანებელი, ლაღად მდინარე რიგში.

მთარგმნელს, რომელიც იმავდროულად, პოეტიც არის, დაბრკოლების ლოდად ექცევა ხოლმე მხატვრული ინდივიდუალობა. ამიგომაც, ის თარგმანები, სადაც უმაღლ მთარგმნელი ამოიცილობა, ვიდრე უცხოელი პოეტი, ნაკლებად ღირებულია. ამ მხრივ, ნუნუ კერესელიძეს საყვედური არ ეთქმის: თარგმანთა აბსოლუტური უმრავლესობა დედნის ერთგულების, მასთან სიახლოვის მაგალითად გამოდგება.

ანა ახმაგოვას პოეზია არ არის ერთგვაროვანი: ბევრი მისი ლექსი დიდ წინაპართა (ბარიაგინსკი, გიუტჩუვი...) ნაკვალევზე თავისებური სელაა; ხალხური მოტივები, თანამედროვე პოეზია მისი ნაირგვარი მიმართულებებით, არქაიკა თუ ნოვაციია – აირეკლა მის შემოქმედებაში. ანა ახმაგოვას პოეზიას ხშირად მოიხსენიებენ, როგორც XIX და XX საუკუნეთა რუსული პოეზიის დამაკავშირებელ ხიდს. ანა ახმაგოვას თვითმყოფობაც და ნოვატორობაც არ არის თვალში საცემი, ის უფრო სიღრმისეულია. ალბათ, ძნელია მოიძებნოს მისებრი ფართო განათლებისა და გამჭრიახი ინტელექტის პოეტი. ყოველივე ზემოთქმული ცხადყოფს, რომ ანა ახმაგოვა ძნელად სათარგმნი პოეტიია, თუმცა გაურბის ზედმეტ სამკაულებსა და თვითმიზნურ გვირგვინებს; ეს კი უთუოდ, ერთგვარი „შელავითა“ მთარგმნელისათვის.

მთარგმნელის ლიგონი ქება რომ არ გამომივიდეს, საჭაშნიკოდ შემოგთავაზებთ განსხვავებული ინგონაციის რამდენიმე ნიმუშს:

მაღლა ასწია შემოდგომამ გუმბათი გაძრის,
უბრძანა ღრუბელს არ ემაღა გუმბათი მისი.
ჰკვირობდა ხალხი: სექტემბერი გავა საყაა

და საღ ვაქრაო ს ესხი და ნისლი.
დაწდა არხები, ეყეა ფირუქს ათინათები.
ჭინჭარი ვარდებს სტაიებდა სურნელს.
გეხუთაედა ჭინკა აღისიერი განთიადების
და იმ დღეებით ვერ იქნა და ვერ განვიკურნეთ.
და მზეს, მემოჭრილს ყაჩალივით ქალაქში ღამით,
აპრილიანი შემოდგომა აღერსით ეგზნო,
და ისე, ისე, რომ ენქელა აღმოჩნდა ღამის...
ამ დროს მოხევი ჩემს კარებთან ნეგარი ეგზომ.

(უსათაურო, „Небывалая осень“...)

ეცხოვრობ საათში, როგორც გუგული,
თუ მომმართავენ, ვიძახი: გუ-გუუ...
არც მშურს ჩიგების!..
მე თქვენ გჭირდებით
მოსამართავი, როგორც საგანი...
მგერს სეე ამგვარი!

(უსათაურო, „Я живу, как кукушка в часах“)

– გუგუ, გული როგორ ვითქვამს,
მიწა როდის მომიკითხავს,
საღ მიყელებს ყამი?
შეაგოკა ნაძემა წვერი.
ჭალამ რა სთქვას ბედისწერის,
არსით ხმა და ჩქამი...
დასთამაშებს ბალახს სხივი,
შუბლს მიგრილებს ქარი ცივი
და შინ მიეიქარი.

(უსათაურო, „Я спросила у кукушки“)

ნიმუშები, ძირითადად, სიმციროს გამო შეეარჩიე. ბევრი ვრცელი ლექსი ასევე ბრწყინვალედ არის თარგმნილი, მკითხველმა თავად განსაჯოს:

არაერთხელ შეუნიშნავთ, რომ მთარგმნელები ხშირად „სესხულობენ“ პოეტურ აქსესუარებს მშობლიური მწერლობის იმ წარმომადგენელთა მხაგერული საიმყაროდან, რომელთა ხელწ-

ერა, შესაძლოა, მიესადაგოს უცხოურ გექსტს. შეუნიშნაეთ ისიც, რომ „მსესხებელი“ ბევრწილად უარყოფით შედეგს იმკის, ხოლო მოგჯერ კი – აშკარა წარმატებას.

ანა ახმაგოვას ერთი ლექსის („РАСПЯТИЕ“) თარგმანი, გარდა იმისა, რომ დედანთან სიახლოვის, მისი პოეტური შინაარსისა თუ ფორმის ადეკვატური გადმოცემის დასტურად გამოდგება, იმითაც არის გამორჩეული, რომ ანა კალანდაძის უჭველი ზეგაველენა ატყვია.

მთარგმნელის არჩევანი (ვფიქრობ, გაცნობიერებული) ამჯერად სავსებით გამართლებულია, თუ გაჟივთვალისწინებთ ანა კალანდაძის პოეზიის სიახლოვეს ბიბლიურ თემებთან თუ ფსალმუნებთან:

I

ანგელოზთა იმ საათის ცალობანი სოქევეს,
ცას აღლობდა სულთქმის ალო.
მამას უთხრა: „რისათვის დამიგევებ მე?“
დედას უთხრა: „ნუ სგირ, ქალო“...

II

მაგდალინა წყაროდ იქცა ქვითინის,
იოანე – ქვის სეედიან სვეგად.
და ვერავინ ვერ გაბედა ფიქრითაც,
მიეხედა, სადაც სღუმდა დედა...

აქა-იქ, გარდა ანა კალანდაძისა, გვხვდება ნიკოლოზ ბარათაშვილის („რარიგ საგრფო ხარ...“) და გალაკიონის („არაქაური...“) კვალიც, რაც ორგანულად ერწყმის ლექსს და ამძაფრებს მის ემოციურ ზეგაველენას.

უთუოდ დიდ სირთულეს შეუქმნიდა მთარგმნელს მინიშნებებითა და ქვეტექსტებით აღსავსე პოემის („პოემა უგმიროდ“) თარგმნაც. ნუნუ კერესელიძის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან მშვენივრად გაართვა თავი ამ უძნელეს ამოცანას: არც დენისთვის უღალატია და სათარგმნი მასალისადმი ჭეშმარიტად შემოქმედებითი მიდგომით („სიგყვათქმნალობა“, საყსებით მისაღები „თვითნებობა“ და სხვა) მოიპოვა უდავო გამარჯვება.

წინამდებარე, არცთუ მომცრო კრებული (150-მდე ლექსი და პოემა) მთარგმნელის თითქმის ორი ათეული წლის საგულდაგულო შემოქმედებითი შრომის ნაყოფია.

მაქვს მკირვლი შენიშვნებიც (შესაძლოა, სუბიექტური და, ამდენად, მცდარიც): თუმცა არქაული ელფერი არც ანა ახმაგოვასათვის არის უჩვეულო, მთარგმნელი, ჩემი აზრით, ამ მხრივ ოდნავ აჭარბებს; იგივე ითქმის ალიგერაიებზეც, რაც დედანში ზოგჯერ არ ფიქსირდება. და კიდევ: თხზულებათა დიდი ნაწილი არ არის დათარიღებული, არც ქრონოლოგიაა დაყული; უმჯობესი იქნებოდა თითოეული ლექსისთვის თარიღის მიწერა, მით უმეტეს, რომ ანა ახმაგოვას, ვგონებ, საერთოდ არა აქვს დაუთარიღებელი თხზულებანი.

მაგრამ უმთავრესი ის გახლავთ, რომ ნუნუ კერესელიძე ქართულ მკითხველს ერთიან შთაბეჭდილებას უქმნის ანა ახმაგოვას პოემიის არსსა და ხიზლზე.

და კელავ უნდა გავიმეორო: დღეს, მშობლიური ენის არნახული შერყენის, მისი უფუნქციო უცხო სიგყვებით „მოდური“ დანაგვიანების, გრამაგიკული ნორმებისა თუ ორთოგრაფია-პუნქტუაციის უგულვებელყოფის, საბოლოო ანგარიშში – დედაენის „დევალვაციის“ ფონზე, – ნუნუ კერესელიძის თავანკარა ქართული ალტაყების მომგვრელია.

წიგნის გარეკანის შავ-თეთრის კონგრასტულობაზე დაფუძნებული მხაგვრობა ერთობ სიმბოლურად მესახება: წყვდიალს ადისკროვინებს რწმენა (რუსულ ეკლესიათა განათებული გუმბათები) და პოეზია (თეთრი, სპეგაკი წიგნი).

ანა ახმაგოვას ეს ქართული კრებულიც ნათლის ერთი პაგარა წვეთია ჩვენს „გრაფიკულ“, ნორმადაც ქვეულ წყვდიალში.

2000 წ.

გურამ რჩეულიშვილის თხზულებათა სრული კრებულის გამოსვლისათვის

გურამ რჩეულიშვილის შემოქმედებას ბევრი ღირსეული კრიტიკოსი იკვლევდა და იკვლევს; დღემდე დაისტამბა რამდენიმე ვრცელი კრებულაც, რომლის ძირითად ნაწილს მწერლის სიცოცხლეშივე გამოქვეყნებული თხზულებები შეადგენდა; ბევრი, ერთობ ღირსსაყნობი პიროვნების ჩინებული მოგონებებიც გამო-

ქვეყნდა, მაგრამ იხზულებათა სრული კრებულის (ხუთგომეულის) მომზადება და პირველი და მეორე ტომების გამოცემა მხოლოდ ასლა ვახდა შესაძლებელი, - გურამ რჩეულიშვილის გრაფიკული აღსასრულის 42-ე წლისთაისათვის.

ეს, უწინარეს ყოვლისა, მწერლის დის, ენათმეცნიერისა და ლიტერატორის მარინე რჩეულიშვილის მრავალწლიანი ძალისხმევისა და, გადაუჭარბებლად, - თაუდაუზოგავი შრომის შედეგია. გამოცემა მომზადდა შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტისა (მარინე რჩეულიშვილი XX საუკუნის ქართული ლიტერატურის განყოფილების უფროსი მეცნიერი თანამშრომელია) და გურამ რჩეულიშვილის საზოგადოების (პრეზიდენტი ნუგზარ წერეთელი) ხელშეწყობითა და თანადგომით; ცნობილი მოქანდაკის, მხაგერისა და მეცენატის შურაბ წერეთლის მხარდაჭერით (გამომცემლობა „საარი“).

ლიტერატურის ისტორიაში ცნობილია მრავალი შემთხვევა, როცა შემოქმედის ცხოვრება-ღვაწლის წარმოჩენაში განსაკუთრებული ამაგი მიუძღვით მის ახლობლებს. უახლეს ქართულ მწერლობაში, ყველაზე უკეთ, ეს თავად ჩინებულმა პროზაიკოსმა სერგო კლდიაშვილმა შეიძლო, რომელმაც თავი-ღი დიდი მამის უგყუარი და ღირსეული პორტრეტი დაგვიხატა. განსაცეიფრებელია ქეთევან ჯავახიშვილის ნაღვაწი, - მიხეილ ჯავახიშვილის ცხოვრებისა და შემოქმედებისადმი მიძღვნილი ერცელი წიგნი...

სახელდახელოდ გაეიხსენოთ თეო ვან გოგი, ეინსენგ ვან გოგის ძმა და მორალურ-მაგერიალური შემწე; რომელთა მიწერ-მოწერა რომ არა, ჩვენი წარმოდგენა დიდ მხაგვარზე არასრული იქნებოდა.

ქართული გრადიციებისა და მრწამსის გათვალისწინებით, ალბათ, დიდი დრო იყო საჭირო, რომ გურამ რჩეულიშვილის ოჯახის წევრებს, უყუარი ელდისა და დარდისაგან ერთიანად შეძრულთ, რაიზე ეთქვათ, და, მით უმეტეს, დაეწერათ მასზე.

ეს დრო უფრო ხანგრძლივი აღმოჩნდა, ვიდრე გურამ რჩეულიშვილის ცხოვრების გმა...

„ჩემი ბიოგრაფიის გამო აღმოვჩნდი ის ადაშიანი, რომელმაც პირველმა წაიკითხა ჩემი ძმის მიერ დაწერილი ყველა სიგყვა... 1960 წლის აგვისგოს ბოლოს თუ სექტემბრის პირველ რიცხებში, არ მახსოვს, ვინ მოიყვანა ჩვენიან ვაგრის აძებში

მონაწილე ლეზინგრაღელი, რომელსაც ლელვისაგან შექოსელდაც კი უჭირდა ჩვენთან ოთახში. დედა, მე მგოსი. არ ვამოს ულა მის სანახავად. მეც თითქოს სანახევროდ მივიღე. მინდოდა, მაშინ, მალე წასულიყო ის ადამიანი, რომლის ნახეასაც ამაოდ ვოცნებობ ახლა, 30 წლის შემდეგ. ლეზინგრაღელი მორცხვად ჩამოჯდა სკამის კიდეზე და ბორძიკ-ბორძიკით ჩემად თქვა: „თქვენ, ალბათ, ჩემი ნახეაც არ გინდათ... გურამი ბევრს ლაპარაკობდა თქვენზე, თავის დამე. თქვენი ძალიან დიდი იმედი ჰქონდა, ჩემი და მოუელის ყველაფერსო!“

ამ მოგონებამ, რომელიც საიმედოდ ჩაძირული მეგონა მეხსიერებაში, სრულ დავიწყებამდე, გაქრობამდე, – კიდევ უფრო შემაშინა, გაქცევა მომინდა. ელდასავით ვივრძენი, რომ რაღაც მისიის წინაშე აღმოვჩნდი, რაღაც მოვალეობის, მძიმე გვირგვინის, რომლის აღსასრულებლადაც ვერა ვგრძნობდი ვერავითარ ძალას. ნიჭს, უნარს, გულისთქმას, ვერც ღირსებას“ – მარინე რჩეულიშვილის ეს სიტყვები ჰქონდა წამძღვარებული 1992 წელს „ცისკარში“ დაბეჭდილ მსაგვრულ-დოკუმენტური ეპიზოდის თხზულებას „გურამ რჩეულიშვილის ცხოვრება-შემოქმედებისათვის“. მასში ძალუმაღ შეინიშნებოდა მემუარული ნაკადი, თუმცა საცნაური იყო მკვლევარის ძიებათა კვალიც.

მარინე რჩეულიშვილმა და „გურამ რჩეულიშვილის საზოგადოებამ“ 1994-1995 წლებში გამოსცეს სამი წიგნი – გამოუქვეყნებელი პიესა „იულონი“, დაუმთავრებელი მოთხრობა „შამას რევოლუცია“ და „მოთხრობები“, – სამივე – მარინე რჩეულიშვილის რედაქციითა და საფუძვლიანი კომენტარებით. განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია რედაქტორის ჩინებული ალლო გურამ რჩეულიშვილის დაუმთავრებელი, „აუწყობელი“ მოთხრობის „შამას რევოლუციის“ ერთგვარი „რესტავრაციისას“. მით უმეტეს, რომ თხზულება საოცრად ღრმა და წინასწარმეგყველური აღმოჩნდა. წიგნებმა უმაღლვე მიიპყრეს როგორც კრიტიკის, ასევე მკითხველი საზოგადოების ყურადღება.

მარინე რჩეულიშვილს, დიდი ხანია, ჰქონდა ჩაფიქრებული მწერლის თხზულებათა კრებულის გამოცემა, შენიშვნებითა და კომენტარებით: სანიმუშოდ დაცული საოჯახო არქივისა და მოძიებული მდიდარი მასალის სერუპულოზური შესწავლის საფუძველზე.

მემოხსენებული ორი გომი გვაფიქრებინებს, რომ მარინე რჩეულიშვილს, უდიდესი მონდომებისა და ნიჭის გარდა, გააჩ-

ნია ის ძვირფასი თვისება, მის ძმასაც რომ გააჩნდა. გელეკერ-ნალისგის კითხვაზე – „როგორი იყო თქვენი შვილი“ – გურამის მამას, აწ განსვენებულ ცნობილ მეცნიერს, მიხეილ რჩეულიშვილს, დაუფიქრებლად გაუცია პასუხი: „გურამი იყო ძალიან შრომისმოყვარე“... საქმეში ჩახედულ პირთ კარგად მოეხსენებათ, რა უზარმაზარი მოცულობის სამუშაო უნდა შეესრულებინა მარინე რჩეულიშვილს.

ეინც დასავლეთ ევროპის კლასიკისთა, ან, თუნდაც, XIX-XX საუკუნეთა დიდი რუსი მწერლების კომენტარებით აღჭურვილ, საუკეთესო აკადემიურ გამოცემებს გასცნობია, უთუოდ დაუკმაყოფილებია ცნობისწადილი იმ ზედმიწევნით უმდიდრესი ცნობებით, ბიბლიოგრაფიულ შენიშვნებში რომ ამოუკითხაეს. ამ მხრივ, ქართულ ლიგერატურას (ეს, განსაკუთრებით, XX საუკუნეს ეხება) ბევრი ხარვეზი აქვს. მწერლობის მიმართ ერთგვარი ზერელე დამოკიდებულება საბაზრო ეკონომიკამაც გააძაფრა. ჩვენს ლიგერატურათმცოდნეთა ერთი ნაწილი „გლობალური“ პრობლემებით არის გატაცებული, საკმაოდ ქედმაღლურ დამოკიდებულებას ავლენს „ფაქტებისაღმი“, „წერილმანებისაღმი“. სკრუპულოზური კვლევა, არქივების მგერის ყლაპვა და მწერლის ბიოგრაფიის წერილმანების ჩხრეკა მათვანს „ზედმეტად“ მიაჩნია.

არადა, განსაკუთრებულ ფასს იძენს ეს „წერილმანები“, როცა საქმე ეხება უკვე ჩამოყალიბებულ, დაღვინებულ მწერალს, რომელმაც მხოლოდ ოთხი წელი იღვაწა სალიგერატურო სარბიელზე და 26 წლის ასაკში ბედისწერის მსხვერპლი გახდა; მწერალს, რომლის თვალსაჩინო პიროვნულმა თვისებებმა, არაორდინალურმა მისწრაფებებმა და სისხლსაესე, საინგერესო ცხოვრებამ იმთავითვე ლეგენდად აქცია იგი; მწერალს, რომლის ლიგერატურულმა შემკვიდრეობამ მნიშვნელოვანი კვალი დაამჩნია მის თანამედროვე ქართული პროზის განვითარებას; მწერალს, რომლის გმირების ახალგაზრდულ მაქსიმალიზმს, სიფიცხესა და ქედუხრელობას, ვნების სიმძაფრესა და პირველალმომჩენის, სიახლის მწყურვალის დაუოკებელ ჟინს ჰარმონიულად ერწყმის დიდი ადამიანური სილბო და შემწყწნარებლობა; მწერალს, რომლის არც ერთ თხზულებას არ ეტყობა კონიუნქტურის რაიმე ნიშატი.

გურამ რჩეულიშვილის თხზულებათა კრებულის ხუთგომეული შედგენილია ჟანრულ-ქრონოლოგიური პრინციპით: I გომი – 1956 წლის მოთხრობებს მოიცავს, II გომი – 1957 წლის, ხოლო

III ტომი – 1957, 1958, 1960 წლების მოთხრობებს; IV ტომში თავმოყრილი იქნება პიესები. კინოსცენარები, ლექსები და მინიატურები; V ტომი დაეთმობა დღიურებს, ჩანაწერებს. პირად წერილებს და დასასრულ – არქივის აღწერილობას. მარინე რჩეულიშვილის შედგენილი ხუთტომეული არ შეიძლება ჩაითვალოს გიჟურ აკადემიურ გამოცემად. გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ გურამ რჩეულიშვილის ლიტერატურული მემკვიდრეობა (გამოუქვეყნებელი თხზულებები, დაუბთავრებული მოთხრობები, ჩანაწერები, დღიურები, ლექსები, პირადი წერილები...) პირველად ქვეყნდება სრული სახით, ქვეყნდება ძირითადად უცვლელად, რედაქტორის ჩარევისა და, მით უმეტეს, – თვითნებობის გარეშე. აჯობებს, თავად შემდგენელ-რედაქტორს დაეუთმოთ სიტყვა:

„გურამ რჩეულიშვილის შემოქმედება იქმნებოდა ოთხი წლის განმავლობაში, ჩემს გვერდით, თითქმის ჩემს თვალწინ. ძალიან ხშირად ვიყავი მისი ნაწარმოებების პირველი მკითხველი. მიუხედავად იმისა, რომ თითოეული ავტოგრაფის იერსახე, არაფერს ვამბობ მათ შინაარსზე, ჩემთვის ძალიან ნაცნობი და ახლობელი იყო, არქივზე მუშაობის დასაწყისიდანვე ისინი მოულოდნელად გამიუცხოვდნენ და მიეხედი, რომ სრულიად მარგო დაერჩი ხელნაწერებთან, რომლებიც თითქოს რაღაც ამოუცნობი საიდუმლო მნიშვნელობით იყვნენ სავსენი. მათი გაგება ხშირად ჩემს ძალას აღემატებოდა...“

ემოციური დამოკიდებულება ძმის შემოქმედების მიმართ საცნაურია ტომებზე დართულ ვრცელ, საინტერესო, მაგრამ „აკადემიური“ თვალსაზრისით, არაორდინალურ კომენტარებშიც – „ავტოგრაფების ზოგადი დახასიათებისათვის“, „შენიშვნები“.

კვლავ მარინე რჩეულიშვილს მოვუსმინოთ: „ასეთმა დამოკიდებულებამ გურამ რჩეულიშვილის მიმართ განაპირობა ამ გამოცემის თავისებურება. მინდა მკითხველს მივაწოდო მწერლის მაქსიმალურად უცვლელი ავტოგრაფი, რათა მკითხველმა შესძლოს თვითონ დაამყაროს პირდაპირი კავშირი უშუალოდ შემოქმედებით პროცესში დაბადებულ სიტყვასთან და შეექმნას შთაბეჭდილება, რომ მის თვალწინ ცოცხლდება დედანი და არა რედაქტორის ხელში გამოვლილი, დახვეწილი (ხშირად თუნდაც გაუმჯობესებული) ნაწარმოები“ (I ტომის „წინასიტყვაობა“).

მარინე რჩეულიშვილის პოზიცია წლობით ნაფიქრია და, შესაძლოა, გამოგანჯულიც კი (ძნელია დიდი პასუხისმგებლობის

გეირთის მარგო ზილეა, მით უფრო, როცა საქმე შენს ეახლოეს ადამიანს ეხება!), ალბათ სარისკოვ: „რჩეულ“ კრებულთაგან განსხვავებით, ხუთგომეულში ისეთი უმწიფარი, გამოუქვეყნებელი თხზულებებიც მოხვდება, ავტორი რომ არ დაბუჭდავდა. მიუხედავად ამისა, საესებით მისაღებია რელაქტორის გადაწყვეტილება, მისცეს მკითხველს საშუალება, – „თვითონ დაამყაროს ჰარდაპირი კავშირი“ მწერალთან.

შეუნელებელი ინტერესით იკითხება მარინე რჩეულიშვილის კომენტარებიც, რომლებშიც არა მარგო მკითხველი, ლიტერატურის ისტორიკოსიც ბევრ უცნობ ფაქტს და მოვლენას აღმოაჩენს.

დღეს, როცა კაპიტალიზმის ანაბანით თავზარდაცემულებმა აღმოვაჩინეთ, რომ მწერლობა საბაზრო ეკონომიკისათვის იგივეა, რაც ოთხთვალასათვის მხუთე ბორბალი, გურამ რჩეულიშვილის თხზულებათა კრებულის პირველი ორი ტომის გამოცემა ჩვენი ლიტერატურული ცხოვრების მნიშვნელოვან შენაძენად გვესახება.

„მე მინდა ვიყო მწერალი, თანაც დიდი, მერე რა, ჩემი ფიქრებისა არ მეშინია. უკვე შევეჩვიე, რაც მინდა, ის არ შემიძლია...“

მთებში დაუდივარ, ალპინისტი არა ვარ; უნივერსიტეტში ვსწავლობ, როგორც დედა იცხვის, „სტუდენტის სახე არა მაქვს“; ღვინოსა ვსვამ. ლოთი არა ვარ; ცხენზე ჯირითი მიყვარს – მხედარი არა ვარ; ეჩხუბობ – დიდი გამრგვმელი არა ვარ; გულუხვი ვარ – ფული არა მაქვს – ცარიელი გული ვის რად უნდა?

უმსო არა ვარ – ჩემი სილაშაზე თვალს არაყისა სჭრის; კარგი ტანი მაქვს, ფეხები ცოტა მოლუნული. ურთი სიკვებით, რაც ვარ ეგა ვარ“ – ჩაუნიშნავს 21-22 წლის გურამ რჩეულიშვილს დღიურში.

„ყვირილით ნათქვამი აღსარება“ – ასე უწოდა მარინე რჩეულიშვილმა პიესა „იულონს“, რომელიც, თავის დროზე ვერც მან და ვერც გურამის მეგობრებმა სათანადოდ ვერ შეაფასეს; დღეს კი მნიშვნელოვნად და აქტუალურად გვესახება.

„იულონის“ დარად, მის დღემდე გამოუქვეყნებელ თუ ნაკლებად ცნობილ ბევრ თხზულებას სრულიად იოლად გაითავისებს თანამედროვე ახალგაზრდა, აგრერიგად რომ განსხვავდება და არც განსხვავდება 50-იანი წლების მიწერულის გოგო-ბიჭებისაგან.

„მე ვიცი, ამ ოთახიდან გარეთ გასვლას აზრი არა აქვს, რადგან თუ ერთ ოთახში ვერ ნახავ შენს ადგილს, მას ვერ ნახავ სულ, სულ შეუსვენებელივ რომ ირბინო დღე და ღამე მთელ მსოფლიოში – დელამიწიდან კი არსად არის გასაქევი“ („იულონი“).
გურამ რჩეულიშვილმა დროს გაუსწრო და გაუძლო კიდევ.

2002 წ.

შართო თვალსაზრისი მცნობრივ ალექსანდრე გვახარია

ძველი ცივილიზაციის სხვა ქვეყნების დარად, საქართველოსაც უცხოეთთან კულტურული მიმართების მრავალსაუკუნოვანი და მრავალწახნაგოვანი ისტორია აქვს.

ევროპისა და აზიის შესაყარზე მდებარე პატარა საქართველომ ბევრჯერ იწვნია აღმოსავლეთისა და დასავლეთის ძლიერი და აგრესიული სახელმწიფოების კირთება, საუკუნეთა მანძილზე პოლიტიკურ სარბიელზე ხელმოცარულს, მონობის დამამყიდველი უღლისაგან თავდასხნის მოწადინეს და ნიადაგ თავისუფლებისათვის მებრძოლს – საკუთარი მეობა არ დაუკარგავს, თუმცაღა, მრავალგზის მდგარა უფსკრულის პირას.

უცხოეთთან ასეთ „ინგენსიურ“ ურთიერთობას, პოლიტიკური წნეხის გარდა, კულტურული დამონების საფრთხეც ერთვოდა; მაგრამ საქართველოს ისტორიისა და კულტურის ელემენტარული ცოდნაც კი კმარა დასკვნისათვის – ჩვენმა ქვეყანამ დღემდე მოაღწია, რამეთუ სულიერება არ დაუკარგავს, არც ქრისტეს სჯული დაუთმია და დამპყრობთა სრული კულტურული ექსპანსიაც არასოდეს განუცდია.

„ოქროს ხანად“ წოდებულ მშვიდობისა და აღმავლობის ეამსაც და თვით ძნელბედობის პერიოდებშიც – საქართველო, კულტურული თვალსაზრისით, არასდროს არ ყოფილა საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტილი ქვეყანა. შუა საუკუნეების ქართული სასულიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო კერები, როგორც ქვეყნის შივნი, ასევე საზღვარგარეთ (სირია, პალესტინა, საბერძნეთი, სინის მთა, ბულგარეთი და ასე შემდეგ) მიგვანიშნებ-

და საქართველოს სახელმწიფო თუ კულტურის მოღვაწეთა უარ-
თო ივალსაწიერს, სიახლის წყურვილსა და ცნობისწადილს; საბ-
ოლოოდ კი – ქართული კულტურის წინსვლის მცდელობას –
მემობელი უძველესი ცივილიზაციის ქვეყნების თანამედროვე
მიღწევათა შემოქმედებითი ათვისების გზით.

შუა საუკუნეებში განსაკუთრებული ნაყოფიერებით გამოირ-
ჩეოდა ქართულ-ალმოსავლური და ქართულ-ბიზანტიური კულ-
ტურული ურთიერთიმიმართება. XII საუკუნიდან დიდი ინტენსიო-
ბით ხასიათდებოდა ქართულ-სპარსული ლიგერატურული ურთი-
ერთობანი: ქართულად ნათარგმნი იყო სპარსული მწერლო-
ბის უმთავრესი ეპიკური ძეგლები, საგმირო, სამიჯნურო, დიდაქ-
ტიკური თხზულებანი. თავის მხრივ, სპარსულენოვანი სამყაროც
კარგად იცნობდა საქართველოს. ე.წ. „აღორძინების ხანაში“
ირანში ცხოვრება და მოღვაწეობა მოუხდა ბევრ ქართველ მოღ-
ვაწესა და მწერალს, რომელთაც დიდი ამაგი დასდეს მდიდარი
სპარსული მწერლობის მიღწევათა შემოქმედებითი ათვისების,
თარგმნისა თუ გადმოქართულების საქმეს.

გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში
არსებობს ალმოსავლეთმცოდნეობის ძლიერი სკოლა. მისი ჩამოყ-
ალიბება დაკავშირებულია ივანე ჯავახიშვილის, გიორგი ახე-
ლელიანის, აკაკი შანიძის, იუსტინე აბულაძის, გიორგი წერეთ-
ლის, კოტე წერეთლის და სხვა დიდ მეცნიერთა სახელებთან.

თანამედროვე ალმოსავლური ლიგერატურისმცოდნეობის, კერ-
ძოდ, ირანისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელია საქართვე-
ლოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ივანე ჯა-
ვახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის ირანული ფილოლოგიის
კათედრის გამგე, სანიმუშო მოქალაქე და ინტელიგენტი ალექსან-
დრე გვახარია. რაოდენ სასიხარულოა, რომ დღევანდელი უსახს-
რობის მიუხედავად თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობამ,
თუმცა დაგვიანებით, მაინც მოახერხა მისი გამოკვლევების კრე-
ბულის – „ნარკვევები ქართულ-სპარსული ლიგერატურული ურთი-
ერთობის ისტორიიდან“, I, 1995 წ. – გამოქვეყნება. წიგნი ეძღვნება
ალექსანდრე გვახარიას მეუღლის, მეგობრისა და კოლეგის ქალ-
ბატონ ცირა კალაძის ნათელ ხსოვნას.

ნარკვევების წინამდებარე კრებული დიდ დასმარებას გაუწ-
ევს სპეციალისტებსა და სტუდენტებს; ავრთვევ. გადმოცემის სადა
და მიმზიდველი მანერის გამო – მისაწვდომია ფართო მკითხ-

ველისთობისაჲ. მასში შეტანილია 1953-89 წლებში შექმნილი გამოკვლევები: ნიშანი და საქართველო, საღეჟე ჰედაიათი, „სიბრძნე სიერისას“ ერთი არაკის შესახებ. რუდაქის პოეტიკა, „იოსებზილიხანიანის“ ანონიმური ვერსიის ლექსიკოლოგიური საკითხები. „იოსებზილიხანიანის“ აღმოსავლური ვერსიები, „ბარამგულანდამიანი“, ალიშერ ნავოის უცნობი ქართული თარგმანი, „შირიანი“, „ვისრამიანის“ ლექსიკის საკითხები, სპარსული „ბალაჟარიანის“ თბილისური ნუსხა, „ამა წიგნსა უღეველსა“ და სხვა.

ჩემს პაგარა წერილს ინფორმაციული დანიშნულება აქვს, რადგან მეტად მცირეტირაჟიანი წიგნის გამოსვლა შესაძლოა შეუქმნეველი დარჩეს ფართო მკითხველისათვის.

აღუქსანდრე გვახარია ქართულ-სპარსული ლიტერატურული ურთიერთობების მარგოლდენ მკვლევარი არ გახლავთ. მას თავად მიუძღვის წელილი ამ ურთიერთობებში: შეიძლება ბეერმა არ იცოდეს, რომ „ვისრამიანის“ სპარსული ტექსტის ხელნაწერების ურთიერთშედარებისა და ქართულ ტექსტთან მათი შეჯერების საფუძველზე აღუქსანდრე გვახარიამ და ცნობილმა მეცნიერმა მაგალი თოდუამ დაადგინეს „ვის ო რამინის“ სპარსული მეცნიერულ-კრიტიკული ტექსტი, რომელიც გამოიცა ირანში, თეირანში 1970 წელს. ეს ფაქტი ქართული აღმოსავლეთმცოდნეობის სკოლის დიდი გამარჯვება იყო.

კიდევ ერთ გარემოებაზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება: ახლო წარსულში „ლიტერატურულ საქართველოში“ გაიმართა პოლემიკა მეფე-პოეტის თეიმურაზ პირველის პიროვნებისა და მოღვაწეობის გარშემო. თეიმურაზს სპარსოფილობა უსაყვედურეს, ხოლო მისი ფრაზა – „სპარსთა ენისა სიტკომან მასურვა მუსიკობანი“ – მშობლიური ენისა და მწერლობისადმი გამჟღავნებული მისი ნიჰილიზმის დასგურად მიიღეს. ამ მოსაზრებას ღირსეული მოწინააღმდეგენიც გამოუჩნდნენ, რომელთაც მიუღებლად მიაჩნდათ თეიმურაზის ღვაწლის ამგვარი „გადაფასება“.

ჩემი აზრით, თეიმურაზის მიმართ გამოთქმულ კრიტიკულ შენიშვნათა აეტორებს, მაშინდელი უსასტიკესი ცენზურის კვალობაზე უფრო შეფარული პოლიტიკური მიზნები ამოძრავებდათ, ვიდრე მეფე-პოეტის განქიქება. ეს ის დრო იყო, როცა საქართველოში „ორენოვნება“ მბვინვარებდა: „უენგრი“ ქართულ უმაღლეს სასწავლებლებში სწავლის რუსულ ენაზე წარმართ-

ვას მოიხიბოვდა. ზოგი ახირებული მოხელე – საბჭოთა კავშირში შიდა ემიგრაციის გაძლიერების მოსურნე. ქართველებს შეა აზიაში ნებით გადასახლებისაკენ მოუწოდებდა...

ამ თვალსაზრისით ზემოხსენებულ პირთა კრიტიკული პათოსი ქვეტექსტის შემცველი და ერთგვარად პარაბოლური იყო და მიზნად ყოველივე ქართულის აპოლოგიას ისახავდა. დასაჩინო კი ის გახლდათ, რომ მათ კეთილმოხილურ მიზანს მრავალგანჯული და საქაროუელოსთვის გვემული მეფე თეიმურაზ პირველი „შეეწირა“. სწორედ ამ პოლემიკას მიგვანიშნებს „ნარკევეების“ ავგორისეული წინათქმის დასაწყისი:

„სპარსთა ენისა სიგებომან მასურეა მუსიკობანი“ – ბრძანა 365 წლის წინ თეიმურაზ პირველმა და ეს განცხადება არაერთარ შემთხვევაში არ შეიძლება შეფასდეს უარყოფითად. სხვას რომ ყველაფერს თავი დაეანებოთ მან ხომ სწორედ სპარსელი დამპყრობლების წინააღმდეგ ბრძოლას შესწირა თავისი ახლობლებისა (დედის – ქეთევან წამებულის, შვილების) და საკუთარი სიცოცხლე. მაგრამ საგულისხმო ის არის, რომ სწორედ თეიმურაზს ეყო სულგრძელობა და ლიგერაგურული გემოვნება სპარსული მწერლობის ღირსეულად დაფასებისათვის.

ამ თვალსაზრისით თეიმურაზ პირველს დიდი წინაპრები ჰყავდა („ვისრამიანის“ გენიალური მთარგმნელი) და სახელოვანი მიმდევრებიც გამოუჩნდა (ნოდარ ციციშვილი, თეიმურაზ მეორე, ვახტანგ მეექვსე). მრავალი საჩინო თუ უსახელო მოღვაწე არამარტო კარგად და ღრმად იცნობდა მსოფლიოში სანიმუშოდ აღიარებულ კლასიკურ სპარსულ მწერლობას, არამედ შესანიშნავად ითვისებდა მას, თარგმნიდა, აქართულებდა და მით ამიდრებდა მშობლიური ლიგერაგურის საგანძურს“.

ძნელია არ დაეთანხმო ავგორს. ეს მართებული მოსაზრებანი კომენტარს არ საჭიროებენ.

დასასრულს, გამოვთქვამ იმედსა და სურვილს, რომ ალექსანდრე გვახარიას „ნარკევეების“ II ნაკვეთსაც ეღირსოს დროული გამოცემა (ქრონოლოგიური პრინციპით გამართულ კრებულში ბოლო ნაშრომი 1989 წლით თარიღდება).

„არღაჲიწყება მთქერისა“ – ქართველობის ერთ-ერთი ჩინებული ნიმასთვისება. ბერ სხეა, ჩენი ცხოვრებიდან ნელ-ნელა გაძეებულ გრადიციულ სიკეთესა თუ ღირსებასთან ერთად, – ლამის წარსულს ჩაბარდეს.

განსაკუთრებული სიმძაფრით შეიგრძნობა ეს ქართული კულტურის იმ ღიდებულ მოღვაწეთა მიმართებამთ, რომელნიც, იაპონელთაგან განსხვავებით, „ეროვნულ განძად“ არ არიან სახულდებულნი, თუმცა, არსებითად, სწორედ ისინი წარმოადგენენ ჩვენი ეროვნული სიამაყის წყაროს, ქართული სულიერების და კულტურის, მისი საიმედო მოძავლის ურყევე საძირკველს.

ბემოთქმული ქართიველ მწერლებსაც ეხება, მათ შორის, – ე.წ. „ცოცხალ კლასიკოსებს“ (ღღეგრძელობა მათ!), რომელნიც სრულიადაც არ არიან ღირსებისამებრ დაფასებულნი არც მაგერიალურად და არც მორალურად (რაც უმთავრესია).

მამ, რაღა უნღა ითქვას იმ მწერლებზე, რომელნიც აღარ არიან სააქაოს: რომელთაც სიკვდილშიც არ გაუმართლათ, რაღგან ღიდი არეულობისა და „სიძულვილის მძვინვარების“ წლებში განემორჩინე წუთისოფელს.

მათ შორის იყო თამაზ ბიბილურიც. აღესრულა 1992 წლის 10 დეკემბერს. თითქოს სიმბოლურია, რომ ბრწყინვალე პუბლიცისტური ესეი, მძაფრი ტკივილითა და წინასწარმეგყველური პათოსით აღსაესე (მაშინ ვინ იფიქრებღა, რომ სამოქალაქო თუ კუთხურ, არც ვიცი რა ეუწოდო, – ომის ზღვარს ეუახლოვებოდით) „სიძულვილის მძვინვარება“ მისი ბოლო, მნიშვნელოვანი პუბლიკაცია გახლღათ: 1991 წლის მიწურულს დაწერილი ესეის გამოქვეყნება „ლიგერაგურული საქართველოს“ მთავარი რედაქტორის მოადგილემ თამაზ ბიბილურმა, „მიზეზისა გამო სხვისა და სხვისა“, მხოლოდ 1992 წლის იანუარში მოახერხა.

საკმაოდ უჩვეულო იყო თამაზ ბიბილურის – შესანიშნავი პროზაიკოსის – შემოქმედებითი გზა: მის პირველ მოთხრობებს წარმატებულ დებიუტს ვერ ეუწოდებთ. საბედნიეროდ, კრიტიკის დროებით გულგრილობას და უნდობლობას მწერალი არ შეუფოთებია. იგი აუჩქარებლად, ღინჯად, შეუპოვრად მიჰყვებოღა თავისი შემოქმედებითი გზის სპირალს, სანამ, მისი ერთი რომა-

ნის გპირისა არ იყოს, „ქელს არ მოუქეა თაჳზჳ“. სანამ მხაგერ კელი სიმწიფის თხემს არ მიაგანა.

ეს იმანაჳ განაპირობა, რომ თამაზ ბიბილური პროფესიონალი ჟურნალისტი გახლდათ. მისი 1958 წელს გამოქვეყნებული პირველი მოთხრობები, რომელნიჳ აღარ დაბეჭდილა განმეორებით, პასუხისმგებლობის გრძნობით აღსავსე ავტორმა, პირველ კრებულში „ჩქარა!“ (1973 წ.) არე კი შეიგანა. წიგნში, ძირითადად, მისი ჟურნალისტური ნაღვაწი იყო წარმოდგენილი. თამაზ ბიბილურმა მკითხველს შესთავაზა „საჭაშნიკო პაგარა მინიაგურებიჳ, საქართველოს გზებსა ღ ბილიკებზე, სოფლებსა და ქალაქებში ხეგიალის დროს წამოკრეფილი“. კონკრეტულ, ნამდვილ ამბებზე აგებულ ამ მინიაგურებს ჟურნალისტური ელფერი ქჳონდა. ჟურნალისტი აქ კიდე სჯაბნიდა ბელეტრისტს. ავტორმა შემდეგშიჳ ჩინებული მხაგერული აღლო გაამქლავნა, როცა მოთხრობების პირველ წიგნში „ნილაბი“ (1975 წ.) გემოსხენებულ თხზულებათაგან ერთადერთი და საუკეთესო – „ღამშვიდობება“ შეიგანა.

იმთავითვე გაცხადდა, რომ „ნილბის“ ავტორი ქართულ თანამჳღროვე პროზაშიჳ ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებდა. ასეჳ მოხდა: 1978 წელს გამოქვეყნდა ფილოსოფიურ-ფსიქოლოგიური რომანი „ქამი კითხულისა“, რომელიჳ უფრო აღრე დასტამბულ ვრცელ მოთხრობასთან – „ჩივილთან“ ერთად, ავტორის აღმაჳლობის დასტური გახდა. იგივე ითქმის რომანზეჳ „შეიღი ხმისა და გოროლისათჳის“ და ბრწყინეაღე საბაჳშეო წიგნზე „წელიწადის დრონი“ (1984 და 1989 წლები; 1992 წელს კი „წელიწადის დრონი-სათჳის“ ავტორს საქართველოს სახელმწიფო პრემია მიენიჭა).

ღღევანდელი გადასახედიდან თამამად შეიძლება ითქეას, რომ რჩეულთა იმ მყირე გუნდს, რომელიჳ XX საუკუნის ბოლო ორსამ ათწლეულში, ქართული მწერლობის დერიგას აღუღაბებდა ჩინებული პროზით – მინიაგურებით, მოთხრობებით, მხაგერულ-დოკუმენტური თხზულებებით, რომანებით, პუბლიცისტური თუ ღიტერატურულ-კრიტიკული წერილებითა და ესეებით – თამაზ ბიბილურიჳ მიეკუთვნებოდა.

რჩეულთა იმ მყირე გუნდს, რომელიჳ მწერლის ნიჭიერებას, მაღალ პროფესიონალიზმს, შემოქმედებით ნაყოფიერებას, დაძაბულ სარედაქციო მუშაობას – სანიმუშო მოქალაქისა და უაღრესად პაგიოსანი, სინდისიერი პიროვნების თვისებებს უხამებდა, – თამაზ ბიბილურიჳ მიეკუთვნებოდა.

ჩრდილში ყოფნას შეჩვეულმა, თავმდაბალმა და მშვიდმა, შესანიშნავად იცოდა თავისი შემოქმედების ჭეშმარიტი ფასი.

პირად ცხოვრებაში – გაწონასწორებულ და, თვალის ერთი შევლებით, – მშვიდ და ფრთხილ ადამიანს, შემოქმედებაში მძაფრი, ყოველისმომცველი ენებები იზიდავდა.

ხშირად უთქვამს, პროზას თავისი კანონები აქვსო; სიციხლის დასასრულამდე ცდილობდა ჩასწვდომოდა ამ კანონებს და თავის თხზულებათა სრულყოფისათვის გამოეყენებინა, თუმცა, გაუმართლებელ ექსპერიმენტებს მუდამ ერიდებოდა. ღრმად ერუდირებულ ავტორს მსოფლიოს უახლესი პროზის ხერხების დაუფლება და „გაქართულება“, მათი ეროვნულ სამოსში შებურვა და საკუთარი სტილისთვის მისადაგებაც უკლია.

კობა იმედაშვილს შენიშნული აქვს, რომ მისი თხზულებანი დიდი შინაგანი გრაფიზმით არის დამუხტული, მაგრამ შეფარულ იუმორს სიმშვიდე და შეება შემოაქვს; რომ ავტორისა და პერსონაჟების მზერა უფრო სულშია ჩაბრუნებული, იქ მიმდინარე პროცესები კი იმდენად ღრმა და ძლიერია, რომ გარეგნულ ქმედებას ნაკლები ყურადღება ექცევა; მძაფრად არის წარმოჩენილი ადამიანის მარტოობა და მარტოობის დაძლევის გზაც – მოყვასის სიყვარულის გზა.

შეუძლებელია არ აღვნიშნო ისიც, რომ პროზის „სიწმინდისა“ და მისი კანონების დამყველი თამაზ ბიბილური პოეტური პროზის ოსტაგია. პოეტურია მისი სტილი სხარტი დიალოგებით დაყურსულ მომცრო ჩანახატებში, „ეპიკური სიღარბაისლით“ აღსაყვე ყრყელ მოთხრობასა თუ რომანებში. პროზის პოეტურობას მრავალი კომპონენტის ერთობლიობა განაპირობებს (რიტმულობა, მუსიკალურობა, ხატოვანი და ემოციური ენა, ამაღლებული განწყობილება, პოეტური სიუჟეტი და ა.შ.) და, რაღა თქმა უნდა, ავტორის სტილის პოეტურობაც განსაკუთრებით მაშინ მქდაენდება, როცა მის თხზულებებში ზემოხსენებულ ნიშან-თვისებათაგან რამდენიმეა წარმოჩენილი.

თუ ვირწმუნებთ სომერსეტ მოემის სიტყვებს, – „გამძლეა ის, რაც პოეტურია“, უნდა ვიწამოთ თამაზ ბიბილურის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამორჩეული ცხოველყოფელობა.

საუბედუროდ, მწერლის „თხემზე ყოფნის“ კამი სულ რაღაც ათიოდე წლით შემოიფარგლა, არსთა გამრიგემ, საბედნიეროდ, ეს კამი შემოქმედის შესაშური ნაყოფიერებით და უკვე მძიმედ

დასწეულელი თამაზ ბიბილურის თაყვანისმცემი. გმირული შრომისუნარიანობით აღბეჭდა.

სხვა, მის ადგილას, წლობით მიეჯაჭვებოდა სარეცელს, ის კი მუშაობდა შინაყ და გარეთაყ; მუშაობდა ზოგჯერ იმეღვადანურული, ზოგჯერ შეურაცხყოფილი და გაწბილებული, მაგრამ იმის ნათელი შეგნებით, რომ მუშაობდა მომავლისთვის. ეს კი ნამდვილი გმირობის გოლფასი იყო.

სეეღა და ნაღველი თან სღვეღა სიცოცხლის მიმწუსრს; მხოლოდ ოჯახური სიტბო და მეგობრების გულწრფელი თანადგომა თუ უმსუბუქებღა ხეღდრს; ამაო მკერნალობით გაგანჯული, კაემწინანი თეაღებით – იმკამინღელი თბიღისის აბსურღული ყოფის ფონზე, რასაყ ძღიერ განიცღიღა, – ასეთიო ჩამრჩა მეხსიერებამი უკანასკნელად ნანახი თამაზ ბიბიღური.

უღროდ წასული მწერღის შემოქმეღება დღეს ისგორიის კუთენიღებაყაა და თანამეღროვე ლიგერაგურული პროცესის განყოფელი ნაწიღიყ. ზოგი თხზუღება, თითქოს „რელიქტურად“ რომ აღიქმება (მაგ. „ყამი კითხუღისა“ ან „ჩივიღი“), საოცრად ეხმიანება ჩვენს დღევანღეღობას. საყოვეღთაო გლობალიზაციის ფონზე, ჩვენი ეროვენული თვითმყოფადღობის დაკნინება-ნივეღლირების საფრთხის წინამყ, – განუმომეღლია „წელიწადის ღრონის“ მნიშენეღობა.

თამაზ ბიბიღურის ლიგერაგურული მემკვიღრეობის ღრმა სულიერება, ერთგუღება ეროვენული გრადიციებისა და მარაღიული ფასეუღობებისადმი, დახვეწიღი ფსიქოლოგიზმი თუ შეფარული იუმორი, უბადღო ქართული, რომელსაყ ძნეღად თუ მოეძებნება დღეს ანაღოგი, – ცხადყოფს მის თხზუღებათა ძალმოსიღებას.

კარგი იქნება, თუ ზოგი ახალბეღა პროზაიკოსი, აგრერიგად რომ მიეღგვის ქუჩური ეარგონის „ესთეგიზაციას“ და, საბოლოოდ, დღღის გინებითა და უწმაწური სიგყეებით „მეზაეებული“, უფუნქციო ვულგარიზმებით და ბარბარიზმებით გაღაგეირთული ენით ცღიღობს ფონს გასვღას, – დაკვირეებით გაღაღიკითხავღა მის ლაჰიდარულ პროზას.

გლობალიზაციისა და ინგერნეგის ზეობის ხანამი, – წრფელი გულით ვურჩეღდი ახალბეღა მწერღებს, ისე დაწაფებოღნენ მის პროზას, როგორც უბადღო ქართუღის თაეანკარა წყაროს. არც ის არის შემთხვევითი, რომ თაყისი საქმის ჩინებული მცოღნე

მასწავლებლები, თბილისის „პაგარა ვიმნაჰილეუს“ „წელიწადის დრონის“ კითხვით, არაპარგო სიფლის (ანუ „პირველქმნილი“ მამულის) სიყვარულს, – ჰუმანიზმსა და პაგრიოტიზმს უნერგავენ.

თამაზ ბიბილურსაც ხომ ჰყავდა დიდი მასწავლებლები – ნიკო ლორთქიფანიძე, რომლისგანაც დახვეწილი ლაკონიზმი აითვისა; „ნაგვრის ხის“ ავგორი გიორგი ლეონიძე, რომლის საგანგებო ინტერესი „მუხლადი“, „ბედაური“ სიგყეებისადმი, პოეტური, ამალღებული სიუჟეტისადმი, – სანიშნოდ მიაჩნდა (სხვათა შორის, მწერალმა მშენიერი, ერცელი სგაგია უძღვრა გიორგი ლეონიძეს – „დიდი ნაგვრის ხე“); თამაზ ბიბილურის მოთხრობებში საცნაურია ქართული ზღაპრისა და ცინცხალი ხალხური იუმორის კვალიც.

თამაზ ბიბილური მთელი სიცოცხლის მანძილზე მუშაობდა გაზეთების („ახალგაზრდა კომუნისტი“, „ლიტერატურული საქართველო“) რედაქციებში; საუკეთესო ურთიერთობა ჰქონდა ახალგაზრდა მწერლებთან. შესანიშნავი რედაქტორი იყო (ამაში არაერთხელ თავად დაერწმუნებულვარ) და ახალგაზრდებიც მუდამ ეგანებოდნენ, ბეერ სასიკეთოს სწავლობდნენ მისგან.

ახლა, როცა შეუზღუდავად და ყოვლად გაუმართლებლად დავამკვიდრეთ უფუნქციო უცხო სიგყეები, – ჟურნალ-გაზეთებში, ნებისმიერ საჯარო გამოსელებში, გელევიზიაში, პარლამენტში, თვით მწერლობაშიც კი, – ერთი ეპიზოდი მინდა გაეიხსენო: უნივერსიტეტის სტუდენტებთან შეხედრაზე თამაზს ერცელი სიგყვა წარმოუთქვამს, მრავალრიცხოვან შეკითხვებზეც ამომწურავი პასუხი გაუცია.

დასასრულს, უაღრესად განათლებულ და ლიტერატურაზე შეყვარებულ ქალბატონს, სტუდენტების უსაყვარლეს პროფესორს ვიოლეტა ცისკარიძეს ახალგაზრდების ყურადღება მიუპყრია იმ იშვიათი გარემოებისთვის, რომ ქართველ მწერალს, საათნახეურიან ზეპირ მოხსენებაში ერთი უცხო სიგყვაც კი არ დასჭირვებია...

უკვე მოგახსენეთ, რომ თამაზ ბიბილურმა კარგად იცოდა თავისი თხზულებების ჰუმბარიტი ღირებულება; თუმცა, მისდა სასახელოდ, დღემუდამ ცდილობდა, ახალი რამ შეეძინა თვითონაც და მკითხველისთვისაც გაეზიარებინა.

მიღწეულით მუდამ დაუკმაყოფილებელი, ახლისმაძიებელი შემოქმედი, კიდეც ბეერს რასმე მოიხელოებდა, რომ დასცლოდა.

თამაზ ბიბილური ვერ მოესწრო „საიუბილეო თარიღს“ – 60

წლისთავს. თუ რა დამოკიდებულებას ამქლავს იგი იუბილევებისადმი, — ამაზე მოგვიანებით ვიგევი.

ახლა კი მკითხველს შევახსენებ, რომ „სოფელი“ უჩინარი, მაგრამ დიდმნიშვნელოვანი პერსონაჟია თამაზ ბიბილურის ბევრი თხზულებისა. ადამიანის საქციელს, აესა თუ კარგს, კეთილსა თუ ბოროტს, უცდომლად განსჯის ხალხი — „სოფელი“. მის განზოგადებულ შეგნებაში დიდი ცხოვრებისეული სიბრძნეა დაუნჯებული. ხან კეთილი, ხანაც დაუნდობელი, ესამწარე და ენაკვიმატი, მაგრამ ბრძენი და სამართლიანი, — ასეთია „სოფელი“.

„სოფლისა“ არ იყოს, ჩვეულებრივ საუბარშიც უყვარდა თამაზს განზოგადებები: გარკვეულ ადამიანთა ჯგუფის, „კლანის“ — ნაცუალსახელით მოხსენიება. მარტო მის თხზულებებში კი არ ჩანდა დახვეწილი იუმორი, მის საყველამურო საუბარშიც აისახებოდა; პირადად ვინმეს დასახელებას, დაუნდობლად გაკენწლვას, თუნდაც დამსახურებულ გაბიაბრუებას ერიდებოდა.

ამიგომაც ჩემს შეკითხვაზე — უდიდესი მწერლის დავით კლდიაშვილის საიუბილეო თარიღი რომ ახლოვდება, რაგომ ყურს არ იბარტყუნებენ-მეთქი (მწერალთა კავშირი მყავდა მხედველობაში), ასე მიპასუხა: — ლალი, რით ვერ გაიგე, სანამ დავით კლდიაშვილი საფლავიდან არ აღგება და არ შოითხოვს, იუბილე გადამიხადეთო, „ესენი“ არაფრის გამკეთებლები არ არიან, თავისი იუბილეები აქეთ გადასახდელიო...

მალაფარდოვნებას (საუკეთესო გაცებით) პროზაში თამაზი არ ერიდებოდა; პირადი საუბრისას კი გაურბოდა, სხვების ნაუბარსაც მახვილგონიერულად და საკმაოდ მწარედ აქილიკებდა უადგილო „ენამზეობისათვის“.

სულით ძლიერი და გაუტყეხელი თამაზ ბიბილური სრულიადაც არ დაგიდევდათ ვაჟკაცის სახელს (რამდენი იბრალებს ვაჟკაცობას!).

ერთ სვავრიელ თოვლიან ზამთარში ფეხით წავედით ქალაქგარეთ, თუ არ ვეცები — ბეთანიისკენ. თამაზს შეუფერებული ფეხსაცმელი ეცეა და მალე უკან დაბრუნება მოისურვა. დანარჩენებს მაინც გვინდოდა გზის გაგრძელება. თამაზი გაჯიუტდა. ეტყობა, ფეხები მოეყინა. ერიოხელ კიდეე მოესინჯე ბედი და დავამუნათე — რა მოგივიდა, ვაჟკაცი კაცი ხარ და ფეხის დასეილების გეშინია-მეთქი? თამაზი არ წამოეგო ანკესზე — იპ, რა ვაჟკაცი მე ვარო — გულგრილად მიპასუხა.

ტყუილად კი არ იყო ღრმა ფსიქოლოგიური რომანების აუ-

გორი: არ გამოეპარებოდა აღამიანის ბუნების არც ერთი წვრილ-მანი. როცა ჩვენმა მეგობარმა (თოვლიანი „აეანგიურის“ უიღბლო თანამონაწილემ) დიდი ხნის უნახავ თამაშს უთხრა დაძმურად, გულწრფელად, მაგრამ მაინც ჰი.კერბოლის მოსველიებით, – სადა ხარ დაკარგული. ვერ ვუძლებ ამდენ ხანს შენს უნახავობასო, – თამაშმა ხითხითით მიუკო: რას იზამ, უნდა გაუძლო, ასეთია ცხოვრებაო!

ქართული და უცხოური ლიტერატურის ჩინებულ მცოდნე მწერალს ჩინებული ბიბლიოთეკაც ჰქონდა და, ცოცხალი იყო, „ბიბლიომანიც“ გახლდათ.

სწორედ მის „მანობას“ და მანს უკავშირდება ერთი თან საგულისხმო, თან სასაცილო ამბავი, რომელიც, სულ ცოცხალი, 20 წელი იყო გასაიდუმლოებული.

ოცდახუთიოდე წლის წინათ გადამყიდველთან „დიდ ფულად“ (მაშინ წიგნებს თურმე ჩალის ფასი ედო) შევიძინე თომას მანის „იოსები და მისი ძმები“ რუსულ ენაზე. როგორც ხდებოდა ხოლმე, წიგნი ერთი მეგობრის ხელიდან მეორის ხელში გადადიოდა, ბოლოს ბესიკ ხარანაულთან მოხვდა და... გაქრა. კარგა ხნის შემდეგ ბესიკმა განმიცხადა, რომ წიგნი თამაშთან იყო; მან კი ცივი უარი მტკიცა. ამ საკითხის საბოლოო „გარჩევაზე“, მოგვიანებით (არ ვეშვებოდი, თომას მანის „ტრაგედია“, არ მეთმობოდა „იოსები“), ბესიკმა მშვიდად ამოღერდა – წიგნი თამაშს აქვსო, რასაც თამაშის საკმაოდ „ტემპერამენტიანი“, გაგულისებული შეპასუხება მოჰყვა – რას ამბობ, შენი ამბავი რომ ვიცი, სადმე მიპკარგავდიო. მის ნათქვამში, აბა, ეჭვს როგორ შევიგანდი, ისეთი რიდი და მოწიწება მქონდა თამაშისა, თანაც ჩემზე უფროსიც იყო; სამაგიეროდ, ბესიკთან რა მქონდა მოსარიდებელი: ჩემი კურსელი, ჯგუფული და გაშინაურებული მეგობარი იყო. მაგრამ დაეცოფე კიდევ. თამაში რაგომლაც დიდი სიამოვნებით, გაყისკროვნებული კი გვისმენდა, თუმცა მაშინ ეჭვი არაფერში შემპარვია. ბესიკმა კელავ აუღელვებლად და მშვიდობიანად (ძალიან უყვარდა თამაში) მითხრა – კარგი, ეგრე გეგონოს, ღმერთმა ხომ იცის, რომ უბრალო ვარო.

...თამაში თითქმის აღარ გამოდიოდა სახლიდან. მისი ყოველი პუბლიკაცია ჩემთვის უაღრესად საინტერესო იყო, ყოველთვის ვეხმეიანებოდი ტელეფონით, – დაუფარავად ვუმკლავებდი ალტაელებს.

ერთხელაც, სასხვათაშორისოდ მიიხრა, – მართლა, შესი „იოსები“ აღარ მჭირდება. ახალი გამოცემა მომიგანეს და ჩემს წიგნებთან ერთად („წელიწადის დრონი“ ეთხოვე) იმასაც გაგაგანო. ჯერ სახტად დაერჩი, ენა ჩამივარდა, შერე იმდენი ვიცი (თამაზთან ერთად), რომ სულ ვლოცე ჩემი გამხიარულებისათვის (მაშინ შინაც და გარეთაც ისეთი ჯოჯოხეთი სუფევდა, რომ სიცილი კი არა, ღიმილაც დავიწყებული მქონდა).

რა თქმა უნდა, ორივემ შევიცოდეთ მართლაც „უბრალო“ ბესიკ სარანაული და დიდადაც დაეაფასეთ მისი დიდსულოვნება.

ლიგერაგურისადმი მიძღვნილი წერილების კრებულს („მცირე სარკმელი“, 1988 წ.) თამაზ ბიბილურმა ამგვარი წინათქმა წარუემძღვარა: „მივხვდი, რომ ლიგერაგურას და იმ ცხოვრებას, რომელიც ლიგერაგურას კვებავს, მხოლოდ ჩემეული მცირე სარკმელიდან ვუცქერდი, ვხედავდი იმას, რისი დანახვაც შემეძლო ან რისი დანახვაც ჯერჯერობით მოეასწარი.

ლიგერაგურა ვრცელია, როგორც ჩვენი დედამიწა. მცირე სარკმლიდან კი ყველაფერი არ ჩანს...“ მწერლის ობიექტუიზმსა და თავმდაბლობაზე მიგვანიშნებს ესეც: „ახლის, ჯერ ართქმულის თქმა, საერთოდ, უაღრესად ძნელია. ამას იშვიათად იუ ვინმე ახერხებს და იმათაც გენიოსებს უწოდებენ ხოლმე. მაგრამ მწერლობა მარტო გენიოსებით დასახლებული მატერიკი ხომ არ არის...“ („საუბარი კრიტიკოს როსტომ ჩხეიძესთან“)

ახლა, როცა თვითრეკლამა და საკუთარი „ნიჭით“ ტკობა მწერალთა გარკვეული ფენისათვის ნორმად იქცა, – განსაკუთრებით გეხიბლავს თამაზ ბიბილურის თქმული, უპირატესად, მის მაღალ პროფესიონალიზმზე რომ მეტყველებს.

ახლა სხვა დროა, „ცაში ასახელად ვენაჟინ იცლის“ (ესეც თამაზ ბიბილურის სიგყეებია); მაგრამ სწორედ მისი შემოქმედებაა ის პაგარა სარკმელი, საიდანაც მუდამ მოჩანს ცა.

2002 წ.

შეუსვლელი ადამიანი

გრიგოლ კიკნაძე

პროფესორ გრიგოლ კიკნაძის არსებობა პირწმინდად აქარწყლებდა თემისს, რომ შეუსვლელი ადამიანები არ არსებობენ. იგი თხემით გერუამდე დისიდენტგი ვახლდათ, როგორც „ლიგ-

ერაგურული“ ისე ზედმიწევნითი გაგებით. მისი პირადი ცხოვრება, საზოგადოებრივი, შემოქმედებითი და პედაგოგიური მოღვაწეობა მეტყველი მაგალითია იმისა, თუ როგორ უნდა შეინარჩუნოს პიროვნებამ შინაგანი თავისუფლება, თავისუფალი აზროვნება და მოქალაქეობრივი აქტივობა უმკაცრესი ტოტალიტარიზმის პირობებშიც კი.

ფილოლოგიის ფაკულტეტის ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება ისე დაფამთავრეთ, რომ გრიგოლ კიკნაძის ლექციების მოსმენა არ გვღირსებია. მისი ერთგვარად ლეგენდარული სახელი და უბოძო პოპულარობა არ ეპიგნავებოდათ და ამიგომაც „არაპრესტიჟულ“ ლექცია-სემინარებს სთავაზობდნენ სხვა ფაკულტეტებზე. სტუდენტობას კი, მოგეხსენებათ, არასდროს არაფერი ეშლება: კარგად ვიცოდით, ვინ ვინ იყო! ნიცშეს წარბებიანი, იმპოზანტური პროფესორის საკმაოდ კუმჭი და დაურიღებელი დამოკიდებულება ე.წ. წითელი პროფესურისადმი ცნობილი იყო. სტუდენტების მიმართ კი ერთობ შემწყნარებული და კეთილმოსურნე გახლდათ (როგორც ყველა დიდი პედაგოგი). მთელი მისი საქმიანობა – ლექცია-სემინარები, მოხსენებები, შესანიშნავი წიგნები, ვაკეა-ფშაველას კაბინეტის დაარსების წარმატებით დაგვირგვინებული მცდელობაც კი, – მუდამ „იდეალისტური“ იყო (ფართო გაგებით). სწორედ ამიგომ ეგანებოდნენ მას ძალადურად დაკანონებული მაგერიალიზმით გაბეჭრებული ახალგაზრდები. მასთან უბრალო საუბარიც კი, რაღაცა მანქანებით, სააზროვნო ვარჯიშს წააგავდა, მისი პირადი და მოქალაქეობრივი ცხოვრება – მნეობის გაკეთილებს.

ახალგაზრდობა კი უყვარდა, მაგრამ მკაცრიც იყო: უმნეოს, პრაგმატიკოსსა და კარიერისგს არ გაიკარებდა. ამგვარ „სელექციას“ კი ბევრი ვერ უძლებდა.

გვინერგაულა სიმხნევესა და პაგრიოტიზმს, „ურაპაგრიოტიზმს“ კი არა – ჭეშმარიტს. დასავლური გიჟის მოაზროვნე და ღრმად ერუღირებული ინტელექტუალი სრულიად თავისუფალი იყო ეროვნული ნიჰილიზმისგან.

მის ბიოგრაფიაში არაფერი იყო უჩვეულო: დაიბადა ხაშურში, 1909 წლის 15 მარტს. 1929 წელს დაამთავრა თბილისის უნივერსიტეტი. მუშაობდა ფოთში, შემდეგ – ბათუმში. სწორედ აქ ჩაუდგა სათავეში დიმიტრი უმნაძის მიერ გახსნილ პედაგოგიურ ლაბორატორიას. დიმიტრი უმნაძემ იმოავითვე გამოარჩია ნი-

ჭყერი ახალგაზრდა. მისივე რჩევით, გრიგოლ კიკნაძემ თბილისში დაამთავრა ასპირანტურა. 1933 წელს დაიწვა ლისერტაცია – „ილია ჭავჭავაძე, როგორც ხელისუფანი“.

არასდროს არ აკლდა დიდ მეცნიერთა თაჩანდგომა (დ. უზნაძე, კ. კეკელიძე, მ. ზანდუკელი, შ. ნუცუბიძე, ა. ჯანელიძე, ა. ჩიქობავა, ს. ჯანაშია, ვ. თოფურია, ნ. ბერძენიშვილი, გ. ქაქოძე და სხვ.). ამ მხრივ ერთობ იღბლიანიც გახლდათ. 1945 წელს მან წარადგინა სადოქტორო ლისერტაცია – „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“ (წიგნის გამოცემა მხოლოდ თორმეტი წლის შემდეგ მოხერხდა), რომელსაც ოპონენტებმა – კორნელი კეკელიძემ და შალვა ნუცუბიძემ უმაღლესი შეფასება მისცეს. მაგრამ „ეშმაკს არ ეძინა“ და გრიგოლ კიკნაძემ ოფიციალური პირველი დიდი დარტყმა იწვნია.

მოუესმინოთ ამ ამბის თვითმხილველს, ბატონი გრიგოლის უმცროს მეგობარსა და თანამოაზრეს, ნოდარ კაკაბაძეს: „ბატონი გრიგოლ კიკნაძე პირველად იმ დაუვიწყარ და საბუღისწერო შუადღეს (1945 წ.) ვნახე, როცა ის თავის „ისტორიულ“ სადოქტორო ლისერტაციას იცაჟდა, რამაც იმდროინდელ თბილისში ბევრი მითქმა-მოთქმა და ბოლოს სკანდალიც გამოიწვია. ატმოსფერო დაძაბა და სამოგადოება „დააინტრიგა“ დაუცამდე რამდენიმე დღის წინ გაზეთ „კომუნისტში“ გამოქვეყნებულმა კოლექტიურმა პასკვილმა, რომელიც პოლიტიკური დასმუნის სტილით იყო დაწერილი და ერთ-ერთ ასეთ ბრალდებასაც შეიცავდა: ლისერტაციაში სტალინის არცერთი ციტატა არ არის მოყვანილი!“

იმ დღეს გრიგოლ კიკნაძე მართლაც იცაჟდა საკუთარ თავს და ლისერტაციას – ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით... იცაჟდა გიტულიანი, გარკვეულწილად „ნომენკლატურული“ ჭილყვაების შემოგვივისგან, რომლებიც ძალზე ბევრნი იყვნენ.

მაგრამ საქმე ის იყო, რომ ბატონი გრიგოლი ძალიან ადვილად უმკლავდებოდა „პროფესიონალ“ დემაგოგებსა და პროვოკატორებს, ოსტატურად უვლიდა გვერდს პოლიტიკურ „რიფებსა“ და „მეჩჩეებს“.

მოჯადოებული შევეყურებდი და ვუსმენდი ბატონ გრიგოლს. მე პირადად ასეთი დრამატული, დამძაბველი, „პერიპეტებიანი“ ლისერტაციის დასვის მოწმე აღარასოდეს ვყოფილვარ. ეს იყო ნამდვილი დრამატული სპექტაკლი.

მაგრამ ჩოხდა უპრეცედენტო ფაქტი: უნივერსიტეტის საბჭოს გადაწყვეტილება გაქმდა ცეკას ჩარევის შედეგად. მარიასთან უნივერსიტეტის საბჭოს წევრებს და უნივერსიტეტს დადგინდება „გადაათქმევინეს“ უნივერსიტეტის სამეცნიერო საბჭო პოლიტიკური სიფხიმლის მოღუენების გამო დაამუშავეს და დატეხეს.

ამ დაცვის დროს, იმ დროისა და პირობების კვალობაზე, საარაკო გმრობა ჩაიღინა ჩვენთვის მარად დაუვიწყარმა ალექსანდრე ჯანელიძემ, რომელსაც გრიგოლ კიქნაძის დისერტაციის დაცვა რექტორობის დაკარგვის ფასად დაუჯდა (მაგრამ ეს შედარებით ბუნდერი „ფინალ“ იყო, შეიძლებოდა გაცილებით მძიმე შედეგებიც ყოფილიყო)“.

საბუნდერიოდ, ბაგონ გრიგოლს ბუნებისგან მნეობრივი მაქსიმალიზმის გარდა, უხვად ჰქონდა მომადლებული სგოიციზმიც. აშკარა თუ ფარული რეპრესიების მიუხედავად, იგი განაგრძობდა თავის საქმეს. 1953 წელს გამოაქვეყნა ფუნდამენტური მონოგრაფია „ქართული საგირისა და იუმორის განვითარებისათვის“.

ხრუმროვისეული ე.წ. გამოდარება ფრიად სასარგებლო გამოდგა მისი მოღვაწეობისათვის. 1957 წელს დაისტამბა მისი ორი წიგნი – „მეცყველების სტილის საკითხები“ და „ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“. იმავდროულად, ბაგონმა გრიგოლმა წამოიწყო თითქოსდა უგოპიური საქმე, რომელიც 1962 წელს, თბილისის უნივერსიტეტის რექტორის ეეგენი ხარაძის ხელშეწყობით, „ვაჟა-ფშაველას კაბინეტის“ ჩამოყალიბებით დავვირგინდა. სწორედ აქ მიეცა ფართო გასაქანი ბაგონი გრიგოლის თითქოსდა მოულოდნელ ადმინისტრაციულ ნიჭს და სამეცნიერო-კვლევით მოღვაწეობას. გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ იმ თორმეტი წლის მანძილზე, როცა „ვაჟა-ფშაველას კაბინეტს“ გრიგოლ კიქნაძე ხელმძღვანელობდა, კაბინეტი გოლს არ უდებდა რომელიმე ინსტიტუტს: „მთელი თავისი დრო, ენერგია, სიყვარული შეაღია გრიგოლ კიქნაძემ იმ კაბინეტს, გააერთიანა მის გარშემო საუკეთესო ძალები, გამოაქვეყნა ვაჟას შემოქმედებისადმი მიძღვნილი რამდენიმე კრებული. მათგან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ვაჟა-ფშაველას ხუთი პოემა“, რომელსაც სიცოცხლის უკანასკნელ წუთებში ნაკარნახევი მისი წერილი ამშვენებს“ (ალექსანდრე გვახარია).

გრიგოლ კიქნაძე გარდაიცვალა 1974 წლის 16 აპრილს.

ხშირად ვერ ხერხდება პიროვნების დახასიათება „ქრესტომათიული პეწის“ გარეშე. თავად გრიგოლ კიკნაძე ვაურობდა ყოველგვარ პომპეზურობას. მეუ მინდა თავი დავალწო მალაფარდოვნებას. წერილმანები ხშირად მრავლისმეგყველია. სწორედ ამგვარი „წერილმანების“ მოხმობით შევეცდები ორიოდე შტრიხი შევშატო ბატონი გრიშას „არაქრესტომათიულ პორტრეტს“.

ბატონი გრიშას ოჯახის ხშირი სტუმარი ვახლდით. პროფესორი დარუჯან რამიშვილი, ქართული ფსიქოლოგიური სკოლის ბრწყინვალე წარმომადგენელი, უგანათლებულესი და, ცოცხალი იყოს, ექსცენტრული ქალბატონი, ყოველთვის ხალისიანად გვიცხებებოდა. მერელა მიეხვდი, რომ მისი არაორდინალურობაც და „უცნაურობაც“ ძალზე საინტერესო პიროვნებად აქცევდა მას. ცოლ-ქმარს შორის ურთიერთგაგება (მოგჯერ თითქმის ბავშვური კინკლაობის ფონზე) და ჭეშმარიტი სულიერი სიახლოვე სუფილდა.

სადაც ყოფაში ბატონი გრიშას ძალზე ბევრი რამ აკლდა, თუმცა არ იმჩნევდა: ყოფით პრობლემებს თითქოს არად აგდებდა, ანგარებასა და მაგერიალურ მხარეს კი პირწმინდად უგულებელყოფდა.

ბატონი გრიშას მონათხრობიდან (მთხრობელი აღმოვითებულია და ემოციებს ვერ მალავს): უნივერსიტეტთან შემხვდა კარგი ნაცნობი, გამოჩენილი პოეტი, დიდხანს ეისაუბრეთ. ერთი სიგყვაც კი არ დასცდენია მწერლობაზე, საქარსუელოზე, მნეობაზე, ლექსზე... მთელი ნახევარი საათი აღტაცებით მიყვებოდა, როგორ მიიღო ბინა, როგორ გაარემონტა და, ეს მომენტი განსაკუთრებული სიამაყით აესებდა, რომ მის ბინაში ორი გუალეგია!

ეს აღამიანი, რომელიც საკუთარ ყოფით წერილმანებზე მალა იდგა, საოცრად გერგილიანი და პრაქტიკული აღმოჩნდა: გრიგოლ კიკნაძემ, ვაჟა-ფშაველას ხსოვნის უკედავსაყოფად, სრულიად უსახსრომ, უნივერსიტეტს უნიკალური, ფასდაუღებელი სამუშეუმო ექსპონატები მოუპოვა! ამ საგანძურის უსასყიდლოდ „მოხვეჭა“ მხოლოდ გრიგოლ კიკნაძის უდიდესი ავგორიგეგისა და უშადო რეუჟტაციის, ავრეთეე, მისი პიროვნული ხიბლის გამო გახდა შესაძლებელი.

მოგვიანებით ბატონმა გრიშამ დიდი ხნის ოცნება აღისრულა – ნაბიჯ-ნაბიჯ მოიარა ვაჟა-ფშაველას „ღვეის ნაფესურები“.

გოეთე ურჩევდა მთარგმსელებს, – იუ პოეზიის თარგმნა გსურთ, უწინარეს ყოვლისა, პოეტის სამშობლო ინახულეთო. ეს ბრძნული შეგონება იყო და არა აქსიომა. თუმცა არ იქნებოდა ურიგო, ეს ლიტერატურათმცოდნეებსაც გაეზიარებინათ და ამა თუ იმ მწერლის გეოგრაფიული არეალი თაჲისი თჲალით ენახათ. გრიგოლ კიკნაძე უკვე ჭარმაგობისას ეზიარა სრულად ეაქას ზღაპრულ სამყაროს: ფშავს, ხეკსურეთს, მთათუშეთს... ეს იყო უმნიშვნელოვანესი ექსპედიციები, რომლებმაც ხელმეცხეები ლიტერატურათმცოდნეობითი შედეგის გარდა, ბატონი გრიშასა და ექსპედიციის მონაწილეთა სულებში მძეენიერებისა და სილიადის წარუხოცელი გეიჲარი დაგოვა. ეს იყო ბატონი გრიშას პიროვნული სიძლიერისა და ჭირთათმენის გამოვლენაც: ფხებმგკიეანს ძალზე უჭირდა მთაში სიარული. ამ ექსპედიციათა უცვლელი წეერი გახლდით და ეს იყო, გადაუჭარბებლად, უბედნიერესი ხანა ჩემს ცხოვრებაში.

მოგზაურობისას ადამიანი მთლიანად „იხსნება“. მთაში ყველაზე უკეთ გამოჩნდა ბატონი გრიშას მზრუნველი ხასიათი: ნიადაგ მრუნაედა ჩვენს ჯანმრთელობაზე, უსაფრთხოებაზე, გამოკვებაზე, ჯიბუთხელ სტუდენტებზე; მასზეც, რომ შეუფერებელ ხალხში არ მოვხვედრილიყავით...

გრიგოლ კიკნაძე საოცრად მოყვარული მამა და ბაბუა იყო. მოწმე ვარ იმისა, როგორ შოთათაედა, როცა შვილიშვილები – დათო ჯანელიძე (ამჲჲამად ცნობილი კინორეჲისორი) და გაგა კიკნაძე (უდროოდ გარდაცვლილი ჩინებული არქიტექტორის რამაზ კიკნაძის ეაჲი, თაეად ნიჭიერი არქიტექტორი) – ავადმყოფობდნენ. ამაყობდა შეილებით: ინესას (ენათმეცნიერს, ახლა უნივერსიტეტის პროფესორი გახლავთ) კარგად ვიცნობდი და დიდ პატივსაც ვეცმდი, რამაზი კი სულ რამდენჯერმე მენახა.

მოხდა ისე, რომ მამაჩემი, ალბათ ასაკის გამო, პოლონეთში მიმეაელი ახალგაზრდა ინჲინრებისა და არქიტექტორების ჯგუჲის ხელმძღვანელად დანიშნეს. მამა კარგი ინჲინერი და, სულ არ მეუხერხულეა ამის თქმა, უმწიკვლო კაცი იყო. პოლონეთიდან მამა გაოცებული ჩამოვიდა, – რა გაუუჭებულები ყოფილან პოლონელი გოგოები, ჩვენს ბიჭებთან ერთი ამბავში იყვნენ; ერთადერთი უწესიერესი და შესანიშნავი ახალგაზრდა რამაზ კიკნაძე იყოო! მე, რა თქმა უნდა, წერილად გადაეეცი ბატონ გრიშას მამის მონათხრობი, ისიც გავანდე გულწრფელად, როგორ მომ-

წონდა რაჩაჩის გარეგნობა. ბაგონმა გრიშამ ბავშვურად გაიხარა. ეგყობოდა. ძალზე ესიამოვნა შეილის შექება: ასევე ბავშვურად დასძინა, — რაჩაჩი ძალიან მგავს, ახალგაზრდობაში ჩუხტად ასეთი ვიყავიო (ღეთის მადლით, იგი ვერ მოესწრო მართლაც საამაყო ვაჟის გარდაცვალებას).

ბაგონი გრიშა უაღრესად ახალგაზრდული სულისა და. თუ შეიძლება ასე ითქვას, ახალგაზრდული ლიგერაგურული გემოვნებისა გახლდათ. ამიგომაც დამამახსოვრდა ჩვენი ერთი საუბარი კაფკას თხზულებებზე. „რკინის ფარდის“ შერხვეისთანავე ბოგიერთი რუსული ქურნალი საუკეთესო ახალი თარგმანებით გაიჟოს. პირველად წავიკითხე კაფკას „მეტამორფოზა“ და „დაძსჯელ კოლონიაში“. მოულოდნელობითა და სიახლის მიმზიდველობით გაოგნებული აღგაყებას ვერ ემაღავედი. ჩემდა გასაოცრად, ბაგონმა გრიშამ არ გაიზიარა ჩემი აღფრთოვანება (ვინ-ვინ და, მასზე კარგად არავენ უწყოდა კაფკას ჭეშმარიტი ფასი), მოღლილი ჩანდა, უხალისოდ შითხრა, რომ ვერავითარი სიამოვნება ვერ მიიღო ასეთი შემზარავი ამბების კითხვისას. აჩას ნამდვილად არ ველოდი. აეგიგინდი იმაზე, რომ შთაფარია, „როგორ“ წერ და არა „რაზე“ წერ, დაეახვავე გრუიზმები და ა.შ.

უსბად ვერ მივხედი, თუმცა არ იმჩნევედა, დიდად დაეთრგუნა ავადმყოფობას. ბოლოს გულწრფელად შითხრა ის, რასაც თავის თავსაც უმაღავედა, — კაფკას ნერვები აღარ მაქვსო. ძლიერ შეეწუსდი, რადგან იმის მოწმეც ბევრჯერ ვყოფილვარ, როგორ მუშაობდა მწოლიარე 40 გრადუსი სიცხით.

უნუგეშო ავადობა რომ არა, სიცოცხლის მიმწუხრს ბაგონი გრიშა ბელნიერი კაცი იქნებოდა: საქმეში გამარჯვებული, ახლობლებითა და ღირსეული მეგობრებით გარემოცული, ჭეშმარიტი ინტელექტუალური ელიგისგან დაფასებული: ახალგაზრდა თაყვანისმცემლები ხომ არ ელეოდა, მათ რიცხვს უკვე ჩემი სგუდენგებიც მიეკუთვნებოდნენ.

ახალგაზრდა ლექტორი ვიყავი. IV კურსის სგუდენგებს ლექციებს — სპეციალურ კურსს უუკითხავედი, — დიდი გაგაყებით და პასუხისმგებლობის გრძნობით. საუკეთესო სგუდენგები და დიპლომანტები მყავდა. ორიოდე წლის შემდეგ, როგორც ჩემებრ „უპაგრონოს“ შეეფერებოდა, „პრესტიჟულ“ ლექციებს ჩამომამორეს და საღამოს დასწრებულზე მიკრეს თავი. სხვაობა დიდი იყო: სგუდენგთა ნაწილი მუშაობდა და ლექციებზე დაქანცული

მოდით. მეორე ნაწილს მარტო დიპლომი აინგერესებდა. ხიბლგაყანგული ვიყავი და საკმაოდ უხალისოდ ვირჯებოდი. ერთხელაც მითხრეს, რომ XIX საუკუნის ლიტერატურის ისტორიის კურსს გრიგოლ კიკნაძე უკითხავდათ. ის-ის იყო, გულში გავიფლუე, ამით რა იციან მისი ფასი-მეთქი, რომ ერთმა გოგონამ ალაღად წამოიძახა – ბაგონ გრიგოლს ვალმერთებთო! ეს იყო და ეს: სულ სხვა თვალთ შევხედე მათ და შემდეგში თაყვს არ ვიზოგაუდი, საგანგებოდ ვეშმადებოდი მათთან მეცადინეობისას.

ბაგონი გრიგოლს მის ახალგაზრდულ გარემოცვას თავისებურ ხიბლსა და სხივს უწილადებდა. განსაკუთრებით საჩინოა ეს დღევანდელი თვალსაწიერიდან. ეარსკვლავები, ასე მომხიბლავდა რომ „უიკიკიკებენ“ ღამეულ ცაზე, მნათობის გარეშე არარაინი არიან. სულეთში წასული ბაგონი გრიგოლს ეს გადაძღები „მანათობელი“ თვისება დღემდე ყველამ როდი შეინარჩუნა...

ვაქას ნაკვალევზე მთაში სიარული, ქართული წესისამებრ, სუფრით მთავრდებოდა. ბაგონი გრიგოლს სადღევრძელოები ზოგჯერ ღითირამბებში გადაიზრდებოდა ხოლმე. ერთხელაც, ბარისახოში, შემარხოშებულმა ბიჭებმა ცაზე აიყვანეს იგი. ბაგონმა გრიგოლს დაინახა, ბიჭებმა ძალზე გაუგოესო, – გაქტიანად შეაჩერა ისინი და სუფრის სადავეები ხელთ იპყრა. მაშინ მან ისეთი სიგყვა თქვა (ჩვეულებისამებრ – ხმადაბლა. რომ მოგესმინა, უნდა განაბულიყავი), მუღამ რომ მემახსოვრება. „ჩამოიბერგყა“ აპოლოგეტთა ყველა ზეაღმატებული ეპითეტი – გენიოსი, უგენიალურესი მეცნიერი და მისთანანი და მხოლოდ ერთადერთი დაიტოვა – მასწავლებელი. ეს არ გახლდათ ოდენ თაყმდაბლობა, ეს იყო მასწავლებლის დიდი მისიის გაცნობიერება.

გრიგოლ კიკნაძე მართლაც იყო დიდი მასწავლებელი და დიდი მეცნიერი; იგი მართლაც იყო ჭეშმარიტად შეუცვლელ ადამიანთა კოპორტიდან.

ისტორიული სამართლიანობა აღდგა. 1999 წელს, გრიგოლ კიკნაძის 90 წლისთავის საიუბილეოდ, თბილისის უნივერსიტეტმა დიდებული საქმე წამოიწყო: დიდი მეცნიერის თხზულებათა ხუთგომეულის გამოცემა. უღრმეს მადლიერებას იმსახურებენ თსუ გამომცემლობა (დირექტორი – ნიკო ბერძენიშვილი) და უნივერსიტეტის რექტორი როინ მეგრეველი, რომელთაც უკიდურესი სიღუბნის ეაშსაც კი გამონახეს სახსრები გრიგოლ კიკნაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის გამოსაცემად. პირვე-

ლი წიგნი (გ. III), რომელშიც შევიდა „მეცხველების სტილის საკითხები“. 1999 წელსვე გამოიცა. მონოგრაფია, რომელიც ეკვე ბიბლიოგრაფიულ იმეიათობად იყო ქსეელი, თავისი სიღრმითა და ძალმოსილებით. დღესაც უაღრესად აქტუალურ გამოკვლევად მიიჩნევა. 2003 წელს გამოვიდა მეორე ტომი, რომელშიც, გარდა მონოგრაფიისა „ქართული საგირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“, დაისტამბა სტაგია „ჩვენი ვაჟა“ და ნარკვევი „პლასტიკურ ხატთა საუნჯე“. იმედია, დანარჩენი ტომეულები უფრო ოპერატიულად გამოქვეყნდება და ქართული მკითხველი გრიგოლ კიკნაძის რამდენადმე სრულ კრებულს დროულად მიიღებს.

ხუთგომეულის გამოცემას მეურვეობს სარედაქციო კოლეგია ნიკო ბერძენიშვილის, იუზა ვეგენიძის, ინესა კიკნაძის, ლადო მინაშვილის, ჯუმბერ ჭუმბურიძის შემადგენლობით.

ფასეულობათა გადაფასების პროცესი, რომელიც „ბოროტების იმპერიის“ რღვევისთანავე დაიწყო, მძაფრად შეეხო ქართულ ლიტერატურათმცოდნეობასაც: მკაფიოდ წარმოჩნდა, – ვინ ვინ არის. გრიგოლ კიკნაძის თხზულებათა უკვე დასტამბული ორი ტომიც ამკარად მიგვანიშნებს მისი ლიტერატურული შემკვიდრობის წონადობას. აღიარებული თვალსაზრისით, „მეცხველების სტილის საკითხების“ სადარი გამოკვლევა ჯერ არ შექმნილა ქართულ სტილისტიკაში. იგივე ითქმის საგირისა და იუმორისადმი მიძღვნილ ფუნდამენტურ ნაშრომზეც, პირველად 60 წლის წინათ რომ დაისტამბა: „ქართული საგირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“ დღემდე გოლუპოვარი, მართლაც შეუცვლელი გამოკვლევაა.

„ვაჟა-ფშაველას შემოქმედება“ (პირველად გამოქვეყნდა 1957 წელს). დღემდე აღიარებულია ვაჟაზე დაწერილ მონოგრაფიათა შორის საუკეთესოდ. ამაზე არცინ დაობს.

გრიგოლ კიკნაძე რაგინდარა თემატიკაზე მუშაობისას ფართო თვალსაწიერისა და დიაპაზონის მეცნიერი გახლდათ:

„როცა სპეციალისტი ღრმად ფლობს საკვლევ მასალას, მისი მსჯელობა დამაჯერებელია და საინტერესო არა მხოლოდ სათანადო დარგის წარმომადგენელთათვის.

როცა სპეციალისტი მონათესავე დარგების ვითარებაში საფუძვლიანად ერკვევა, მას შორს გახედვის შესაძლებლობა აქვს და ეს სპეციალურ საკითხებზე მსჯელობას სინათლეს მაკებს.

გრიგოლ კიკნაძე, ახალი ქართული ლიტერატურის სპეციალისტი, სრულად იცნობდა რუსულ კლასიკურსა და თანამედროვე საბჭოურ ლიტერატურას. გაუთვალისწინებელი არ რჩებოდა რუსული ლიტერატურათმცოდნეობის არც ერთი მნიშვნელოვანი გამოკვლევა (ვერმანული, ფრანგული, ინგლისური ლიტერატურის კლასიკოსთა ცოდნაც მოეპოვებოდა).

საუბედროსად იცოდა ფილოსოფიის ისტორია: ფსიქოლოგიის საკითხებზე მსჯელობა შეეძლო, როგორც სპეციალისტს (მუშაობდა დი. უზნაძესთან ფსიქოლოგიაში).

დიდსა და მრავალმხრივ ცოდნას ძლიერი სინთეზური ნიჭი ერთვოდა. ამას ნათლად გრძნობს მკითხველი, როცა ეცნობა გრიგოლ კიკნაძის ერცულ მონოგრაფიებს: „ქართული საგირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“, „მეცყველების სტილის საკითხები“. ასეთი გამოკვლევები დაამშვენებდა ლიტერატურათმცოდნეობას რაგინდარა ენაზე.

გრიგოლ კიკნაძის სასიცოცხლო საქმე იყო ვაჟა-ფშაველას შემოქმედების კვლევა, ამ დიდი ქართველი მწერლის ორიგინალური შემოქმედების სიღრმისა და თავისებურებათა მეცნიერული ანალიზი“ (არნოლდ ჩიქობავა).

„ძლიერი სინთეზური ნიჭით“ არის აღნიშნული ნაშრომები ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ილიასა და აკაკიმზე, დავით კლდიაშვილსა და გალაკტიონზე, გიორგი ლეონიძესა თუ ანა კალანდაძეზე...

„ძლიერი სინთეზური ნიჭი“ და უზარმაზარი ერუდიცია მსჭვალავს მონოგრაფიას „ქართული საგირისა და იუმორის განვითარების ისტორიისათვის“, რომელშიც დაუნჯებელია დიდძალი თეორიული და კონკრეტული მასალა, ზოგადად, საგირისა და იუმორის რაობაზე, გენეზისზე, საგირულ-იუმორისგული წარმოსახვის ხერხებსა და გენდენციებზე; ქართული საგირისა და იუმორის თავისებურებებზე ხალხურ სიგყვიერებაში, ძველქართულ თუ XIX საუკუნის მწერლობაში; ცალკე აღნიშვნის ღირსია წიგნის ბოლო, ერცული მონაკვეთი, რომელიც დავით კლდიაშვილის იუმორს ეხება.

ახლა, როცა უსაშველოდ გაიოლდა ნებისმიერი წიგნის გამოცემა („მხოლოდ“ ფულია საჭირო, სხვა არაფერი: ამის სავალალო ნაყოფს კი მკითხველი იშკის), – უსაშველოდ გაძნელდა საუბედროსად, ელიტარული მონოგრაფიების, სამეცნიერო თუ საცნობა-

რო ლიგერატურის გამოქვეყნება. სწორედ მათ რიგებს მიეკუთვნება გრიგოლ კიქნაძის ფუნდამენტური ნაშრომებიც, სრულიად „არარენგაბელური“. მაგრამ შეუცვლელი სამავადლო წიგნი პროფესიონალითაივის და მათთვისაც, ვისაც „ძლიერ უყვარს ლიგერატურა“.

და ბოლოს, კელაე ნოდარ კაკაბაძეს მოიუხმინოთ: „ბატონი გრიგოლის ცხოვრებას მაგალითის, ნიმუშის მნიშვნელობა აქონდა სხვა ცხოვრებათა შორის. ის ჭკუის სასწაულებელი უნდა იყოს შემდეგი თაობებისთვის იმ მხრივაც, რომ არაფერი ამქვეყნად უკვალოდ არ იკარგება, რომ, საბოლოოდ, აღრე თუ გვიან, ყველას და ყველაფერს საკადრისი მივლევება დამსახურებისამებრ...“

2004 წ.

სარგის ცაიშვილის გახსენება

საოცარი უნარი აქვს მეხსიერებას, – ის, რაც მივიწყებული გქონდა, სწორედ მაშინ ამოგივტივდება გონებაში, როცა საჭიროება მოითხოვს. ახლაც ასე მოხდა; თვალწინ მიდგას დაახლოებით ოცდაათი, ან ცოტა მეტი წლის წინანდელი ამბავი: ქართული ენციკლოპედიის ენისა და ლიგერატურის რედაქციაში, ქართული ლიგერატურის სამეცნიერო საბჭოს იმჟამინდელი თავმჯდომარის მოადგილე. შემდეგში – უცვლელი თავმჯდომარე სარგის ცაიშვილი, ღიღი სხდომის მოლოდინში, ჩვეულებისამებრ, ზოლთასა სცემს, თან მეუბნება: ახლა, როცა პირველი ქართული ენციკლოპედია მზადდება და ბევრი ცნობილი კაცი დადის თქვენთან, ყველაფერი უნდა ჩაიწერო, მომავალში ეს ფასდაუდებელი იქნებაო, და, ხუმრობით განაგრძობს, – დაწერ: ამა და ამ წელს, ამა და ამ რიცხვსა და თვეს, სხდომაზე ყველაზე აღრე მოვიდა სარგისი, მითხრა ესა და ეს და ა.შ.

ახალგაზრდა ვიყავი და წინდაუხედავი, სარგისის სიტყვები მხოლოდ ხუმრობა მეგონა. მას, როგორც „უფროსს“ კი აღვიქვამდი, მაგრამ მაშინ ორმოციოდე წლისა თუ იქნებოდა; ცნობილი და სახელიანი ლიგერატორი იყო, არც რეგალიები და წოდებები აკლდა და არც თანამდებობები. უკვე რამდენიმე მშვენიერი წიგნის ავტორიც გახლდათ.

ძალზე საინტერესო მოსაუბრე. „ხეობრდინაციას“ არად დაგიღედათ; ალბათ, ამიგომაც იყო ჩემთან უაღრესად გულახდილი (ბევრი საერთო ნათესაუი თუ ნაცნობ-მეგობარიც გვყავდა). ახლა მწარედ ვსანობ, რომ თავის დროზე არ გაეითვალისწინე მისი ხუმრობანარევი რჩევა.

იშვიათია ახალგაზრდა ლიტერატორი. „დაუღევარი“ რომ არ იყოს თავისი უფროსი თანამედროვის, თუნდაც მისთვის სათაყვანო პიროვნებისა და მწერლის მიმართ. მცდარია რწმენა, რომ სახვეალიოდ საქმის გადაღებით არაფერი დაშაელება, რომ საშური არ არის საინტერესო ნაუბარის დაუყოვნებლივ ჩაწერა, თარიღებისა ან სხვადასხვა ფაქტობრივ ვარემოებათა გამოკითხვა და ზუსტი აღნუსხვა. რაოდენ სამწუხაროა, რომ კაცასგროფულად მცირდება იოსებ გრიშაშვილის, გიორგი ლეონიძის, თედო სახოკიას, სოლომონ ცაიშვილის, ლევან ასათიანის, გაიომ იმედაშვილის, სოლომონ ხუციშვილის და სხვა მათებრ მწიგნობართა რაცხვი. სწორედ მწერალ-მწიგნობართა ამ გამორჩეულ კაცას მიეკუთვნებოდა სარგის ცაიშვილიც.

თუმცა ცხოვრებაშიც ბევრი გაუსაძლისი სიმწარე ჰქონდა ნაგემები, სარგის ცაიშვილი საოცრად გულგაუგებელი პიროვნება გახლდათ. „ცხოვრებამ შხამი მასშია, მე კახურ ღვინოდ შევირგე“ – მისი ღვეიში იყო. სიცოცხლის, სილამაზის, დროსგარების, მოგზაურობის, სპორტის დიდ გრფიალს (იყო სსრკ სპორტის ოსგაგი, 1983 წლიდან – საქართველოს მთამსვლელთა ფედერაციის უცელელი თავმჯდომარე), ყველაფერში პირველობის მოსურნეს, ბუნებით მომადლებულ ნიჭიერებასთან ერთად, უცნაური შინაგანი თვითღისციპლინა ჰქონდა, ამიგომაც ბევრსაც მიაღწია, თუმცა „კაბინეგის კაცი“ არამც და არამც არ ეთქმოდა. „მთელი თბიღისი“ იყო მისი სამეგობრო; ადამიანებთან ურთიერთობის დიდ ოსგაგს, ერთობ კომუნიკაბელურ და ხიბღიან პიროვნებას, სხვადასხვა ჯურის, პროფესიისა და დონის ხალხთან თანაბრად ეადვილებოდა ურთიერთობა; „დემოკრატიულიც“ იყო, მაგრამ ყველასთან ერთგვაროვანი – არა. უცდომელ აღღოს ავღენდა ადამიანის შეფასებაში. ჭეშმარიტი მეგობრობა კი, უპირაგესად, ე.წ. „სამოციანეღების“ გამორჩეულად ნიჭიერ წარმომადგენლებთან აკაკშირებდა, სწორედ ამ თაობასთან იყო იგი სისხღბორცეულ თუ სულიერ კავშირში. ბევრი მათგანი, ჩვენდა საეაღაღოდ, შემოქმედებით ზენიგში მყოფი გამოეთხოვა სააქაღს.

თავის თაობასთან სარგისს ხილალე და თავისუფლება. უარით თვალსაწიერი და ინტერესთა მრავალფეროვნება აკავშირებდა.

ძველი ქართული ლიტერატურის მკვლევარ-სპეციალისტს, პროფესიონალ რუსთველოლოგს, თითქოსდა სარბიელი ეყო-გავებოდა. ის თითქოს იზიარებდა კომპა პრუტკოვის „შეგონებას“ – „Специалист подобен флюсу“ – და ერთნაირი წარმატებით იკვლევდა ძველი თუ უახლესი ქართული მწერლობის საკითხებს, იყო ბრწყინვალე ესეისტი, კრიტიკოსი და პუბლიცისტი.

ახალგაზრდობიდანვე გამოიჩინა ორგანიზატორის, ლიდერის უნარით: 1966 წელს რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის განყოფილების გამგედ დაინიშნა, 1968 წელს ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი გახდა, 1983 წელს – საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი; 1984 წლიდან ლიტერატურის ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე იყო სამეცნიერო დარგში, 1989 წლიდან – ამავე ინსტიტუტის უცვლელი დირექტორი. 1964 წლიდან იყო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის გამგე; აგრეთვე კითხულობდა ლექციებს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და უცხო ენათა ინსტიტუტში...

ამ მშრალი ჩამონათვალითაც ცხადდება სარგის ცაიშვილის დიდი წვლილი ქართული ლიტერატურის ისტორიაში. ამისი დასტურია მისი, გადმოცემის ნათელი და მიმზიდველი სტილით გამორჩეული, სამეცნიერო ნაშრომები და წიგნები; ფუნდამენტური გამოკვლევები და მონოგრაფიები, ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები და ესეისტური ნარკვევები. ავტორია მრავალი წიგნისა, მათ შორის აღსანიშნავია: „ვეფხისტყაოსნის გექსტის ისტორია“, ტ. 1-2, 1970 წ., „ლიტერატურული წერილები. წინამორბედნი და თანამედროვენი“, 1977 წ., „მარადიული სახეები“, 1981 წ., „ლიტერატურული ეტიუდები“, 1984 წ., „ვეფხისტყაოსნის ხელნაწერები და პოემის გექსტის ისტორია. წერილები და გამოკვლევები“, ტ. 1, 1984 წ., „ძველი ქართული მწერლობა. წერილები და გამოკვლევები“, ტ. II, 1985 წ., „წინამორბედნი და თანამედროვენი. წერილები და გამოკვლევები“, 1986 წ. და სხვა.

მასვე ეკუთვნის წერილები ვახტანგ ორბელიანსა და ნიკოლოზ ბარათაშვილზე, ვაჟა-ფშაველასა და გალაკვიონზე, ნიკო ლორთქიფანიძესა და ლეო ქიჩიელზე, კონსტანტინე გამსახურდიასა და

ლევან ვოთკაბე, გიციან ჭაბიძეზე, ვაიორგი ლეონიძეზე, სიმონ ჩიქოვანზე და ბეერ, ხაკლებად ცნობილ და უსამართლოდ მივიწყებულ მოღვაწეზე.

შესაძლოა, დღეს ნაადრევი იყოს სარგისზე მოგონებების წერა; ჩვენი მრავალწლიანი თანამშრომლობიდან მხოლოდ ორიოდე ეპიზოდი მინდა გავიხსენო იმის ნათელსაყოფად, თუ როგორი უნდა იყოს ჭეშმარიტი პროფესიონალი და მშობლიური მწერლობის უანგარო მსახური.

პირველი ქართული ენციკლოპედიის გამოცემას ბევრი სირთულე ახლდა; ნუღიდან ვიწყებდით; თუმცა სამეცნიერო რედაქტორები გვერქევა, რედაქტორებიც ვიყავით, კორექტორებიც და კურიერებიც. მაგრამ ჩვენ ხელფასი მაინც გვექონდა, ავტორებს და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარეებსა თუ წევრებს კი თითქმის უანგაროდ უხდებოდათ მუშაობა. სარგისი, როგორც მაშინ ამბობდნენ, – საბოგადობერიც საწყისებზე, ე.ი. უფულოდ, – ენციკლოპედიის დაარსებიდანვე ხალისითა და დაუსყვედრებლად გვეხმარებოდა. გაღაუჭარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მან დიდი ამაგი დასდო „ქსე“ II-ტომეულის გამოცემას, როგორც ერთ-ერთი საუკეთესო ავტორმა და სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარემ.

დამწყები რედაქტორი ვიყავი, მაგრამ ჩვენი მუშაობის სპეციფიკიდან გამომდინარე, საგანგებოდ შევიისწავლე საენციკლოპედიო სტილი. ჩემდა გასაოცრად, მალე აღმოვაჩინე, რომ ჩვენს ლიგურატურათმცოდნეთა დიდ ნაწილს არ ექონდა საენციკლოპედიო მუშაობის გამოცდილება. ცნობილ ავტორთა მოგი სტაგია არამეტო საფუძვლიანად სარედაქციო, არამედ თავიდან დასაწერიც კი იყო. მოგვიანებით, როცა გავიწაფე, ეწერდი კიდეც თავიდან (რასაკვირველია, ავტორის სტილის თავისებური იმიტაციით). მაშინ კი, ერთი, უმაღლესი რეგალიებით აღჭურვილ ავტორს თქმაც კი ვერ გავუბედე, რომ მისი წერილი ენციკლოპედიისათვის გამოუსადეგარი გახლდათ. დიდ საგონებელში ჩავევარდი, მდგომარეობა გამოუვალი მეგონა; ისევ სარგისს მივმართე რჩევისათვის. იგი სწრაფად გაერქვა საქმის ვითარებაში და ერთადერთი სწორი გადაწყვეტილება მიიღო. სრულიად ახალი, ბრწყინვალე სტაგია დაწერა, ავტორის გვარი კი იგივე დაგოვა. ჩემი შიში, რომ ავტორი ვერ „იცნობდა“ თავის წერილს და გაჯავრდებოდა, სიცილადაც არ ეყო. დამარწმუნა, რომ აე-

გორი სიამოვნებით მოაწერდა ხელს მის ნახელაქს. რასაკვირველია, ასეც მოხდა: პაგარა საიღუმლო ბოლომდე „გაუცხადებელი“ დარჩა, ჩემთვის კი ეს ამბავი საქმის ერთგულების და უანგარობის გაკეთილი იყო.

ერთხელ, როცა სარგისის სტაგიაში პაგარა ლაფსუქს გადავაწყდი (უბრალო რამ იყო, გავგოლოგის მსგავსი – „ჩეჩემური ნიშნები“ – „სევმა“ ბერძნულად ნიშანია), დაუკისხავად ჩასწორება ვერ გავბედე; დიდი მორიდებით მიეუთითე შეცდომამე, მიკიბმოკიბულად, ისე, რომ არ წყენოდა. მაშინვე მიმიხვდა „ემშაკობას“, გაეცინა, წამსვე შეასწორა გექსტი, შემაქო კიდევაც და გარემოების შესაფერი ანეკდოციე მოაყოლა (სწორედ ამ ანეკდოცის წყალობით, დღემდე მახსოვს ეს ამბავი): ერთმა კარგმა მეცნიერმა (თუ არ ვცდები, იუსტინე აბულაძემ), – „შეთაესებით“ წითელ პროფესორს, ფაქტობრივად კი – ინტელიგენციის „რისხვას“, ცკ-ს იმჟამინდელ მდივანს, – ნაწერში საშინელი „ლლაი“ ანუ აშკარა უწიგნურობა აღმოუჩინა, მაგრამ პირდაპირ ხომ ვერ ეტყოდა! მხოლოდ ის შეკბედა მოიარებით, – თქვენ რომ ციწერიათ, კარვია, მაგრამ სხვაგვარადაც შეიძლებოდაო და ერთადერთი სწორი ვარიანტი შესთავაზა!

თვითონ სარგისის საოცრად გამჭრიახი, ნამდვილი რედაქტორის და სტილისტის თვალი პქონდა; ამაში არაერთგზის დაერწმუნებულეარ, როცა საენციკლოპედიო სტაგციებს კითხულობდა და მერეც, როცა მის მიერვე დაარსებულ „ლიტერატურასა და ხელოვნებას“ რედაქტორობდა. სწორედ ამ ჟურნალში გამოვაქეყენე ვრცელი სტაგცია, გრიგოლ რობაქიძის სალექციო მოლვაწიობას და არჩილ ჯორჯაძის, გრიგოლ რობაქიძისა და დიმიტრი უზნაძის პოლემიკას რომ ასახავდა. მართალი გითხრათ, საკმაოდ პედანტურად ვკითხულობ ხოლმე კორექტურას, რადგან თაემარს მცემს ჩემს სტაგციებში გაპარული თუნდაც უმნიშუნელო შეცდომა. სასტაკად შეეწუხდი, როცა სარგისმა პუბლიკაციის ბოლო კორექტურაში, სრულიად სამართლიანად, „პლაგონი“ „პლოგინედ“ შემიცვალა. ჩემი თვითგეემისა თუ მაღლიერების გადაჭარბებულ და აშკარად სასაცილო გამოხატვას, სარგისი ადეკვატურად – სიცილით შეხვდა; თუმცა, მომავალში უფრო ფხიზლად იქნებო, ეს კი მითხრა.

ცალკე შინდა გამოვეყო სარგის ცაიშვილის ერთი გრადიციული ქართული თვისება თუ ღირსება – პაგციისცემა უფროსუმი-

ცროსობის ინსტიტუტისადმი. იგი იმ იშვიათი ადამიანთაგანი იყო დელას „ოქვენობით“ რომ მიმართავენ (ამის მოწმე ბევრჯერ ეყოფილვარ). შეიძლება ითქვას, რომ ასეთივე მოწინააღმდეგე აღენდა ის წინამორბედ ქართველ მეცნიერთა მიმართაც. უჭველია, რომ ეს თვისება მას ოჯახიდან მოსდგამდა. ამ მხრივ სანიმუშოა მისი წერილები ივანე ჯავახიშვილზე („მოდლვართმოდლვარი“), კორნელი კეკელიძეზე („სახელოვანი მეცნიერის დიდი მემკვიდრეობა“), აკაკი შანიძეზე („ქართული ენის იღუმალ სამყაროში“), ვუკოლ ბერიძეზე („ვუკოლ ბერიძის გამოუქვეყნებელი ნაშრომი“), გიორგი წერეთელზე („მეცნიერების მაღალი მწვერვალები“), ალექსანდრე ბარამიძეზე („რუსთაველის გამოჩენილი მკვლევარი“), გაიოზ იმედაშვილზე („ძველი ქართული კულტურის სამსახურში“), ლევან ასათიანზე („ჩინებული მკვლევარი და ლიტერატორი“) და სხვა.

სარგისი საკმაოდ მოურიდებელი პოლემისტი იყო, მაგრამ, თუკი უფროს კოლეგას ეპაექრებოდა, ყოველთვის თავაზიანობისა და კორექტულობის ფარგლებს ინარჩუნებდა. მისთვის სრულიად უცხო იყო მგრული და მწუავე დაპირისპირება საერთოდ და, კერძოდ – თაობათა შორის (ახლა ხომ „მოდაშია“ ნაირგვარი კონფრონტაცია, მათ შორის, – „მამათა“ და „შეილთა“). როცა ინსტიტუტის დირექტორი გახდა, სარგისმა სრულად გაამქლავნა ლიდერის თვისებები; დიდი ყურადღებით მოეკიდა სწორედ შეილების თაობას და სანიმუშო ქურნალის, „ლიტერატურა და ხელოვნების“ გარშემო შემოიკრიბა (მათ შორის – ჩინებული ახალგაზრდა ლიტერატორი სოლიკო ცაიშვილიც).

მას სურდა სხვადასხვა თაობის საუკეთესო წარმომადგენელთა ძალისხმევა ერთიან კალაპოტში მოექცია და ქართული მწერლობის კვლევის სასიკეთოდ წარემართა. მთელი მისი შემოქმედება დარღვეული „დროთა კავშირის“ გამთლიანების წარმატებული მკვლევრობა გახლდათ, რომელსაც საფანელად ედო უღრმესი პატივით. არ არის შემთხვევითი, რომ არჩილ სულაკაურისადმი მიძღვნილი წერილი ასე დაასათაურა: „ნიჭი მამულის სიყვარულისა“.

მამულის სიყვარულით იყო შთაგონებული მისი მშვენიერი ესეისტური ნარკვევიც „თუშეთის ბელი“, რომელსაც მსჭვალაედა „ფიქრიანი სეედა თუშეთის ხვალინდელ დღებზე“. ამ წერი-

ლის „ლიტერატურულ საქართველოში“ გამოქვეყნებიდან 35 წელია გასული. მაგრამ ჩვენდა სავალალოდ, საქართველოს ბევრი ძირძველი, საზღვრისპირა კუთხე კვლავ იგივე საფრთხის წინაშე დგას.

დღეს, ჩახვერად თავისუფალ და სახვერად დაშოკილებულ (დე ფაქტო) საქართველოში, როცა ბევრი ჩვენი ცრუპოლივაწე „პარტიულ“ ენებათა ჭიდილსაა გადაყოლილი, ხოლო „ნიჭი მამულის სიყვარულისა“, ძირითადად მწერლობის „პრეროგატივა“, – კვლავ საგანგაშოდ და წინასწარმეტყველურად ქვეყნის სარგის ცაიშვილის გკივილიანი სიტყვები:

„შემზარავ შთაბეჭდილებას ასდენს მნახველზე უპაგრონოდ მიტოვებული თუშეთის ულამაზესი სოფლები, ჩაქცეული ჭერხობები, თვალდათხრილი სახლები, რომელთაც უკაცრიელობის მაჩვენებელი შამბნარი დაუფლებია.

...დაიცალა და უკაცრიელი გახდა საუკუნეთა მანძილზე სისხლითა და ოფლით მორწყული საქართველოს უაღრესად მნიშვნელოვანი მხარე და ამას შეიძლება ხვალ კიდევ უფრო სავალალო შედეგი მოჰყვეს.

ამასთან დაკავშირებით მახსენდება ერთი დიალოგი, რომლის მონაწილენი იყვნენ ნოდარ დუმბაძე და ორი ახალგაზრდა ლეკი, რომლებსაც საქონელი გამოიერეკათ მთათუშეთში. შეკითხვაზე, თუ რამ გამოიწვია მათი ეს ნაბიჯი, მათ მშვიდად და სრულიად აუღელვებლად უპასუხეს: ამ მშვენიერ ადგილებს უკაცობა არ უხდება და მიწას თუ არ უპაგრონე, ეს ძველთაგან ნათქვამია, თვითონვე გაიჩენს ახალ პაგრონებსო.

მე მგონი ამ საუბარს განზოგადოება არ სჭირდება, ისედაც ნათელია ყველაფერი“.

მართლაცდა, ქართული ანდაზისა არ იყოს, „უპაგრონო ეკლესიას ეშმაკები ეპაგრონებიან“...

სარგისის წასვლა ამ ქვეყნიდან იმ ავადმოსავონარ წლებს დაემთხვა, როცა ხანმოკლე ეიფორიას ძმათაკელით გამოწვეული ელდა და უსამანო სასოწარკვეთა ენაცულებოდა. ვინ იცის, იქნებ ამანაც დააჩქარა მისი უდროო აღსასრული.

ბუნებით მეგრძოლმა, ახალგაზრდობიდანვე იწვინია საკმარისი სიმწარე იმისათვის, რომ საკუთარ ნაჭუჭში გამოკეტილიყო; მაგრამ გარეგნულად არას იმჩნევდა, თუმცა გულში ინახავდა ნაჭდეებს. როცა სწორედ გულმა უმტყუნა, ახლა აყადმყოფობას

შეებრძოლა ჩვეული შეუქოიერობით, ერთხანს გამოკეთდა კიდეც და შეეცადა ყველაფერი თავიდან დაეწყო, მაგრამ აქაც უძახთ-
ლა ბედმა...

გარდაიცვალა ასი წლის წინ, 1992 წლის 18 მაისს, თან წაიყ-
ოლა დიდი გულისტკივილი, განუხორციელებელი შემოქმედები-
თი გეგმები და სევდა სამშობლოზე.

2002 წ.

ლუიჯი მაგაროტოს „ქართული არქალი“ გვესაუბრება იგალიელი ქართველოლოგი

ლალი ავალიანი: ქართველი მკითხველი დიდად ემაღლიერე-
ბა და ღირსეულ პატივს მიაგებს ცნობილ უცხოელ ქართვე-
ლოლოგს, მთარგმნელს, იგალიელ მეცნიერს ბაგონ ლუიჯი მაგა-
როტოს. ვენეციის უნივერსიტეტის სწავლული იკვლევს ქართულ
მწერლობას, 10-იანი – 20-იანი წლების ქართულ ლიტერატუ-
რულ დაჯგუფებებს, თარგმნის ქართველი პოეტების (ილია ჭავ-
ჭავაძის, გალაკიონ ტაბიძის, გიციან ტაბიძის და სხვ.) თხზულე-
ბებს; იგი არის უნიკალური წიგნის „აენგარდიში თბილისში“
(ვენეცია, 1982 წელი) ერთ-ერთი მესვეური და თანაავტორი. ბა-
გონი ლუიჯი მაგაროტო განსაკუთრებით ნაყოფიერად იღვწის
ბოლო წლებში. ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის შესაბამის
გომში, რომელიც 1983 წელს დაისტამბა, ცხადია, ვერ მოესწრო
ბიო-ბიბლიოგრაფიული წერილის მოთავსება ჩვენი კულტურით
დაინტერესებულ ახალგაზრდა იგალიელზე. ამ ხარვეზს უახლოეს
წლებში გამოასწორებს ქართული ენციკლოპედიის საბჭომეული.

ახლა კი ეთხოვთ ბაგონ ლუიჯის თავად გაეცნოს მკითხვე-
ელს, ოღონდ ნუ შემოიფარგლება ოფიციალური, მწირი და მშრალ-
ი სალექსიკონო მონაცემებით; მოგვითხროს ისე, როგორც
შეჟფერის ახლობელს – იგი ხომ ქართველების გულითადი მე-
გობარია.

ფართო საზოგადოებას სურს გაიგოს ისიც, თუ რამ დაუდო
სათავე იგალიელი ლიტერატორის ქართული მწერლობით დაინ-
ტერესებას.

ლუიჯი მაგაროტო: დაიბადა ქალუაში, 1942 წლის 15 სექტემბერს. 1970 წელს წარჩინებით დაავამთავრე ვენეციის უნივერსიტეტის უცხო ენების ფაკულტეტი (ძირითადი უცხო ენა – რუსული). სადიპლომო ნაშრომზე მუშაობისას (ელადიშერ მაიაკოვსკის ჟურნალი „ლეფი“) მიმაჯღინეს მოსკოვის უნივერსიტეტში. სადაც ცხრა თვე დაეყავი. ერთხანს პარიზის უნივერსიტეტშიც გახლდით ფრანგულ ენასა და ლიტერატურაში დასაოსტატებლად. 1971-74 წლებში ეასწავლიდი ფრანგულ ენასა და ლიტერატურას პადუის საშუალო სკოლაში.

1975 წელს, სათანადო კონკურსში გამარჯვების შედეგად, ვენეციის უნივერსიტეტში რუსული საბჭოთა ლიტერატურის სწავლების უფლება მოვიპოვე. ეს წელი შეიძლება ჩაითვალოს ქართული ენითა და ლიტერატურით ჩემი საგანგებო დაინტერესების თარიღადაც. იმ დროისათვის უკვე წაკითხული მქონდა რამდენიმე თქვენი თანამემამულე პოეტის თხზულებანი: მოსკოვში სტაჟირებისას გავეცანი ნიკოლოზ ბარათაშვილის, გიციან გაბიძის, სიმონ ჩიქოვანის და სხვა ქართველ პოეტთა ბორის პასტერნაკისეულ რუსულ თარგმანებს.

ვენეციის უნივერსიტეტი არ მზღუდავდა არჩევანში: რუსული საბჭოთა ლიტერატურის პარალელურად, შემძლო მემუშავა სხვა ქვეყნების მწერლობაშიც. ეს კი საშუალებას მაძლევდა ვზიარებოდი მომხიბლავ ქართულ სამყაროს, რის უპირველეს პირობადაც ქართული ენის შესწავლა მესახებოდა. ამ მიზნით მგკიცედ გადავწყვიტე გაემგზაერებულიყავი ლონდონში, სადაც რამდენიმე თვე დაეყავი ცნობილ „აღმოსავლურ და აფრიკულ ენათა სკოლასა“ და „დედოფალ მერის კოლეჯში“. თავდაპირველად ასე გავეცანი ქართულ ენას; რა თქმა უნდა, ეს იყო მხოლოდ ანაბანის დაუფლება, ელემენტარული წარმოდგენის შექმნა ამ ურთულეს ენაზე. ლონდონიდან კავკასიური სამყარო კვლავ ძალზე შორეულად და მიუწვდომლად მეჩვენებოდა.

1976-77 სასწავლო წელს პირველად გაძეხსნა გზა საქართველოსაკენ, სადაც საში თვე ესწავლობდი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტში. ამის შემდეგ ხშირი სტუმარი ვარ თქვენი ღელაქალაქისა; ნაბიჯ-ნაბიჯ ვეუფლებოდი ქართულ ენას, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა თუ საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებში საუკეთესო მასწავლებელთა შემწეობით ვიღრმავებდი ცოდნას.

ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც დამოუკიდებლად წავიკითხე და მოვიძიე კიდეც ჩემთვის საჭირო მასალა. უცებ ვიგრძენი, რომ აღარ ვიყავი უცხო სტუმარი; გავეჩინაურდი თბილისის არქივებსა და წიგნთსაცავებს. დახმარებისთვის მივმართე თავისი საქმის ჩინებულ მკოდნეებს; ჩაველრძავედი ჩემთვის საინტერესო საკითხებს, ამავე წლებში დავიწიე ცალკეული ქართველოლოგიური ნაშრომების პუბლიკაცია. ასე მაგალითად, 1978 წელს ვენეციის უნივერსიტეტის „ანალებში“ გამოეაქვეყნე „ავანგარდიზმი და კლასიციზმი გალაკიონ გაბიძის შემოქმედებაში“, რაც წინასიტყვაობად წავეუძღვარე ჩემს მიერ იგალიურ ენაზე თარგმნილ გალაკიონის 19 ლექსს. ეს ლექსები განმეორებით დაისტამბა თბილისში 1985 წელს. ამ ორენოვან გამოცემას წინ უძღოდა საგანგებოდ დაწერილი ნარკვევი „დაკარგული მშვენიერების ძიებაში“. ამას მოჰყვა მეცნიერულ-კრიტიკული ვრცელი გამოკვლევა „ქართული ავანგარდიზმის ისტორია და თეორია (1915-1924)“ (კოლექტიური ნაშრომი „ავანგარდიზმი თბილისში“, ვენეცია, 1982 წელი); „ნიკოლოზ ბარათაშვილის ლექსის „შემოღამება მთაწმინდაზე“ კრიტიკისათვის – სულის დაღადისი“; „რომანტიკული ამბოხი – ნიკოლოზ ბარათაშვილი და ჯაკომო ლეოპარდი“ (ეურნალი „გეორგიკა“, იენა, 1985 წელი); „ვაჟა-ფშაველას ეპიკური პოეზია“ („გეორგიკა“, № 1, ვენეცია, 1985 წელი); ვენეციური „გეორგიკას“ მე-2 ნომერში, რომელსაც მალე მიიღებს ქართველი და იგალიელი მკითხველი, დაიბეჭდება ჩემი წერილი „სოციალური საკითხი ილია ჭავჭავაძის კრიტიკულ და მხატვრულ ნააზრევში“. ამჯერად ეს ვიკმართო, საუბრისას ყველა ნაშრომს ხომ ვერ ჩამოვთვლით.

ქართული მწერლობით, საერთოდ, ქართული კულტურით ჩემს (და ალბათ, ბევრი სხვა უცხოელი მეცნიერის) დაინტერესებაში განსაკუთრებული წვლილი მიუძღვის ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ საერთაშორისო სიმპოზიუმებს, როგორც იგალიაში, ასევე საქართველოში. 1979 წელს ბერგამოსა და ვენეციაში გამართულ, ამიერკავკასიის კულტურის საკითხებისადმი მიძღვნილ I საერთაშორისო სიმპოზიუმზე წავიკითხე მოხსენება ეურნალ „ცისფერი ყანწების“. მესახებ; 1980 წელს ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ III საერთაშორისო სიმპოზიუმზე, რომელიც გაიმართა საუნივერსიტეტო ქალაქებში ბარსა და ლეჩეში, წარვსდექი მოხსენებით „ყაჯარული მხატვრობის გაელენა ლადო გუ-

ღაიშვილის ხელოვნებაზე“; ასევე, აქტიური მონაწილეობა მიიღო ქართული ხელოვნებისადმი მიძღვნილ პავიასა და ვარეშეში გამართულ V საერთაშორისო სიმპოზიუმის ორგანიზაციაში, 1986 წელს.

1987 წელს მოწვეული ვიზაჟი დიდი ქართველი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის ილია ჭავჭავაძის დაბადების 150 წლისთავის იუბილეზე თბილისში. ამ თარიღისადმი მიძღვნილ საკავშირო სამეცნიერო სესიაზე წავიკითხე მოხსენება „მშერის პოეტიკა ილია ჭავჭავაძის პოემაში „განდევილი“.

ღალი ავალიანი: თქვენი კრებული „ავენგარდიზმი თბილისში“ იმთავითვე მოექცა ყურადღების ცენტრში – მას გამოეხმაურა, პირდაპირ უნდა ითქვას, ქართული ლიტერატურული ელიტა. რიგითი მკითხველი მას ეურნალ „მნათობში“ დასტამბული ერცელი წერილით გაეცნო; შოთა რუსთაველის სახელობის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტშიც საგანგებოდ განიხილეს ეს კრებული. წიგნიც და მისი ერთ-ერთი მესვეური ლუიჯი მაგაროტოც პოპულარული არიან თბილისში. სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს ამ წიგნის პოპულარობის ერთგვარად ზედაპირული ხასიათი, რადგან, სამწუხაროდ, დღემდე ვერ მოხერხდა კრებულის, ჩემი აზრით, უმნიშვნელოვანესი წერალის – თქვენი „ქართული ავენგარდიზმის ისტორიისა და თეორიის (1915-1924)“ თარგმნა და გამოქვეყნება. ვიმედოვნებ, რომ ახლო მომავალში ქართველი მკითხველი მშობლიურ ენაზე გაეცნობა ამ ნარკვევს.

ზოგიერთმა ქართველმა მკვლევარმა „ავენგარდიზმი“ მეტად ბუსგ და მოხდენილ სიტყვად მიიჩნია და დანერგა კიდეც ეს ტყეადი ცნების გამომსატყევი ტერმინი სამეცნიერო „ბრუნეაში“.

ლუიჯი მაგაროტო: ტერმინი „ავენგარდიზმის ხელოვნება“ შემოიღეს საყოველთაოდ გავრცელებული „დეკადენტიზმად“ წოდებული მიმართულების გაქრობის შემდეგ, ჩვენი საუკუნის დასაწყისში წარმოქმნილ ახალ მხატვრულ-ლიტერატურულ მიმდინარეობათა აღსანიშნავად. ტერმინი ნეოლათინური წარმოშობისაა, აქედანვე გავრცელდა ის ტერმანულ და ინგლისურენოვან ქვეყნებშიც. ამავე ფენომენის აღსანიშნავად მხოლოდ საბჭოთა ლიტერატურათმცოდნეობაში დამკვიდრდა ტერმინი „მოდერნიზმი“, რომელიც მკვეთრად დაუპირისპირეს სოციალისტურ რეალიზმს. ამდენად, ტერმინმა შეიძინა უარყოფითი, დამამცირ-

ებელი მნიშვნელობაც. რამეთუ ეს „მოღერნისგული“ მიმდინარეობანი თითქოსდა მხოლოდ ძირმოძპალი ბურჟუაზიული წყობილებისათვის იყო დამახასიათებელი.

კურიოზული ის არის, რომ თავდაპირველად „მოღერნიზმი“ იყო მიმდინარეობა, წარმოქმნილი კათოლიკური ეკლესიის წიაღში XIX საუკუნის ბოლოს! ის რელიგიური დოქტრინის ახალ ინტერპრეტაციას ჯეტაფაზობდა უახლესი აღმოჩენების შესახებ. პაპი ლეონ XIII მგრულად არ შეხვედრია ლიბერალიზმის გამოვლენის ამ გენდენციას ქრისტიანულ სარწმუნოებაში. მაგრამ 1907 წელს პაპმა პიუს X-მ სასტიკად დაგმო ეს ე.წ. „მოღერნისგული“ კონცეფცია და აკრძალა კიდევ თავისი ენციკლიკით.

ეს რაც შეეხება „აუანგარდიზმსა“ და „მოღერნიზმს“... თუმცა სიგყვა ვამიგრძელდა, სჯობს ისევ „ცისფერ ორღენს“ დაეუბრუნდეთ.

ლალი ავალიანი: პირადად მე ლუიჯი მაგარიოგოს სახელი 1979 წელს გავიგე, როცა იგალიის ქალაქებში – მილანში, ბერგამოსა და ვენეციაში ამიერკავკასიის კულტურის საკითხებისადმი მიძღვნილი საერთაშორისო სიმპოზიუმი გაიმართა. იგალიიდან დაბრუნებულმა ქართველმა მეცნიერებმა ჩამოიგანეს თქვენი მოხსენების ამბავი, მოხსენებისა, რომელშიც განიხილაულთ „ცისფერი ორღენის“ დეკლარაციათა მიმართებას იგალიური ფუტურნიზმის მანიფესტებთან.

შეიძლება არც იცოდეთ, რომ ჟურნალ „ცისფერი ყანწების“ პირველი ნომრის გამოსვლისთანავე, 1916 წელს ერთმა ქართველმა კრიტიკოსმა პაოლო იაშვილის „პირველთქმას“ „სიმბოლისტური მართლწერის მიხედვით შესწორებული მარინეტი“ უწოდა (გაზეთი „სამშობლო“, 1916 წელი, №457).

იმ დროისათვის საქართველოში ხელი მიუწვდებოდათ რუსი ფუტურისტის ვადიმ შერშენევიჩის მიერ 1914 წელს თარგმნილ და მოსკოვში გამოცემულ წიგნზე „Манифесты итальянского футуризма“. ჩვენში ამ წიგნის პოპულარობაზე ისიც მეტყველებს, რომ ერთმა იმდროინდელმა გაზეთმა საჭიროდ მიიჩნია გაეცნო მკითხველისათვის მარინეტის ბოგიერთი მანიფესტის თარგმანი.

1967-68 წლებში, „ცისფერ ორღენზე“ მუშაობისას, შეენიშნე რამდენიმე თითქმის სიგყვასიგყვითი დამთხვევა მარინეტის, იგალიელ მხატვარ-ფუტურისტთა და ფრანგი ფუტურისტი ქალის ვალენტინა დე სენ პუანის მანიფესტებისა პაოლო იაშვილის „პირველთქმასთან“.

ამ პატივსაცემ პრობლემამ, ცხადია, განსაკუთრებული მნიშვნელობა და სიღრმე სწორედ მაშინ შეიძინა, როცა ეს საკითხი მარინეცის თანამეცამულე ქართველოლოგმა გამოიკვლია.

გოხოვით, მოკლედ მაინც გადმოგვცეთ თქვენი კვლევის შედეგები.

ლუიჯი მაგაროტო: ძალზე მოხარული ვარ, რომ გაზეთ „სამ-შობლოში“ გამოთქმული შენიშვნა (თუ არ ვცდები, ამ მოსაზრებას თქვენს მიერ პაოლო იაშვილზე დაწერილ მონოგრაფიაში გავეცანი), დაეძახება იმას, რასაც მე უფიქრობდი „ცისფერყანწელთა“ მანიფესტებზე: ასევე მინდა კმაყოფილებით აღვნიშნო, რომ ვაღიმე შერშენევიჩის მიერ 1914 წელს რუსულად თარგმნილი იგალიური ფუტურიზმის მანიფესტები ეგზომ პოპულარული ყოფილა საქართველოში. თუ ყოველივე ზემოთქმულს დავეუმატებთ იმ ფაქტს, რომ პაოლო იაშვილი ერთხანს ცხოვრობდა და სწავლობდა პარიზში, სადაც 1909 წლის 20 თებერვალს მარინეტიმ „ფიგაროში“ გამოაქვეყნა თავისი ცნობილი მანიფესტი, შეიძლება დავასკენათ, რომ „ცისფერყანწელები“ ძალიან კარგად იცნობდნენ ფუტურისტული მოძრაობის დამცველ თეორიებს.

რაც შეეხება პაოლო იაშვილის მანიფესტს „პირველთქმას“ (ეურნალი „ცისფერი ყანწები“, 1916. № 1) მასში შეინიშნება ევროპული და რუსული ორივე მიმართულების – სიმბოლიზმისა და ფუტურიზმის ელემენტების თანაარსებობა.

უწინარეს ყოვლისა უნდა გვახსოვდეს, რომ პაოლო იაშვილის მანიფესტი შეიცავდა ყველა იმ ნიშან-თვისებას, რაც დამახასიათებელი იყო სწორედ ავანგარდისტული დაჯგუფებისათვის და არა სიმბოლისტური სკოლისათვის. „პირველთქმის“ ლექსიკური და სტილისტური ფაქტურაც (კონტრასტულობა, გამოხატვის ერთგვარად არაბუნებრივი, ხელოვნური მანერა, ეზოთერული ენა, გასაგები მხოლოდ „განდობილთათვის“, ამკარა, თუმცა ახლებური მიბაძვა სიმბოლიზმისა და სხვა), დიდად იყო დავალებული იგალიელი თუ რუსი ფუტურისტების მოწოდებებისაგან.

პაოლო იაშვილმა განახორციელა პოსტსიმბოლისტური თეორიული ოპერაცია, რათა შეერწყა ახალი ავანგარდისტული მიღწევანი სიმბოლიზმის საუკეთესო მონაპოვართან.

აქ ალბათ არ მოხერხდება პაოლო იაშვილის მანიფესტის დეტალური გაანალიზება, მხოლოდ რამდენიმე მაგალითს მივმართოთ: პაოლო იაშვილი დაჟინებით ხმარობს ეპითეტს „გაბეღუ-

ლი“. რაც იგაღიური მანიფესტების ერთ-ერთი ამოსავალი წერტილია; უფრო მეტიც იგი უარყოფს წარსულს. ნგრევის, ხმაურის. სინქარის მქადაგებელია; დასასრულ, ის ოცნებობს „რომ საქართველო გადაიქცეს უსაზღვრო, მეოცნებე ქალაქად. სადაც ცოცხალი ქუჩების ხმაურობა შესცვლის ყვაილოვანი ველების ბურმუხგობას“.

აქ უთუოდ ვხედავთ მსგავსებას მარინევისეულ ფაბრიკებისა თუ შახგების, ინგენსიური ქალაქური ცხოვრების აპოთეოზთან.

უნდა აღინიშნოს, რომ პაოლო იაშვილი ხარკს უხდის სიმბოლიზმსაც და ნაწილობრივ პარნასის სკოლასაც, განსაკუთრებით მაშინ, როცა აშკარად მიმართავს სინთეზს. მისთვის სიმბოლისტური თეორიები საწყისია. ერთგვარი მყარი საფუძველია, ამასთან – სტიმულია აშკარად ავანგარდისტული შეხედულებების ქადაგებისათვის.

ვგონებ საკმარისია, რაც უკვე ითქვა.

ღალი ავალიანი: ქართულ ლიგერატურათმცოდნეობაში დღემდე აზრთა სხვადასხვაობაა „ცისფერი ორდენის“ თაობაზე. ბევრი მკვლევარი მას „ქართულ სიმბოლიზმთან“ აიგივებს. ჩემი აზრით, ეს თითქმის საყოველთაოდ აღიარებული თვალსაზრისი არააზუსტია. თავიანთი „მოვლენის“ პირველ ორ-სამ წელიწადს „ცისფერყანწელები“ სიმბოლიზმის ერთგულებას ფიცულობდნენ. შემდეგში მათ ხაოცარი „გულმაეიწყობა“ დასჩემდათ: „ცისფერყანწელთა“ მხატვრულ შემოქმედებაში უფრო ხშირად გუგულებელყოფილია სიმბოლიზმის დოგმატი, ვიდრე დაცული; მათს თეორიულ წერილებშიც სიმბოლიზმის მეტრები თუმცაღა დიდი აღფროთოვანებით იხსენებიან, თვით ლიგერატურული მიმდინარეობისადმი ერთგულება არ ჩანს.

„ცისფერი ორდენი“ ჯერ კიდევ ელის პირუთენელ მემატიანეს; აქამდე წარმოებული კელევა მაინც მიგვანიშნებს, რომ „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის „ქართულ სიმბოლიზმად“ (ფრანგულისა და რუსულის ანალოგიით) მონათვლა არ ეგების...

განა ჯგუფის ეკლექტიზმი, თანმიმდევრული იდეურ-ესთეტიკური სისტემის უქონლობა და ურთიერთგამომრიცხავ, ბოჯერ სიმბოლიზმის საწინააღმდეგო მოსაზრებათა სიუხვე არ გვაძლევს მტკიცე საფუძველს იმისათვის, რომ „ქართული სიმბოლიზმი“ მხოლოდ პირობით გერმინად მივიჩნიოთ?

„ცისფერი ორდენის“ ეკლექტიკურობა, ერთი მხრივ, ამ

ჯგუფის, როგორც ლიბერატორული სკოლის სისუსტეს მთავრად წავეხდა, მეორე მხრივ კი მისი თავი და თავი მიზნისათვის – ქართული პოეზიის ნოვაციისათვის ფართო გასაქანს იძლეოდა. „ცისფერყანწელებმა“ სიმბოლიზმს მიმართეს, რადგან საქართველოში ქართული პოეზიის „მსოფლიოს რადიუსით გამმართავე“ ძალა მაშინ არ ეგულებოდათ; ხოლო როცა პოეტური წარმოსახვის განახლებისათვის რუდუნება ვერ მოთაყვანდა სიმბოლიზმის არგახებში, არც სიმბოლისტური ღოგმების რღვევას მორიდებთან.

ბატონო ლუიჯი! მიიჩნევთ თუ არა „ცისფერ ორდენს“ სრულფასოვან სიმბოლისტურ ჯგუფად და, საერთოდ, როგორია თქვენი დამოკიდებულება სხვადასხვა „იმებისადმი“?

ლუიჯი მაგაროტო: ყოველთვის ძნელია მუსტი იარლიყის გამოწახვა, მით უმეტეს, როცა საქმე პოეზიას ეხება.

ისიც უნდა გაეითვალისწინოთ, რომ „ცისფერყანწელების“ ორდენში თანამშრომლობდნენ სხვადასხვა განათლების, მისწრაფებებისა და შინაგანი არსის პოეტები: მაგალითად – გრიგოლ რობაქიძე – დიდი გერმანელი ფილოსოფოსების, დეკადენტებისა და ნიჰილიზმის მქადაგებულთა თავყვანისმცემელი, ღრმად განსწავლული თეორეტიკოსი და გიცინიან გაბიძე – ძირითადად საოცრად ჰარმონიული, გკბილხმოვანი ლირიკოსი.

საერთოდ, ძალიან არ მომწონს „იმები“; ალბათ გამიჭირდება ასე ნაუცბათევად და სწორხაზოვნად განსაზღვრო „ცისფერყანწელთა“ პოეზიაც. მაგალითად, შემიძლია ვთქვა, რომ გიცინიან გაბიძის „დადაისტურ მადრიგალებს“ ბევრი არაფერი აქვთ საერთო დადაიზმის რადიკალიზმთან. შეიძლება ითქვას, რომ იმ დროს თბილისში მოღვაწე რუსული ფუტურისტული ჯგუფი „41“, გაყილებით უფრო რადიკალური იყო, ვიდრე „ცისფერყანწელები“, რომლებიც სრულიადაც არ იყვნენ მათი გავლენის ქვეშ.

„ცისფერყანწელებმა“, როგორც მთლიანად ჯგუფმა, ისე ცალკეულმა პოეტებმაც, შეინარჩუნეს თავისთავადობა და საკუთარი სახე.

„ცისფერყანწელები“ საქართველოში ავანგარდისტული მოძრაობის პირველი მერცხლები არიან; სწორედ მათ ეკუთვნით პირველი ავანგარდისტული მანიფესტებიც. მაგრამ მათი პოეტური პრაქტიკა ზედმიწევნით არ გამოხატავს მათ რადიკალურ შეხედულებებს; პირიქით, ისინი ღროღადრო განზე გადადებდ-

ნეს ხოლმე თეორიებს, პოეზიაში მეტი გასაქანი რომ მისცემოდათ.

სხვაგვარად რომ ეთქვათ, მათი თეორიული თუ მხაგერული პრაქტიკა მთლიანობაში შეიძლება განესაზღვროთ, როგორც პოსტსიმბოლისტური.

ჩემი აზრით „ცისფერყანწლები“ ქართულ პოეზიაში გმას უხსნიან ევროპული ავანგარდიზმის ახალ მიმდინარეობებს, თუმცა სათავეს სიმბოლიზმისაგან იღებენ. ამდენად, სწორედ მათ მიგვანიშნეს სიმბოლიზმის საბოლოო დასამარება და ახალი პოეტური გარიჟრაჟის მაცნეებად მოგვევლინენ.

ლალი ავალიანი: ჩვენი კრიტიკის დამოკიდებულებას „ცისფერყანწელთა“ ჯგუფის მიმართ 1916 წლიდან ანუ დასაბამიდან დღემდე შეიძლება ვუწოდოთ, ირონიით, რა თქმა უნდა, „მეგამორფოზები“. ჯერ იყო და 1916 წელსვე ქუთაისელმა ფილისტერებმა ლამის საზოგადოებრივი გაკიცხვა გამოუცხადეს ჯგუფის ახალგაზრდა წევრებს, როგორც მაშინ უწოდებდნენ – „ფუტურისტებს“. მათ არც ნიჭი აკლდათ, არც განათლება, არც ქართული პოეზიის წინსვლის ღრმად პაგრიოტული სურვილი, მაგრამ – არც ახალგაზრდული სითამამე და თავხედობაც კი. სულ რაღაც ორიოდე წელიწადში ჯგუფმა მნიშვნელოვნად გაიმყარა მდგომარეობა და წრეგადასულ გამოხდომებსაც მოუკლო. 20-იანი წლების დასაწყისში კი „ცისფერი ორდენის“ ლიტერატურული „მტრები“, „პროლეტარული მწერლობის ასოციაციის“ წევრებიც კი აღიარებდნენ მის ჰეგემონობას იმდროინდელ ქართულ პოეზიაში. „ცისფერყანწელთა“ ხანმოკლე აღზევებას, მიუხედავად იმისა, რომ ჯგუფი 1931 წელს საბოლოოდ გაუქმდა, 30-იანი წლების კრიტიკოსთა გააყვებული შემოტევები მოჰყვა. მალე „ცისფერი ორდენის“ ხსენებაც კი გაქრა.

„ცისფერყანწელთა“ ჯგუფის მეორედ დაბადება დაემთხვა 1937 წელს გრაფიკულად დაღუპული მისი ორი მოთავეის გიციან გაბიძისა და პაოლო იაშვილის რეაბილიტაციას. მანამდე გაბუდადებული პოეტების ქმნილებები ქართველ მკითხველს დაუბრუნდა; დაიწყო „ცისფერი ორდენის“ კვლევაც, თუმცა, ზოგიერთი ბედნიერი გამონაკლისის გარდა, მკვლევრები ფრთხილობდნენ და ცდილობდნენ გაეკრიტიკებინათ ჯგუფის თეორიულ-მხაგერული ნააზრევი 30-იანი წლების (?) პოზიციიდან. ისეთი იყო იმ წლების ინერცია, რომ დღემდეც აქა-იქ გვხვდება

მსგავსი გამოხდომები... მაგრამ ყინული მაინც დაიძრა და დღეს „ცისფერ ორდენს“ ღირსებისამებრ წარმოაჩვენს.

იცნობთ თუ არა იმ „მეგაპორუობებს?“

ლუიჯი მაგაროტო: ელადიმერ მაიაკოვსკისა და პაოლო იაშვილის თვითმკვლელობა უეჭველი სიმკვობი იყო იმეამინდელი როგორც პოლიტიკური, ისე შემოქმედებითი ვითარების გადაგვარებისა. 1930 წელს მაიაკოვსკიმ წინასწარ განჭვრიტა, რა საშიშროებაც მოელოდა შემოქმედებას – „Политическая подкарашнясь о нас“, ე.ი. სხვაგვარად რომ ვთქვათ, პოლიტიკურმა რეალობამ დააქინა, გააცამტვერა პოეზია. ასევე, 1937 წელს პაოლო იაშვილმა შწვავედ შეიგრძნო მაშინდელი ყოველდღიურობის გრაფიკულობა: ამიერიდან თითქოს შეუძლებელი ხდებოდა პოეტად ყოფნა, ლექსების წერა – იძალა შიშმა და ძრწოლამ.

ახლა, როცა საბჭოთა კავშირში მეგად სასიხარულო გარდაქმნის პროცესი მიმდინარეობს, ცხადია, რომ ეს ეხება მწერლობასა და ლიტერატურულ კრიტიკასაც. შეიძლება ითქვას, რომ მოსკოვისა და თბილისის ლიტერატურულ პერიოდიკაში ბევრი რამ ისეთი გამოქვეყნდა, რასაც მანამდე დასტამბულს ვერ იხილავდით. ეფიქრობ. სწორედ ახლაა საჭირო ქართულ ლიტერატურაში გაბუდადებული სახელებისა და მოვლენების მკითხველის სამსჯავროზე გამოტანა; დადგა დრო, როცა თამამად შეიძლება ქართული ლიტერატურული პროცესის კვლევა გაეამდიდროთ დასაუღეთ ევროპის მწერლების, ლიტერატურული კრიტიკის მონაცემებით.

ღიახ, გარდაქმნას არ უნდა გავურბოდეთ, მისი არ უნდა გვემინოდეს.

ლალა ავალიანი: თქვენი შრომის სქოლიოებში დასახელებულია ბევრი ქართველი მკვლევარი. ჩვენთვის (ზერელე, ზოგადი კომპლიმენტების მაგიერ, რასაც ასე ესწრაფვის ზოგი – ხოლო უცხოელი სტუმარი კი იძულებულია ინტელიგენტური ბრდილობის ვალი მოიხადოს და დააკმაყოფილოს ამგვართა პატივმოყვარეობა) განსაკუთრებით ფასეულია უცხო თვალთ დასახული ჩვენი ხარვეზები, ფასეულია და ღირსსაყნობი თქვენი კრიტიკული აზრი ამ გამოკვლევების მიმართ.

ლუიჯი მაგაროტო: ქართველი მეცნიერები მუშაობთ არქივებში, მიაკვლევთ ხოლმე იშვიათ, გამოუქვეყნებელ მასალას.

თქვენს განკარგულებაშია უნიკალური წიგნები. ძველი პერიოდიკა: ჩვენ, უცხოელი ქართველოლოგები, ყოველივე ამას მოკლებული ვართ: თბილისში რამდენიმე კვირის ჩამოსვლნი, ნაჩქარევად წაიღებულებით ხოლმე ბიბლიოთეკებში და კიკე გამგზავრების დროც დგება.

თქვენს ნაშრომებში წარმოდგენილია სკრუპულოზური ფილოლოგიური კვლევა, რაც ჩვენთვის მიუწვდომელია. სწორედ ამიტომ, უცხოელ მეცნიერებს შეგვიძლია ვიმსჯელოთ „მორიდან“, „ბერელედ“, გვეჩინდეს „სინთეზური“ აზრები და არა საგულდაგულოდ ჩამოყალიბებული, გამოწვლილვითი ძიებით გამყარებული, საკუთარი შეხედულებანი.

ქართულ მეცნიერთა ნაშრომები ჩვენთვის არის ძალზე ძვირფასი და სასარგებლო, მდიდარი ინფორმაციის წყარო. მეორეს მხრივ კი, ალბათ ჩვენი დასკვნებიც მხედველობაში მისაღები და სასარგებლოა თქვენთვის.

რაც შეეხება „ცისფერი ორდენის“ შესწავლას, ალბათ დიდ დაბრკოლებას ქმნიდა ის გარემოება, რომ აქამდე არ შეიძლებოდა ლაპარაკი გრივოლ რობაქიძეზე. ახლა, როცა იგი რეაბილიტირებულია, მან ღირსეული ადგილი უნდა დაიმკვიდროს ქართული ლიტერატურის იგორიამში.

ვფიქრობ, რომ დღეს, გარდაქმნის ეპოქაში, ქართველ მკვლევარებს მეტი ინიციატივა მართებთ, ისინი არ უნდა შეუშინდნენ ბარიერებს და სამზომოვ გაპოტიგანონ ყველაფერი, რაც აქამდე ბნელ არქივებში იყო დასაძარბული!

ლალი ავალიანი: ბაგონო ლუიჯი! ხომ არ გიცდიათ „ცისფერყანწელი“ პოეგების ლექსების თარგმნა? უთუოდ იცნობთ პაოლო იაშვილის, გიციან გაბიძის, ვალერიან გაფრინდაშვილის და სხვათა პოეზიის რუსულ თარგმანებს, შესრულებულს ბრწყინვალე პოეგების მიერ. მარგო ბორის პასტერნაკის თარგმანების გახსენება რად ღირს! ხომ არ გიცდიათ მათ მიერ რუსულად ამეგყველებული ლექსების იგალიურად თარგმნა? ეს თავისებური პოეტური შეჯიბრიც იქნებოდა.

ლუიჯი მაგაროტო: თარგმნა, მოგეხსენებათ, საპატიო საქმეცაა და დიდი ჯაფაყ: განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე პოეზიას ეხება. ჯერ უნდა გააკეთო პწკარედული თარგმანი. შემდეგ მოიძიო შესაფერისი ლექსიკა, მიაგნო შესაგყვის პოეტურ სახეებს, მონახო ლექსის რიგმულ-ინგონაციური გასაღები... რამ-

დენიძე ხნის შემდეგ კვლავ უნდა დაუბრუნდე ტექსტს, კვლავ განაგრძო მისი დახვეწა-დამუშავება... ერთი სიგყვიო, დაუსრულებელი სამუშაოა.

იგალიურად ვთარგმნე გიციან გაბიძის „ლექსი-მეწიერი“: გამოქვეყნებული მაქვს წერილი ამ ლექსზე (იხ. „Литературная Грузия“, 1985, №9). დიდი სურვილი მაქვს კვლავ დაუბრუნდე გიციან გაბიძის ლექსების თარგმნას. ვნახოთ, მომავალი გვიჩვენებს.

ღალი ავალიანი: ილია ჭავჭავაძის საიუბილეო ღმრთობაში გამოქვეყნებულ წერილში „ვინ არის ჩემთვის ილია“ („კომუნისტი“, 23 ოქტომბერი, 1987 წელი) თქვენ ბრძანებით: „პატივი მაქვს ვუხელმძღვანელო ვენეციის უნივერსიტეტში ახლად დაარსებულ ქართველოლოგიის კათედრას. ჩემი აზრით, ერთგვარად სიმბოლურია ის ფაქტი, რომ იგი გაიხსნა სახელდობრ 1987 წელს – დიდი ილიას საიუბილეო წელს“.

ქართველ მკითხველებში, გარდა დიდი სიხარულისა, ეს ცნობა ცხოველ ინტერესსაც აღძრავს. გთხოვთ დაწერილებით მოგვითხროთ ამ კათედრის თაობაზე.

როგორია თქვენი ამჟამინდელი „ქართული არეალი“? კვლავაც „ერთგული“ რჩებით ქართული თემისა თუ არა? ვიმედოვნებთ, რომ საქართველოსადმი ინტერესი „გადასდეთ“ თქვენს სტუდენტებსაც. ბევრი ენის ცოდნა და ინტერესთა ნაირგვარობა თავის დროზე ალბათ დაგეხმარათ კიდევ ქართულ კულტურასთან მიახლოებაში, თუმცა, ეგონისტურად ვშიშობ, რომ იგივე მოვლენამ არ მოგწყვიტოთ ქართველოლოგიას.

ლუიჯი მაგაროტო: დიახ, როგორც ბრძანეთ, ვენეციის უნივერსიტეტში უხელმძღვანელო ახლად დაარსებულ ქართველოლოგიის კათედრას; სტუდენტებს ვასწავლი ქართულ ენასა და ლიტერატურას. ბუნებრივია, ქართულისადმი ისეთ ინტერესს არ იჩენენ, როგორც რუსული, არაბული ან ჩინური ენებისადმი, მაგრამ რამდენიმე სტუდენტს, რომლებიც ჩემს მეცადინეობას ესწრებიან, გარკვეული წარმატებები აქვთ. მათ უკვე შეუძლიათ პაგარა, მარტივი მოთხრობების კითხვა ქართულ ენაზე. ვენეციის ადმინისტრაციული ორგანოები და ჩვენი უნივერსიტეტის ხელმძღვანელობა დიდ ინტერესს იჩენენ საქართველოსადმი, როგორც სხვადასხვა კულტურის (სპარსული, თურქული, რუსული) გზაჯვარედინისადმი. ამის დასტურია ვენეციის უნი-

ვერსიტივის კოლექტიური ქერნალის „გეორგიის“ გამოცემა. მალე მკითხველი მიიღებს „გეორგიის“ მეორე ნომერს, რომელსაც მთლიანად ეძღვნება დასაულებელ საქართველოს ისტორიასა და ხუროთმოძღვრებას. ეფიქრობ, რომ ქართული ენისა და ლიტერატურის სწავლება ვენეციის უნივერსიტეტში ხელს შეუწყობს ქართული კულტურის პოპულარიზაციას იტალიაში.

რა თქმა უნდა, ბევრი რამ არის დამოკიდებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის დახმარებაზე. სასურველად და აუცილებლად მიმაჩნია იტალიელი სტუდენტების თბილისში სტაჟირებისათვის მოვლინება, თბილისში ახლად გამოსული წიგნების, ლექსიკონების, ენის სწავლებისათვის საჭირო სახელმძღვანელოების და დიდაქტიკური ხელსაწყოების გამოგზავნა და ა.შ.

მეკითხებით, როგორია ჩემი ამჟამინდელი „ქართული არეალი“: მე კვლავ XVIII-XIX-XX საუკუნეთა ქართული მწერლობის (უფრო ზუსტად – ქართული კულტურის) შესწავლითა ვარ დაკავებული, თუმცა დროდადრო სხვა ქვეყნების ლიტერატურაზეც გადავერთეები ხოლმე. უპირატესად ეს ეხება რუსულ პოეზიას. მაგრამ ეს „გადართვები“ ხანმოკლეა, მცირე ხნის შემდეგ კვლავ ვუბრუნდები საქართველოს. ასე რომ, დაბეჯითებით შემიძლია გიპასუხოთ – არავითარ მოვლენას არ ძალუძს, თქვენი სიგყვებით რომ ეთქვას, „მომწყევიგოს ქართველოლოგიას“.

ჩემთვის ძალზე ძნელი იქნება გადაეხიჯო დარიალის ხეობას და მივატოვო თქვენი გასაოცარი ქვეყანა; ძნელი კი არა, ალბათ შეუძლებელიც.

1988 წ.

საქართველო – მდიდარი მწერლობის და ღარიბი მწერლების ქვეყანა

წარსულის ქართული გრადიციული მსოფლალქმა, გამჟღავნებული როგორც სადავ ყოფაში, ასევე, მრავალგზის, ჩვენს სიგყვაკამმულ მწერლობაშიც – მკვეთრად საპირისპირო გახლდათ, ახლა რომ „განვითარებულს“ ვუწოდებთ, იმ ქვეყნების მკვიდრთა მენტალიტეტისა. მათ ხომ, ჩვენგან განსხვავებით, ახალი პროგრესული საზოგადოებრივი წყობილება – კაპიტალიზმი თითქ-

მის სამი საუკუნის მანძილზე ჰქონდათ შესისხლხორციელებული (ფეოდალიზმიდან კაპიტალიზმზე გადასვლას და მსოფლიო ბაზრის ფორმირებას სათავე დაუდო XV-XVIII საუკუნეთა დიდმა გეოგრაფიულმა აღმოჩენებმა).

რუსეთის კაპიტალიზმი, ევროპის ქვეყნებისაგან განსხვავებით, ძლიერ დუნედ ვითარდებოდა 1861 წელს ბაგონყობის გაუქმების შემდეგაც კი; მაშ რაღა ითქმის საქართველოზე!

ის, ვითარცა კოლონია, დიდად ჩამორჩებოდა მეგროპოლიას; ამაში აქტიურად „ეხმარებოდა“ რუსეთი, რომელსაც სურდა ოდეს ნელდელის მიმწოდებელ და საკუთარი პროლეტციის ბაზრად ექცია საქართველო. ამასვე უწყობდა ხელს ჩვენი ვერდაძლეული სენი – კუთხურობა.

აკაკი წერეთელმა – გულისტკივილითა და სიმწარით, თუმცა ჩვეული მახვილგონივრულობითა და ენამახვილობით მიუსითა ამ გარემოებაზე 116 წლის წინათ შეთხზულ ლექციებში „ვეფხისტყაოსანზე“.

„ერთ ისპანიელ მონადირეს შემოაღამდა მთაში და გაუავდარდა: დაღალული, დაქანცული და დასეელებული ის მიადგა გყის მცველის ქოხს, დაურეკა კარებზე და სთხოვა ღამის ვათევილება. გყის მცველმა პკითხა – ვინ ხარო? და მონადირემ უპასუხა; მე ვარ... დონ-ხოსე-მარია-დე-გრაეანოს-დე-ცეს-პოლოს-დე-კორდოვა-მარკიბ-დი-გროს-მონგეს და სხვა. ერთი სიგყევით დაახლოებით ორმოცი სახელი ჩამოუთქვალა. გყის მცველი ვერ მიხედა, რომ საზოგადოდ კათოლიკეების და განსაკუთრებით, ისპანიელების ჩვეულებით ამდენი სახელი ერთსა და იმავე პირს ერქვა, ეგონა, თუ ჯარი მიადგა კარზე და ასე გადასწყვიტა: მე ერთი ქვეშაგების მეგი არა მაქვს და კარზე – კი ამდენი კაცი მადგიაო, თუ ერთი შემოუშვი და ღამე გავათენებზე, სხვებმა რაღა ჰქნანო? უმჯობესია გულს არც ერთს არ დაეწყვეტო და მიაძახა მოგზაურს: არა მაქვს თქვენთვის ბინაო.

სწორედ ამ ისპანიელ მონადირეს გვაგონებს საქართველო, როდესაც ის მსოფლიო ისტორიის კარებს ერეკება.

...არ დარჩენილა ხალხი, რომელსაც, როგორც შავ ყორანს პრომეთეოსისათვის, საქართველოსთვის არ ჩაევილოს ვულ-ღვიძლი ხელი. მაშ, თუ ამდენი ჭირი უნახავს და ამდენი თავგადასავალი ჰქონია, რა მიზეზია, რომ მსოფლიო ისტორიაში ერცლადა და გამოკვლევით არ არის ნახსენებო? – ეგება იკითხო

ვინმემ. ეს იმის ბრალია, სხვათა შორის, რომ იმ ისპანიელი მონადირისა არ იყო. ერთი სახელწოდება თავის დღემი არაა კქონია. ედახდნენ: მოსოხი, მესხი, ივერი, ამერი, ივერია, კოლხიდა, ალბანია. გეორგია, გრუზია, კარდოასი. თობალი, ხალიბი, მაკრონი, ქართლი და სხე. რა კუთხითაჲც მოადგებოდა რომელიმე ხალხი, იმ კუთხის სახელით იწოდებოდა მთელი საქართველო და ამ გვარათ, თუცა მოსხენებული კი არის ისტორიაში, მაგრამ მეგათ გამოურკვევლათ და ნაკუწ-ნაკუწათ. მოვა დრო, როდესაც მომავალი ჩვენი ისტორიკოსები მოუყრიან თავს ამ ნაწყვეტ-ნაწყვეტებს, გამოარკვევენ და... შეადგენენ ერთ ვრცელ ისტორიას ჩვენი სამშობლოსას“.

აკაკის ნანატრი ისტორიკოსი კი გამოჩნდა – დიდი ივანე ჯავახიშვილი; მაგრამ სადღაც, ქვეცნობიერში მოფუთფუთე კუთხურობის, „ფეოდალური“ კარჩაკეცილობისა და განკერძოების სნებამ აგერ, მეოცე საუკუნის მიწურულს, ლამის სამოქალაქო ომამდე მიგვიყვანა.

ალბათ, ამიგომაც არის, რომ ჩვენი ეროვნული ცნობიერება „ფეოდალურ“, „რაინდულ“ ელემენტებს დღესაც ვერა და ვერ შეეღია.

გავისხენით შუა საუკუნეების საქართველოს სულიერი მწვერვალი – „ეფუხისგყაოსანი“. არაერთხელ აღუნიშნავთ თუ რა ათვალწუნებული ჰყავთ პოემის იდეალურ გმირებს ვაჭართა წოდების წარმომადგენელნი: „თქვენ, ვაჭარნი ჯაბანნი ხართ, ომისაჲცა უმეცარნი“, „მთვრალი ვაჭარი, ცქაფი, უწრფელი, მსწრომელი“...

ეს ოდენ ქართული თვალთახედვა არ გახლდათ; ეს რაინდული მორალი იყო, რომელსაც თანაბრად მორჩილებდნენ „ეფუხისგყაოსნის“ გმირებიც და, თუ აკაკის ესპანური „არაკის“ ინერციას გაყვებით, – ესპანეთის ეროვნული გმირი, მავრთავან სამშობლოს გათავისუფლებისათვის მებრძოლი როდრიგო დიას დე ბივარი – სილ კამპეადორი.

ცნობისათვის: შუა საუკუნეების ესპანური მწერლობის უდიდესი ძეგლი „სიმღერა ჩემს სიღმეც“ XII საუკუნეს განეკუთვნება.

ესპანეთში, უელგის მონასტერში ინახება ქვიშით სავსე ძველთაძველი მანდუკი. ეს მანდუკი, თითქოსდა თვალ-მარგალიგით სავსე, სილ კამპეადორმა – დიდმა ფეოდალმა და რაინდმა – გირაოდ დაუტოვა ორ ებრაელ ბანკირს.

რაინდული მორალის მისხლეით და გმირის ღრმა რწმენით,

მას საძრახისი არაფერი ჩაუდენია: გმირს მიაჩნდა, რომ ეაჭრუ-
კანები მოვალესი იყვნენ სიღის ცარიელ სიგყვასაც კი ნღობოდ-
ნენ!

ავთანდილი, ჯაბნებს რომ უწოდებს ეაჭრებს, მეკობრეთაგან
მათი დახსნისა და დიდი ალაჟის მოპოვების შეძლეგ, მთელ ნა-
დავლს მათეე აძლევს: „აწ დაჯხოცენ მტერნი თქვენნი, გავას-
რულენ, რაცა ეთქვენი; ნაეი სრულად საქონლითა მომიღია. ვითა
ძღვენი“... მათი მიერ შემოთავაზებულ არმაღანს კი უარყოფს –
„რა გინდა მომცეთ, რას ეაქნეე? მე ვარ და ჩემი ცხენია!“

სიდ კამპეადორმა ბანკირები გააცურა, ავთანდილმა კი თავი
„დაიზარალა“ ეაჭართა სასარგებლოდ!

იგივე ავთანდილი ეაჭართუხუცესის ცოლთან „ღაღობა-
წოლას“ და მისი საყვარლის „იდუმალ“, მიპარვით მოკვლას
სრულიადაც არ თაკილობს...

ქართველთათვის „ეეუხისგყაოსანი“ არა მარტო მაღალი პოე-
ზია, სიბრძნისა და ესთეტიკური გკობის წყარო, არამედ მნეო-
ბის სახელმძღვანელოც იყო.

მეფე როსგევანის შეგონებას – „რასაცა ვასცემ შენია, რას
არა, დაკარგულია“ – პოემის ყველა დაღებითი გმირი იზიარებს.

გამოხდა ხანი: XIX საუკუნეშიც ქართული მწერლობის დამოკ-
იდებულება მაგერიალური დოულათის მოხვეჭა-დაგროვებისადმი
თითქმის არ შეეცელილა. ქართველი მკითხველიც, ავგორის
კვალობაზე, თანაუგრძნობდა უკოვარ გმირებს, დასცინოდა მღი-
ღარ უარყოფით პერსონაეებს, მათდაში მიზღლით იმსჭეალებოდა.
„ხალხოსნების“ რადიკალიზმმა ამ საკითხში, შერწყმულმა მხ-
აგვრულ უსახურობასთან, სწორხაზოვნობის მომაბეზრებელი
განცდა შექმნა. მოგვიანებით, ლიგერაგურის „კლასობრიობის“
თუ „პარტიულობის“ აღიარება- დაკანონებამ მთლად არია მონ-
ასტერი, თავდაყირა დააყენა მორალურ-ეთიკური ფასეულობანი.
„მდაბალნი ამაღლდეს და მეჭაბნეს მღიდარნი“...

ილია ჭავჭავაძემ, XIX საუკუნის მეორე ნახევრისა და XX
საუკუნის დამდეგის საქართველოს სულიერმა საჭეთმპყრობელმა,
რომელიც დიდ ყურადღებას უთმობდა მაგერიალურ სფეროსაც,
თავის დროზე კარგად შენიშნა ქართული ცხოვრების ნირისა და
მსოფლალქმის სახიფათო დამორიშორება ეეროპული ანგარი-
შიანობის, წესრიგისა და მენგალიგეგისაგან.

საქართველოს ხანმოკლე დამოუკიდებლობამაც ეერ შექმნა

ამინდი, ხოლო საბჭოურ დროში. განსაკუთრებით ხალხთა „უანგარო“ მაშისა და ბელაღის სგალისის გარდაცვალებამდე, გამდიდრება არც პაგიოსანი შრომით და არც გამჭრიახობითა და უხიანობით არ მოხერხდებოდა და, ფაქტობრივად, აკრძალული იყო. თვით ხელისუფლება „ზრუნავდა“ ამაზე.

რა გასაკვირია, რომ შემდგომში თაღლითობით, ქერლობით, მექრთამეობით გამდიდრებულთა თუ ნამუსდაკარგულ პარტიულ ნუგორიშთა გამო (აბა სხვა ვინ იყო მდიდარი!) – საზოგადოებრივი აზრი და მწერლობა საერთოდ სიმდიდრის ცნებისადმიც კი უარყოფითად განმსჭვალულიყო.

ასე და ამრიგად, ცალკერძ „ფეოდალურ-კუთხურ-რაინდული“ სულისკეთებით, ცალკერძ – შიგ შუბლში გყვიასავით მოხლილი საბაზრო ეკონომიკით მოყვლით დღემდე – საქართველოც, ქართული მწერლობაც და მთელი მოსახლეობაც.

რას უქადის პაგარა საქართველოს „დიდი ბაზრობა?“ (რასაც, ბავშვმაც კი იცის – ალგერნაგია არ გააჩნია).

სადაც წამიკითხავს: ამერიკაში „ოქროს ციებ-ცხელებით“ შეპყრობილ ადამიანთა შორის, დროთა ვითარებაში ჩამოყალიბდა ჭეშმარიტი ოქროსმაძიებელი, პიროვნება, რომელსაც ოქროს ძიება გადაეყუა თვითმიზნად; აზარგის, თვითგამოხატვის, თუნდაც – ღირსების საქმედ. სწორედ მათ მოიძიეს საბადოების „ლომის წილი“, რომელთა აღმოჩენისთანავე ისინი, თურმე, საოცარ გულგრილობას ამჟღავნებდნენ მათი შემდგომი ბედის მიმართ და, მარად ძიებისა და სიახლის მწყურვალნი, ახალ ადგილს მიაშურებდნენ. იმეამინდელი მწირი ტექნიკის კვალობაზე, ამ უმძიმესი შრომა-გარჯის საფასური, ამ პიროვნებათათვის, ოდენ სულიერი კმაყოფილებით ამოიწურებოდა. ალბათ, სწორედ მათ უნდა უმაღლოდეს ამერიკა ზღაპრულ სიმდიდრეს.

დღევანდელი საქართველოს ვითარებას თუ გავითვალისწინებთ, სწორედ ამგვარი ოქროსმაძიებლების ბადალი, ნიჭიერი, მიზანსწრაფული, მშრომელი და, რაც მთავარია, სინდისიერი და უანგარო, საქმიანი ხალხი გვჭირდება.

მოგიერთმა ჩვენებურმა, გამდიდრების აზარგით შეპყრობილმა „ოქროსმაძიებელმა“ კი, ლამის ნახევარი საქართველო გადათხაროს, გაბურლოს, გადახერხოს; უნიკალური ღვინოები, მინერალური წყლები თუ ასკარა წყაროები, ძვირფასი წიაღისეული თუ ხე-ტყე უცხოეთის გზას გაუყენოს („წილში გასულ“ თან-

ამდებობის პირთა ხელშეწყობითა და ნებართვით, საქართველოს ბიუჯეტს კი ჩაილურის წყალი დააღვეინოს).

დღეს, როცა რუსთველური სტროფი – „ლარსა ხვეგდიან ლაშქარნი, მართ ვითა მეკობრენია“ – უაღრესად აქტუალურად ეღერს, „კაპიტალმა“ თითქოს შური იძია ქართველ მწერლებზე და მოსახლეობის უღარიბეს ფენად აქცია ისინი.

ლიტერატურის ისტორიიდან ცნობილია, რომ მეღვეერის შესაქმნელად არ არის საჭირო მაგერიალური სტიმული, თუნდაც შიორალური, სოციალური სტაბილურობა, მოწესრიგებული ყოფა და ა.შ. პოლიტიკური ძვრები, რევოლუციები და ომებიც კი უფრო საფუარიეით მოქმედებს შემოქმედებით პროცესზე, ვიდრე მუხრუჭივით. შიბშილი. სიცივე, სულიერი მიუსაფრობა, გრაგიკული ბელი, ხშირად – უდროო აღსასრული ბევრი გენიოსის ხველრი ყოფილა და იქნება, მაგრამ ისიც ჭემშარიგებაა, რომ ბევრი უდიდესი მწერალი. მსკოვან ასაკს მიგანებული, ერთობ ნაყოფიერ შემოქმედებით საქმიანობას ეწეოდა სწორედ მაგერიალური კეთილდღეობით განპირობებული, მშიედად მდინარე ცხოვრების წყალობით. ამგვარი მაგალითი ახალ ქართულ ლიტერატურაში (მით უმეტეს, ეეროპული ლიტერატურისგან განსხვავებით) ფრიად იშიეათია.

სამაგიეროდ, გვახსენდება ნიკოლოზ ბარათაშიელი, ალექსანდრე ყაზბეგი, ვაეა-ფშაველა, ეგნატე ნინოშიელი, სანდრო ცირეკიძე, გერენტი გრანელი, ლალო ასათიანი და ბევრი სხვაც...

ჯვარი სწერიათ ღღევანდელ მწერლებს. მაგრამ ზოგი მათგანი სწორედ უსახსრობასთან და უსასობასთან შერწყმულმა დიდმა სულიერმა შეჭირვებამ გაუყენა უდროოდ სულეთის ცმას... ეს კი მთელი საქართველოს აუნაზღაურებელი დანაკლისია.

საეალალოდ დაკნინდა სულიერების არეალი, კულტურულ-მნეობრივი ვითარება. საგანგაშოა ნებისშიერი სფეროს მალალი დონის ფუნქციადაკარგული პროფესიონალების პიროენული სიმძიშილი, მწერალთა, ხელოვანთა და, საერთოდ, ინტელექტუალური ელიტის დაუფასებლობა და იგნორირება. ჩვენში სიტყვა „ელიტა“, მით უმეტეს, ეპითეტ „ინტელექტუალურთან“ ერთად, ზოგჯერ ირონიითაც კი არის შეფერილი, ზოგჯერაც სალანძღავ სიტყვებად მიჩნეული! ეს ხომ ცნებათა აღრევაა და სხვა არაფერი: „ინტელექტუალური ელიტა“, რაგომდაც „შედლებულ ფენას“, რადაც „ნომენკლატურულ“ მოელენას გაუთანაბრეს...

რა გინდა, სულო და გულო, რომ ვერ მოიძიო თბილისის წიგ-

ნის დახლებსა და სკენდებზე: ისეთი „თანასწორობაა“. სიბმრადაც რომ არ მოგვლასდებია! შექსპირისა თუ ილიას გომეულების გვერდით შესაძლოა, „აკაციჰამიას აღსარებას“ წაეაწყდეთ; ბოგისელის ალბომის სიახლოვეს – პორნოგრაფიულ კურნალს; რუსთაველსა თუ ვაეას წიგნებს იქნებ სულაც გაბეითი „მეძავი“ უმშევენდეს მხარს... ეგ კიდეუ არაფერი; საქმე ის გახლავით, რომ ზოგიერთი დღევანდელი ფულიანი წიგნის „მოყვარული“ – „მოყირქებულ“ ილიას, აკაკისა და ვაეას „ეროგიკულ-სადისგურ-განგსგერულ-ჯანდაბურ“ რომანს ამჯობინებს, ბოსხის ნახაგების რეპროდუქციებს კი – „ფლებიბოის“.

უბირ მკითხველს კი ძალაუნებურად ეაცდუნებთ დახლებზე დახეიებული უმდარესი (სამამულო და იმპორტული) გამოცემებით.

ალბათ, მრავალი წელია საჭირო, მასობრივმა მკითხველმა რომ გაარჩიოს „იფელი“ „ღვარძლისაგან“. საბამრო, ე.წ. „სამომხმარებლო“ კულტურა ჩვენ, „დეფიციტს“ შეჩვეულებს არ გაგეაჩნია!

ღრო – ყველაფრის წამალი ამასაც მოუვლის; თუმცა, უმჯობესია, ჩვენც „წაეუკრათ“ ხელი.

მაგრამ დაეუბრუნდეთ მთავარ სათქმელს – მწერალთა მაგერიალურ სიდუხჭირეს.

რა ხდებოდა კაპიგალისგურ წარსულში, ვთქვათ, საუკუნის წინათ? 1895 წლის თებერვალში ჟურნალ „მომამბეში“ გამოქვეყნდა ცნობილი მწერლისა და საზოგადო მოღვაწის პეგრე უმიკაშვილის დღესდღეობით ნაკლებად ცნობილი წერილი „გასამრჯელო სალიგერატურო შრომისათვის (ეუძღენი მომავალ მწერლებს)“.

წერის ძველებური მანერა რომ არა, ამ თხზულების ზოგიერთი მონაკვეთი დღეს დაწერილი გეგონებოდათ: „ამ ბოლო ხანებში ქართველი მწერლები ფულზე ძალიან ლაპარაკობენ, გასამრჯელოს თხოულობენ და წერით კი ჩუმად არიან ამ საგანზე, თითქოს ერთი მხრით სცხვენიათ, ესეინდისებათ და მეორეს მხრით ეჩოთირებათ.

რედაქციები ჩივიან, ყველა ფულს გეთხოვს ნაწერისთვისაო... მწერლები ჩივიან, ემუშაობთ უფულოდ და რედაქტორები არ სეინდისობენ გასამრჯელოს მოცემასაო.

აქ არიან სახელის მქონე ლიგერატორები, სახელის მქონე რედაქტორები, სახელის მქონე მოღვაწენიც.

მიზები ჩვენი მწერლების სიღარიბე ენდა იყოსო, იტყვიო, რასაკვირველია, სიღარიბე ძალას აგანს და რა ქნასო“...

იმდროინდელი ვითარების გათვალისწინებით, ეურნალ-გაზეთების რედაქციათა სიღუჭიროსა და ხელისმომწერთა სიმცირის გამო – პეტრე უმიკაშვილი ასკვნიდა, ჩვენში ლიგერატორობით ცხოვრება შეუძლებელი ყოფილაო და მწერალთა მომავალ თაობასაც აფრობილებდა: „ეინც მოიმედება ლიგერატორობით საცხოვრებლის შოვნის, დაუტყვეოს ყოველივე იმედის“.

მართლაცა, ჩვენ დიდ მწერალთა უმრავლესობა ხომ გასამრჯელოსათვის არ ეწეოდა შემოქმედის გიგანურ შრომას. ილიას და აკაკის რა უშავდათ: აკაკი მამა-პაპის დანატოვარ მამულს „ჭამდა“ (ცოლის დახმარებით) და სულ უფულობას უჩიოდა; ილიას ცოლის მზითვეიც ემუელებოდა და საკუთარი გარჯაც – არასამწერლო ასპარეზზე; ვაჟა გლეხური მეურნეობით ირჩენდა თავს...

ვაჟა-ფშაველა, ქართველთა საამაყო და საფიცარი, „ღმერთებთან მოლაპარაკე“ პოეტი – რაღა დასამალია და, მით უმეტეს, სათაკილო – მთელი სიცოცხლე დიდ სიღუჭიროეს განიცდიდა. ამბობდა კიდევ ერთ უცნობილეს ლექსში: „არც-რა განთმცვია, არც ფეხთა, დაედივარ დედიშობილა, მეც იმათ ჯოვიდამა ვარ, ეინც სიღარიბით ცნობილა“...

ძალზე ნიშანდობლივია მისი პირადი წერილი პეტრე უმიკაშვილისადმი, საერაულოდ – 1894-98 წლებით დათარიღებული: „დიდად გზადლობ, ძვირფასო პეტრე, რომ გადარდებსთ ჩემი ყოფა-მდგომარეობა, ნეტავი ისე სხეას ადარდებდეს, ვისთვის რა საჭირო და მოსაგონებელი ვარ, ხაშზე და არგალაზე ვერავის დაეპატიებ.“

მკითხაეთ, როგორა ვარ, რას ვფიქრობ, რას ვწერ. უნდა გაგეხილი გითხრა, ვერა ვარ კარგად ვერცერთის მხრით, უფრო კი მწეობრივის მხრით, ხანდახან ჩემს თავსა ვგმობ, რაგომ მეც, როგორც სხეებმა, არ ვიფიქრე ცხოვრებაზე, არ უგორდი ლეკვივით დიდთა. ამა ქვეყნისათა, არ ულოკე ფეხები, არ ეელაქუცე, მაგრამ თავს იმით ვმართლულობ, არ შემეძლო მე ასე თავის დამდაბლება და არც ახლა შემიძლია, თუნდა რომ პირში ბალახი ამომივიდეს...

... მე არსაიღამ არაფერს ვიღებ და ჩემის მარჯვენის. მიწის და ოფლის ანაბარადა ვარ დარჩენილი. რაც მომივა, მომივა,

მადლობა ღმერთს! დიად, მადლობა ღმერთს. რომ უიმიკურად შრომა მაინც შემოიძლია“...

ლუკმა-პურის გამუდმებულმა ამარ ძიებამ მძიმედ დაასწავლა ბედკრული, იბლობაში გაზრდილი ეგნატე ნინოშვილი, რომლის კვერი ვერა და ვერ გამოცხება: „ახალგაზრდა კაცი უკანასკნელ დღეშია. თვითონაც გრძნობს ამას და ცხარე ცრემლით გირის. მიშველეთო! რითი უშველოს კაცმა – ჭლეჩი მორეულია მთელი სიძლიერით. ...გირის, რომ ბევრი რამ მირჩება განზრახული, დაუმთავრებელი, დაუბოლოვებელი... სიკვდილი კი არა, მუშაობა მწაღია, მუშაობა! და ამას ისეთნაირად ამბობს, რომ გული მოგეხარშება!“ – უთქვამს ნინოშვილის მდგომარეობით გულდათუთქულ გრიგოლ ვოლსკის დაკით კლდიაშვილისათვის.

ეს უკანასკნელი კი, რუსეთის არმიის ოფიცრის „პავონებით“ დამძიმებული უზადო მამულიშვილი და დიდი მწერალი, ოცდაექვსი წლის მანძილზე ასრულებდა შოვალეობას, ბელმა რომ არგუნა: ნაყოფიერ შემოქმედს და საზოგადო მოღვაწეს ცხოვრების სხვა სახსარი არც გააჩნდა. როცა 1905-1907 წლების რევოლუციის დღეებში „არაკეთილსაიმედო“ ქართველი პოლკოვნიკი აიძულეს გადამდგარიყო, დიდი ოჯახის პატრონი დავით კლდიაშვილი თითქმის უსახსრო აღმოჩნდა და ლუკმა-პური შეექმნა საძიებელი.

გემოხსენებულ წერილში პეტრე უმიკაშვილი ერთ ფრიად საინტერესო ეპიზოდს გადმოგვცემს: „დიდი ხანი არ არის, ერთი სახელოვანი ევროპელი არგისტი (როსსი) ელაპარაკებოდა ჩვენებს (იგულისხმება იგალიელი მსახიობი ერნესტო როსი, რომლის გასტროლებს საქართველოში 1890 წელს დიდი წარმატება ხვდა წილად – ლ.ა.), ჩვენ ევროპელებს შეგვიძლია შრომით მოვიპოვოთ სახელი, დიდება და სიმდიდრე, თქვენ იცით, რომ ვერცერთს ამისთანას ვერ მოიპოვებთ თქვენს ღარიბ ქვეყანაში, ამიგომ თქვენი მოღვაწეობა უდიდესია ჩვენს მოღვაწეობაზედ; იცით, ვერაფერს იშოვით, მაგრამ მაინც მოქმედობთ საღისის წაყვანისთვისაო“.

ბელის მწარე დაცინვა არ არის, რომ ამ მოსაზრების გამოთქმიდან საუკუნეებ მეტია გასული, ხოლო ქართული ხელოვნება და მწერლობა კვლავ „ვერაფერს შოულობს“, მეტადრე, საკუთარ ქვეყანაში (ქართველი ხელოვანი – „ლევიონერები“ – ეს ცალკე საუბრის თემაა; ერთობ მწარე და მტკივნეული საკითხია, რომელსაც ამჯერად არ შეეხებით).

საქართველოს თითქოს დაეხედა ყოფილიყო მდიდარი მწერლობისა და ღარიბი მწერლების ქვეყანა...

მკითხველს, არცთუ უსაფუძვლოდ, შეექმნება შთაბეჭდილება, რომ მე მოიარებით ვამბობ მწარე სიმართლეს; სადღეისო საგკივარს ოდენ ძველი მწერლობის მაგალითების მოხმოებით ვაჯერებ.

მართლაც ასე გახლავთ: ჯერ ერთი, სამწუხაროდ, მეც დღემდე ისეთივე „რაინდული“ დამოკიდებულება მაქვს ფულისადმი, როგორც რუსთაველის გმირებს ჰქონდათ, ისევე „მესეინდისება“ (როგორც პეტრე უმიკაშვილი იცყოდა) მწერლის გასამრჯელოზე საუბარი, როგორც XIX საუკუნის დამლევეს ეჩოთირებოდათ.

თანაც, ლიგერაგურული „ამქრის“ წვეროთაგანი ვარ და იმასაც ვშიშობ, მწერლობისადმი მიკერძოება არ დამწამონ. როცა საქართველოს მიულ მოსახლეობას აგრერიგად უჭირს.

მაგრამ სეენმა ქვეყანამ დღემდე მოაღწია, რამეთუ სულიერება არ დაუკარგავს; ხოლო სულიერების უმაღლესი გამოვლენა კი, ქრისტიანობის გარდა, იყო, არის და მარადეამს იქნება ჩვენი სიქადული და იმედი – ქართული მწერლობა.

ქართული მწერლობა განსაკუთრებული ფენომენია და მას განსაკუთრებული მრუნეა ესაჭიროება.

1998 წ.

„დედაენის წინაშე სოღვილნი“

ორასწლოვანი რუსიფიკატორული პოლიტიკისაგან, იძულებითი და საძულეელი ორენოვნებისაგან (რომელსაც, ასე თუ ისე, მაინც ვუმკლავდებოდით) თავდახსნილნი, მშობლიური ენის, ქართული კულტურის, ქართული სულიერების წინსვლა-განვითარებისა და საბოლოო გეობის მოიმედენი, – მწარედ მოეცყუედით: თვით კომუნისტური ტოტალიტარიზმის უმძაფრეს და უსასტიკეს პერიოდებშიც კი არაეის ახსოვს ქართული ენა აგრერიგად წარყენილი, შეურაცხყოფილი და დამცირებული. ვის შეეჩიულოთ ან ვის გადავაბრალოთ? ეს ხომ თითოეული ჩვენგანის ბრალია...

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღიდან მიაბიგურად უფიქრობ. – აი, ახლა კი ატყდება განგაში დედაუნის დაბინძურების გამო: დღეს თუ არა, ხვალ მაინც, ხვალ თუ არა, მეგ მაინც... თქვენც არ მომიკვდეთ – დღემდე ისე მოვალწიეთ, რომ ენის სიწმინდე ვერა და ვერ იქცა საყოველთაო საზოგადოებრივი თუ სახელმწიფოებრივი ზრუნვის საგნად. უკვე რამდენი მთავრობა და პარლამენტი („სიგყიერ ომში ინგრევიან პარლამენტები“ – ვალაკტიონი) გამოვიცვალეთ, დედაენის სიწმინდისათვის კი ვერც ერთმა ვერ მოიცალა.

საოცარი პარადოქსია, რომ სიგყვის თავისუფლებამ სავალალოდ დააკნინა დედაენა, რადგან მასმედიაში „თავისუფლად“ გადმოინთხა უწიგნურობაც: სწორედ ამან ათქმევინა დიდ თანამედროვე მწერალს, ოთარ ჭილაძეს მწარე სიშართლე „წერაკითხვის უკოდინარი ეურნალ-გაზეთების“ თაობაზე, რომლებიც „მასმედიურად აფიქსირებენ ფაქტებს“ (იხ. „აველემი“ და „გოდორი“).

დაუდევარი დამოკიდებულება დედაენის მიმართ, გაღარიბებული ლექსიკა და, უბრალოდ, მიუტყეველი შეცდომები ყველაზე თვალსაჩინოდ გელეეკრანიდან „ფიქსირდება“.

მიკვირს, რომ გელევიზიათა მესევეურები ერთხელაც არ შეწუხებულან კრიტიკის უქონლობის გამო. საქართველოში, ჩვენდა სამარცხვინოდ, ორასზე მეტი უმაღლესი სასწავლებელი ყოფილა; მარტივი გაანგარიშებით, შესაძლოა ათობით გელეეკურნალისტიკის კათედრაც არსებობდეს. მიუხედავად ამისა, ქართული გელევიზიის გადაცემები საფუძვლიანად, სისტემატურად, გამოწვლილყით რომ შეეუასებინოს ან გაეკრიტიკებინოს ვინმეს, არ მოგვსწრებია. ეს კი კარგს არაფერს უქადის ქართულ გელევიზიას, რომელიც მაყურებლისათვის მაინც ერთიანია (ამ მხრივ, სასიამოვნო გამონაკლისია ახლახან დასტამბული ქეთევან სადლობელაშვილის – „ეპოქის“ ყოფილი წამყვანის – წერილები).

გელევიზიაში გაშართული ლიტერატურული ქართულით მეტყველება წესად უნდა დამკვიდრდეს და არა იშვიათობად; არადა, ზოგჯერ პირუკუ ხდება.

რას არ მოისმენს კაცი!

„ვინები იჯდნენ მაყანი პოლიტიკოსის მანქანაში, ვერ გაეარკვიეთ“, – წუხს ერთ-ერთი წამყვანი გელევიზიის ერთი წამყვანი ეურნალისტი: „რამდენად რეალიზებალია ჩვენი შოუ-ბიზნე-

სის აუდიოპროდუქცია?“ – ასეთი „ქართულით“ მეტყველებს მეორე.

„გიყვარს ინაპლანეტელები? გჯერავს მათი?“ – ეს ცნობილი გადაცემის წამყვანის „უშუალო“ საუბარია.

ტელეკრანიდან გაივსნებთ „მეცადის“ უცნაურ მრავლობითს. – „მეცადეები“, „გამლეგსა“ თუ „ღერბს“, „მის კანავერალს (კანავერალის კონცხის ნაცვლად: Мыс – რუსულია), „ზავუალირებულს“ (Завуалированно), „აპოკალიპსურ ღარცემას“ (აპოკლექსიურის ნაცვლად) და ა.შ.

„ბავშვები განათლებით უნდა დაკავდნენ“, – გემოდღერავს მაღალჩინოსანი მოხელე. კარგი იქნება, იგი თავად „დაკავდეს“ საკუთარი მეტყველების დახვეწით.

კელავ განათლების სფეროდან: „ჩვენი მიზანია ოპტიმალური კონფიგურაცია პერსონალიებთან დაკავშირებით“, – ამას განათლების სისტემის რეფორმით „დაკავებული“ სხვა მოხელე ამბობს.

მერე იტყვიან, – გაუცხოება რომ არ მოხდეს, პაგიოგრაფია ადაპტირებულად უნდა მივაწოდოთ...

„ჩვენ ხომ ისეთი უწყვეტი კავშირი გვაქვს ჩვენი კულტურისა და ენის უძველეს შრეებთან, რომ მეხუთე საუკუნეში დაწერილ ნაწარმოებს 14-15 წლის ბავშვები სწავლობენ სკოლაში და ესმით. რომელი კულტურული ერის ცხოვრებაში ხდება ასეთი რამ?“ – მანანა გიგინეიშვილის, შესანიშნავი მეცნიერისა და მთარგმნელის ამ არარიტორიკულმა შეკითხვამ, რომელიც მკაფიოდ წარმოაჩენს ქართული ენის უნიკალურობას, ეგებ ცოცხალი მანინც ჩაგვაფიქროს.

ტელევიზიამ უდიდესი ძალა შეიძინა. ერთი ქართული ანდაზისა არ იყოს, ის კიდევ აგვაშენებს და კიდევ დაგვაშხობს.

არადა, სწორედ ტელევიზიამ ლამის საყოველთაოდ დაამკვიდრა „მადლობის მოხდა“, ყბადაღებული „ამასთან დაკავშირებით“ (რუსულის კალკი) ხომ ყელში ამოგვივიდა. სინონიმებიც რომ არსებობს? – ამიგომ, ამის გამო, ამ მიზეზით, განპირობებული, პირობადებული, მიმართებით, მიმართ, ამის გამოისობით, ამის თაობაზე და სხვ.

ტელეკურნალისტებს ძალიან უყვართ სხვათა კურიოზების „დაფიქსირება“, პოდა, ერთი თავისიცი მიითვალონ; ინგლისურ დეტექტურ სერიალში ქვრივი ქალი მულზე ამბობს; – „მას ძალიან

უყვარდა ძმა, ჩემს ქმარს ათაყვეანებდომ“ (ესღა იყოს – ეთაყვეანებოდა!). ერთ-ერთმა „ენერგომამამ“ საპარლამენტო მოსმენისას ისე „გააქლერა“ სიგყვა „სოჩიკი“ (СЧЕТЧИК), რომ წარბიც არ შეუხრია.

„ეს წიგნი ანგურაჟითაც საინტერესოა, ძალიან ლამაზია“, – გვესაუბრება ახალი წიგნების მიმომხილველი და სულ არ აღარღებს, რომ „ანგურაჟი“ „გარემოა“ ან „გარემოცვა“ და წიგნის ლამაზად გაფორმებასთან არაფერი აქვს საერთო.

უცხო სიგყეების უფუნქციო და უსამანო ხმარება ხომ თითქოს გელევიზიის „ექსკლუზიური პრიორიტეტი“: კონსენსუსი და კონკრეტუკა, მუსირება და პრეეალირება, მეჩგალიკა და ღეგალიკა, ლაითბოქსები და შეილბოქსები, პელღაინები და ა.შ. და ა.შ. თუმცა, ამ მხრივ, გელეწამყვანებს არც რესპოდენგები ჩამორჩებიან, რომელნიც, უფრო „ბრძნული“ ნაუბარი რომ გამოუვიდეთ, უცხო სიგყეებს ეტანებიან (არცთუ იშვიათად – შეცდომით).

გელეყურნალისგის ოპერატიულობა, დაყინებულობა, ზოგჯერ თაეხელობაც კი, შეიძლება ხანღახან გამართლებულიც იყოს, მაგრამ უცოდინრობას რაღა ეშველება! ერთი არხის საინფორმაციო გადაცემაში მოელი დღე იმეორებდნენ – „გირანადან (ალბანეთის დედაქალაქი – ღ.ა.) ჩამოსული იგალიელები ღარსთან დააკავესო“, არაღა, თურმე გურინიღან იყენენ. გელეწამყვანს, რომლის „სააეგორო“ გადაცემას რჩევა-ღარიგების პრეგენზია აქვს, უკვირს, რაგომ დაერქვა ერთ-ერთ სპირტიან სასმელს „სისხლიანი მერი“ (ამ ღროს თბილისელი ბარმენი ჰყაეს სტუმრად); ბარმენი ვერ პასუხობს. დალოცეიღმა აეგორომა ხომ იცოღა წინასწარ, რაგე უნღა ეღაპარაკა: ჩაეხეღა ცნობარებში... „სისხლიანი მერის“ სახელწოდება სისასტიკით ცნობილი ინგლისელი დედოფლის, მარიამ გიუღორის (XVI ს.) სახელს რომ უკავშირღება, ძალიან აღვილი „გამოსაცნობია“: სხვა თუ არაფერი, ეს ჟაქგი ბეერ ინგლისურიღან თარგმნიღ სათაეგაღასაელო რომანში „ჟიქსირღება“.

რადგან თარგმანზე ჩამოვავღეთ სიგყვა, ბარემ გაუთაეებელი სერიღლებისა და „საექსპოროტო“ ამერიკული ფილმების გაღმოქართულების ხარისხზეც ითქეას სათქმელი. ჯერ ერთი, მაქეს საფუძელიანი ეჭვი, რომ ესპანურ-პორტუგალიურ-ინგლისურენოვანი სერიღლები პირღაპირ რუსულიღან ითარგმნება (ამას „ამხელს“ გქენიკური წუნიც: ერთბაშად სამი ენა ისმის, – დენისა, რუსული და ქართული).

ზოგი მდარე ამერიკული კინოფილმის თუ სერიალის ლექსიკური მარაგი ისე მწირია, რომ ილფისა და პეგროვის ელოჩკა მსუკინასაც („ელოჩკა ლიუდოედა“) კი არ შეჰურდებოდა. მის სიგყვიერ არსენალში, შორისდებულების ჩათვლით, ოცდაათამდე სიგყვა იყო.

„ბევერილი ჰილზი“ თუ რაღაც ამგვარი სახელწოდების საყმაწვილო სერიალი, რომლის სწორხაზოვანი დიდაქტიკა საოცრად მაგონებს საბჭოეთის საავიგაციო კინოფილმებს (ოღონდ ამერიკული გადახრით: დალუვა არ შეიძლება, სექსი თანაკლასელებს შორის მხოლოდ უსაფრთხო უნდა იყოს, კარგი კარგია, ცუდი ცუდია, ყოველივე კარგი – ამერიკულია), რატომღაც, ლექსიკის გამირაველფეროვნებისა თუ „გამშვენიერების“ მიზნით, არაზუსტად არის თარგმნილი:

Come on (წავედით, მიდი, კარგი რა და ა.შ.) – დაიკიდე!

Sure (ცხადია, რასაკვირველია, ნამდვილად, დარწმუნებული ხარ?..) – კაიფობ?

Good (კარგია, მშვენიერია, ძალიან კარგია...) – ასწორებს, გლიჯავს.

Go out (წადი, მომშორდი, წაეთრიე...) – დაახვიე აქედან.

Nise hair (მშვენიერი თმაა, კარგი თმა გაქვს...) – საკაიფო თმა გაქვს.

Well (კარგია, მაშ, მაშასადამე) – მაგარია! და ა.შ.

სრულიად ნათელია, რომ მთარგმნელები თვითარსებურად ცუდიან გექსტს და ეარგონსაც უმართებულად იყენებენ. არც ის არის გამორიცხული, რომ „შუამავალი“ კვლავ რუსული ენა იყოს; ამავე სერიალში გაცოცხლებით აღმოუჩინე ახალი „ქართული“ სიგყვა – „პაი-გოგონა“! ეს ხომ ინგლისურისა კი არა, უკვე რუსულის არცოდნაა: *Пайныка* ან *Пай-девочка* (ინგლისურად *Good child* ან *Good girl*) – ქართულად ვერ თარგმნეს (ჰკეიანი, დამჯერი, სამაგალითო...).

სამიოდე წლის წინ, როცა ბავშუს მშვენიერად დასურათებულ ზღაპარს ეუკითხავდი, გამაოგნებელი სიგყვა ამოვიკითხე – „დიაგელი“ (კოდალა)! ზღაპრის გადმომქართოლებელი რუსულთან რომ მწყრალად არის, ცხადია, მაგრამ, სანამ ამ წიგნს გამოსცემდნენ, ვინმემ მაინც არ გადაიკითხა?

ამ უბრალო მიმოხილვითაც უეჭველად გაცხადდა, რომ ქართულ ენას, უწინარეს ყოელისა, უწიგნურობა აკნინებს; სუ-

ლერთია, რა სახით იქნება გამოხატული – გრამატიკის არცოდნით. ლექსიკის სიღარიბით, უცხო სიტყვათა რახარუხით. ქარგონის, დიალექტიკების, ბარბარიზმებისა თუ ეულგარიზმების არსახული მოწვევებით.

წრეგადასულმა სკაბრებულობამ, ენობრივმა ნაგურალიზმმა – ე.წ. არანორმატიული ლექსიკით გაგაცემა მწერალსა ერთი გუნდი გაუგონარ მკრეხელობამდე მიიყვანა. მათი „ჩემი დედის... პოეტიკა“, ვითომდა კონცეპტუალური, ნაგურალისტურ-პორნოგრაფიული, სადისტურ-მამოხისტური ტექსტები არსახული აგრესიით, ბოლმითა და ბრაზით არის დაყურსული. ვადაჭრით ვეწინააღმდეგები მათ გირაჟირებას, თუნდაც კრიტიკული განხილვის მიზნით (ანტირეკლამაც რეკლამაა), მხოლოდ ზოგადად თუ ვიტყვი, – ფსიქოანალიტიკოსთა დაკვირვებით ბემოხსენებულ ავტორთა პიროვნული თუ სექსუალური თვისებებისა და „ღირსებების“ თაობაზე შეიძლება სავალალო დასკვნები გაკეთდეს; თუმცა ასეთ რადიკალურ თვალსაზრისს ვერ გავიზიარებ: ნეოფროიდიანელებმაც ისევე გადაამლაშეს, როგორც, საერთოდ, მიმდევარ-მიმბაძველებს სწვევიათ.

ერთი ავტორის ნოვაგორულმა „დედაშვილობამ“, ბიწირად გამოხატულმა (ინცესტურ-ორალური გალიმატიაა, – ასეთ სამინელებამე ქართულად რა მალაპარაკებს!) თესვიმ აბულაძის „მონაჩების“ ერთი ფრაზა გამახსენა: „ლოქსოპულო! შენ დედა გყავს?“

„ჯერ დედას გადავხევევი, მერე შეილსა და ცოლსაო“, – ეს არქაული ტექსტიც „ინცესტურად“ მივიჩნით?

ერთ მშვენიერ ამერიკულ კომედიაში დეპრესიით დაავადებული მაფიოზი (რობერტ დე ნირო) ფსიქოანალიტიკოსს შესწივის – ფროიდის დედაც, მისი შიშით საკუთარ დედას ვერ მივკარებივარო.

მამ, რა არის ეს მოვლენა – საზოგადოებრივი გემოვნებისათვის სილის გაწენა, უმისამართო აგრესია, სხვათა გაბითურება თუ ეპაგაჟი?

ჩვენი „გაბრაზებულები“ ხომ ყველასა და ყველაფერზე ბრაზდებიან საკუთარი თავის გარდა.

თუ პაროდირება და უხამსი თამაში გსურს, რაღა მათეს სახარებასა და „შუშანიკის წამებას“ მიმართავ?

ინდური წარმოშობის ინგლისელ მწერალს, სალმან რუშდის „საგანური ლექსებისათვის“, რომელშიც ყურანის შეურაცხყოფა

დაინახეს, ირანმა სასიკვდილო განაჩენი გამოუგანა (თუ არ ვცდები. აეგორი დღემდე იძალდება). ბევრმა ქვეყანამ. მათ შორის ქრისტიანულმა, უარი განაცხადა ამ სკანდალურად ცნობილი „ბესესელერის“ თარგმნა-გამოცემაზე.

სკანდალური პოპულარობა გასაღებელი აქეთ სკაბრებულ-„კონსეკტუალური“ ტექსტების ჩვენებურ აეგორებსაც.

ეს მწერლები, შესაძლოა, ნიჭიერი, განათლებული და, თქვენ წარმოიდგინეთ, კარგად აღზრდილი ადამიანები იყვნენ; მაგრამ, ერთი ანდამისა არ იყოს, — „რაგომ გირის ბავშვი? — ვაულის და გირისო“, — მათაც ყველაფერი გაუღით (ყოველ შემთხვევაში, წიგნების გამოცემის პრობლემა არ აწუხებთ).

ფსიქოლოგთა მიერ შენიშნულია არაეცნობიერი ავრესია, რომელიც თვითგვემითა და საკუთარი თავის ენებით გამოიხატება. „ცისყურყანწლებს“ ამოჩემებული პქონდათ ერთი სახემეგაფორა: გააფთრებული მორიელი, როცა მსხვერპლს ვერ მოიხელთებს, თავს იგვსლავს.

სწორედ ამ ჭრილში თუ განეხილავთ ზემოხსენებულ ავტორებს.

ბატონებო, იქნებ გამობრძანდეთ ეპატაური ასაკიდან, თქვენი ბიოლოგიური წლოვანებაც ხომ ხელს გიწყობთ ამაში. ან რაგომ გაეიწყდებათ ისეთი ცნებანი, როგორიცაა სირცხვილი, სინდისი, მორიდება, მოკრძალება, მოწიწება... რაო, ღრო მოჭამეს?

ტეშმარიტად, „ზრდილობა ერთი ციური ნიჭთაგანია“ (აკაკი).

უბედურება ის გახლავთ, რომ უკვე შეეაჩვიეთ ყური „საყველპუროდ“ თუ საჯაროდ გამოთქმულ ბილწსიგყვაობას, — პარლამენტიცა თუ საკრებულოს გოგიერთი წევრის „არაპარლამენტურ“ მეგყველებას (სხვას რაღა მოეთხოვოთ!). მცირედი გამონაკლისის გარდა, უზრდელობა ლამის ცხოვრების წესად გვექცა...

გამოუსწორებელი ზიანი მიაღვა ჩვენს ყოფით კულტურას, გრადიციულ ქართულ ეტიკეტს. თბილისის მოსახლეობის ერთი ნაწილის ქუჩური მეგყველება პირდაპირ შემაპრწუნებელია.

ნუ დავაბინძურებთ დედაენის საღაროს. სწორი მეგყველებების უპირველეს მასწავლებელს — ქართულ მწერლობას.

სკაბრებულობა ლიგერატურაში მუდამ არსებობდა და იარსებებს, მაგრამ თუ ის თვითმიზნად იქცა, ეს უკვე მხატვრული ლიტერატურა კი არა, გაურკვეველი დანიშნულების პორნოგექსტია.

ბილწსიგყვაობა არ არის „პირველადი“, ის ავადობის თანმხ-

ლები „ქეორადი“ მოელენია: საფუძველი კი ერწმუნოება, სულის სიგლანქე, გრადიციული ქართული ცნობიერების რღვევაა.

ფსიქოლოგებსა და სოციოლოგებს შენიშნული აქვთ, რომ ჩვეულ ვითარებას, საკუთარ ფესვებს ნებისით თუ უნებლიედ, საკუთარი სურვილით თუ ძალადობით მოწყვეტილი ადამიანი ღრმა სულიერ დისკომფორტს განიცდის. თუ ამას თან ერთვის თითქმის საყოველთაო გაჭირვება, ღრმა კაგაკლიზმები და ძმათამკელელი ომები, სულიერი შეჭირვება უმწვავესი კრიზისის ხასიათს იღებს. ძნელია ამ ღროს სულგრძელობისა და წონასწორობის შენარჩუნება და, როგორც ფსიქოლოგები იტყვიან, აღეკვადურად მოქცევა. გემოხსენებული სკაბრებული ტექსტები, ჩემი აზრით, არააღეკვადურია თვით ჩვენი გაუსაძლისი ყოფისთვისაც კი! მკითხველმა რა დაამაჟა?

უფრო ნაკლებ ცოლვად (პირდაპირი თუ გადაგანითი მნიშვნელობით: ამ მხრივ მეტად ღირსსაცნობია აკაკი მინდიაშვილის წერილი, იგი ბილწსიგყვაობას ქრისტიანული რელიგიის ჭრილში განიხილავს) მიმაჩნია მწერლობაში ქარგონის თუნდაც უხვი გამოყენება; რასაკვირველია, იმის გათვალისწინებით, აქვს თუ არა მას ფუნქციური დატვირთვა.

ამ მხრივ სანიშნუა აკა მორჩილაძე, რომელიც ქარგონის წიაღშიც ისე გრძნობს თავს, როგორც თევზი წყალში. „ფალიაშვილის ქუჩის ძაღლებში“ განსხვავებული ქარგონული მეტყველება რამდენიმე პერსონაჟის ე.წ. „სიგყვიერი ქესტებით“ დახასიათებას ემსახურება. „მოგზაურობა ყარაბაღში“ თითქმის მთლიანად ქარგონითაა გამართული. ესაა მოყირკებული მაღალფარდოვნებისაგან თავის დაძვრენაც, ენობრივი ნატურალიზმიც, მთხრობელის პიროვნული დახასიათების საშუალებაც, მისი იუმორისა თუ თვითთრონიის ხერხიც.

ზოგადად კი ყველაფერი დამოკიდებულია აეგორის ნიჭიერებასა და ზომიერების გრძნობაზე, რითაც ბევრი ვერ დაიკვებნის.

უზადო მოქართულე თამაზ ბიბილური (კარგი იქნებოდა, თუ ახალბედა აეგორები საგანგებოდ ჩაუკვირდებიან მის ბრწყინვალე პროზას) წერდა: „ზედმეტი „ცხოვრებისეულობა“ ლიტერატურას ნატურალიზმისაკენ ეწევა, ლიტერატურა კი ერთგვარად ცხოვრებაზე ოღნაჟ უფრო ამაღლებულს გულისხმობს.

ქუჩაში გოგო-ბიჭები საუბრობდნენ. ბიჭები რაღაცას ყვებოდნენ დაბაღების ღღის ამბებიდან. ერთმა გოგომ იკითხა, რა

მოხდაო? ბიჭმა, ვითომც არაფერიო. დამაჯერებლად, ლაკონურად უთხრა: „ერთი ბიჭი – ვაჟი. მეორე ბიჭი – კარონი“... მოდი და სული სუ წაგძლეეს. რომ გაიგო. მაინც რა ოქეა ამ ბიჭმა. აღმოჩნდა, რომ ერთმა ბიჭმა იმ დაბადების დღეზე მეორე ბიჭი გალახა. ამ უძეცარმა ფრაზამ მაინც თავისი ქნა – ინფორმაცია გაავრცელა. ვერც ამ ფრაზას შეიგან ლიგერატურაში... ყოველ შემთხვევაში, მე მგონია, რომ ეს ფრაზა ყველაფერს გააშარყებდა“ („საუბარი კრიტიკოს როსტომ ჩხეიძესთან“).

ღრომ მოიგანა „ყველაფერის გაშარყება“ და ქარგონის ფართო გავრცელებაც.

ქარგონი საუკეთესო იუმორისტულ ეფექტსაც ქმნის, მაგრამ მხოლოდ მასზე დაფუძნებული კომიზმით შორს ვერ წახვალ.

უნდა ვაღიარო, რომ ბავშვობიდანვე ჩემი კლასისა და სკოლის „ენაზე“ ავლაპარაკდი და დღემდე ძალიან მიზიდავს თითოეული „ახალშობილი“ სიტყვის წარმომავლობაც (დიდი ინტერესით ვეცნობი ლევან ბრეგაძის მოსაზრებას ამის თაობაზე).

შარშან, გვიან შემოდგომაზე, გაქსის მძლოლისაგან საოცარი რამ მოვისმინე: საშინელი ავღარი იყო, მობუზული ჩავჯექი მანქანაში და რაღაც წაეიწუწუნე. მოწყენილმა მძლოლმა წამსვე ამიბა მხარი, – აბა, აბა, რა ამინდია, არაფერი არ მიხარია, სულ „დაგრუსნული“ ვარო... სიტყვა „დაგრუსნულმა“ (ფუძე – ГРУСЬ) სუედის ნაგამალიც არ დამიგოვა და წუნკალი ამინდიც კი გადამაეიწყა. გაჭირვებით მოვეხმე მრდილობას, რომ მძლოლისათვის სახეში არ შემეცინა.

იმ დღესვე სხვადასხვა თაობის ახლობლებიც დაეკითხე; აღმოჩნდა, რომ ასეთი სიტყვა არაეის გაეგონა, თუმცა ყოველი მათგანი გეარიაანად გამხიარულდა.

თუ რეალობას დავუბრუნდები, უნდა ვაღიარო, რომ დღეს ქარგონმაც ძლიერ დაგვიზარალა სამეგყველო კულტურა, რის გამოც, რა თქმა უნდა, ძლიერ ვარ „დაგრუსნული“.

ქარგონული სიტყვები ენაში სამუდამოდ არ მკეიდრღება. შესაბამისად, ქარგონი მარად ცვალებადია, რასაც ვერ ვიგყვით უცხო სიტყვებზე.

ქართულმა ენამ დასაბამიდან დღემდე მრავალი უცხო სიტყვა ბუნებრივად შეისისხლხორცა. უკვე ითქვა, როგორი სიფრთხილეა საჭირო, რათა უფუნქციოდ მოძალებულმა უცხოურმა ლექსიკამ შესაგყეისი ქართული სიტყვები არ განდვენოს. ეს გენ-

დენცია ამკარად შეიხიშნება არა მარტო მასპედიამი, გეპირ-
მეგყველებასა და საჯარო გამოსელებში, არამედ მეცნიერება-
მიც. მათ შორის – „სიგყვის ხელონებაში“ – ლიგერაგურათმ-
ცოდნეობასა და მწერლობაშიც კი.

ახალმა რეალობამ, ახალმა მიმართულებებმა და მეთოდოლ-
ოგიებმა (შერწყმულმა კომუნიკაციის საარაკო სამუალეებთ-
ან) უცხოურ გერმინოლოგიას და ჩვეულებრივ უცხო სიგყვებს
ფართო გასაქანი მისცა ჩვენს სინამდვილეში. უცხო ლექსიკის
(ძირითადად – ინგლისურის, ე.წ. „ფრანგლეზების“) მოძალეებამ
უდიდესი ქვეყანა საფრანგეთიც კი შეამფოთა; მან საკანონმდებ-
ლო საქმიანობაც მოიშველია და არც აკრძალვებს მორიდებია.
ჩვენში კი მწერლების, მეცნიერების, კრიტიკოსების შემფოთე-
ბას ყურად არ იღებენ (არადა, უძლიერესი ფილოლოგიური სკო-
ლა გვაქვს). უეჭველია, რომ დედაენის შევიწროება კანონით უნდა
იკრძალეობდეს.

დიდი მნიშენელობა აქვს სუბიექტურ ფაქტორსაც; ჩემი თაო-
ბის სტუდენტობაში ფართოდ იყო გავრცელებული ერთი „ლიგ-
ერაგურული“ ანეკდოგი: ლექტორმა, მრავალი საბჭოური რე-
გალიით აღჭურვილმა კრიტიკოსმა, რომელიც მწყრალად იყო
უცხო ენებთან, თავისი წიგნი მიუგანა უფრო მაღალჩინოსან
კოლეგას, რათა მას შეეცხო გამოგოეებული ადგილები უცხო
სიგყვებით... ანეკდოგის მთელი მარილი ის იყო, რომ ვერც ეს
უკანასკნელი დაიგრაბახებდა დიდი განსწავლულობით და საკ-
უთარ ნაწერებში ერთობ გულუხვად, თუმცა ხშირად უადგილოდ
და შეცდომით, ურთავდა უცხო სიგყვებს.

უცხო სიგყვათა უსამანო გამოყენება ლიგერაგოროთა ერთი
ნაწილის მიერ სრულიადაც არ მიგვანიშნებს მათ განსწავლუ-
ლობას უცხოურ ენებში. გაეიხსენოთ, რა უზალო ქართულით
წერენ და მეგყველებენ ქართველი პოლიგლოგები, უბრწყინ-
ვალესი მეცნიერები, მთარგმნელები, მწერლები (დიდი მოკრძა-
ლებით ვიხდი ბოდიშს მათ წინაშე, ვინც გამომრჩება): თამამ
გამყრელიძე, მამა ალექსიძე, მანანა გიგინეიშვილი, ბაჩანა
ბრეგვაძე, ზურაბ კიკნაძე, დათო წერედიანი, ჯემალ აჯიაშვილი...

მათ, „რაგომლაყ“, დედაენაზე მეგყველებისას უიშვიათესად
თუ გამოუყენებიათ უცხო სიგყვები საჭიროების გარეშე!

ძლიეს გავუძელი ცდუნებას, რომ ჩემი წერილისათვის ილიას
სიგყვების – „დედაენის წინაშე ცოდვილინი“ – ნაცვლად არ შე-

წოდებიან – „გერბულენტიკური მარგინალიები ევროპულ ინოვაციებზე ლისგვისტური დიშენსიით“. არა მგონია, „ლიგერატურულ პალიტრაში“ გამეპარებიან მსგავსი სათაური (ქართულად: „მოუწესრიგებელი შენიშვნები სიგყეურ სიახლეებზე ენობრივი განზომილებით“), თუმცა მერწმუნეთ, მსგავსი სტილი დღეს „მოღაშია“.

ისიც უნდა ითქვას, – წერის მანერის, განათლებისა და ნიჭის კვალობაზე, – ვინ როგორ გამოიყენებს უცხოურ სიგყეებს.

კარგი ლიგერატორის ნაწერში უცხო სიგყეებიც საოცრად ელეგანტურად გამოიყურება (20-იან წლებში ერთმა ქართველმა პოეტმა გართმა – „ქართული – ელეგანტური“).

„დედაენა სულია ეროვნული არსებისა“, – წერდა არჩილ ჯორჯაძე. იქნებ დროა, მოუხმოთ მეზღეაურთა განწირულობის სიგნალს SOS! (ეს აბრევიატურა ადვილი გასაგებია: „იხსენით ჩვენი სულები“) და საკუთარ თავს ეროვნული არსების, ანუ სულის გადარჩენა მოეთხოვოთ...

2005 წ.

მწერლობისათვის

ნებისმიერი შემოქმედი უაღრესი ინდივიდუალისგია, ასეთია ხელოვანის ბუნება. მწერალთა იდილიური ურთიერთობა მსოფლიო ლიგერატურის ისტორიას თითქმის არ ახსოვს. საქართველოში, როგორც კლასიკოსები იგყოდნენ, „ეურნალ-გაბეთობის“ გაჩენის შემდეგ, მწერლებს ან მწერალთა ჯგუფებს შორის მეგნაკლები კონფრონტაცია არასოდეს დამცხრალა.

მწერალთა კამათი და ცილობა, ხშირად რომ სცდება ლიგერატურის ფარგლებს, თანამედროვეთათვის მიუღებელი და მოუთმენელიც კი არის, მაგრამ საუკეთესო მსაჯული მაინც დროა: ყველაზე პირუთენელად ის განსჯის და კვისარს კვისრისას მიუზღავს.

ასეთი „იდილიური“ შესავლის მიუხედავად, უნდა ვადიარო, რომ დღევანდელმა ძნელბედობამ, მწერალთა გაუთავებელმა და მასმედიის მიერ განზრახ გაზვიადებულმა დაპირისპირებამ, მწეობრივად ისედაც დაკნინებული საზოგადოებისათვის საზიანო ფონი

მექმნა. მკითხველს კი ცალკეული მწერლის მიმართ კი არა; საერთოდ, ქართული ლიტერატურისადმი უნდობლობის სენი შეჰყარა. ასეთ ვითარებას ისევე მწერლობამ უნდა მოუღოს ბოლო. ეს მისი ვალია.

ჩვენს არეულ და გადარეულ დროს, ზოგი მწერლისათვის, საბედნიეროდ, ხელი თითქმის არ შეუშლია; ზოგი სამუდამოდ დაღუძდა, თუმცა ძვირფასი მემკვიდრეობა დაგვიტოვა; მავანი, გამოუსწორებელი მედროვე, — ენად გაიკრიფა და ახალ კონიუნქტურას მოერგო, მერე რა, რომ დროებით...

ძალუმად წამოიქოჩრნენ ახალგაზრდებიც: ნიჭიერნი და უნიჭონიც, თამამნი და თავხედნიც, ბუნებით ნოვატორნი და ბორბლის დიდი ხმაურით გამოიმგონებლნიც.

თვითდამკვიდრების მარადიული პროცესი, თვით დალხინებულ ქვეყანაშიც კი, მარგო ახალი თაობის კი არა, ნებისმიერი ასაკის ხელოვანის მარადიული ხვედრია; მით უმეტეს, ჩვენს ვითარებაში, როცა უცხო და ახალმა ხილმა, სიგყვის თავისუფლებამ, ვის კბილი მოჰკვეთა, ვინ, — ყოფილი „მეფე“, — გააშიშვლა, ვის ფრთები შეასხა და ბურთი და მოედანი დაუთმო.

დიდმა იმედგაცრუებამ დიდი მოლოდინის შემდეგ, ძმათაკვლამ, სილაგაკე-გაუმადლობის აშბივალენგურმა ორომგრიალმა, განუსჯელობამ, „მგაცებლობით და ხვეჭით“ გალაღებულთა ურცხვობამ, — ზოგი დიდი ხნით შეაჭირვა, მწარე საფიქრალი გაუჩინა და თითქოს მარჯვენაც დაუბორკა.

ავალსახსენებელი, მაგრამ მიზმთა გამო „ტკბილადმოსაგონარი“ საბჭოეთის ხანაშიც, ბევრი ისე ლაღად და თავისუფლად წერდა, თითქოს სოციალისტური რეალიზმი და უმკაცრესი ცენზურა, — არ არსებულებოდა. მასაც „საბჭოთა“ პოეტი და პროზაიკოსი ერქვა და სხვადასხვა იფქლისა და ღვარძლის გარჩევა კი მაშინაც ჭირდა და ახლაც ჭირს.

დაახლოებით იგივე ითქმის საბჭოურ, უფრო ზუსტად, — საბჭოთა პერიოდის ლიტერატურათმცოდნეობასა და კრიტიკაზეც: ვინ, — ხელისუფლების ნებაყოფლობითი რუპორი და მონა გახდა, ვის, — სიმართლის თქმა შეეშინდა, ვის, უბრალოდ — განათლება და ნიჭი არ ეყო და ა.შ. მაგრამ დიდ ლიტერატორებს, უამრავი დაბრკოლების მიუხედავად მაინც ხელეწიფებოდათ ქართული მხატვრული სიგყვის მსახურება, ჩვენი მწერლობის მართალი და ობიექტური შეფასება.

1937 წელს, როცა ცოცხალი ამრი და „წმინდა ხელოვნება“

თითქოს საბოლოოდ უნდა დასამარებელიყო. „ლიგერატკერნიოე ნასლელსკეის“ მორიგი, ბრწყინვალე გომი სრულიად ანგისაბ-კოურ მიპდინარეობას, რუსულ სიმბოლიზმს მიეძღვნა. თავის დამძევების მიზნით, გომს ეპიგრაფად ვორკის სიტყვები აქონდა წამძღვარებული: „წარსული ზოგჯერ საგმობია, მაგრამ მისი გმობა ამაოა. შესწავლა კი – აუცილებელი“.

ქართულ ლიგერატკურათმცოდნეობაშიც, საბედნიეროდ, გვხვდება ამგვარი პარადოქსები.

ჩვენს ლიგერატკურულ საზოგადოებას, დანაწიებით უნდა ითქვას, ფასეულობათა გადაფასების ეინი თუ ნება არ გაუმქლავნებია (მცირედი გამონაკლისის გარდა). არ არის შემთხვევიითი. რომ „არილის“ დამაარსებლის, მწერლისა და ლიგერატკურათმცოდნის თემო მალაფერიძის მიერ 90-იანი წლების დამდეგს წამოწყებული საინგერესო და დროული დისკუსია არამცოთუ ჩიხში მოექცა, უარყოფითი რეზონანსიც კი გამოიწვია. მწერალთა კავშირის პირუთენელი მემაგიანის რევამ კეერენჩხილადის უზარმაზარი სამუშაო, იმავე წლებში, მავანმა თავისი უღირსი მიჩნებისათვის და ზოგიერთი რეპრესირებული მწერლის სახელის შელახვისათვის გამოიყენა, რამაც კონფრონტაციის ახალი ტალღა აავგორა.

ნანაგრი, მაგრამ მეხივით თავს დაგეხილი დამოუკიდებლობის ათი წლის მანძილზე, ჩვენდა სავალალოდ, განხეთქილება, ურთიერთდაპირისპირება და ცილობა არამცოთუ არ თავდება, პირიქით, ჯაჭვურ რეაქციასავეთ, პოლიგიკიდან სხვადასხვა სფეროებში ინაცულებს და საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ-ახალ სარბიელს ეპოგინება.

ხანდახან ეკვიც კი ჩნდება, რომ ქართველობა მხოლოდ „საუცხოო“ უცხოთა მიმართ არის გოლერანგული, ხოლო თანამოქმის ამრის გაზიარება კი არა, მოსმენაც კი არ სურს. სავალალოა, რომ ამ მხრივ არც ქართული მწერლობაა გამონაკლისი. ოლონდ, საქმე ის გახლავთ, რომ მწერლების ბამბაც კი ჩხრი-ალებს, ხოლო მასმედის სეირსა და ხეირს დაწაფებული ერთი ნაწილი, ცეცხლზე ნავთის დასხმას ეთ დაიზარებს!

წამდაუწუმ აბურთავებენ „ოთხას“ მწერალს (ამერიკას მოვეშვათ და, უზარმაზარ რუსეთშიც რომ არ მოიძებნება დღეს ოთხასი „ეპოქალური“ მწერალი, ამაზე არცეინ დაეობს), მაგრამ რატომ გვაევიწყდება, რომ ყბადაღებული ოთხასი მწერლის გარ-

და, პატარა საქართველოში. ასობით კი არა, ათასობით ქურნალისტი, მხაგვარი, მუსიკოსი, მსახიობი, ექიმი. ინყინერი თუ ეკონომისტი... და. რაც უმთავრესია, ოთხასი თუ არა, დღეს კიდევ ორასი კაცი მაინც მოიძებნება, თავს მწერლად რომ მიიჩნევს და, თუ ფული აქვს, წიგნებსაც ბლომად გამოსცემს. მაშ როგორ მოვიქცეთ, ოთხასს ორასიც მივეუმაგოთ და ყველანი გადავუეთ ანათემას?

პარადოქსულია ის სნობიზმი, რომელიც „მუშურ-გლეხური“ სახელმწიფოს მესვეურებმა გაამქლავნეს მუშებისა და, განსაკუთრებით, გლეხების მიმართ; ლენინის პოსტულატი – „უმჯობესია ცოცხალი კარგი“ – ინტელიგენციასთან მიმართებით, ფაქტობრივად, ასე შეიცვალა: „უმჯობესია ბევრი და ცუდი“.

ქართული ინტელიგენცია (წითელი, სულგაყიდული, კორუმპირებული, კრიმინალური, ანგაჟირებული, რუსული ფენომენის ანალოგი კი არა, – ჩვეულებრივი ანუ ნამდვილი) მუდამ არსებობდა და იარსებებს; საქმე ის გახლავთ, რომ ინტელიგენციის იარლიყი საბჭოთა გოგალიგარიზმის უგვანი პოლიტიკის გამო ბევრ უღირსს უბოძეს, ხოლო ამის სავაგლახო ნაყოფს დღეს ვიშკით, როცა ინტელიგენციის განურჩეველი მასა, მისი საუკეთესო წარმომადგენლებითურთ, უფუნქციო აღმოჩნდა. ეს არა მარტო პიროვნული, ეროვნული ტრაგედიაა. მწერლობამ, ცხადია, ინტელიგენციის ხვედრი გაიზიარა.

ტექმარატი მწერლები, ასაკობრივი სხვაობის მიუხედავად, ვისაც როგორ შეუძლია – სიგყვით, საქმით თუ ღუმილითაც კი (გავიხსენოთ ბარათაშვილი: „მაშა ღუმილიც მიმითვალე შენდამი ლოცვად!“) შეუვალად იცავენ ქართული ლიტერატურის პატივსა და ღირსებას. ღმერთმა დაგვიფაროს, სხვაგვარად რომ იყოს! ხოლო ის, ვინც წაღმა-უკულმა აბურთავეებს და ერთ გაფაში აქცევს ყველა მწერალს, ნებსით თუ უნებლიედ, ცნობიერად თუ ქვეცნობიერად, – სცოდავს: უბირი მკითხველისა თუ გელემაყურებლის თვალში ლახავს მთელი ქართული ლიტერატურის ღირსებას, აკნინებს მის მნიშვნელობას; რომ აღარაფერი ვთქვათ მწიგნობრობაზე – ჩემთვის სრულიად გაუგებარ, უღმობელ სისასტიკეზე.

თუ საქმე მხოლოდ და მხოლოდ 1917 წელს ღირსეულ მოღვაწეთა თაოსნობით დაარსებულ მწერალთა კავშირს ეხება, რომელიც, ყაბთა სიავის შესაბამისად და სხვა მისდარ წარმონაქმნთა მსგავსად, „თანაბრად მგვირთველი იყო საქმის თუ

თრის და შაეისა“ – პირდაპირ ასე ეოქვეათ, ოლონდ სიკეთესაკ
ნე დაუუეიწყებო.

ლიტერატურის ისტორიკოსის ოქალსაბრისით, სრული ნონ-
სენსია მწერალთა ლიტონი „არიოქეტიკული“ კლასიფიკაცია: „ამ
ოთხასი კაციდან რამდენიმე კლასიკოსია“, „მაოგან შვიდი შესანი-
შნაეი მწერალია“ (რაგომ შვიდი და არა, ეოქვეათ, თერთქეტი ან
ოქდაათი) და მისთანანი.

არცერთი ქვეყნის ლიტერატურა არ შეუქმნია ერთეულებს,
მას მთელი მწერლობა ქმნის – კორიფენიც, მეორეხარისხოვან-
ნიც და მეთახარისხოვანნიც.

სომერსეტ მოემი ამბობდა, – მეორეხარისხოვან მწერალთა
შორის პირველი ვარო. რომელიმე ქართველი მწერალი, თუნ-
დაც ახალგაბრდა „მაქსიმალისტი“ გაიმეორებს მოემის თეოქე-
ფასებას? როგორც აკაკი გაწერელია იცყოდა, – „სომნევაიუს
ფრიად“.

ძალიან, ძალიან მაღალი გრიბუნებიდან ვალალებენ, – მწერ-
ალთა კავშირისა და გრადიციული ჟურნალ-გაბეთების („შნა-
თობი“, „ცისკარი“ და სხე.) დაფინანსება მარად „გარღეეული“
ბიუჯეტიდან არ ეცებისო!

დალოცვილებს, ის მაინც არ აკრთობთ, რომ გვერდით უს-
ხედან ისეთი პარტიული თუ უპარტიო „ბოსები“, სალიტერატურო
ორიოდე ჟურნალისა თუ მწერალთა კავშირისათვის განკეთე-
ნილი წლიური თანხის ექვივალენტს – ერთ თვეში რომ მოიხ-
მარენ „ოჯახური საჭიროებისათვის“, ანდა, სულაც, კაბინოში
წააგებენ! მართლაც ძალზე სასაცილოა და იბავდროულად –
საგირალიც.

მაგრამ დღეს „განსაცვიფრებლად არის მთავარი“, რომ
ქართული მწერლობა უქონორაროდაც ცოცხლობს, ირგვლივ
გამეფებული სიდუხჭირის, თაღლითობის, შარლაგანობის თუ
სიბრიყვის მიუხედავად. მწერლობის გულმხურყალე და უანგა-
რო მეცენატები კი არა და არ ჩანან.

ათიოდე წელია, ეიფორიის ხანმოკლე პერიოდებს უსამანო
სასოწარკვეთა ენაცვლება. პაერში თითქოს შეუწყნარებლობა
და აგრესია თიმთიმებს. რა გასაკვირია, ეს სენი ზოგ მწერალ-
საც რომ შეეყაროს. მწერალიც აღამიანია...

ჩვენს დუხჭირ ვითარებაში, მწერლისათვის ერთადერთი უკ-
აგიებელი ეროვნული ნიჰილიზმის დანერგვაა: თუმცა ზოგიერ-

თი. ჯერჯერობით ჩედაპირზე მოტივირებული „მოღვაწე“ ამკარად ჯაბნის ამ საქმეში მწერლობას.

მესიანიზმის იდეა თავისთავად, ეროვნული თვითშეგნების გაღვივების. ერის გამოღვივების, მისი სულიერი მხნეობის საწინდარი, თუქა მისმა ზღვარგადასულმა და გაუკუღმართებულმა სახეობამ ახლო წარსულში ლამის ფაშიზმამდე მიგვიყვანა.

საფუძველს მოკლებულმა ეროვნულმა ნარცისიზმმა, მოგვიანებით, ამბივალენტური გრძნობა – ეროვნული ნიჰილიზმი წარმოშვა, რაც ჩვენს ვითარებაში ამკარად დამლუქველია.

საბედნიეროდ, „ჩამორჩენილი“ ქართული მენგალიტეტი უფრო სხვაგვარად განსჯის და აღიქვამს მწერლობის არსსა და დანიშნულებას, ვიდრე თანამედროვე პრაგმატული დასავლეთი. სწორედ ამ „ჩამორჩენილობის“ წყალობით მოვიგანეთ დღემდე უძველესი და უნიკალური ქართული კულტურა, სწორედ ამ გამორჩეულობის, განსხვავებულობის გამო ვართ დღეს საინტერესონი და არა სხვათა წამხედურობით.

გაივლის წლები, ვისღა ვაახსენდება წერილმანი შეხლა-შემოხლა; დღევანდელი კავშირებით და ასოციაციებით მხოლოდ ლიტერატურის ისტორიკოსი თუ დაინტერესდება. თვითმყოფი, ერთიანი ქართული მწერლობა კი იარსებებს მანამ, სანამ იარსებებს ქართული ენა და ქართველი ერი.

P. S.

გადავიკითხე ნაწერი და, ცოცხალი არ იყოს, შიშმა ამიგანა. ვაი იმე! (ამერიკულად – ეაააუ!). რაღაც დოგმატიკურ-დიდაქტიკურ-მორალისტურ-შოენისტურ-გრაფიკონალისტურ-პოპულისტური გამოშვლია. დავებუქლო – არ დავებუქლო, დავებუქლო – არ დავებუქლო! „Как бы чего не вышло!“ „შაირი“ მინდა ახლა მე?

რაც იქნება, იქნება. მაგრამ ობიექტურობამ რომ იზვიმოს და სამართალშია პური ჭამოს, აუცილებლად უნდა დავძინო: ამ წერილის ავტორი პირველია მეთაუბარისსხოვან ლიტერატურათმცოდნეთა შორის.

2001 წ.

საკრებო

თაობა.....	3
გიორგი ბრწყინვალე – მარადიული საქართველოს საკრებო.....	9
ასოშიასიათა მძივი პატიოსანი თვლებით.....	17
მომხრობა თბილისურ გაზაფხულზე.....	26
ბასული საუკუნის საღვთისო ლექსები	33
ვერსხლის ხანა – მესხრამება საუკუნე.....	49
„წვეთ-წვეთად ნაბროვები ხილვები“.....	63
რუჟი წყლიადგი.....	70
პარიზი – ახლენილი და აუხლენელი ოსება.....	76
ტალანტის ნებისყოფა.....	84
პატარა ქვეყნის დიდი მწერლობა.....	92
„მომოქმდება განმარტოებული ხელოვნის თავის შექცევა როდია“.....	98
ზაზა თვარაქის მოხატიალე პერსონაჟები.....	106
გამომხროვება ქველ თბილისთან. ძრწოლა ახალი თბილისის წინაშე.....	124
კარგი სული ბიჭები.....	142
უკეთური ღროის კეთილი წიგნი.....	155
ანა ახმატოვას საღა დიდებულება.....	163
გურამ რჩეულიშვილის თხზულებათა სრული კრებულის გამოყვინათვის.....	168
ფართო თვალსაწიერის მესწერი ალექსანდრა გვახარია.....	174
არღვიწყება.....	178
შუშვლელი ადამიანი.....	185
სარბის სანიჭილის გახსენება.....	195
ლუიჯი მაგაროტოს „ქართული არაალი“.....	202
საქართველო – მდიდარი მწერლობის და ლარბი მწერლების ქვეყანა.....	214
„ღდაენის წინაშე სოღვილნი“.....	223
მწერლობისათვის.....	233

გამომცემელი და რედაქტორი:
ზივი კიკილაშვილი

კომპიუტერული მომსახურება:
ჰაია ღოღბაია, ნინო კიკილაშვილი,
ირაკლი ბელთაძე